114
1940

15 ეკ3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

1

ი ა ნ ვ ა რ ი

თბილისი
1940

შინაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. თავაძე — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი 5

მხატვრული ლიტერატურა

კონსტანტინე ჭიჭინაძე — ლენინი აკლდამაში 25
ალიო მაშაშვილი — წიგნიდან „მინიატურები“ 26
ვიქტორ გაბესკირია — შეხვედრა ბელადთან 45
კალე ბობოხიძე — აკაკი 46
დემნა შენგელაია — ცისკარი (რომანი) 48
ლევ. მეტრეველი — ამირანი (მოთხრობა) 80

ლიტერატურის ისტორია

ლევან ასათიანი — ცხოვრება აკაკი წერეთლისა (მონოგრაფია) . . 123

ბიბლიოგრაფია

გ. მებუკე — ვ ა ს ი ლ ბ ა რ ნ ო ვ ი — „გიორგი სააკაძე“ 158

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასცენო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეჩვიდმეტე

3630 ~~1040~~

1

19 იანვარი / სახელგამი 40

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ასათიანი ლევან, გოგიაშვილი ალექსანდრე, კალაძე კარლო, ლოლაძიფანიძე კონსტანტინე (პ/მგ. მდივანი), მაშაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი), მოსაშვილი ილო, ჟუთათელი ალექსანდრე.

რედაქცია: ტფილისი, მაჩაბლის 13, მწერალთა სასახლე, ტ. 3-71-84.
კანტორა: ტფილისი, კამოს ქ. № 40, სახელგამი, პერიოდსექტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. თავაძე

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

16 წელმა განვლო იმ მწუხარე დღიდან, როდესაც შესწყდა თანამედროვეობის უდიდესი ადამიანის, მშრომელი კაცობრიობის ბელადის, მამისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიისა და მესამე ინტერნაციონალის დამაარსებლის, ოქტომბრის დიადი სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვებათა შთამგონებლისა და ორგანიზატორის, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებათა შთამგონებლის — ვლადიმერ ილიას-ძის ლ ე ნ ი ნ ი ს გულის ძგერა.

ლ ე ნ ი ნ ი ს სიკვდილი ყველაზე უფრო მძიმე დანაკლისი იყო პარტიისათვის, მუშათა კლასისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში „პარტიისადმი, ყველა მშრომელისადმი“ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სიკვდილის გამო სწერდა: „ყოველივე იმან, რაც პროლეტარიატში ჭეშმარიტად დიადია, გმირულია — უშიშარმა გონებამ, რკინისებურმა, უდრეკმა, შეუპოვარმა, ყველაფრის მძლე ნებისყოფამ, წმინდა სიძულილმა, სიკვდილამდე სიძულილმა მონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლუციურმა აღტყინებამ, რომელიც მთებს ამოძრავებს, უსაზღვრო რწმენამ მასების შემოქმედებითი ძალებისადმი, უზარმაზარმა ორგანიზატორულმა გენიამ, — ყოველივე ამან თავისი დიადი განხორციელება ჰპოვა ლ ე ნ ი ნ შ ი, რომლის სახელიც გადაიქცა ახალი ქვეყნის სიმბოლოდ დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე“.

გრძნობდა რა ამ დანაკლისის მთელ სიმძიმეს, უფრო მეტად შეამჭიდროვა პარტიამ თავისი რიგები, უფრო მჭიდროდ შეუერთდნენ ბოლშევიკურ პარტიას მუშათა და მშრომელთა მასები. ყოველი ბოლშევიკის, ყოველი პატიოსანი უპარტიო მუშის შეგნებაში გაიზარდა პასუხისმგებლობის გრძნობა პარტიის საქმისათვის, ლ ე ნ ი ნ ი ს საქმისათვის, სოციალიზმის ბედისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი ცოცხალია. იგი ცოცხლობს თავისი დიადი უკვდავი საქმის გამარჯვებაში. იგი ცოცხლობს სოციალიზმის დიად ქარტიაში — სტალინურ

კონსტიტუციაში, რომელმაც შეისისხლხორცა ლენინურ-სტალინური პრინციპები, იგი ცოცხლობს როგორც „პატარა“, „ყოველდღიურ“, [illegible] საქმეებში, რომლებსაც ყოველ დღე აკეთებენ ჩვენს ქვეყანაში. [illegible] სათავე დაუდვა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში, აღადგინა რა მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი, ოპორტუნისტების მიერ მეორე ინტერნაციონალში ჩამარხული, შემოქმედურად განავითარა რა შემდგომად მარქსიზმი და გაამდიდრა რა იგი ახალი შინაარსით.

ლ ე ნ ი ნ ი წარმოშვა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის მღელვარე ეპოქამ, იგი იყო რევოლუციის გენია, მისი დიდი სტრატეგი, საერთაშორისო რევოლუციურ პროლეტარიატის მასწავლებელი და ბელადი, ლ ე ნ ი ნ მ ა თავის თეორიულ სიძლიერეს გვერდში ამოუყენა პრაქტიკა, პროლეტარული მოძრაობის ორგანიზაციული გამოცდილება, იგი იყო მეცნიერების გამოჩენილი კორიფეი, გენიალური პრაქტიკოსი, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და ყველაზე გამობრძმედილი პროლეტარული პარტიის გამჭრიახი ხელმძღვანელი.

დაუშრეტელია სიმდიდრე ლენინური ეტაპისა მარქსიზმის განვითარებაში. ლ ე ნ ი ნ მ ა გაამდიდრა მარქსიზმი ყოველივე იმ ახალის განზოგადოებით, რაც მოგვცა კაპიტალიზმის, კლასობრივი ბრძოლისა და მეცნიერების განვითარებამ ენგელსიდან ლენინამდე. ლ ე ნ ი ნ მ ა და ს ტ ა ლ ი ნ მ ა მარქსიზმი გაამდიდრეს რუსეთის სამი რევოლუციის განზოგადოებული გამოცდილებით, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გამოცდილებით.

ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს ცხოვრება და ბრძოლა განუყოფელად შეერთებულია, გადახლართულია ურთიერთთან. ათეული წლების მანძილზე ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი მუდამ ერთად მიდიოდნენ, ხელიხელ გადაბმულნი. ერთად ჰქმნიდნენ ჩვენს პარტიას, აწრთობ-აკაჟებდნენ მას, ანადგურებდნენ მტრებს, ერთად მიჰყავდათ პარტია დიადი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

XX საუკუნის გარიჟრაჟზე ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი მედგარ ბრძოლაში ჰქმნიდნენ ჩვენს პარტიას. საიდან დავიწყოთ? რა ვაკეთოთ? — უსვამდა ლ ე ნ ი ნ ი კითხვებს რევოლუციონერებს და თან შლიდა რევოლუციური პარტიის მშენებლობის გენიალურ გეგმას. ამავე ლენინურ კითხვებს საიდან დავიწყოთ? რა ვაკეთოთ? — უპასუხებდა ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი მთელი თავისი მოღვაწეობა-მოქმედებით ამიერ-კავკასიაში. „არც ათეული ათასობით სივრცის კილომეტრებს, არც სახელმწიფო საზღვრებს, არც დევნას და არც ციხეებსა და გადასახლებას არ შეეძლო შეერყიათ პროლეტარიატისა და მისი პარტიის ბელადების ბრძოლის ურღვევი ერთიანობა“ (ჟურნ. „Под Знаменем Марксизма“-ს მეთაურიდან).

ლენინი ამბობდა: „მოგვეცით რევოლუციონერების ორგანიზაცია და ჩვენ რუსეთს გადავატრიალებთ“-ო. და მართლაც, ლ ე ნ ი ნ ი ერთ ხანაგ ს ტ ა ლ ი ნ თ ა ნ ერთად შექმნა პროლეტარული რევოლუციონერების ისეთი ორგანიზაცია, რომელმაც ნამდვილად გადაატრიალა რუსეთი. უაღრეს სიძნელე-დაბრკოლებათა მიუხედავად, ლ ე ნ ი ნ მ ა და ს ტ ა ლ ი ნ მ ა შექმნეს, შეამჭიდროვეს და მოწინავე თეორიით შეაიარაღეს რევოლუციურ-მარქსისტული პარტია, სოციალური რევოლუციისა და პროლეტარული დიქტატურის პარტია—ბოლშევიკების პარტია. ბოლშევიკების პარტია და ლ ე ნ ი ნ ი განუყრელად დაკავშირებულნი არიან ურთიერთთან. ბოლშევიკური პარტიის შექმნა უდიდესი დამსახურებაა ლ ე ნ ი ნ ი ს დიად მსოფლიო-ისტორიულ დამსახურებათა შორის. ამიტომ შემთხვევით როდი სწერდა რუსი პოეტი მაიაკოვსკი ჩვენი პარტიის მნიშვნელობისა და ამ პარტიის შექმნის საქმეში ლ ე ნ ი ნ ი ს როლის შესახებ:

„კლასის ტვინი,
კლასის საქმე,
ძალა კლასის,
მისი დიდება —
აი, რა არის პარტია.
ჩვენი პარტია და ლენინი
ტყუპნი არიან.
ვის ამჯობინებს
ისტორია სამართლის მჩენი?
ჩვენ ვამბობთ ლ ე ნ ი ნ
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას —
ვამბობთ
პარტია
და ვგულისხმობთ —
ლენინი ჩვენი“.

*

* *

ლენინის დიდებულ შემოქმედებითს საუნჯეს მარქსისტული რევოლუციური თეორიის საგანძურში წარმოადგენს მის მიერ აღმოჩენილი საბჭოთა ხელისუფლება, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა იმ პერიოდში, როდესაც ხდება კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმის სახელმწიფო. ამ ლენინური აღმოჩენის დიადი პოლიტიკური მნიშვნელობა მდგომარეობს უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ უამისოდ არ გვექნებოდა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოების ლენინური აღმოჩენის უკვდავი მნიშვნელობა მთელი სიცხადით გარკვეულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, სადაც ნათქვამია:

„რა მოუვიდოდა პარტიას, ჩვენს რევოლუციას, მარქსიზმს, რომ ლენინს ქედი მოეხარა მარქსიზმის ასოს წინაშე და ვერ გაებედნა მარქსიზმის ერთ-ერთი ძველი,ენგელსის მიერ ფორმულირებული,დებულების შეცვლა ახალი დებულებით საბჭოების რესპუბლიკის შესახებ, რომელიც შეეფერებოდა ახალ ისტორიულ ვითარებას? პარტია დაიბნეოდა წყვდიადში, საბჭოები დეზორგანიზებული იქნებოდნენ, ჩვენ არ გვექნებოდა საბჭოთა ხელისუფლება, მარქსისტულ თეორიას სერიოზული ზიანი მოუვიდოდა. წააგებდა პროლეტარიატი, მოიგებდნენ პროლეტარიატის მტრები“.

გენიალურმა თეორეთიკოსმა, მარქს-ენგელსის განმგრძობმა, ლ ე ნ ი ნ მ ა განავითარა მარქს-ენგელსის მოძღვრება პროლეტარული დიქტატურის შესახებ, რომლის დაპყრობაც მშრომელთა განთავისუფლების, კაპიტალიზმის მოსპობისა და კომუნისტური საზოგადოების აშენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა და მშრომელებმა დაამხეს მემამულეებისა და ბურჟუაზიის ხელისუფლება და შეჰქმნეს ახალი ტიპის სახელმწიფო, პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა სახელმწიფო.

ლ ე ნ ი ნ ი არის დამაარსებელი და პირველი მშენებელი ახალი მსოფლიო-ისტორიული ქმნილებისა, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო ეწოდება. საბჭოებში არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატმა, ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით, ჰპოვა ის სახელმწიფოებრივი ფორმა, რომლის მეოხებითაც უნდა ხორციელდებოდეს საბჭოთა ხელისუფლება, რომლის მეოხებითაც უნდა ირაზმებოდეს მუშათა კლასი, როგორც გაბატონებული კლასი, მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა საბოლოო განადგურებისათვის და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. საბჭოები — ეს სიტყვა მახლობელ, მშობლიურ და გასაგებ სიტყვად გადაიქცა მთელი მსოფლიოს ჩაგრულებისათვის, იგი, ისევე, როგორც დაუვიწყარი სახელი „ლენინი“, ერთნაირად გაისმის ხალხთა ყველა ენაზე, როგორც მათი განთავისუფლების სიმბოლო.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ პროლეტარიატს შესაძლებლობა მიეცა სახელმწიფოს ყველა ძლიერი და მწვავე საშუალებით, მთელი თავისი ორგანიზებული ძალოვნებით ამხედრებულიყო თავისი მტრების წინააღმდეგ, ექსპლოატატორების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც მონობისა და ჩაგვრის წყობილების აღდგენას ცდილობდა. პროლეტარიატს შესაძლებლობა მიეცა, საბჭოების მოქნილი განშტოებული ორგანიზაციის მეშვეობით, უშუალო ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაეწია მშრომელთა სხვა ფენებისათვის, ხელახლა აღეზარდა ისინი და წაეყვანა სოციალიზმის გზით. საბჭოები უფართოეს შესაძლებლობას იძლევიან მასების ჩასაბმელად სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

*
* *

„ლ ე ნ ი ნ ი ს სიდიადე იმაშია, რომ მან იცოდა მარქსიზმის დედაარსის დაჭერა და, აქედან გამომდინარე, მარქს-ენგელსის დებულების შემდგომად განვითარება, რის წყალობითაც ლ ე ნ ი ნ მ ა შექმნა მოძღვრება ცალკეულად აღებულ ერთს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. „რა მოუვიდოდა პარტიას, ჩვენს რევოლუციას, მარქსიზმს (ნათქვამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში"), რომ ლენინს ქედი მოეხარა მარქსიზმის ასოს წინაშე, რომ მას არ ჰყოფნოდა თეორიული გამბედაობა — უკუეგდო მარქსიზმის ერთ-ერთი ძველი დებულება და შეეცვალა იგი ახალი დასკვნით ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც შეეფერებოდა ახალ ისტორიულ ვითარებას? პარტია დაიბნეოდა წყვდიადში, პროლეტარული რევოლუცია ხელმძღვანელობას დაჰკარგავდა, მარქსისტული თეორია დაუძლურებას დაიწყებდა. წაგებდა პროლეტარიატი, მოიგებდნენ პროლეტარიატის მტრები" .

*
* *

ლ ე ნ ი ნ ი მოკვდა იმ მომენტში, როდესაც სამოქალაქო წლების, საშინელი ნგრევისა და შიმშილის, აუწერელი გაჭირვების უმძიმესი წლების შემდეგ ის იყო თავი იჩინეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველმა წარმატებებმა, ხალხის მტრებს უხაროდათ, ისინი მოელოდნენ, რომ ბოლშევიკების არმია შედრკება. მაგრამ მტრები მოსტყუვდნენ. მთელმა ქვეყანამ თავისი თვალი და ყური მიაპყრო იმას, ვინც ბოლშევიკების დიადი კომუნისტური პარტიის დროშა ლ ე ნ ი ნ ი ს ხელიდან აიღო, ვინც ლ ე ნ ი ნ თ ა ნ ერთად, როგორც კომუნიზმის საქმისთვის ერთგულმა მებრძოლმა, მრავალწლოვანი გზა განვლო, ვისაც არასოდეს არ გადაუხვევია ლენინური გზიდან, — ყველამ თვალი მიაპყრო დიდ ს ტ ა ლ ი ნ ს.

საყოველთაო სახალხო მწუხარების დღეებში, როდესაც მთელი მსოფლიოს მშრომელნი თავიანთ ბელადს დასაკრძალავად მიაცილებდნენ, ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობაზე პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი — „წმინდად დაიცვას ' ლ ე ნ ი ნ ი ს ანდერძი". ლ ე ნ ი ნ ი ს ა და მისი ანდერძისადმი ერთგულების ეს წმინდა ფიცი, ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ დადებული ბოლშევიკური პარტიის სახელით, გაისმა მძლავრ მოწოდებად ბოლშევიკური რიგების შემჭიდროებისათვის, ლენინის დიადი დროშის ქვეშ, ურყევ ბრძოლაში ლ ე ნ ი ნ ი ს ყველა მითითების შესასრულებლად, ლ ე ნ ი ნ ი ს ანდერძის განსახორციელებლად. ეს იყო ფიცი, რომელიც ბოლშევიკურმა პარტიამ თავის ბელადს ლ ე ნ ი ნ ს მისცა და რომელიც საუკუნეებს იცოცხლებს, ეს ფიცი მოქმედების პროგრამად გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცა ყველა ბოლშევიკისთვის. ამ ფიცს ყველა ჩვენგანი იმეორებს განვლილი გზის გადახედვის დროს.

ჩვენი პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის და მასწავლებლის სიკვდილის წლისთავის ამ დღეებში ჩვენი კავშირის ყველა მშრომელი ლენინის დაუვიწყარი სახის წინაშე ანგარიშს აძლევს თავის თავს იმაში, თუ როგორ სრულდებოდა და სრულდება მისი ანდერძი, როგორ ხორციელდება მუშებისა და გლეხების განთავისუფლების ლენინურ-სტალინური მსოფლიო-ისტორიული საქმე, როგორ ხორციელდება კომუნიზმის აშენება.

ყველაზე შესანიშნავ შედეგს ლენინის ანდერძისა და მითითებათა განხორციელების საქმეში წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოების ის ძირითადი გარდაქმნა, რომელსაც მივაღწიეთ ჩვენს ქვეყანაში.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას და მისი განხორციელების დასაწყისში ჩვენი ქვეყანა ისეთ დაძაბულ და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი, რომელმაც 1920 წელს რუსეთი მოინახულა, სწერდა: „არაფერი იმ ნგრევის მსგავსი, რაც რუსეთმა განიცადა, სხვა ქვეყნებში დღემდე არ მომხდარა, და თუ საქმის დღევანდელმა ვითარებამ ერთს ან ორ წელიწადს კიდევ გასტანა, ქვეყანა საბოლოოდ დაიღუპება, არ დარჩება იქ არავინ, გარდა ტეტიებისა, აოხრებული ქალაქები ნანგრევებად გადაიქცევიან, რკინისგზები სრული უმოქმედებისაგან დაჟანგდებიან. რკინისგზასთან ერთად გაქრება სახელმწიფო ხელისუფლების უკანასკნელი ნაშთი“.

დღეს მთელი მსოფლიო ხედავს, რა „გენიალური“ „შორს გამჭვრეტელობა“ გამოიჩინეს ამ უბადრუკმა ბურჟუაზიულმა „წინასწარმეტყველებმა“, რომელთა სიტყვითაც ბოლშევიკური რუსეთი აუცილებლად უნდა დაღუპულიყო...

დღეს მთელი მსოფლიო ხედავს და გრძნობს, რომ საბჭოთა კავშირი ლენინიზმის ახალ დიად გამარჯვებათა ზოლში შევიდა. მთელი ჩვენი სოციალისტური ქვეყანა ახალმა ენტუზიაზმმა მოიცვა. უფრო და უფრო ფართოვდება სტახანოვური მოძრაობის ტალღა, ამ ახალი საყოველთაო სახალხო მოძრაობისა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ყველაზე მეტად ეხლა მართლდება მეცნიერული წინასწარგანჭვრეტა ლენინისა, რომელიც ამბობდა:

„მაგრამ საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ რამდენად თავიდან ბოლომდე ყალბია ჩვეულებრივი ბურჟუაზიული შეხედულებანი, თითქოს სოციალიზმი არის რაღაცა მკვდარი, გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, მაშინ როდესაც სინამდვილეში მხოლოდ სოციალიზმით იწყება სწრაფი, ნამდვილად მასობრივი, მხოლოდ მოსახლეობის უმრავლესობით, შემდეგ კი

მთელი მოსახლეობის მონაწილეობით, წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში" (ლ ე ნ ი ნ ი: თხზ., ტ. XXI, გვ. 439), და როდესაც ყოველ დღეს მოაქვს სოციალისტური შემოქმედების ახალი ფაქტები როგორც მეურნეობაში, ისე კულტურაში, ახალი ხალხური დისციპლინის ფაქტები, ხალხთა მასების უანგარო გმირობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის ახალი მაგალითები, როდესაც საუკეთესო გმირი-ადამიანები, მოწინავენი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მუშებიდან, კოლმეურნეებიდან, ინტელიგენციიდან იუწყებიან სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, — ამ დროს ჩვენი აზრები მიმართულია დიდი ლ ე ნ ი ნ ი ს ა კ ე ნ, რომელმაც ს ტ ა ლ ი ნ თ ა ნ ერთად სათავე დაუდო ამ დიად მოძრაობას, შექმნა ჩვენი სახელოვანი პროლეტარული პარტია, შექმნა საბჭოთა სახელმწიფო, შეაიარაღა მუშები და გლეხები სოციალიზმის გამარჯვების იდეებით და უჩვენა მათ ამ გამარჯვების გზები. და ამჟამად სოციალიზმის საქმე თვალუწვდენელ სიმაღლეზეა აყვანილი და ბრწყინავს მთელი მსოფლიოს წინაშე, თუ იგი ამჟამად მტკიცე და ურყევია, თუ მას საფუძვლად უდევს ახალ საწარმოო ურთიერთობის გრანიტივით ურღვევი საძირკველი,—მოხდა ეს იმიტომ, რომ ლენინური პარტია დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით მტკიცედ მისდევდა ლ ე ნ ი ნ ი ს ანდერძს, რომ დაძაბულ იქნა მთელი ნებისყოფა ლ ე ნ ი ნ ი ს მითითებათა შესასრულებლად, რომ იგი სრული შეურიგებლობით ანადგურებდა მტრების აგენტურას პარტიის შიგნით, რომ ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით მან მთელი ძალები მიმართა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინურ-სტალინური იდეის განხორციელებისაკენ.

*

* *

ლ ე ნ ი ნ ი დაუცხრომლად ამხნევებდა და აფრთოვანებდა ჩვენს პარტიას, მუშათა კლასს და ყველა მშრომელს სოციალიზმის გამარჯვების ამ იდეით. ნგრევისა და შიმშილის მძიმე პირობებში, გერმანიის იმპერიალიზმის მუქარის ქვეშ, ლ ე ნ ი ნ ი წერილში „ჩვენი დღეების მთავარი ამოცანა" ისევ და ისევ ხაზს უსვამდა საბჭოთა ქვეყნის წინაშე გადაშლილ წინსვლის უზარმაზარ შესაძლებლობებს და აღნიშნავდა, რომ ჩვენს ქვეყანაში უხვად მოიპოვება ყოველნაირი მასალა და სიმდიდრე, რომ რევოლუციამ დიდი გასაქანი მისცა ხალხურ შემოქმედებას, მოგვიწოდებდა — მთელი ენერგიით შევდგომოდით მუშაობას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განმტკიცებას, ორგანიზებულობას, საქმიანობას, ხალხის მთელი ძალების შეთანხმებულ მუშაობას, საყოველთაო მონაწილეობისა და კონტროლის შექმნას პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაში. მოგვიწოდებდა — ბეჯითად და გულდასმით გვეგროვებინა ქვები სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საძირკვლის ჩასაყრე-

ლად. „ასეთია გზა სამხედრო ძლიერებისა და სოციალისტური ძლიერების შესაქმნელად. ეს სწორედ ის არის, რაც საჭიროა რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, რათა აღარ იყოს იგი უბადრუკი და უძლური, რათა ურყევად გახდეს იგი ძლიერი და უხვი“.

ლენინის სიკვდილის 16 წლის შემდეგ პარტიას და საბჭოთა კავშირის ხალხებს შეუძლიანთ კმაყოფილებით აღნიშნონ, რომ სამხედრო და სოციალისტური ძლიერება შექმნილია და წლითი წლობით მტკიცდება და მაგრდება. მუშათა კლასმა გლეხობასთან ერთად, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, უბადრუკი და უძლური ქვეყანა გადააქცია მძლავრ და უხვ ქვეყნად, სოციალიზმის ქვეყნად. შესრულებულია ლენინის ანდერძი მაგარი სამანქანო ინდუსტრიის—სოციალიზმის ბაზის შექმნის შესახებ. შესრულებულია ლენინის ანდერძი მიწათმოქმედებაში, სოფლის მეურნეობის ახალი ძალოვანი ტექნიკით შეიარაღების საფუძველზე, სოციალისტურ საზოგადოებრივ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ. ყველაზე მთავარი-კი არის, რომ ახალი ადამიანები — კოლმეურნეები ჰქმნიან კაპიტალისტურ პირობებში, წვრილ ერთპიროვნულ პირობებში არნახულ და შეუძლებელ აღმავლობას მიწათმოქმედებისას. და აი ეხლა გვესმის ჩვენი წარმატების აღიარება და გვესმის ეს არა მარტო ჩვენი კლასობრივი ძმებისაგან, არამედ კომუნიზმისათვის სრულიად უცხო ადამიანებისაგან. მატულობენ საბჭოთა კავშირის მეგობართა რიგები, რომელნიც ცხადად ხედავენ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მართლაც გაჩაღდა კაცობრიობის ახალი მშვენიერი განთიადი.

ეს ნიშნავს იმას, რომ ამხანაგ სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო მუშებისა და გლეხების კავშირის დაცვა და განმტკიცება, — მუშების და გლეხებისა, რომელნიც დარწმუნებით მიიმართებიან კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების გზით. არავითარი მტერი არ არის საშიში ამ კავშირისათვის, თუ იგი მომავალშიაც დაიცავს საბჭოების ქვეყანაში შექმნილ მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

*

* *

ლენინი ასწავლიდა პარტიას:

„სოციალიზმი არის კლასების მოსპობა. კლასების მოსასპობად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მემამულეებისა და კაპიტალისტების დამხობა. ამოცანის ეს ნაწილი ჩვენ შევასრულეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ამოცანის ნაწილია და თანაც არა უძნელესი ნაწილი. კლასების მოსასპობად საჭიროა შემდეგ მოვსპოთ განსხვავება მუშებსა და გლეხებს შორის, ყველა გავხადოთ მუშაკებად. ამის ერთბაშად გაკეთება შეუძლებელია. ეს გაცილებით უფრო მძიმე და ძალა-

უნებურად ხანგრძლივი ამოცანაა. ეს არის ამოცანა, რომელიც ვერ გადაჭრა-ბა რომელიც გნებავთ კლასის დამხობით. მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზებული აშენებით, ...

კიდევ ყოველგვარი კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე. საჭიროა მოვსპოთ განსხვავება როგორც ქალაქსა და სოფელს შორის, ისე ფიზიკური შრომის ადამიანთა და გონებრივი შრომის ადამიანთა შორის" (ლენინი: ფუნ. ტ. XXIV, გვ. 337). ხოლო პარტიის ახალი პროგრამის პროექტის შავში ლენინი სწერდა, რომ პარტია ანხორციელებს ამ წინააღმდეგობის მოსპობას, რაც კომუნისტური საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ცნობილია, რომ აქ ჩვენი პარტია წააწყდა თანამედროვეობის უდიდეს პრობლემას, რადგან წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის წარმოადგენს კაპიტალიზმის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მკვეთრ და დამთავრებულ გამოვლინებას, რომელიც იმონავებს ადამიანს: იგი წარმოიშვა და განვითარდა ათასი წლების მანძილზე, იგი ბოლომდე მიიყვანა თანამედროვე კაპიტალიზმმა, რომელიც ჰქმნის ინდუსტრიალურ ქალაქებს, კაპიტალისტურ ცენტრებს ქალაქური სილატაკით, ანტისანიტარული პირობებით მასებისათვის, რომელიც სისხლისაგან სცლის და ატვინებს სოფელს. ცნობილია, თუ როგორ იმონავებს მაღალ-ინდუსტრიალური ქვეყნების ერთი მუჭა აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და სხვა ადგილების მრავალმილიონიან მოსახლეობას.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელნი მარქსი და ენგელსი და მათთან ერთად ლენინი და სტალინი ყოველთვის მიგვითითებდნენ, რომ ეს წინააღმდეგობა სოფელსა და ქალაქს შორის ატვინებს სოფელს, ჰქმნის სოფლური ცხოვრების იდიოტიზმს, იწვევს ქალაქის მოსახლეობის მასების გადაგვარებას და სხვ.

და აი, ჩვენი სოციალისტური ქვეყანა, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, მტკიცედ დაადგა ამ უზარმაზარი პრობლემის გადაჭრის გზას, ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობის მოსპობის გზას, სასოფლო-სამეურნეო შრომის გადაქცევის გზას ინდუსტრიალური შრომის სახესხვაობად. სტალინური ხუთწლედების მანძილზე, როდესაც ვასრულებდით ლენინის ანდერძს მსხვილი მძიმე მრეწველობის განვითარების შესახებ, მძლავრი ტექნიკით ვაიარაღებდით საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს. საქმემ დიდად წაიწია წინ და ამას გრძნობენ და განიცდიან ჩვენი კოლმეურნენი. 1939 წელს ჩვენს სოფლის მეურნეობას ჰქონდა 500 ათასი ტრაქტორი, 165 ათასი კომბაინი, 200 ათასზე მეტი საბარგო ავტომობილი და 6½ ათასზე მეტი მანქანა-ტრაქტორის სადგური.

ამხანაგმა სტალინმა, რომელიც უპირველეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ზრუნავს სოფლის მეურნეობის შეიარაღებაზე მანქანებით, დასვა საკითხი გლეხი კაცებისა და ქალების მრავალმილიონიანი არმიის მძიმე შრომის შემსუბუქების შესახებ. იგი ცდილობს, ყოველ წელიწადს რაც შეიძლება მეტი ტრაქტორი, კომბაინი, სათესი მანქანა და სხვა სას.-სამ. იარაღი გადაეცეს სოფელს. სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვება ნათლად და ცხადად იყო ნაჩვენები 1939 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. გაჩნდნენ ახალი ადამიანები საბჭოთა სოფელში, ადამიანები, რომელნიც დაეუფლნენ ტექნიკას, მართავენ ტრაქტორებს, კომბაინებს, ავტომანქანებს, რომელნიც ამდიდრებენ თავიანთ ცოდნას ტექნიკაში, ამაღლებენ თავიანთ კულტურას, რომელთაც შრომის დისციპლინა აჰყავთ ჩვენი ინდუსტრია-

ლური ცენტრების მოწინავე მუშების დისციპლინის დონემდე. მიწათმოქმედების სოციალისტურ საწარმოთა სამ მილიონზე მეტმა ორგანიზატორმა, ბრიგადირმა, თავმჯდომარემ და სხვა მუშაკმა გაიარა სხვადასხვა კურსები, ორ მილიონზე მეტი ტრაქტორისტი და კომბაინერი იქნა მომზადებული სოფლად პირველი და მეორე ხუთწლედის განმავლობაში. სოფელი კულტურულად იზრდება, ფართოვდება სკოლებისა და საავადმყოფოების ქსელი, კინოდანადგარებისა და რადიოპუნქტების ქსელი, იზრდება კოლმეურნეთა კულტურული თვითმოქმედება. წინათ ძველი ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები სასოწარკვეთილებით აღნიშნავდნენ რუსული სოფლის აუწერელ ჩამორჩენილობას და ტანჯვას, მის სიღატაკეს და სიღარიბეს. დღეს-კი, პროლეტარული რევოლუციის შედეგად, სოციალისტურ სოფელს სურს კულტურულად იცხოვროს და იგი ათას მოთხოვნას უდგენს ქალაქს.

კომბაინერმა ამხ. პოლაგუტინმა (კუიბიშევის მხრიდან) ამხანაგ სტალინთან საუბარში სთქვა: „აი ჩვენ ამჟამად მოსკოვში ვართ და ვხედავთ, რომ მოსკოვში კარგად, კულტურულად ცხოვრობენ. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი სოფელიც ისე ცხოვრობდეს, როგორც მოსკოვი, ჩვენ გვინდა, რომ სოფელი გავუთანაბროთ მოსკოვს, და ამას გავაკეთებთ“. როგორც ჰხედავთ, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობის უაღრესად თეორიულ პრობლემას (უწინ) ორივე ფეხით პრაქტიკულ ნიადაგზე სვამენ და დარწმუნებულნი არიან, რომ მახლობელ წლებში საბჭოთა სოფელი მართლაც გახდება კულტურული და შეძლებული — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

*

* *

ლენინი გვასწავლიდა, „რომ შრომის ნაყოფიერება ბოლოს და ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად“-ო. ბოლშევიკების პარტიამ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის ყველა ანდერძის განხორციელებისას უზრუნველჰყო ბრძოლის გაჩაღება შრომის მაღალი სოციალისტური ნაყოფიერებისთვის. ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს დიდებული სტახანოვური მოძრაობის ნიშანქვეშ. ეს მოძრაობა შედეგია ჩვენი პარტიის მთელი მუშაობისა, — მისი ლენინური ხელმძღვანელობისა. იგი წარმოადგენს მეორე ხუთწლედის ყველაზე შესანიშნავ მიღწევებს. მუშათა კლასის მოწინავენი, მუშები, სტახანოველები, შრომის ახალი სოციალისტური ნაყოფიერების გმირები, რომელნიც დაეუფლნენ ახალ ტექნიკასა და საწარმოო კულტურას, ასრულებენ ლენინის უმნიშვნელოვანეს ანდერძებს. მათ ეწოდებათ ლენინელი სტახანოველები. ამ შესანიშნავი მოძრაობის წარმოშობა შეიძლებოდა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. წარმოუდგენელია სხვა რომელიმე ქვეყანაში ასეთი მოძრაობა. კაპიტალის ქვეყნებში, სადაც ყველაფერი დამყარებულია ექსპლოატაციაზე, სადაც გაბატონებულია კლასთა უმკაცრესი ბრძოლა, სადაც მანქანა წარმოადგენს განივთებულ კაპიტალს, რომელიც

მუშების სიცოცხლეს სწოვს, — ამ ქვეყნებში შეუძლებელია როგორც მასობრივი ინიციატივა, ისე მასობრივი მოძრაობა შრომის ნაყოფიერების გადიდებისთვის.

ჩვეულებრივ ხდება ისე, რომ ყოველ გამოგონებას, ყოველ გაუმჯობესებას, ყოველ ახალ მანქანას კაპიტალისტურ ქვეყნებში თან სდევს უდიდესი უბედურება, მუშათა კლასის გალატაკება, სილარიბისა და ტანჯვის გადიდება. იქ დამღუპველი შედეგი მოსდევს მუშისთვის მანქანის ყოველ გაუმჯობესებას, ყოველ ახალი მანქანის შემოღებას. მარქსი სწერდა: „პოლიტიკური ეკონომიის ყველა ჭკუათამყოფელი წარმომადგენელი აღიარებს, რომ როდესაც ხდება ახალი მანქანების შემოღება — ეს შავი ჭირივით მოქმედებს იმ მანუფაქტურების მუშებზე, რომლებსაც მან უპირველეს ყოვლისა კონკურენცია უნდა გაუწიოს“. „კაპიტალის“ ფურცლებზე მარქსი გადმოგვცემს ტრაგიკულ-ისტორიას იმისას, თუ როგორ გალატაკდნენ ინგლისელი ფეიქრები XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ახალი მანქანის შემოღების შედეგად. მარქსს მოჰყავს ჩვენებანი ოსტ-ინდოეთის ვიცე-გუბერნატორისა, რომელიც თავის მოხსენებაში სწერს: „საფეიქრო დაზგების შემოღების შედეგად ოსტ-ინდოეთის ველები გადათეთრებულია ფეიქართა ძვლებით“.

ცნობილია, რომ ის, რასაც მარქსი კაპიტალიზმზე ამბობდა, უფრო მეტის ძალით მოქმედებს ამჟამად, იმპერიალიზმის დროს. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც კაპიტალიზმს ბოლო მოვუღეთ, შესაძლებელია ის, რასაც ჩვენ სტახანოვურ მოძრაობას ვუწოდებთ, მხოლოდ ჩვენშია შესაძლებელი ხალხის მასების ზრუნვა შრომის ნაყოფიერებაზე და საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებაზე.

მოწინავე კომბაინერთა თათბირზე ამხანაგმა სტალინმა კომბაინის მაგალითზე გვიჩვენა, თუ რას ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში მანქანის გაუმჯობესება და ახალი მანქანის შემოღება.

„თვითონ იცით, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ მოსავლის აღება სათიბ-სამკელი მანქანით (ლობოგრეიკით) მარცვლეულის დიდ დანაკარგს იძლევა. ჯერ უნდა მომკა, შემდეგ შეკრა ძნებად, შემდეგ ზვინებად, შემდეგ მოსავალი სალეწ მანქანებთან მიიტანო, — ყველაფერი ეს დანაკარგი და დანაკარგია. კომბაინის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ეს დანაკარგი უმნიშვნელო მინიმუმამდე დაჰყავს. საქმის მცოდნენი ამბობენ, რომ სათიბ-სამკელი მანქანით მოსავლის აღება ჰექტარზე იძლევა ათი ფუთით ნაკლებ მოსავალს, ვიდრე კომბაინით აღება. აი რამდენად დიდია კომბაინისა და კომბაინზე მომუშავე ადამიანთა მნიშვნელობა“ (სიტყვა, წარმოთქმული კომბაინერ კაცებისა და ქალების თათბირზე).

რა თქმა უნდა, ჩვენში არ მოიპოვება ისეთი მშრომელი, რომელიც არ მიესალმოს ახალ მანქანას, რომელიც არ ეცდება იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი მანქანა გვქონდეს, რათა მილიარდი ზედმეტი პური მოვიყვანოთ. განა ვინმეს მოუვა თავში ის აზრი, რომ ეს მანქანა რაღაც გალატაკებას გამოიწვევს? თუ კაპიტალიზმის დროს მანქანა, მარქსის თქმით, შავი ჭირი იყო მუშებისთვის, სამაგიეროდ ეხლა მანქანა ადიდებს მუშათა კლასის სიმდიდრეს.

ჩვენს ქვეყანაში მუშები და კოლმეურნეები სიხარულით ეგებებიან მანქანის ყოველ ახალ გაუმჯობესებას, ამიტომაც ჩვენში გმირია ის, ვინც ამ მანქანის დაუფლებას ახერხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნაკში „დაქირავებული შრომა და კაპიტალი", მარქსი სწერს, რომ კაპიტალიზმის დროს მუშას შრომა არ მიაჩნია თავის სიცოცხლის ნაწილად, პირიქით, შრომას იგი სიცოცხლის შეწირვად სთვლის. მოვიყვანოთ თვით მარქსის სიტყვები: „სთვლის თუ არა მუშა, რომელიც დღე-ღამეში თორმეტ საათს მუშაობს, ქსოვს, ართავს, ბურღავს, ჩარხავს, აგებს, სთხრის, ამტვრევს ქვას, ეზიდება სიმძიმეებს და სხვა, — სთვლის თუ არა ის ამ თორმეტი საათის ქსოვას, რთვას, ბურღვას, ჩარხვას, ქვისმტვრევას თავისი ცხოვრების გამოვლინებად, თავის ცხოვრებად? პირიქით, მისთვის ცხოვრება იწყება მაშინ, როდესაც ეს საქმიანობა თავდება — სუფრაზე, ტრაქტირის სკამზე, ლოგინში".

ჩვენს ქვეყანაში ძირ-ფესვიანათ იცვლება მუშათა კლასის დამოკიდებულება შრომისადმი. „მე მიყვარს ჩემი ფაბრიკა, მიყვარს ჩემი ქვეყანა, მიყვარს შრომა, — აი რატომ მინდა მივაღწიო უფრო მეტ მაჩვენებლებს," — ასე ამბობდნენ და ასე ამბობენ ჩვენი სტახანოველი კაცები და ქალები. ჩვენი დამოკიდებულება სოციალისტურ ქვეყნისადმი არ არის დაფარული სასაქონლო ფეტიშიზმის არავითარი ფარდით, არავითარი ფულადი და სასაქონლო ურთიერთობით. ჩვენს ქვეყანაში ყველა მუშამ, კოლმეურნემ, ინტელიგენტმა იცის, რომ ის, შრომობს რა თავის დარგში, ადიდებს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, უქმნის თავის თავსაც პირობებს შეძლებული ცხოვრებისათვის.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი გვასწავლის, რომ მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე სტახანოვური მოძრაობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი პირობაა, ხოლო მუშათა კლასის ამ კულტურულ-ტექნიკურ აღმავლობაში იქმნება წინაპირობები წინააღმდეგობის მოსასპობად გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, რაც კომუნისტური საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა.

5630

უწინ გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობის მოსპობის საკითხი ისმებოდა მიზნებისა და ამოცანების ხაზით. ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა კონკრეტულად გვიჩვენა ის გზა, რომლითაც უნდა წარიმართოს წინააღმდეგობის მოსპობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. ეს გზა არის მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური აღმავლობა, მისი მისვლა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დონემდე. ამის მაგალითს ჩვენი სტახანოველები გვიჩვენებენ. სტახანოველები ის ადამიანები არიან, რომელნიც კარგად დაეუფლენ თავიანთ საქმის ტექნიკას. ჩვენ ცოტა როდი გვყავს ისეთი სტახანოველი, რომელიც თავის დაზგაზე სადიპლომო სამუშაოს ასრულებდა და ასრულებს, ისინი საუცხოოდ იცნობენ თავიანთ საწარმოო იარაღს. ამხანაგი ვ ო რ ო შ ი ლ ო ვ ი სტახანოვური მოძრაობის დამწყებთა შესახებ ამბობდა: „ესენი ხომ თავიანთი საქმის პროფესორები არიან"-ო. ეს ჰეშმარიტებაა, რადგან სტახანოველებმა ძირ-ფესვიანად დაამხეს წინად არსებული ნორმები და ანგარიშები.

სტახანოველები ის ადამიანები არიან, რომელნიც დაეუფლნენ ცოდნას, დაეუფლნენ თავიანთ საქმის ტექნიკას, რომელთაც უკვე მიაღწიეს ისეთ დონეს, რომ შეუძლიანთ იყვნენ და არიან კიდეც ინსტრუქტორებად, საქმის ორგანიზატორებად წარმოებაში. სტახანოველებს გარდა მხედველობაში უნდა

Тбилисский Библиотека
საქართველოს არლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქონიოთ ის, რომ ჩვენში ახალგაზრდა თაობა იზრდება. ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი განათლება. ორმოცდაშვიდ მილიონ სულზე მეტი სწავლობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სკოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდათხუთმეტი მილიონი სული დაწყებით და საშუალო სკოლაშია. უმაღლესი სასწავლებლების ექვსასი ათას სტუდენტზე მეტი გახდება მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტი. მუშები და კოლმეურნეები ასი ათასობით მეცადინეობენ სტახანოვურ სკოლებში. ამჟამად უკვე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ახალგაზრდობის (18-დან 30 წლამდის ასაკისა) მეხუთედი, შვიდ მილიონ სულზე მეტი, მიაღწევს წელს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დონეს.

ასეთია იმ ბრძოლის შედეგი, რომელსაც ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით აწარმოებდა და აწარმოებს ჩვენი პარტია ლენინიზმის ისეთი დიდი იდეის განხორციელებისათვის, როგორიც არის წინააღმდეგობის მოსპობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის.

*
* *

საბჭოთა ქვეყანამ შეასრულა ამხანაგ სტალინის ისტორიული ფიცი პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცების შესახებ. მრავალმილიონიანი კოლმეურნე გლეხობის სახით უალრესად გაფართოვდა საბჭოთა სახელმწიფოს სოციალური ბაზა, გაჩნდა სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა ახალი ძლიერი არმია. მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო ანსახიერებს უდიდეს ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში 16 წლის მანძილზე ვლადიმერ ილიას-ძის ლენინის სიკვდილის შემდეგ.

ლენინის და სტალინის მიერ შექმნილი პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო თავის დიად გარდამქნელ როლს ანხორციელებს. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საწარმოო ურთიერთობათა დამკვიდრების შედეგად, იცვლება თვით ჩვენი სახელმწიფო; იგი გახდა ძლიერი და ლონიერი, ისეთი, როგორიც თავის დღეში არ ყოფილა სხვა საზოგადოებრივი წყობილებისას, არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს ისეთი მტკიცე, ძლიერი ხელისუფლება როგორიც არის საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ ეხლა სრული უფლებით ვამბობთ — ჩვენი ხალხიო, საბჭოთა კავშირის ხალხთა მთავრობაო. ჩვენ წითელ არმიას ჩვენი ხალხების არმიას ვუწოდებთ. ჩვენ ვისმენთ მიმართვას ამხანაგ სტალინისადმი, როგორც ხალხთა ბელადისადმი, ცხადია, რომ ისეთი სიტყვები, როგორიც არის ხალხი, სამშობლო, სახალხო წარმომადგენლობა, კაცობრიობის ისტორიაში პირველად გადაიქცნენ რეალობად, სრულუფლებიან ცნებებად. კაპიტალიზმის პირობებში, ბურჟუაზიული პარტიების ენაზე ხალხის, ერის, სამშობლოს ეს ლოზუნგები ისევე მასხარად არის აგდებული, ისეთსავე სიცრუეს წარმოადგენენ, როგორც თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის ყბადაღებული ლოზუნგები. ბურუაზია ეხლაც ცდილობს ამ ანკესზე ხალხთა მასების წამოგებას. მათ შეცდენას ამ ლოზუნგებით, მაგრამ ამჟამად ამ სიცრუეს, ამ თვალთმაქცობას ამხელს და ააშკარავებს ბურ-

ჟუაზიის დიქტატურის მთელი პოლიტიკა, — ბურჟუაზიისა, რომელიც ყველაზე უფრო ბოროტი და ურცხვი მტერია არა მარტო უცხო, არამედ საკუთარ ხალხებისაც. მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვება, მხოლოდ ექსპლოატირებული კლასების ლიკვიდაცია აერთიანებს ნამდვილად მთელ ხალხს, აერთიანებს ერებს.

ლენინი ამბობდა: „კერძო საკუთრება ანცალკევებს, სოციალიზმი აერთიანებს“-ო. და ჩვენ მართლაც ვხედავთ, საზოგადოებრივმა საკუთრებამ, წარმოების ყველა საშუალების გადაცემამ მშრომელთა ხელში როგორ გააერთიანა საბჭოთა კავშირის ხალხები, ყოველდღიურად როგორ უფრო და უფრო მჭიდროდ აერთიანებს მათ და აქცევს მეგობრულ თანასწორუფლებიან ოჯახად, საერთო კავშირად, საყოველთაო სახალხო ძალების კავშირად, რომელნიც მუშაობენ ერთად, შეთანხმებულად, ერთის ნებისყოფით, ერთის მისწრაფებით — შექმნან ყველა კლასისთვის შეძლებული ცხოვრება, გაათკეცონ ჩვენი ქვეყნის ძლიერება, გაამრავლონ საზოგადოებრივი სიმდიდრე, რაზედაც ეხლა დამოკიდებულია ყველას კეთილდღეობა. და თუ უწინ მკვეთრად აკრიტიკებდნენ სახალხო სახელმწიფოს ლოზუნგს, აკრიტიკებდნენ როგორც სიცრუეს და თვალთმაქცობას, როგორც მოჩვენებას, რომლის უკანაც იმალებოდა ნამდვილი კლასობრივი დაყოფა, შეურიგებელი წინააღმდეგობა, ხალხთა უმრავლესობის დამონავება, სამაგიეროდ ეხლა ჩვენ შეგვიძლია ამაყად განვაცხადოთ, რომ ჩვენი სახელმწიფო სახალხო სახელმწიფოა, რომ იგი სავსებით და ყოველმხრივ, არა მარტო თავისი მიზნებით, არამედ თავისი ბუნებითაც, თავისი წესრიგით, ნორმებით სოციალისტური სახელმწიფოა. ხალხთა ამ გაერთიანებას, საბჭოთა ხალხის შემჭიდროებას ბოლშევიკების პარტიისა და სოციალისტური ძთავრობის ირგვლივ ზედმეტად ადასტურებს მშრომელთა დეპუტატების არჩევა ადგილობრივ საბჭოებში, რომლის დროსაც ამომრჩეველთა გამოცხადებამ საარჩევნო პუნქტებში და მათ მიერ ხმის მიცემამ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის თითქმის ას პროცენტამდე მიაღწია.

ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო აუცილებელია სოციალიზმის პირველ ფაზაშიაც. ეს იქნება უფრო ღონიერი და ძლიერი სახელმწიფო. ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, რომელმაც მეცნიერულად დაამუშავა და ახლებურად დასვა საკითხი სოციალისტურ სახელმწიფოს შესახებ, ამბობს, რომ სახელმწიფოს კვდომა ხორციელდება მისი გაძლიერების მეშვეობითო. ეს კი ნიშნავს იმას, რომ, სახელმწიფო ორგანოების გაუმჯობესებასთან, მათი მუშაობის უკეთესად მოგვარებასთან, ამ ორგანოებში საუკეთესო, ნიჭიერ ორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების შერჩევასა და დაწინაურებასთან ერთად, საჭიროა საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარება, მასების შემდგომი ჩაბმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფართოვდებოდნენ პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების რიგები, სტახანოველების, კომბაინერების, ტრაქტორისტების, მოწინავე კოლმეურნეების რიგები, რომელნიც სახელმწიფოს ამოცანების დონეზე დგანან, რომელნიც სახელმწიფო მოღვაწეები არიან, რომელნიც გვიჩვენებენ სოციალისტური სახელმწიფოს ამოცანებისა და ნორმების ნებაყოფლობითი შეგნებული შესრულების მაგალითს. პარტია ამას აკეთებს და მიაღწევს კიდეც თავისას. ამიტომ ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ კაცობრიობის გენიოსების ლ ე ნ ი ნ ი ს ა და

სტალინის მიერ შექმნილ სახელმწიფოს სახელოვანი ისტორია აქვს, სახელოვანი აწმყო აქვს და უფრო სახელოვანი მომავალი ექნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ლენინის სიკვდილის შემდეგ განვლილ 16 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ აყვავებულ რესპუბლიკად. გაიზარდა საკუთარი სოციალისტური მრეწველობა, განმტკიცდნენ კოლმეურნეობები. მათ კოლმეურნეებისათვის უზრუნველჰყვეს შეძლებული ცხოვრება. წამოიზარდნენ საკუთარი ინტელიგენციის კადრები. აყვავდა ქართული ხელოვნება. მთელი საქართველო მოიფინა ყველა საფეხურის სკოლებით, რომელთა შორისაც 19 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც 22 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. დაწყებით და საშუალო სკოლებში ამჟამად ირიცხება 700 ათასი მოსწავლე. საქართველო გადაიქცა ისეთ რესპუბლიკად, სადაც გამოუკლებლივ ყველამ იცის წერა-კითხვა. საბჭოთა საქართველოს ხელოვნებასა და ლიტერატურას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა ნაციონალურ კულტურებს შორის.

*
* *

კომუნისტური ინტერნაციონალის რიგების სიწმინდისათვის დაუცხრომლად იბრძოდა ل ე ნ ი ნ ი, კომუნისტური ინტერნაციონალის რიგების სიწმინდისათვის შეურიგებლად იბრძვის ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი. ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ყოველთვის მეთაურობდა მსოფლიო რევოლუციური 'მოძრაობის საუკეთესო ადამიანებს, რომელნიც მსოფლიო მუშათა მოძრაობის მასშტაბით იბრძოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ. მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერმა საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობას ზრდიდა და ზრდის ბოლშევიკური პარტია საბჭოთა ქვეყნის ხალხებში. ფიცს, რომელიც ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა დასდო მთელი მსოფლიის მშრომელთა კავშირის განმტკიცებისა და გაფართოების შესახებ, ღრმად ვიმარხავთ გულში და ვანხორციელებთ ცხოვრებაში. არ არის ისეთი მოვლენა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში, რომელსაც გულით არ ეხმაურებოდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი. ამის დადასტურებას წარმოადგენს ძმური დახმარების აღმოჩენა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთათვის მათი განთავისუფლების დროს კაპიტალისტური ჩაგვრისაგან. ამას ადასტურებს ისიც, რომ ფინეთში ფინელი ხალხი ფინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით, იბრძვის ფინელი ხალხის მჩაგვრელების — მანერჰეიმ-ტანერის ხროვის დასამხობად.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი გვასწავლის — ბოლომდე ერთგულნი ვიყოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისა, სხვადასხვა ქვეყნის ძმური კავშირის საქმისა. და ჩვენ ვამაყობთ ამ ერთგულებით მთელი მსოფლიოს პროლეტართა ძმური კავშირისადმი.

*
* *

ჩვენმა პარტიამ ამ გამარჯვებებს მიაღწია უდიდესი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, მან ამ გამარჯვებებს მიაღწია კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში. თანაც იგი მტკიცედ იცავდა ლ ე ნ ი ნ ი ს ანდერძს. „ტროცკისტებისა და ბუხარინელების დაუმარცხებლად, — ამბობს ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, — ჩვენ ვერ მოვამზადებდით სოციალიზმის ასაშენებლად საჭირო პირობებს, ყველა და ყოველგვარი ჯურის ნაციონალ-უკლონისტების დაუმარცხებლად ჩვენ ვერ აღვზრდიდით ხალხებს ინტერნაციონალური პრინციპების მიხედვით, ვერ დავიცავდით საბჭოთა კავშირს ხალხთა დიადი მეგობრობის დროშას, ვერ შევქმნიდით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს“.

თავის სიტყვაში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვების დროს პარტიის ბელადი ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ჩვენს მტრებზე ამბობდა: „ამ ადამიანებს, ალბათ, დაავიწყდათ, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, განსაკუთრებული ყაიდის ხალხი ვართ. მათ დაავიწყდათ, რომ ბოლშევიკებს ვერ დააშინებ ვერც სიძნელეებით და ვერც მუქარით. მათ დაავიწყდათ, რომ ჩვენ გამოგვჭედა დიდმა ლ ე ნ ი ნ მ ა, ჩვენმა ბელადმა, ჩვენმა მასწავლებელმა, ჩვენმა მამამ, რომელმაც ბრძოლაში არ იცოდა შიში და არც სცნობდა მას. მათ დაავიწყდათ, რომ რაც უფრო ძლიერ ცოფდებიან მტრები, რაც უფრო მეტად მოსდით ისტერიკა მოწინააღმდეგეებს პარტიის შიგნით, მით უფრო მეტად იწრთობიან ბოლშევიკები ახალი ბრძოლისთვის და მით უფრო გამალებით მიისწრაფიან წინ“.

და ეხლაც, როცა ჩვენს წინაშე დასახულია უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანი გადასვლის უდიდესი ამოცანა, როცა ჩვენთვის საჭიროა მახლობელი 10 — 15 წლის განმავლობაში დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურის მხრით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, — ჩვენ უფრო მეტად უნდა ავამაღლოთ სიმტკიცე და ბრძოლის უნარიანობა ჩვენი პარტიისა, როგორც პროლეტარიატის ავანგარდისა, როგორც მშრომელთა ბელადის და ორგანიზატორისა კომუნიზმისათვის ბრძოლაში, უნდა გავადიდოთ პარტიის ყოველი წევრის და ყოველი უპარტიოს როლი და პოლიტიკური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა. ჩვენმა პარტიამ, რომელიც მტკიცედ ასრულებს ლ ე ნ ი ნ ი ს ანდერძს იმის შესახებ, რომ მაღლა გვეჭიროს და უმწიკვლოდ დავიცვათ პარტიის წევრის დიადი სახელი და თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ ჩვენი პარტიის მთლიანობას, ამ პარტიამ, ლ ე ნ ი ნ ი ს საქმის დიადი განმგრძობის ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ბრძნული ხელმძღვანელობით უზრუნველჰყო პარტიის განთავისუფლება იმათგან, ვინც არცხვენდა პარტიის წევრის ამ მაღალ სახელს, ვინც გაიძვერული გზით მიეტმასნა ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს დიად პარტიას. მილიონი ბოლშევიკები მზად არიან პირველ მოწოდებისთანავე შესწირონ მთელი თავიანთი ძალები სოციალისტურ ბრძოლას და, თუ საჭირო იქნება, თავიანთი სიცოცხლეც კომუნიზმის გამარჯვებას.ჩვენი პარტია მოწინავე არმიაა, რომელიც კომუნიზმისათვის იბრძვის. ჩვენი პარტია საბჭოების დიადი ქვეყნის მშრომელთა მრავალმილიონიანი მასის აღიარებული ბელადია. კომუნიზმი და ხალხი—ეს ერთიანი ძალაა. ჩვენში ქვეყნის მშრომელნი ისე, როგორც დღეს, არასოდეს არ ყოფილან შემჭიდროებული ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ, თავიან-

თი საყვარელი მასწავლებლის, მამისა და მეგობრის, დიდი სტალინის ირგვლივ.

ფართო მასების ეს ერთიანობა, ეს შემჭიდროება, მათი სიყვარული სამშობლოსადმი დაურღვეველია. ჩვენთვის საშიში არ არის გარეშე და შინაური მტრების ცდა — შეარყიონ ეს ერთიანობა, რადგან ჩვენ სახლვოებს იცავს ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი, სტალინური ხუთწლედებით შეიარაღებული, ბრძოლებში გამოცდილი ჩვენი სახელოვანი წითელი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს თავდაცვის მებრძოლი სახკომი, საბჭოთა მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი, რადგან შინაურ და გარეშე მტრებისაგან, საბჭოთა კავშირში ჯაშუშებისა და დივერსანტების შემოპარვისაგან ჩვენ გვიცავენ შინსახკომისარიატის სახელოვანი ორგანოები, რომელთაც ხელმძღვანელობს საბჭოთა დაზვერვის სახკომი ამხანაგი ლ. ბერია.

პარტიის რიგებში ახალი წევრების მიღების სწორი ორგანიზაციით ჩვენმა პარტიამ უზრუნველჰყო ამ რიგების შევსება უკეთესებით უკეთესთაგან, იმ გმირებითა და ქალაქისა და სოფლის მოწინავეებით, რომელნიც გვიჩვენებენ ნაყოფიერი შრომის ნიმუშებს, რომელთაც თავიანთი თავი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სახელმწიფო მოღვაწეებად დაგვანახვეს, რომლებმაც მასები გაიყოლიეს, რომელნიც პიონერები არიან სოციალისტური ცხოვრების ახალ საწყისთა მშენებლობის საქმეში. ამასთან დაკავშირებით ამჟამად განსაკუთრებით უნდა შეეცადოთ პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებას ჩვენი პარტიის შიგნით. ყველას გვახსოვს ლენინის ანდერძი თეორიისა და მარქსისტული აღზრდის მნიშვნელობის შესახებ, ყველას გვახსოვს ამხანაგ სტალინის მოწოდება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ტრიბუნიდან: „ავიყვანოთ სათანადო სიმაღლეზე პარტიის თეორიული დონე". ამ მითითებათა საფუძველზე, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წლის 14 ნოემბრის დადგენილების (პარტიული პროპაგანდის შესახებ) საფუძველზე უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაძლიერდა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ჩვენი კადრების იდეური პოლიტიკური ცხოვრება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ დიდ დეფექტებს აქვს ადგილი მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ორგანიზაციაში ადგილებზე. როდესაც ლაპარაკია პოლიტიკური განათლების დაყენებაზე, იმაზე, თუ რა უნდა ვიკითხოთ, იმაზე რომ საჭიროა მეცადინეობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დარგში, ჩვენი აქტივისტები, ზოგიერთი ამხანაგები კადრებიდან განაგრძობენ მოუცლელობის მომიზეზებას.

უნდა ითქვას, რომ მოუცლელები ჩვენ არასოდეს არ ვიქნებით. ალბათ, არ გვექნება ისეთი წესი, როდესაც თავისუფალი ვიქნებით ყოველნაირი და ყოველგვარი საქმისაგან და გადავიქცევით უსაქმურ ადამიანებად. ამიტომ მოლოდინი იმისა, რომ ოდესმე გავნთავისუფლდებით მუშაობისაგან, რათა ხელი მივყოთ თეორიას—ვერაფერი საქმეა. სერგეი კიროვი ერთ-ერთ თავის უკანასკნელ სიტყვაში ამბობდა: „როდესაც ვეხებით თვითგანათლების საქმეს, ჩვენ მეტწილად ერთი საბუთი მოგვყავს — არა. გვცალიან, მთელი დღე დავრბივართ, მთელი დღე ენა მხარზე გვაქვს გადებულია. მე კი გირჩევთ, ჩამოიღოთ ენა მხრიდან, თუნდაც ერთი საათით. დაინახავთ, რომ საშინელი არაფერი არ მოხდება, პირიქით, უკეთესი იქნება. ფიქრობენ, თუ აქაქანდი, თუ ოფლი წურწურით ჩამოგდის, ეს მუშაობაა. ჩვენ გვინდა ისე მოვაგვაროთ მუშაობა, რომ

ყველას დარჩეს დრო გაზეთებისთვისაც, წიგნებისთვისაც, ლენინიზმის შესასწავლადაც, საკუთარი კულტურული დონის ასამაღლებლადაც. ეს იქნება ჩვენი პრაქტიკული მუშაობის დიდი შენაძენი. მხოლოდ ასე შეიძლება პარტიის წევრთა თეორიული დონის სათანადო სიმაღლეზე აყვანა.“

ბიბლიოთეკა

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კიროვის ეს შენიშვნა სავსებით სწორეა. ჩვენ სერიოზულად უნდა შევუდგეთ პარტიის წევრების შეიარაღებას მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, რომლის შემწეობითაც ჩვენ გავიმარჯვებთ და რომლის შემწეობითაც ჩვენ მივაღწევთ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებებს მომავალში. ჩვენ მოვალენი ვართ მივბაძოთ მაგალითს დიდი ჩვენი ბელადის ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა ს, რომელმაც ზრუნვა პრაქტიკული სოცმშენებლობის ყოველდღიურ საჭიროებებზე შეათავსა პარტიის რიგებში ლენინიზმის დაუცხრომელ პროპაგანდის ზრუნვასთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული და სხვა ჩვენი ლენინური კადრებისათვის, მთელი საბჭოთა ინტელიგენციისა და მთელი საბჭოთა ხალხისთვის საუკეთესო საშუალებად ლენინის სიკვდილის XVI წლისთავის აღსანიშნავად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გავიგოთ და შევითვისოთ მისი ანდერძი იმის შესახებ, რომ „მოწინავე მებრძოლის როლი შეუძლიან შეასრულოს მხოლოდ პარტიას, რომელსაც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორია“, რომ „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობა“, რომ მხოლოდ იმას, ვინც მარქსისტულ-ლენინურ თეორიას დაეუფლება, შეუძლიან გახდეს ლ ე ნ ი ნ უ რ-ს ტ ა ლ ი ნ უ რ ი ტიპის პოლიტიკური მოღვაწე, — ეს იქნება ლენინის ხსოვნის საუკეთესო აღნიშვნა.

პატიოსან, მოწინავე მილიონების გვერდით ჯერ კიდევ მოიპოვებიან შეუგნებელი, ჩამორჩენილი ან არაკეთილსინდისიერი ადამიანები — ფრენიები, ზარმაცები, სამუშაოს გამცდენნი, წამგლეჯები, რომელნიც ცდილობენ იმუშაონ ნაკლებად და ცუდად, ხოლო სახელმწიფოს წაგლეჯონ რაც შეიძლება მეტი. სამუშაოზე დაგვიანებით, უსაქმურობით სამუშაო საათებში ამათ დეზორგანიზაცია შეაქვთ წარმოებაში, დიდი ზარალი მოაქვთ სახალხო მეურნეობისა და ხალხის ინტერესებისათვის. ლ ე ნ ი ნ ი საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებიდანვე ამათრახებდა ზარმაცებს, მუქთახორებს და მოითხოვდა უმკაცრეს ბრძოლას შრომის დისციპლინის დარღვევასთან. ამასვე დაუცხრომლად გვასწავლის ლენინის საქმის დიდი განმგრძობი — ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი. ამიტომ ლ ე ნ ი ნ ი ს ხსოვნის ერთ-ერთ საუკეთესო აღნიშვნას წარმოადგენს ბრძოლა შრომის დისციპლინის დარღვევებთან, ბრძოლა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ შრომის დისციპლინის მოწესრიგების შესახებ მიღებული დადგენილების რეალიზაციისთვის, ბრძოლა შრომის დიდი ნაყოფიერებისთვის, სტახანოვური მოძრაობის საფუძველზე შრომის დისციპლინის ყველა წესის უმკაცრესი დაცვისთვის.

*

* *

თუ ჩვენ ამჟამად ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ლენინის საქმემ ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ და გადაჭრით გაიმარჯვა, — მოხდა ეს იმიტომ, რომ ჩვენი პარტიის სათავეში სდგას ლ ე ნ ი ნ ი ს საქმის საუკეთესო განმგრძობი, მისი თანა-

მოღვაწე, მისი თანამებრძოლი, ხალხთა ბრძენი ბელადი — დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან, ჩვენი თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის ყველა ადგილიდან იკრიბებიან დელეგატები, მუშებისაგან, მეცნიერებისაგან, ჩვენი სახელოვანი არმიის ხელმძღვანელობისა და პოლიტმუშაკებისაგან დიდ ს ტ ა ლ ი ნ ს მოსდის პატაკები, ცნობები, რომლებშიაც ისინი ატყობინებენ, თუ რა წარმატებას მიაღწიეს თავიანთ დარგში, თავიანთ უბანში, თავიანთ მიწაზე, თავიანთ ფაბრიკებში, მიაღწიეს ყველა ამას იმისთვის, რომ უზრუნველჰყონ ლენინური საქმის გამარჯვება. და ეს გასაგებიც არის, რადგან ჩვენი პარტიის ყველა წევრის შეგნებაში, საბჭოთა კავშირის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შეგნებაში, საზღვარს გადაღმა მცხოვრებ მუშაკების შეგნებაში ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი ერთია.

სტალინი — ეს ლენინია დღეს, და „აი ამიტომ დიად სახელებს — საბჭოთა კავშირის მამის ლ ე ნ ი ნ ი ს სახელს და ს.ს.რ. კავშირის ხალხთა ბელადის ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელს (ამბობს ამხანაგი მ ო ლ ო ტ ო ვ ი) სიყვარულით და მომავლისადმი რწმენით წარმოსთქვამენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ უფრო შორსაც, საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქით. ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელები წარმოშობენ ნათელ და ბრწყინვალე იმედებს დედამიწის ყველა კუთხეში და ჰქუხან, როგორც მოწოდება კაპიტალისაგან სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ“.

ვლადიმერ ილიას-ძე ლ ე ნ ი ნ ი ს სიკვდილიდან 16 წლისთავის დღეს მივესალმებით ყველა ჩვენს ძმას, რომელიც იბრძვის მთელს მსოფლიოში ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს საქმის, კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ჭიჭინაძე

ლენინი აკლდამაში

აბა შეხედეთ, ჟამთადენა რარიგ მალია, —
როგორ მიეწყო ერთმანეთზე თექვსმეტი წელი.
თითო მათგანი საუკუნის ხერხემალია,
ცეცხლ-გადასხმული მთაგრეხილის ზოლია გრძელი.

წევს აკლდამაში უმოძრაოდ მებრძოლი ძველი,
სახეუცვლელად ეს თექვსმეტი წელი გალია.
კრემლის კედლების და წითელი მოედნის მცველი,
ის ძილს ეძლევა და მტერი კი ძილდაფრთხალია.

თითქოს ჩაესმის ყურდაგდებულს ყოველი ჩქამი.
თავზე გადასდის ხუთწლედებად გაშლილი ჟამი,
ჰექა-ქუხილი ვაჟკაცობის და სიმტკიცისა.

დროგამოშვებით გიშრისფერი დახედავს თვალი.
მასში კელაპტარს აციმციმებს მოხდილი ვალი —
წარბშეუხრელი შესრულება დიდის ფიცისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

-ალიო მაშაშვილი

წიგნიდან „მინიატიურები"

1.

ფიქრთა სალონში იჯდა მგოსანი
ზეშთაგონების ცეცხლით ვნებული,
ეპყრა კალამი ორბის ფრთოსანი
მზის სხივნათელში ამოვლებული, —
ლექსიც, უხილავ ცეცხლით ვნებული,
იშვა სულის და გულის სატკენად,
და, სტრიქონებით ათრთოლებული,
წიგნში ელავდა, ვით ცისარტყელა!

2.

კაცი ხარ, გმართებს სამშობლოს აზრთან
იდგე, ებრძოდე ჭირს და ჭრილობას,
და გიხაროდეს მეგობრის გაზრდა,
ვით შენი გაზრდა, გაფურჩქვნილობა!

3

გულმა თუ ჰკვება გრძნობის ბუჩქები,
ნაყოფს მოისხამს მაშინ ლექსებიც,
მხარტოტებს გაშლი, გაიფურჩქნები
თუ ხალხის გულში გიდგას ფესვები!

4.

ქარში, დილამდე ნისლი გაჰქრება,
მასთან ვარსკვლავიც ჰქრება მრავალი,
ტფილისს ათენებს მზის ქანდაკება
მთაწმინდის მთაზე ამომავალი!

5.

წიგნი ფურცლების ღელვაა,
თუ გისმენს წუთისოფელი,
მწერლის სახელიც ელვაა
ქუხილის გამასწრობელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6.

დასავლეთისკენ ენთო ხანძარი,
ცა საავდაროდ იღრუბლებოდა,
მწუხრი დგებოდა, უზარმაზარი
მზე შუაზღვაში იღუპებოდა!

7.

თუ გიყვარს აწმყო, მაგ საფასურად
გწამდეს წარსულიც, შთამომავალიც,
მალე იქცევა აწმყო წარსულად,
აწმყოდ იქცევა ხვალ მომავალი!

8.

თუ მებრძოლი ხარ, ხმალში, სროლაში
ეცადე მტერმა, რომ არ დაგასწროს,
ეცადე ცეცხლად გაშლილ ბრძოლაში
ტყვიას გაექცე, მტერს კი — არასდროს!

9.

წვიმებმა, იქნებ, ნიალვრით,
ხევები გადარიონო,
ამდგარა მტკვარი, ლიახვი,
შენ რალას იტყვი, რიონო!

10.

კიბეს ავდივარ ტაატით,
დავთვალე ასოცდაათი,
შინ შევალ... და მასლაათით
მხვდება მაგიდის საათი!

11.

ვისროლე, შეკრთა მთვარე ოქროპირ,
ღამეში თოფის ხმა ჩაიკეცა,
ცას ვარსკვლავივით მოსწყდა ხოხობი,
ხრამში ჩაეშვა და ჩაილეწა!

12.

ხეს ტოტი მოსჭრეს, ნაჯახის წესად
ტარი გათალეს კარგი რაიმე,
ხეს გულისძგერით აღმოხდა კვნესა:
ჩემივე ხელით მსჭრიან, ვაიმე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13.

აი, ლისის ტბა, ანკარა, წმინდა,
შიგ ჩაძირულან ღრუბლის ქედები,
ქარმა დაჰბერა, ტალღები წყლიდან
უცებ აფრინდენ, როგორც გედები!

14.

თენდება, თოვლმა არე შემოსა,
ღამე გამქრალა, როგორც ზმანება,
თენდება, ღვიძავს გარეშემოსა,
ქვეყანა ზეიმს დაემგვანება,
რად გვიხარიან ახლის შემოსვლა,
ან ძველის წასვლა რად გვენანება?

15.

მთებს ხევისწყალის ხველა აღმოსკდა,
თითქოს შეკრთაო ვარსკვლავთ კრებული,
უცებ გამოჩნდა ბარისახოს — მთა
არყის ხეებით გაშუქებული!

16.

გოდებით ნათრევ-ნათელმა
გულმა დღე იგრძნო, იამა,
მე დამწვა ორმა ნათელმა,
ორმა ლურჯთვალა იამა!

17.

თუმც გამებუტე, გაწყდა ბილიკი,
ჩემი კაცობა არ გსურს არ აქო,
ხომ შეიძლება იჯდე პირიქით
და მაინც სწორად ილაპარაკო?

18.

ქუჩის კუთხეში მესტვირე სტირის,
გადაქცეული მათხოვრის ქუდად,
რა ამბავშია ბუზღუნა სტვირიც,
ეს გაბერილ ტყუილის გუდა?

19.

დაჭრილი, გულდაჩაგრული
შენი თვალების სხივებით,
ვზივარ და კვნესის ჩანგური
შენივე თმების სიმებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

20.

მინდა გიყურო, გენაცვალე, ახლოს იყავი,
ვნახო თვალები, ტრფობის ალით, დაცისკრულისა,
მე თუ გიყვარვარ, მოიშორე ჩადრის ნიღაბი,
სახის ნათელი ღიმილია კაცის გულისა!

21.

აი, ხშირი-ტყე ნაძვის, ჩინარის,
ჩირგვში გზას იკვლევს ქარი წვალებით
და ფოთლებიდან ცა უჩინარი
მიცქერს არწივს ლურჯი თვალებით!

22.

სიყრმიდანვე სათნოდ საალერსებო,
მეგობრებო დროთა სიხარულისა —
აღულუნდით ჩემო კარგო ლექსებო,
პოეზია სიმღერაა სულისა!

23.

თუგინდ ქვეყანას დაიდევს
მკერდში სათუთად რგული, —
რა გრძნობას, რას არ დაიტევს
კაცის პატარა გული?

24.

დილა იფეთქებს, მინდორ-ველები
განათდებიან ალისფრად, მაშინ
შეასკდებიან ცას ფრინველები,
რომ ვარსკვლავები აკრიფონ ცაში!

25.

ტყეში ვარ, ლამის გადვიქცე სმენად,
ვოცნებობ, ვნანობ შინ დაბრუნებას,
ყური დაუგდეთ ფოთლების ენას,
ჩვენი დედაა ბრძენი ბუნება!

26.

მოსჭრიან ხეებს, მათი სხეული
ისევ იფეთქებს მწვანე ბუჩქებად,
ერთხელ — სიცოცხლე გადამსხვრეული
კაცი ხომ ალარ გაიფურჩქნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

27.

მიყვარს „ათასერთ ღამის“ მთხრობელი
ბუხარი, ცეცხლის გიზგიზი,
ჩემი დუმილი გულჩათხრობილი,
შენი ბავშური კისკისი!

28.

ბუდეც, ბარტყებიც სულ გაწყვეტილან,
გაჭირვებული ჭყივის მერცხალი,
ზის ქანდარაზე, გულდაწყვეტილად
ჭყივის, ცრემლი სდის, ვით ნაპერწკალი!

29.

აზრი ცეცხლია, არა სანთელი,
ბნელს დააჯახე,
სანთელს ჩააქრობს კორიანტელი,
ცეცხლს — გააჩაღებს!

30.

ჰა, გორისციხე, ატენი,
ტყვიავიც მოსჩანს აქედან,
მტკვარმა ლიახვი შეიპყრო,
ვით შევარდენმა ქედანი!

31.

დეკემბერია, აივანს ათოვს,
ჰა, მიიწურა დღე ოცდაათი,
ფიქრში ვარ, ვზივარ ოთახში მარტო,
ჭერქვეშ ჭრიჭინებს კედლის საათი!

32.

წრეულს ჩავედი მშობელ მხარეში,
ვესტუმრე ხორგას, ხობსა და ხეთას,
ვნახე კოლხური ქარის თარეში
და ხელჩართული ჭიდილი ხეთა!

33.

ცა ელვიანი საშიშია,
არა მქუხარი,
მტერი განზრახვით საშიშია,
არა — მუქარით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

34.

ისე არ ხვდებიან მზეს ყივილ-ხივილით,
როგორც გამიხარდა მე შენი სტუმრობა,
მხოლოდ გამიცინე, არ მიყვარს ღიმილი,
რადგან ღიმილშია მეტი მაცდურობა!

35.

თოვს, ჟრიამულით ეცემა თოვლი,
გადაქცეული ურიცხვ პეპლებად,
ელნათურების შუშებზე თრთოლვით
ეცემა, იწვის და იფერფლება!

36.

აი, წამოდგნენ თვალივის მთები,
ვსტკბები ჰაერით თვალგავსებული,
მოჩქეფს არაგვის ტალღების ფრთები,
ორაგულის-ფრთებს დამსგავსებული!

37.

კაცს დამძიმებულს სიტყვის ბარაქით
ახლავს აზრების ტვირთთა მცირობა,
სულელს ჩვევია სულ ლაპარაკი,
ჭკვიანს — სიბრძნე და სიტყვა-ძვირობა!

38.

ორივ ერთია, ერთმანეთის სახედ ქცეული
ნათესავი და მეგობარი ერთი სჯულისა,
თუ ნათესავი ნაწილია ჩვენი სხეულის,
მეგობარი ხომ ნაწილია ჩვენი სულისა?

39.

ვარსკვლავთ მისნებმა მოიხსნეს ჩადრი,
თან გაატანეს უდაბნოს ქარებს,
ცაში მიბჯენილ ჭალარა ჭადრის
ტოტზე ნელნელა ჩამოდის მთვარე!

40.

ჭიშკარი, რუ რომ იდინოს წყალმა,
ლობეზე ჩრდილი მოსჩანს ბუჩქივით,
ჭრელ ჭუჭულებში ჩამდგარა პალმა
ფარშავანგივით ფრთებ-გაფურჩქვნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41.

იცოდე, ცოდნის არეც ფართოა,
როცა მას ახლავს აზრთა სურნელი,
უვიცზე უფრო სახიფათოა
თუ გინდა — ბევრის მცოდნე სულელი!

42.

ადნობს თოვლიან მთებს თაკარა-მზე,
წყალნი რძისფერად აღელდებიან,
ერთხელ დათოვლილ ჩემს ჭალარაზე
თოვლის ფიფქები აღარ დნებიან!

43.

აქედან, ერთი გახედე!
მთაში თუ ბარში, ყველგანა, —
რა ლამაზია კახეთი,
ეს დალოცვილი ქვეყანა!
პურ-ღვინო. სვი და ილხინე,
ძლევის ხმად მიმოფანტული —
შორს ალაზანი ღიღინებს
კახურ ველების ფანდური!

44.

მკერდ გავსებული ვაშლის ხეხილით
გნახე, ნეტავი სულ არ მენახე,
ტანზე თმისკონა შემოგრეხილი
ვინ ხარ, ქალი თუ, ვაზი — ვენახით?

45.

მივალ, მივილტვი სატრფოს ბინამდე,
დაეშვა ბინდი ბნელი მთებისა,
მივალ, მიუვალ ბილიკს მინათებს
ვერცხლის ჭალარა ჩემი თმებისა!

46.

ქალს თითქოს ცეცხლი მკერდს მოდებოდეს,
ეწვის პირსახე, როგორც პატრუქი,
ვაჟი ენუკვის: გეცოდებოდეს
შენგნით უმწეო და უბადრუკი!

47.

აი, დავსწერე კიდევ წერილი,
გამოვატანე ფიქრთა შევარდენს,
სივრცეს გავყურებ თვალდასერილი,
როდის მოატანს ნეტავ შენამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

48.

აქ რომ მთელი დღე წანწალებს
მოლულუნე ჭნარით,
ღამით კარის ბჭეს აძალებს, რომ შეაღოს კარი,
არ გეგონოს, შენ გაწვალებს გარეწარი ქარი,
არა! მე ვარ, გენაცვალე, ლექსის ჯადოქარი!

49.

დაუჭკნობია, დაუშრობელი
მშობლის ამაგი ნუგეშის გვარად,
როცა არ გიყვარს შენი მშობელი,
ნუ გშურს, თუ შვილმა არ შეგიყვარა!

50.

უკვე დამძიმდი, გახდი წლოვანი,
ჰგონიათ: თავიც მოიმკვდინარე,
არის მდუმარე და ძალოვანი,
როდესაც დაბლა მიდის მდინარე!

51.

თავგამოდება მტერთან ბრძოლაში
არის ფოლადის კაცის ბუნება,
იქნებ ის გატყდეს ვაჟკაცობაში,
მაგრამ არასდროს არ იღუნება!

52.

დაგეძებთ ღამე და დღე ცისმარი
ყრმობის ვაჟებო და გოგონებო,
ალარ ახდება, ვითარც სიზმარი,
ჩემი ბავშვობა და მოგონება!

53.

ჩუ! რა შეირხა! ტყეა!
გავარდა თოფი ყირიმის,
მივცვივდით, ვნახეთ: ხეა,
ჩვენ კი გვეგონა ირემი!

54.

თუ გიძღვის ლექსის ალამი —
შენ ფიქრი ნუ გაქვს შიშისა,
სხვა რომ არ იყოს, კალამიც
არის ფოლადის ჯიშისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

55.

სოფლად გაისმის ხმა ადრევანი,
საგანთიადოს მღერის ბულბული,
მზემ ამოუშვა სხივთ შადრევანი
და გაარღვია ცა მოლრუბლული!

56.

ვაშლის ბალნარი მოგავს ალიონს,
ციცინათლების ნამი დაყრილა,
წყაროს ნაპირზე ხე გადახრილა,
რომ ფურცლის პეშვით წყალი დალიოს!

57.

ბნელდება, ელავს ხან ცა, ხან მტკვარი,
ქარი ხეს ხეზე ახლის, ამკლავებს,
მოვიდა ღამე, შავი მხატვარი,
ელვის მოქნევით ხატავს ვარსკვლავებს!

58.

შორს, გორისციხე მოსჩანს პირქუშად,
თავის ჩატეხილ შუბლითა,
მთვარის მოსვლამდე — მზე რომ გუშაგობს
ხელში სხივების შუბითა!

59.

თავისთავს იცნობ? აი, მიზანი,
მაშინ ხარ უხვი და გაბედულიც,
კაცი ბრძენია და გულთმისანი
საკუთარ გულში თვალჩახედული!

60.

ხეებს მოაწვა გულზე იარა,
ატყდნენ ფოთლების ჩოჩქოლით — დავით,
ამდროს ნიავმა ჩამოიარა,
ხეებმაც დაბლა დაუკრეს თავი!

61.

გზაში მივალ თუ ქარში გავქრები,
ყველგან, ოცნების ეშხით დაჭრილი,
ჩუმად, ქურდულად და ფეხაკრეფით
დამსდევს... ეს არის ჩემი აჩრდილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

62.

ცამ შეჰკრა სახე სახარბიელო,
არის ლრუბლების ღელვა, დუღილი,
დროა, რომ ხალხში ლექსმა იელვოს
და მოჰყვეს ტაშის ჭექა-ქუხილი!

63.

ზეიმის დღეა, დღესასწაული,
მინდა შეგაქო,
ავსწიოთ გული, ვით საწყაული,
შესვი, შეგარგოს!

64.

გათენდა, გათბა, გამოზაფხულდა,
ფოთლებმაც მორთეს ჟივილ-ხივილი,
ცა ისეთია, ისეთი სუფთა,
აშკარად მოსჩანს ქვეყნის ღიმილი!

65.

სწუხარ და სჯავრობ,
როდესაც
სურვილი სჭარბობს
ლონესა!

66.

ამპარტავნობა ნულარ გახელებს,
მუდამ მშობლების იყავ მსმენელი,
იცოდე მამულს ვერ ასახელებს
შვილი დედმამის შემარცხვენელი!

67.

ვერ შეაჩერა უვიცთა ძალამ,
ის მიდიოდა,
სტრიქონზე ელვად შემტვრეულ კალამს
სისხლი სდიოდა.

68.

ერთხელ იელვებს, გაჰქრება ბოლოს
საკვირველება და სასწაული,
პოეზიაა მხოლოდ და მხოლოდ
ერის სიმდიდრე და საწყაული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

69.

შემომხვდი, დამჭერ თვალთა ისრებით,
გულს სიყვარული დამეჯახა — რა,
დაბლა, დალმართზე თავ-დაკისრებით
დავეცი, დამკრა თავზე ჭალარამ!

70.

ხეს ებრძვი, სჭრი და... ხე ჰგოდებს შენზე,
გულიდან ბოლმას ანთხევს ჩრდილებად,
თუ ძლიერი ხარ, ეცადე, შესძელ
თავისი-თავის დამორჩილება!

71

კაცი, მშობლიურ ენის მხშობელი,
სამშობლოს გარედ დაკარგულია,
საზრდოს გვაწოვებს მიწა მშობელი,
გახმება, რაც რომ გადარგულია!

72.

როცა დაიწყებ, ფიქრთა ქარწვიმით,
გაზრდილ ლექსების კითხვას, დიდებას,
ეს ჩემი წიგნიც, როგორც არწივი,
გაშლის ფრთებსა და... წამოფრინდება!

73.

მივყვები სიკვდილს გაუბედავად,
მივყვები უკან — მოუხედავად,
ვაჰმე! დროებით მაინც ვკვდებოდე,
ოდესმე მაინც დავბრუნდებოდე?

74.

სად ხართ, დღედაღამ გეძახით, გეძებთ,
სად ხართ ლექსებო, ჩემო შვილებო,
აყვავილებულ სამშობლოს მკერდზე
ლაღად გაზრდილნო და გაშლილებო!

75.

არსად სიყვარულზე არ თქვა უარი,
გრძნობა, სიყვარულის გარდა, მრავალია,
სიყვარულია გარდაუვალი,
სხვა ყველაფერი გარდამავალია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

76.

ჰა, პატეფონმა შექმნა ზრიალი,
ჭერს შეღაღადებს დიდის-დიდებით,
გულდინჯად უსმენს მას როიალი
გადმოწყობილი მუხლზე თითებით!

77.

დამრჩენ და-ძმები და მეზობლები,
ბედო ძლიერო, შენ დაიფარე,
დამრჩენ ლექსები, როგორც ობლები,
ერო ძლიერო, შენ ჩაიბარე!

78.

წაველ, სიკვდილმა გზას ამარიდა,
ბნელში ჩამქოლეს ვარდის გუნდებით,
ველარ მოგაწვდით ხმას სამარიდან,
წაველ, არასდროს არ დავბრუნდები!

79.

იჭვმა შემიპყრო ხალისიანი,
ღამის სიავე დამისია-მე,
მისმა ისრებმა თავისიანის
დამიზიანეს თვალის სიამე!

80.

გულიდან ოხვრად ამონახდომი
მაწუხებს დარდი, დალრეჯილობა,
და, როგორც თოვლზე ირმის ნახტომი,
მკერდზე მატყვია შენი ჭრილობა!

81.

ხე უნაყოფო ვერ გაიხარებს,
ზევით მიიწევს მჩატე და მშვიდი,
სიბრძნე გწყურია? შენც დაიხარე,
ძალოვანია მოხრილი შვილდი!

82.

თავს იწონებს ღია სარკმლის სარკეში
ვარდის ნერგი სახლში ამოყვანილი,
ვაშლის ხემან ჩაიკინა სახეში:
ვის რად უნდა უნაყოფო ყვავილი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

83.

მოკლეა ჟამი ჩვენი ყოფნისა,
არსება ხალხის გრძელია,
ჩვენ ვართ სტუმრები ამა სოფლისა,
და ხალხი — მასპინძელია!

84.

დაასწრებ ავდრის მოსვლას, მოდენას,
თუ გიჭრის თვალი — ალმასის დედა,
თვალი, რომელიც ღამის ოდენას
სიბნელეს ჭრის და... ვარსკვლავებს ხედავს!

85.

კარგს გააკეთებ? გაგიხარდება,
ვისაც კარგი ჰშურს, ის რა კაცია,
ობობას ქსელში გაიხლართება,
ეკლებს მოისხამს, ვით აკაცია!

86.

გაბედავ? ას კაცს ამარცხებს ერთი,
მტერთან შეტევა უნდა გმირული,
აღარ გატყდება ვაჟკაცის მკერდი,
რადგან გულია შიგ ჩაკირული!

87.

ტალღათ ქუხილში იელვებს მტკვარი,
გამოჩნდა მცხეთის სახე მუქისა,
პომპეის ხიდთან ბანაობს მთვარე,
წყალში გაშლია თმები შუქისა!

88.

მზეს არხევს ქარი, — სინათლის დროშას,
მოღელავს მტკვარი ნაამაგარი,
ტფილისის მკერდზე მეტეხი მოსჩანს,
ქართლის ცხოვრების შუბლი მაგარი!

89.

კრწანისზე, ჯანღი ბნელი სახისა
ჰგავს მამადხანის ურდოთა ღელვას,
მეხთან ჭიდილში გატყდება ელვა —
ტანმოგრეხილი ხმალი კახისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

90.

გულია, როგორც მგზნებარე წიგნი,
სიცოცხლისა და სიბრძნის სათავე,
ზღვისოდენ ფიქრებს რომ იტევს შიგნით,
გულიც ღრმა არის, მაშასადამე!

91.

მაინც სხვა არის აჭარის მთვარე,
ვისთვის მთვარეა, ვისთვის მზეც არი,
კაცს შემოხვდება — იბრუნებს მხარეს,
ჩადრს მოიბურავს ნისლის ზეწარით!

92.

ხშირად, ნიავის ხმით ანამღერი,
სიყრმე შორეულ წარსულს იგონებს,
მალე: სულ წაშლის დროთა ნამქერი,
ჩემი ბავშვობის განვლილ სტრიქონებს!

93.

ჩემში „მე“ ჩადგა, ვით ბაყათარი,
მებრძვის, მედება ცეცხლის გენია,
ღმერთო უშველე! გრძნობის ღადარით
იწვის ქართული ლექსის გენია!

94.

მთვარე ცივი და მიუსაფარი
მზის ნაოჭებით დასერილია,
ვით „ათასერთი ღამის“ ზღაპარი
ცა ვარსკვლავებით დაწერილია!

95.

მთას განთიადის ედო ელფერი,
მოწანწკარებდა მზის ნაღვენთალი,
ფერფლის ღრუბელში, ქარის შებერვით
მზეც ღვივდებოდა, ვით ნაღვერდალი!

96.

თავის ბრწყინვალე სილამაზეთი
როს გაიღვიძებს დღე მზის პყრობელი,
შემოფრინდება სახლში გაზეთი
ახალ ამბების მახარობელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

97.

ხშირად შემიპყრობს თქმული საოცრად
ძველი ამბავი უხვი, ფერადი,
გავხსნი, ვკითხულობ „ვეფხის ტყაოსანს“,
გალიმებული მისმენს ბელადი!

98.

მისი ყოველი სიტყვა ელვაა,
არღვევს ბნელსა-და მოჰყავს ზაფხული,
მისი ღიმილი ცისარტყელაა
სამშობლოს ცაზე გამოსახული!

99.

გრძნობებს არა აქვთ სხვა საბადონი
გარდა გულისა.. იგი აქვთ ფონად,
რამდენად შენ ხარ ნების ბატონი,
იმდენად იყავ სინდისის მონა!

100.

თუმცა ბავშობის პირველ ძიებას
მოგავს სიბერის მოახლოება, —
ბავშობას მეტი ეპატიება,
სიბერეს მეტი მოეთხოება!

101.

ახალი წელი! ამ დღესასწაულს
რა ტკბილად შეხვდით სულო და ლხინო,
ჩვენ — ბელადებზე ვსვამდით საწყაულს,
ბოთლებში ენთო კახური ღვინო!

102.

ვზა ძნელი, ვზა იჭვიანი
კაცს საძიებლად ჰქონია, —
რასაც დაეძებს ჭკვიანი,
სულელს ნაპოვნი ჰგონია!

103.

მატარებელი მიდის რაკრაკით,
ევ სხვიტორია... აი, საჩხერეც,
აქ ოცნებობდა ჩვენი აკაკი,
აქვე აფრქვევდა ლექსი ჩანჩქერებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

104.

ყველგან, ყოველთვის, სუყველაფერი
რომ სთქვა ეს არის განა ზრდილობა,
გულუბრყვილობის კართან მიიყვანს
კაცს მეტისმეტი გულახდილობა!

105.

ტალღებს მძვინვარედ ებრძოდა ნავი,
ღმუილით ჰქროდა ზღვის ნიავქარი,
შენ შიშით ჩემსკენ მოგეყრდნო თავი,
მე ნავში ვიდექ, ვით იალქანი!

106.

ეხლა იქ ასვლა არის წამება,
მუზათ პარნასზე უკვე ძილია,
მოდის დეკემბრის შემოღამება,
მთაწმინდა თოვლით მოვერცხლილია!

107.

ერთხელ ქალი მიმავალი დავინახე ველად,
მის ეშხიან სილამაზეს გზას უთმობდა ყველა,
სწორედ ირმის ალნაგობა, სწორედ ირმის ყელა,
ტანზე თმები გადმოეშვა, როგორც ცისარტყელა!
ქალო, იქნებ შენსა მგოსანს გზები გაუკვალო,
დამანახო შენი ბინა, სად ხარ, ვის უგალობ,
შენი ფეხით გალეწვინო ჩემი გულის კალო,
გენაცვალოს ჩემი თავი, შენ კახეთის ქალო!

108.

სჯობია იქცე
ჭკვიანის მონად,
ვიდრე სულელის
ბატონ-პატრონად!

109.

ყანა გამხდარა უკვე სამკალი,
გული გევსება მის შემხედვარეს,
ხშირ სიმინდების ტყეში ნამგალი
პრიალებს, როგორც ნამგალა მთვარე!

110.

ხენი შეიბნენ, უშველებელი
ატყდა ჭიდილი, ქარის ღრიალი,
არვინ არ იყო გამშველებელი,
მიწას გაჰქონდა ვრგვინვა-გრიალი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

111.

ლამეა. ქარი ცის გუმბათს წვდება,
მთვარე მთაშია, ხან-იყალთაში,
ციდან, ზედიზედ ვარსკვლავი წყდება
და ჩემს ქვეყანას ცვივა კალთაში!

112.

არსით ხმა, არსით სალამი,
ფიქრი მეხვევა ჟამისა,
მე ვარ და ჩემი კალამი —
გამთენებელი ლამისა!

113.

ლამე ფიქრით მოცულა, სახეც მოელუშა-კი,
მთვარე მაინც მოსულა, — ჩვენი ბაღის გუშაგი,
ხენი სუნთქვას მორთავენ, ერთი თვალის წინ არი,
ასე გვინდა ორთავეს ყოფნა მოუწყინარი.
უ! რა ხანი გასულა,
არ ჩანს ლამე გულშავი,
მთვარე უკვე წასულა, —
ჩვენი მშვიდი გუშაგი!

114.

სდუმდა საყდარი ჯვრების კრებულით,
სადღაც, საშინლად ქარი ჰკიოდა,
ხე თმებს იგლეჯდა გამწარებული,
ქარი ჰკიოდა საიქიოდან!

115.

ორნი ვართ, განა ჯაბანი,
ძალა გვაქვს მტკვრის და რიონის,
გვაწევს, ვით მძიმე ჯაფანი,
საქმენი საპატიონი,
გამწევი ლექსის ჭაპანის
მე ვარ და გალაკტიონი!

116.

გახსოვს გელათი! აგერ, ის არი,
შედი, შეაღე კარის ფიცარი,
მაცხოვრის ხატთან, ღვთის მოფიცარი
ხელაპყრობილი დგას ოპიზარი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

117.

შავი ზღვა. ტალღათ ღელვა და შფოთი.
ბუხტა, ბოლაზი, გემების ყუდე,
ბალნარში ყვინთავს ქალაქი ფოთი,
ჩემი ყრმობის და ლექსების ბუდე!

118.

სხეულს მიარხევ ქნარივით,
ნეტავი შენსა ლხენასა,
ბილიკებს მისდევ ქარივით,
ჰბაძავ მდინარის დენასა,
მღერი-და, ოქროს ზარივით,
მიაწკრიალებ ენასა!

119.

აგერ: ფანჯარაში ვარდი იხედება,
მას, გრძნობა მორევით ბულბული შეგალობს,
მეც ხომ, შენის ტრფობით, ალმური მედება,
მეც ხომ, შენის კოცნით... რა იყო შე ქალო?!

120.

ცხენები ჰქროდენ ვით გავაზები,
ეჯიბრებოდენ ქარს ადევნებით,
გზაში მხვდებოდენ ქართლის ვაზები,
ხელში ეჭირათ ყურძნის მტევნები!

121.

ეხლაც მოაწვა კარებს სიავით,
მან ჩამიმწარა მთელი ზამთარი,
შემომეჩვია ერთი ნიავი,
დღე-და-ღამ მღერის, ვით საზანდარი.

122.

მღვიმეში ცხოვრობს კაცი ნიბლია,
განდგა, ამ ქვეყნად არ იყურება,
მისთვის დღე-ღამე ხან იხურება,
ხან გაიხსნება, როგორც ბიბლია!

123.

ძლივს იკავებდი უბეში გვრიტებს,
იდგა შრიალი შენი კაბისა,
აწკრიალებდი ჩონგურზე თითებს,
მე კი ვმღეროდი, როგორც გაფიზი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

124.

ხრამ-და-ხრამ წინსვლით, დაცემით, კვნესით,
აი, პარნასის ბჭესთან მივედი,
ვილაც, ვაჟას ხმით მეძახის, მესმის,
და მწვერვალისკენ მიხმობს იმედი!

125.

რა ვუყო ამ ფიქრებს, არ ვიცი ღმერთმანი,
მათთან ამაოა კალმის სატევარი,
თენდება, პირისპირ შევყურებთ ერთმანეთს
მე და ჩემი-ლექსი ღამენათევარი!

126.

დასაბამითვე მას „დედამიწა"
ჰქვია და არა — დედინაცვალი,
საზრდოს გვაწოდებს მიწა და გვიცავს,
მიწაში ხარობს ლექსის მარცვალიც!

127.

ვინ არ გვებრძოდა! ლექსთა კრებულით
ვქუხდი, ვანთებდი ცეცხლის ალიონს,
ეხლა? გრძნობებით ამხედრებული
შენივე თავი გებრძვის, ალიო!

128.

მე მზეს ვეტრფოდი, როგორც იკარო,
მივისწრაფოდი მაღლა, თარეშით,
მაგრამ მზემ ახლოს არ მიმიკარა
და ფრთებდამწვარი დაბლა დავეშვი!

129.

წინწკლავს. ღრუბელი მზეს დასწოლია,
მესმის მერცხლების მწარე ჟღურტული,
შეხეთ! ეს ბიჭი, ეს ქვასროლია
ისევ ჩემ ლექსებს დასდევს შურდულით!

130.

ვიყავ ეპოქის ფიქრთა მფლობელი,
სისხლის წვეთებით ვწერდი ქალალდებს,
ამა ცხოვრების საგალობელი
დიდ საბჭოეთის ცას შევლალადე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბესკირია

შეხვედრა ბელადთან

სიჩუმე არის ხეივანში, არ ირხევიან
ხენი მაღალნი, არ ჰყვებიან ფოთლები ამბავს;
მოდის სკოლიდან ეთერი და შემოხვევია
ფოთლების ჩრდილი წიგნის ჩანთას, ყავისფერ კაბას.

სხივების კონა ხეივანში რამდენჯერ შეხვდა,
ფიქრობს: ნეტავი მეც ვრჩებოდე აქ საღამომდის!
დაცვენილ ფოთლებს აშრიალებს და უცებ შეკრთა,
თვალს არ უჯერის, მაგრამ ხედავს ბელადი მოდის.

ხედავს, ის არის! მოდის მისკენ გაღიმებული,
ჩიბუხის ბოლი ხეივანში თეთრად გროვდება!
ხეთა ჩრდილები ბელადს მხრებზე ალერსით უვლის
მოდის ღიმილით და გოგონას უახლოვდება.
უცებ ჩამოდებს წიგნის ჩანთას და გარბის ველად,
ჰკრეფს ნაზ ყვავილებს, თუმც სისინებს აქ მინდვრის ქარი;
ბრუნდება უკან, ყვავილებით სურს შეხვდეს ბელადს,
მაგრამ ხედავს, რომ ხეივანში არვინ არ არის.

დარბის, დაეძებს... ხეივანში თუმც უკვე სცივა,
ისევ დაეძებს, თუ ვერ შეხვდა ვინ არ დაძრახავს?
ჩანთაც დაჰკარგა, ყვავილები გზა და გზა ცვივა,
გამოეღვიძა, მიხვდა თურმე სიზმარი ნახა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბოგოხიძე

აკაკი

ხან წყარო არის ანკარა, —
მთიდან ჩანჩქერის კრიალი,
ხან დაფი არის, ნაღარა
და ხან ჩონგურის წკრიალი.

ძიება მარადიულის
დიდებულ ხმაში გაისმის,
ხან ქუხილია ციური,
ხან გაღიმება აისის.

ხან ნაღველია მდაგავი,
ხან შვების გადანათება,
ხან მთქმელი ბრძნული ამბავის,
ხან ბრძოლის ცეცხლის დანთება.

ხან ცა ფირუზად მზირალის —
მხატვარი შეუსადარი,
სამშობლოს ბედზე მყვირალი
ქართველი ერის სარდალი.

ხან ღიმილია დილისა —
და ბნელი ღამის თენება,
სიბრძნეა ავთანდილისა,
ტაიჭის გადაჭენება.

ხან ბულბულია მსტვენავი,
ხან შაშვის ტკბილი გალობა
ხან ჰიმნი არის მენავის —
მღელვარ ზღვის მუსიკალობა.

სალამურია მკვნესარე,
ქართულ ბუნების მშვენება
ჩაგრული ხალხის მეზარე,
ბრძოლა და ქვეყნის შენება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქროს თასია ელვარე,
აღვსილი ტკბილი ნექტარით,
დაუცხრომელი, მღელვარე —
და მომღერალი ნეტარი.

ხან წყარო არის ანკარა,
მთიდან ჩანჩქერის დინება,
ქართველი ხალხის ნალარა
სამშობლო ქვეყნის დიდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

ცისკარი

რომანი

კრიახით, ფრთათა ტკაცუნით ავარდა წვრილიანში მამალი ხოხობი, ჟინჟ-ღილივით აინთო ცაში.

შხუილით, აქნეულ ელვასავით მიჰყვა ქორი რკინისფერი და, ერთარსებად ქმნილნი, ტევრში დაითქნენ.

ვახტანგ ნახა, — ცხლად გამომქუხარს ვეძაში ჩაფუფქულიყვნენ.

მას ადგილს მშვენიერსა, ნაპრალოვანსა, იგი აშენებდა ქალაქსა ტფილისსა და საფუძველი ოდენ დაედვა.

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,“
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა...“

კლდენი გმინავდნენ, პირსისხლიანი ყორანი ბედითად ყრანტალებდა.

ყოველ დიდ ხუთშაბათს, შუალამისას, ეროები გრდემლზე გუგუნებდნენ და გერგეტის ორწოხებში აბორგებული ამირანის დალეული ჯაჭვი კვლავ მრთელდებოდა.

კავკასიის იქით ჯანყი იდგა, ყიამეთი და ნისლი მთისა, — გოგნი, მაგოგნი, თვალშეუდგამნი ტრიამელნი სკვითთა და ყიფჩაღთა.

შუააზიიდანა და ერანიდან, არაბეთიდანა და ხაზარეთიდან, სპერის ზღვიდანა და გურგანიდან ჰქროდნენ ქარნი ხორშაკნი.

აფრაგაშლილი ტრირემები და კატარღები კოლხ-ალბანთა მიწებს მძიმედ ადგებოდნენ.

რვალისფერ მოვაკნის ველზე ქარავნები ნელი ტაატით მიირწეოდნენ.

ისმოდა ყეფა შირვანის ბულბულებისა.

მრუმე ღამეში ელავდა ხვითო. ალზე დაყუნტული გველეშაპები ყრუდ სისინებდნენ, — ნინოფებითა და ჭულუმბურით დახლართულ პალიასტომს, ნარიონალებს თვალდაკუსულნი ზვერავდნენ. გრძნეული ასული კოლხეთისა ჯადოს კაზმავდა. ვასაკების კრუალით დამტკბარს ადგილის დედას, ნერჩი პატენის ბნელი შელოცვებით ეაჯებოდა და მისნური ოხშივარი ჭაობებით დალორწილ მიწას ნისლად ებურებოდა.

ფშანში გატრუნულ დედალ ხოხობს ფაზის დუდუნში წასთვლემოდა და ცხრა მთას იქით დაღუპულ მეუღლეს ტკბილის ნატვრით ამაოდ ელოდა.

„მეფემან დაჩი განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი.
მცხეთაჲ ათხელდებოდა, კალაჲ განდიდებოდა.
და, ვითარ ებრძანა ვახტანგის, იგი შეიქნა სახლად სამეუფოდ“.

არაბი მოგზაური, იბნ-ხაუკალი, წიგნში „გზათა და სამეფოთაჲ“ ამბობს, რომ მის დროს, მეცხრე საუკუნეში, ტფილისი ბაბ-ულ-აბვაბზე, დარუბანდზე,— მცირე იყო, ირგვლივ სამალაყაფიანი ალიზის ორმაგი გალავანი ერტყა მტკიცედ და დოვლათითა და იაფობით დიდად იყო განთქმული. სიუხვითაც ფრიად აღემატებოდა სხვა მდიდარ ქალაქებს და ისევე, როგორც მოსულსა და რაყაში ტიგროს-ეფრატზე, წისქვილები ნავებზე იყო გამართული.

აბანოს წყალი უცეცხლოდ დუღდა და დილის სისხამზე აშლილი ქალბალღნი ფუთა-ხორაგით, სპილენძის ტაშტითა და ფეხის სახეხი აგურით საჭორაოდ, დროს სატარებლად მთელი დღით იქ მიდიოდნენ.

მილეთის ხალხნი, რჯულნი, ენანი ირეოდნენ ტფილისის სალაყბოზე, ქულბაქებსა და მეიდნებზე.

ათასნი ჰამბავნი, ჰაზრნი და რწმენანი ეჯახებოდნენ ერთურთს.

ზვიადნი ერისთავნი და დარბაისელნი ციხე-დარბაზებიდან გარმიანულ ნივთთა სასყიდლად ან ხელმწიფის კარზე სათათბიროდ თუ ჩამოვიდოდნენ. ქედმაღალნი და გულაზიზნი ამპარტავნული ზიზღით დასცქეროდნენ ბილწ ღაბაღებს, ამბლებსა და დაკლულის ნაწლავთა გამსუფთავებლებს.

ქუჩებში, ქარვასლებში უთვალავი ბოგანონი და დილეგიდან თავდაღწეულნი, ხელმრუდენი და კაცის მკვლელნი, ბედით გავერანებულნი და ბედისავე ძაძიებელნი დატანტალებდნენ, — წვრილმანით ვაჭრობდნენ, დალალობდნენ, ბარგი-ბარხანას კურტნით ეზიდებოდნენ, ხელოსნებთან შეგირდად დგებოდნენ.

ღამით ქუჩაში მიყრილებსა და მიუსაფართ, ღია ცისქვეშ ეძინათ. ხვალინდელი დღის იმედებს სიზმარში ტკბილად ალოლიავებდნენ, — ქვეყანა დიდია, მომავალი შეუცნობელი და, ვინ იცის, იქნებ ისინიც გამდიდრებულიყვნენ, სახლები დაედგათ, სოვდაგარნი ან ბეზირგანნი დამდგარიყვნენ.

რამდენი ოცნება, რამდენი ნატვრა და აუხდენელი წადილი იყო გახვეული ამ ძონძებში!

ღამის სიგრილით ატანილნი, მთელი დღის ტანტალით დაოსებულნი გმინავდნენ, ძილს თავს ვერ ართმევდნენ.

სადღაც, ალბათ, აშპაშხანაში, • დუდუკი დამწვრად კვნესოდა, — ტკბილი ზუნით გულს აჩუყებდა.

ცხოვრება ოდითგანვე ასე მიედინებოდა, ახლაც ისევე იყო, — ძაღლი ჰყეფდა, ქარავანი მიდიოდა.

შურის ციხესა და მეტეხს მხრებზე შედგმული ცა და ღამე მაღლა თარფივით აეტანათ, აფართხალებული ვარსკვლავები თავდავიწყებით ციმციმებდნენ.

შაბაქიან-სურაიან ლურჯ აივანთა მინანქრებზე სავსე მთვარე თეთრად ელავდა, — ათოვდა სეიდაბადს, ათოვდა ხარფუხს, ფეთხაინსა და ციხისუბანს.

ისნის ვიწროებში შემდორებული მტკვარი ყრუდ მურმურებდა და მანდილივით ამდგარ ნისლში მთვარის შუქი იისფრად იცრებოდა.

შორეთიდან გნიასი მოისმოდა, — შეითანბაზარში ლიფლიფებით განათებულ ყარაგიოზას თამაშას მაცქერალნი მხიარულად ჟრიამულებდნენ.

მტკვრის პირებზე, დირსიჭილამდე, მეთევზეებს ცეცხლები ენთოთ, და ღამის დუმილში ეჟვანთა ჟღარუნით რბილად შემოპარული ქარავანი თვლემასავით მიირწეოდა, — ქალაქი ფრანგისტანისა და [illegible] — საქონლით ივსებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ აზრუმის ცისკარი ხარ,
გულნარა,
ამომხდარი მანათობლად,
გულნარა...

დუდუკის ხმა მისწყდა.

თავისსავე დუდუნში დაეშხებული დადნა, განქარდა.

ანჩისხატის უბანში მთვარისაგან მოვერცხლილი ფშატით დაჩრდილულ ვიწრო სარკმელში სინათლე ჯერ კიდევ იბჟუტებოდა, — ვილაცას არ ეძინა.

განთქმული ოსტატი, ჯავაირჩი შიო დარაშვილი, ამ ღამეს, მთვარესა და მტკვრის იდუმალ მურმურს ოქროში ალხობდა, ქართლის ბედსა და უბედობას პატიოსანი თვლებით ამკობდა.

ნაწილი პირველი

1.

მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთის ეგერებმა დარიალა გადმოლახეს, ძველ თბილისს ეშხი ნელნელა გაუხუნდა. ყოველივე ძველთან ერთად ამქრის დიდებასაც პატივი თანდათან ეყრებოდა. დროებამ ნირი იცვალა და ქარმაც სხვაგვარმა იწყო ქროლა.

ყაბახი მოიშალა, სალაყბოც დადუმდა და ქალაქი სულ რუსეთუმეებითა და თერგდალეულებით აივსო...

„მოდნაც“ სხვა გაჩნდა და ძველებურ ტანისამოსს იშვიათად თუ ვინმე ჩაიცვამდა. სახლებსაც ახალ ყაიდაზე აშენებდნენ, ნივთიც „გრანიცისა“ შემოდიოდა და ბევრი ხელობა სულ გადავარდა. ოქრომჭედლებს, თერძებს, მექოშეებსა და ძველ ჭონებს მუშტარი ეგერერიგად აღარ ეტანებოდა და მათი ხელობის მაზანდაც ეცემოდა.

ათასრვაას სამოცდახუთ წელს შემოღებულმა ახალმა გადასახადებმა მთლად ააფორიაქეს ისინი. სხვა გზა რომ აღარ იყო, არზა დასწერეს და ქალაქის მოურავს, შერმაზანა ვართანოვს, დიდის ფეშქაშებით მიართვეს, მაგრამ არა გამოვიდა რა, — „რუსული ატკაზით“ გაისტუმრეს უკან.

თბილისის მოქალაქენი ჯერ ისედაც არ იყვნენ მთავრობის მადლიერნი, რადგან მათ გვერდი აუარეს და მოურავად ეს ვილაც ირანიდან გადმოხვეწილი სოვდაგარი დაუყენეს. მას მხარი დაუჭირეს უპირობისათვის გადაგდებულმა უსტაბაშებმა პეტრუზა იუზბაშევმა, სარქისა არუთინოვმა, პეპო გალუსტოვმა და სერგო ერემოვმა. რამაც ისედაც ამრეზილი ხალხი კიდევ უფრო გააგულისა. ახლა საქმე იქამდეც მივიდა, რომ იმ არამკითხე გადამთიელმა მათი სათხოვარი არად ჩააგდო და თავისი დამქაში ბაკბეუქ-მელიქოვი ამქარში ხარჯის მოსაკრეფად გაგზავნა.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. ყველა ამ ამბის გამო ყაყანებდა და, აი, თიბათვის ოცდაშვიდის დილაც, როგორც იქნა, შავად გათენდა.

მართალია, კვირადღე იყო, მაგრამ ერთპირი ამქრის ხალხი ბაზარ-ტუქანში ისხდა და „ბუნტის“ დაწყებას წუთით წუთს ელოდა.

მალე მარჯვე ბიჭებმა უბნებიც მოაფათურეს.

— ბუნტია, ბუნტი! — ყვიროდნენ ისინი.

— დუქნები დაკეტეთ!

— გარეთ გამოდით!

ვინც ნებით არა კეტავდა, იოლის კვრით ემუქრებოდნენ და სახელოსნოებს ძალისძალად აკეტინებდნენ.

„მედროშკეებმა“ ბირჟა მიატოვეს, „მეპოვოსკენი“ მიიმალნენ, თულუხჩებმა წყლის ზიდვა შესწყვიტეს და მეპურეებმაც იმ დღეს პური აღარ გამოაცხვეს.

დაბახანაში აღარ ისმოდა ქობინების ცემა, ლილახანაში აღარ ფრიალებდნენ გასაშრობად გაკიდებული ნარმისა და ლაინის თოფები. სეიდაბადში აბანოები დაიგმანა, ხოლო თათრის მეიდანზე ამაოდ აემართათ ბაზრის ბაირალი.

უქმად მდგარ ყაფნის გვერდით მარტოდ დარჩენილი აქლემები არხეინად იწვნენ და თვალთა ლულვით ზანტად იცოხნებოდნენ.

არსად სჩანდნენ არც შურტები, არც „კვარტალნები“ და არც იმათი ბოქაული.

ქუჩაში მილეთის ხალხი ირეოდა. თოქმაჩები, მექისეები, დაბალები, ოქრომჭედლები, ზეინკლები, მეზანდუკენი და, ვინ იცის, კიდევ რა ხელობისა და ყაიდის ხალხი არ გამოეფინა იმ დღეს გარეთ. ჩოხის კალთები რიყის ქვით აევსოთ და ყველგან ერთი გაუთავებელი ყაყანი და ჟრიამული იდგა. ძათ განთქმული მოკრივე კალატოზი მინასა კრუაშვილი, თავზე ხელალებული ძმანი ქსანთუაშვილები და დამთხვეული ყრუჩა მეჩუსტე მეთაურობდნენ.

დუქნები ურდულებით იკეტებოდა, დარაბები იხურებოდა და ზედ ოინბაზური ყვირილითა და ხმაურობით ხუთგირვანქიან ძველებურ კლიტეებს ჰკიდებდნენ.

სახელოსნო შიო დარაშვილმაც დაკეტა და თავისი სიძის, მინასას, ყვირილზე გარეთ გამოვიდა.

აივნებზე, ბანებზე გადმომდგარი დედაკაცები ცივი ხმით წიოდნენ, — თავიანთ ქმრებს, მამებსა და ძმებს შურისძიებისათვის აქეზებდნენ.

ერევნის მეიდანზე ქალაქის სახლს რომ მიადგნენ, იქაურობა ისე იყო გაჭედილი, რომ ძირს ნემსი არ დავარდებოდა.

აღელვებული ხალხი რას არ იტყვის, ისინიც აღელვებულნი იყვნენ და რას არ ამბობდნენ:

— ცხენი და დუქანი რაა, ფანჯრები, აივნები, წყალი, ეზო და ბანიც დაიბეგრებაო!

— სულ იმ ნაუსტაბაშართა ბრალია, იმათ გაგვყიდეს!

— იუდებო! გამყიდველებო!

— გამოდით! პასუხი გაგვეცით! — ემუქრებოდნენ მუშტის ქნევით ქალაქის მამებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის მთავარმართებლის მოადგილემ გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა იკადრა და ეტლით მობრძანდა.

— ხალხო! შვილებო! — მიმართა ბრბოს დაყვავებით, — დაწყნარდით! ეს კანონი მარტო თქვენთვის ხომ არ არის მოჭრილი! აი, კაცი იარაღალი ვარ, ცხენიცა მყავს და ბეგარას მეც მახდევინებენ!

მინასამ უცქირა გენერალს, უცქირა და მერე არც აცია, არც აცხელა, პირში ისე მიახალა:

— ვახ, დალოცვილო, იხდი რომელია? ჩვენ მარაქაში შენ რამ გაგრია, ან ჩვენთან ვინ გაგაყადრა, როცა შენ ცხენს ინახავ და ჩვენ ცხენი გვინახავს?

ორბელიანმა პასუხი რომ ვერ მოუჭრა და გაბრაზებულმა ეტლი შინისკენ გააბრუნა, ყვირილიც გაისმა:

— ბაზარნიკი! ბაზარნიკი! — და აშლილი ხალხი ქუჩაში გაქცეულ კაცს ღრიალით, სტვენით დაედო.

— დაიჭით, დაიჭით, ეგ წურბელა, ეგა! — მაგრამ „ბაზარნიკმა“ ქარვასლაში შეასწრო და იქიდან იმ არხში გადახტა, რომელსაც ქალაქის უსუფთაობა მტკვარში მიჰქონდა. იმ სიბინძურეში ჩაყოლა არავინ იკადრა და ასე გადარჩა ის სულამყრალებული.

აყალმაყალში სადილობამაც მოატანა.

რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა და ნასადილევზე ღვინით შეხურებული ხალხი თანდათან საშიში ხდებოდა.

ამ დროს არსენალის გორაკზე კრივი იმართებოდა, მაგრამ ასეთ დღეს საკრიოდ ვის ეცალა?

ის შერმაზანა გარეთ რომ აღარ გამოვიდა, გადასწყვიტეს, ისევ თითონ ავიდნენ მასთან. კარებს რომ მიაწყდნენ, უეცრად ვილაცამ დაიძახა:

— ხალხნო, ამ ქალაქის სახლს რათ ვანგრევთ? წავიდეთ და იმისი საკუთარი დავანგრიოთ!

— დავანგრიოთ, ავიკლოთ! — იგრიალა ბრბომ და გნიასით, ღრიანცელით ნაგორნი ქუჩისაკენ გაემართა.

შინ არც იქ დახვედრიათ არავინ.

— მიდით! მიაყარეთ! — ღრიალებდა ყრუჩა მეჩუსტე ბრაზით არეულ თვალთა ბრიალით და, ფანჯრებში ქვები რომ მიუშვა, სხვებმაც მიჰბაძეს. მალე ქვებს თვითონაც მიჰყვნენ და სახლს ნგრევა დაუწყეს. არაფერს არა ზოგავდნენ, ყველაფერი გარეთ გამოჰქონდათ, ლეწდნენ, ანიავებდნენ.

— ნაარმალია და არმად წავიდეს! — ყვიროდნენ და ბროლისა და ფაიფურის ძვირფას ჭურჭელს ქვებზე ამსხვრევდნენ. მიწაზე დანარცხებული მურაბით სავსე ქილები ყუმბარებივით სკდებოდნენ, სინესა და ფარაგანის თვალის მომჭრელ ხალიჩებსა და ფალასებს ხანჯლებით სჭრიდნენ, ავეჯს ქუჩაში ჰყრიდნენ. აღარც როიალი დაზოგეს, ისიც გრიალით გადმოუშვეს. წიგნებს ხევდნენ, ზემოდან ფოთლებად დაშლილს ფანტავდნენ და თან გაჰყვიროდნენ:

— ალბათ, ამ წიგნებით ისწავლა ჩვენი ტყავის გაძრობა!

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, ამათაც მადა რბევაში მოემატათ და ახლა ყიჟინით, სტვენით ხარჯთამკრეფ ბაჟბეუქ-მელიქოვის სახლისაკენ გაემართნენ. კუკიაში, მტკვარგალმა, მათ მეფის მოადგილის მცველმა ყაზახებმა სროლა აუტეხეს, რამოდენიმე კაცი დაიჭრა და ერთიც, აფთიაქში მომუშავე

ფარმაცევტი კრეიტენი, ალალბედად შევარდნილი ტყვიით იქვე მოკვდა, მაგრამ უკან მაინც არავის დაუხვევია. პირიქით, დაღვრილმა სისხლმა უფრო გააშმაგა ისინი. დამალული ბაჟბეუქ-მელიქოვიც მალე იპოვნეს, [illegible] ამოათრიეს და მეორე სართულიდან ქუჩაში გადმოისროლეს, მაგრამ [illegible] თავი მოიმკვდარუნა მხოლოდ.

ერთ ნაიუნკრალს თვალი შერჩა მის ძვირფას ბეჭედზე და, წაძრობას რომ უპირებდა, მელიქოვმა ხელი უნებურად შეკუმშა.

— ცოცხალია, ცოცხალი! — ყვიროდა მძარცველი და ხალხი ისევ მიესია.

ნახშირგორელმა ბადალაშვილმა ურმის ღერძი თავში დასთხლიშა და სული გააცხებინა.

შებინდების ხანს ხალხი დაწყნარდა და თავთავიანთ სახლებში ნელნელა გაიკრიბა.

მეორე დღეს მთავრობამ, შიშით, რომ მათ სოფლებიც არ გამოსარჩლებოდნენ, საბანაკო ადგილებიდან ქალაქს ჯარი მოყარა.

ყარაბულაღიდან ბატალიონები გამოიწვიეს, ხრამიდან ყაზახები, მუხრავანიდან ზარბაზნები და ავლაბრის ორივე ხიდზე, თათრის მეიდანზე, პოლიციის შენობასთან, კუკიის ხიდთან და ჩულურეთის მახლობლად ჩააყენეს.

ქალაქი ხალხისაგან დასცალეს, — გარეუბნიდან შიგ არავის არ უშვებდნენ, ხოლო გამსვლელებს წინააღმდეგობას არ უწევდნენ.

სხვა ჩარა აღარ იყო, აჯანყებულნი ადგნენ და ხოჯივანქში, ბებუთაანთ სასაფლაოზე, გაიკრიფნენ.

სამ დღეს დაჰყვეს მათ იქ, სამი დღე იყაყანეს. იქაური უბნის დედაკაცები პურს ბლომად აცხობდნენ და ხალხს მუქთად ურიგებდნენ.

ზოგს თავისი ხორაგი მოეტანა, — ჯვარიმამის ლავაშები, ყველი და ტიკით ღვინო. სადღაც ზურნაც ჰყვიტინებდა.

ვიღაც ახალგაზდა საფლავის ლოდზე შემდგარიყო, ფეხით ჰქელავდა და თან ჩახლანძული ხმით გაჰყვიროდა:

— რად დაგვღუპეთ? ვის ხელში ჩაგვყარეთ?

კალატოზი მინასა კრუაშვილიც იქვე, მის გვერდით, იდგა და კრივში ნაცადი სამლიტრიანი მუშტების ქნევით ცასა და მიწას ემუქრებოდა:

— ხალხნო, აი, როგორც აქ ერთი პირით არ მოვსულვართ, ბოლომდეც ეგრე პირნათლად ვიყვნეთ! ან ძალლებივით დავიხოცოთ, ან კაცურად ვიცხოვროთ! ეს ამოდენა ბეგარა გაგონილა? ვინც დათმობაზე წავიდეს, დედა შეერთოს ცოლად! გროშიც არ გადავიხადოთ! დუქნებიც დავკეტოთ, პურს ნუ გამოვაცხობთ, წყალს ნუ მოვიტანთ, თორემ, ხედავთ, როგორც ჩვენ არა ვდგევართ ეხლა, აი, აქ, ამ საფლავებზე, და ჩვენ მამაპაპებს საყვედურებით ვავსებთ: რად დაჰყაბულდით, რუსთ ხელმწიფე რათ შემოუშვით და ამ ცეცხლში რათ ჩაგვყარეთო, — ჩვენი შვილებიც ეგრე აგვავსებენ ლანძღვა-გინებით! საფლავს ამოგვიბრუნებენ, ქოქოლას მოგვაყრიან, წყევლა-კრულვით მოგვიხსენიებენ — კვერი რათ დაუკარით და მსუნაგ ბაზარნიკებისა და კვარტალების ხელში რათ ჩაგვაგდეთო! ეს ამქრის მადლით ნაკურთხი ხელი ხომ სისხლში გაგვასვრეინეს, ბარემ სულ დავისვაროთ და ეგ იქნება! რახან ბუნტია, ბუნტი იყოს, ბუნტი იგეთი, რომ მაგათი ცოდვით მთელი დუნია იწოდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინასას ხმა იმისმა დამქაშებმა — „მედროშკე“ შაუა სოლოლაკელმა, ყრუჩა მეჩუსტემ და თებელმა იოსებამ დააწიეს:

— სიყრმის მზემ, ღვთის პირით ლაპარაკობს!

— მიდი, მინას, მიდი!

— ბაშუსტა, მინასჯან! — აქეზებდნენ აქეთ-იქიდან.

მოხუცები ყმაწვილებს დინჯად უცქეროდნენ და თავს სინანულით იქნევდნენ.

— ეჰ, კარგია დაა! — ამბობდა დარაშვილი გულის ტკივილით. — რუსს ჩვენ რას გაუძლებთ!

— მოდი, ისევ დაუთმოთ, კანონს შევურიგდეთ! — კვერს უკრავდნენ მას დროული კაცები, მაგარმ ფიცხმა ახალგაზდობამ არ დაუჯერა. მათი რჩევა შორს დაიჭირა. მალე გოგილოს აბანოებთან ჩადგმული ზარბაზნები აგრიალდნენ, მათ თათრის მეიდნიდანაც მისცეს ბანი.

სროლაზე ხალხმა იხუვლა და ციციანთ დალმართისაკენ გაეშურა. მაგრამ გზა აქაც შეკრული რომ დახვდა, ადგა და სირაჯხანის თავზე რუსეთს გადასახლებული დარეჯან დედოფლის ნასახლარი დაიჭირა.

— მიდით! მიდით! — ყვიროდნენ გახელებული ბიჭები და მეტეხის კალთებზე მომდგარ ჯარს ჩოხის კალთებით ამოტანილი რიყის ქვა შხუილით დაეყარეს, მაგრამ ზარბაზნებთან რას გახდებოდნენ, ავჯანყების ცეცხლი ცეცხლითვე იქნა ჩაქრობილი.

ბევრი ციხეში ჩაალპეს, ბევრიც სულით ხორცამდე დალუპეს: თებელი იოსება, ბადალაშვილი, დერეიკი ქიტესა, ორნი ძმანი ქსანთუაშვილები... ის ნაიუნკრალიც თავის გზას გაუყენეს...

ამ „ბუნტთან“ ერთად დაინთქა ძველი დროებაც. მის დასაცავად ამაოდ დასდო თავი კრუაშვილმაც და, შორეულ ციმბირში დაკარგულს, უჭირისუფლოდ, დაუტირებლად ამოხდა სული.

2.

თბილისი, როგორც ყოველი ძველი ქალაქი, სილამაზესთან ერთად უსუფთაობითაც დიდად იყო განთქმული.

ქარვასლებიდან, სამიკიტნოებიდან, საცხოვრებელ სახლებიდან გამოტანილ ნაგავს გარეთ ჰყრიდნენ, ჭუჭყიან წყალსაც პირდაპირ ფანჯრებიდან ღვრიდნენ, — დამშლელი, ყურისმგდებელი არავინ იყო.

შეითანბაზრის თავში, სამორინოს წინ, ქვის საძეხველში ჰარისა იჩეჩქვებოდა და გაზაფხულის ნიაღვრით გატაცებული ჩეჩქი და ნამუსრევი მთელ უბანს ედებოდა.

სალახები საკლავს იქვე, ქუჩის პირას, ატყავებდნენ და საყასბოდან გატაცებულ გუჯაბსა და შიგნეულს ძაღლები ერთურთის შიშით აქეთ-იქეთ ღრენით დაათრევდნენ. ქუჩები, ეზოები იშვიათად იგვებოდა და, მიუხედავად ზაფხულის აუტანელ სიცხეებისა, ყველგან ისეთი გაუვალი გუბე-ტლაპოები იდგა, რომ ღამით „დროშკითა“ და ფარნით ძლივს ატანდნენ. ამას ზედ ისიც ემატებოდა, რომ ახლო-მახლო სოფლებიდან და ქალაქის ბაღებიდან აუარებელი ხილ-ბოსტნეული შემოდიოდა, — ბაზრებში მიწაზე ზედახორად ეყარა.

ღარიბი მოსახლეობა მეტწილად მითი საზრდოობდა და საზამთროს ქერქებსა და სხვა ნამუსრევს შუა ქუჩაში დაურიდებლად ისროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველგან მუმლი, ბუზი და ხალხი ირეოდა.

ათასნაირი ავადმყოფობა ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა და ერთხელ გაჩენილი ჟამი მთელ ქალაქს ედებოდა.

ყოველ ზაფხულს ასე იყო. სენი მძვინვარებდა, ხალხი წყდებოდა, მაგრამ ათიოდე წლის წინად მოდებულ ხოლერობას თავისი საშინელებით ვერც ერთი წელიწადი ვერ შეედრებოდა. იმითი შეპყრობილნი ქუჩაში უეცრად ცვივოდნენ. ზარდაცემული ხალხი სახლ-კარს ღვთის ანაბარა სტოვებდა და თავის საშველად სოფლებს აწყდებოდა. ვისაც სოფლად არა ებადა რა, ქალაქ გარეთ გარბოდა, ბაღებსა და ტყე-ღრეებს აფარებდა თავსა.

შიშს დიდი თვალები აქვს, ისინიც შეშინებულნი იყვნენ და, ვინ იცის, რას არ ამბობდნენ. ზოგი მეორედ მოსვლას, ზოგი ქვეყნის დაქცევასა და ზოგიც ანტექრისტეს გამოცხადებას დღედღეზე მოელოდა.

უბედურება უდროოდ დაღუპული კალატოზის კრუაშვილის ოჯახსაც ეწვია და მიწასთან პირწმინდათ გაასწორა. ახლა მის სახლობასაც ქალაქ გარეთ, კარანტინში, ამოხდა სული, და საწყალ მინასას სახელზე ერთი ბიჭილა დარჩა. ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ მისმა ჯალაბმა დროზე იზრუნა და სენის შიშით თავის ძმასთან, შიო დარაშვილთან, გახიზნა სოფელ წოდორეთში.

სულ ძველად სულხანაშვილების ეს სოფელი თავისი მკვიდრი ქრისტესიაშვილებით, მახარობლისშვილებით, მამუკაშვილებით, ბერიაშვილებითა და დარაშვილებით ჯავახიანთ საყმო ყოფილა. როცა ამათი ბატონი ჯავახიშვილი ამოვარდნილა და უძეოდ გარდავლენილა, იქიდან ესენი როსტომ მეფეს აუყრია, ავლაბარში დაუსახლებია და სახასოდ დაუტერია. რადგან პატრონთ აქედან წოდორეთის მამული ველარ ეჭამათ და დიდათაც გასჭირებოდათ, ეს სამკვიდრო სრულობით მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, სახლითა, ქვევრ-მარნითა, კალო-საბძლითა და რისაც აქ მამულის მქონებელნი ყოფილიყვნენ, თუმანიშვილებისათვის მიეყიდნათ.

დარაშვილს თავისი წოდორული ფუძე მაინც არ მოეშალა და დაობლებული დისწული შვილთან დროებით შეეფარებინა.

ბაღლები მის ოჯახში ერთად ლაღად იზრდებოდნენ და შიოც ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ობლის ნორჩი გული უდედ-მამობით არ დაჩაგრულიყო. ანებივრებდა, თავს ევლებოდა და საკუთარ შვილში არ არჩევდა.

ისიც, რამდენიც იზრდებოდა, იმდენი მამას ემსგავსებოდა. ტანიც ერთბაშად აიყარა და ისე დასრულდა, მომწიფდა, რომ მინასას ასლი გეგონებოდა. გარეგნობითაც მაღალი და წარმოსადეგი ვაჟკაცი დადგა, ოღონდ იმისი ეშხი და სარისტიანობა არ დაჰყოლია თან.

მალე ჯანითაც ისე აივსო, რომ მთელ უბანში ტოლს ველარავინ უდებდა. სანაძლეოზე აგურით დატვირთულ ჯაგვაში ცხენივით ებმებოდა და სულ გრიალით მიაქანებდა.

ერთხელ, ფეთხაინში მიმავალს, ბანიდან უცაბედად ჩამოვარდნილი აგური დაეცა თავში. ვინ იცის, იქნებ, ძაანაც ეტკინა, მაგრამ აბრუ მაინც არ გაეტეხა, ზემოთ ირიბულად აიხედა და ისე ასძახა:

— ეს ვინ ოხერია, მაღლიდან რომ მეკენჭავებაო?

იმისი არ იყოს — თურმე თხა თავის დარდში იყო და ყასაბი კიდევ ქონისაში. მის მოამაგე ბიძას იმისი ლონეც სადარდელად გახდომოდა. იცოდა, მამასავით ჯანის ქება ხეირს არც იმას დააყრიდა, ცხოვრებაში სწორ გზას ეძებენდა და დღე მუდამ ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდა:

— ბიჭოო, მკლავის ძალას კი არა, თავისას მიჰყე. ეგრე კი არ იტყვიან, — შვილს ასწავლა, ობოლი დისწული ბნელად დააგდოვო. ხალხის ენასა და იმის საბრუნავს ნუ აჰყოლიხარ, თორემ მჯობნის მჯობნი არ დაილევა. ეე, ოხერო, გაუბედურდები, გავერანდები!

მაგრამ კვიცისა არ იყოს, ისიც მამის გვარზე ხტოდა და ბიძის სიტყვებს არად აგდებდა.

ყოველ კვირა დღეს მის ნამალავად ჭირიანთ ხევში მიიპარებოდა, ჭიდაობდა, კრივობდა და, ანაბანა რაა, გული იმასაც ვერ დაუდო, — ცხოვრებაში უწიგნოდ დარჩა. სამაგიეროდ მთელ ქალაქში საუკეთესო ფალავნის სახელი დაიგდო და, ნიშნად უძლეველობისა, დიდი და პატარა დნგრას ეძახდა.

სწავლასა და ხელობაში რომ აღარ გამოდგა, მოთმინებიდან გამოსულმა ბიძამ თავისი საფერო საქმე შეურჩია. იმ კარგი მამის დანატოვარი ალიზით ნაგები სახლი სარფიანად გაუსალა, იქიდან ამოღებული ფულით კრწანისში მიწის ერთი პატარა ნაკვეთი თავისი ფარღალალა ქოხით უყიდა, ჩიგ ჩაასახლა და ჭკუაზედაც დაარიგა:

— პატარა აღარა ხარ, შენ თავს ეხლა შენვე უნდა უპატრონო. ჭკუით იყავ, საქმეს თვალი მიატანე და არაფერი არ გაგიჭირდება.

ეგრე რომ ეუბნებოდა, თან ხმა სიბრალულით უკანკალებდა, თვალებიც ცრემლით ევსებოდა.

დნგრასაც რა ძალა ჰქონდა, ადგა და მარტოხელა ცხოვრებას შეუდგა. ბწვანილსა სთესდა, ცოტა კიტრიც მოჰყავდა, ცოტა ხილიც, — თუთა, ალუჩა, პერამი და ამ ქვეყანაში იმითი რჩებოდა.

ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის და ცალი კაციც არაფრის მაქნისია. ისიც ცალად იყო, მაგრამ ეხტიბარს მაინც არ იტეხდა. მუშაობაში, თავის გატანში ახალგაზრდობის ჟინმა ნელნელა გაუარა, დადგრა, ჭკუაში ჩავარდა და, ეგრე უსწავლელი რომ დარჩა, სანანებლად გაუხდა.

— კაცმა რამდენი რამეც იცი, იმდენი კაცი ხარ, — ჩიოდა ნაღვლიანად. — მე კი არაფერი არ ვიცი და არც კაცი ვარ. უსწავლელი ქვაზე დაჯდა და ქვას ქვა დაემატაო, მეც იგრე ვარ რაღა.

მაგრამ რაღა დროისა იყო, — ერთხელ წასულ საქმეს რა ეშველებოდა.

ზაფხულის ხვატიან დღეებში ოთარი იმასთან ამოდიოდა.

ერთი სწავლობდა, წიგნს თავაუღებლივ ჩასჩიჩინებდა, მეორე მუშაობდა, მიწას თავაუღებლივ სჩიჩქნიდა. როცა ზომაზე მეტად დაიღლებოდნენ, ქოხის წინ ერთი ნუშის ხე იდგა. იმის ძირას, ჩეროში, დასხდებოდნენ და ამ ქვეყნის ავანჩავანის გამო გულდაგულ საუბრობდნენ.

ოთარი ახალგაზრდა იყო. იმდენი ცხოვრებაში არა ენახა, რამდენიც წაეკითხნა და მამიდაშვილს თვალგაბრწყინვებული მოუთხრობდა ათას წანაკითხსა და გაგონილ ამბავს.

— პაჰ-პაჰ-პაჰ, შენ ერთი ამ ცხოვრების ჩარხის უკულმა ტრიალს დახედე, დაა! — კვირობდა დნგრა, რომელიც იმდენად უბირი და მიამიტი იყო,

რომ წიგნი და ცხოვრება ერთმანერთში აერია. რამეს რომ უკითხავდნენ, ნამდვილი ეგონა და გმირთა ვაგლახ ბედს ისე დასტიროდა, როგორც ცოცხლებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მათი ამგვარი ურთიერთობა ბოლომდე არ გაგრძელებულა. ოთარმა მალე ახალი მეგობრები გაიჩინა და მასთან ისე ხშირად აღარ დადიოდა. ერთი-ორჯერ თავისი დოსტები მასთან ბაღშიც ამოიყვანა და ისეთ რამეებს ამბობდნენ, რომ დნგრას შიშით თმები ყალყზე უდგებოდა.

ხელმწიფე არ გვინდაო, არც საყდარი გვინდაო, არც სახლი და არც დუქანიო, არც ცოლი და არც ფულიო, არც მიწა და არც მამულიო.

დნგრამ უცქირა, უცქირა, ბოლოს ველარ მოითმინა და ხმამაღლა შეუტია:

— თქვე ღმერთძაღლებო, მარა გინდათო?

მაგრამ ოთარმა გულისხმა მაშინვე ჩააგდებინა:

—შენ შენთვის იყავ, მაგ ამბავს არავინ გეკითხება და ხმაც არსად დასძრაო!

დნგრას ხმა მართლაც არ ამოუღია.

ბოლოს ამდენი ამბების მოსმენით გონება, ცოტა არ იყოს, იმასაც გაეხსნა, საზრისში მოვიდა და მათ სჯა-ბაასს ყურს გაყუჩებული უგდებდა.

— ხედავ, თურმე როგორ ყოფილა საქმე! — ამბობდა გაოცებული და თან თავს სინანულით აქეთ-იქით იქნევდა.

— ჰო-და, შენ კი ეგრე ბნელი დადიხარ. — ამუნათებდა საყვედურით ოთარი.

დნგრას თავისი მდგომარეობით გული ისედაც დიდად აკლდა, მაგრამ რა ექნა, როცა წიგნის კითხვა მიუწვდომელ რამედ მიაჩნდა.

ოთარი მაინც არ ეშვებოდა:

— მოდი ერთი ანაბანა შენც ისწავლე. ბალღი სწავლობს და შენ რა გახდი იგეთი?!

— საქმეც ეგ არი, რო ბალღი აღარა ვარ. — თავი შორს ეჭირა ვაჟკაცს.— წიგნი რა ჩემი საქმეა. კუნძი ვარ, ბიჭო, რეგვენი ვარ! ბალღი ვიყავ, ვერ ვისწავლე, ეხლა გვიანღაა.

ოთარსაც რა გზა ჰქონდა, ადგა და ჩამოეხსნა.

იმ შემოდგომაზე ის ახალგაზდანი, თავიანთ თავს „ხალხის მეგობრებსა“ და „ტეტიათა მოტრფიალეებს“ რომ უწოდებდნენ, მოხვეტეს და თითქმის ყველანი ერთად დაიჭირეს. შარში კინაღამ დნგრაც ჩავარდა. რაღაც ბედნიერი შემთხვევით ოთარ დარაშვილიც გადარჩა და, იქაურობისათვის თავი რომ აერიდებინა, სწავლის გასაგრძელებლად რუსეთს გაემგზავრა.

საწყალი შიო იმ ერთის შემყურე იყო. ზედ გადაეგო და იმდენი ასწავლა, იმდენი ჰქნა, რომ იმისი „გადოხტურების“ იმედით თევზეულის ვაჭრის, სოლომან ვართანოვის ვალებში ყელამდე ჩაჯდა. ეგონა, სიყმის შვილი გზაზე დავაყენეო, და ახლა ეს ამოდენა ამაგი ერთბაშად წყალში ჩაუცვივდა. ოთარი პატიმრობას ვერც იქ გადაურჩა, სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის ციმბირში გადაკარგეს და ისიც ბიძის გზას გაუყენეს.

მას შემდეგ ერთხელ აღარ გაუხარია საწყალ კაცს. ჯერ ისედაც არ იყო დიდი ენის პატრონი და ახლა სულმთლად ჩაიგდო მუცელში. ათასში ერთხელ

შვილის მოსულ წერილს სახლობასთან ერთად ტირილით, ოხვრით წაიკითხავდა, კვლავ გადაიკითხავდა და აკანკალებული ხელებით ლამაზად დაკეცილს, ერთი სიგელ-გრაგნილებითა და ძველებური ნივთებით სავსე ხანაბანის სკივრი ჰქონდა, იმაში სათუთად შეინახავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მთელი დღეები სახელოსნოში გულჩათხრობილი იჯდა. თავაუღებელ მუშაობაში დღე-ღამეებს ასწორებდა, მაგრამ ერთხელვე წასული საქმე ვერაფრით ველარ შემოაბრუნა. ისედაც დავალიანებული, უფრო და უფრო ჩაეფლო ვალში, ბოლოს იმდენად გაუჭირდა, ისე გატყდა, რომ შეგირდების დათხოვნასაც აპირებდა, რადგან ყველას თავისი ჭია ჰყავდა და თავისი ჭკუითა და ქეიფით უნდოდა ყოფნა.

3.

ხუთი ქარგალი და შეგირდი მუშაობდა დარაშვილის სახელოსნოში, ხუთი შერჩეული ახალგაზრდა, მაგრამ ყველას თვალსა და ჩინს მაინც ჯავარაანთ პატარა თედო შეადგენდა. ყველაზე მეტადაც ის უჭირებდა საქმესა. მათ წრთვნასა და ლოლიავში ისედაც გაწყალებული გული უფრო უწვრილდებოდა. ეს ბიჭი გარეგნობითაც თავის ნახელავი ნივთებივით შნოიანი იყო. მკლავშიც ლონე იმდენად მოსდევდა, რომ ტოლ-სწორთა შორის ერთ საუკეთესო დამრტყმელად ითვლებოდა, მაგრამ მასთან პირისპირ შეხვედრას ყველა ერიდებოდა, რადგან გახურებულ დაკა-დაკაში ისე ცეცხლდებოდა, რომ ძმური კრივი მტრულად მიაჩნდა.

ოლონდ მოპირდაპირე დაემარცხებინა და ყველაფერს იკადრებდა. ჟინში შესული, თვალდაბნელებული, არავითარ ულირს ხერხს არ თაკილობდა. და განა კრივში იყო ასეთი, — მუშაობაში, თამაშობაში და დროს მხიარულად ტარებაშიც.

უხვად ჩამოშლილი შავი ხუჭუჭა თმა მაღალ შუბლზე მოუსვენრად ეყარა და ისედაც ეშხიან შავგვრემან სახეს უფრო მეტად უმშვენებდა. მუდამ უცნაური ცეცხლით აგზნებული თვალებითაც ისე გრძნობიერად იცქირებოდა, სურვილიანი მომსხო ტუჩებიც ისეთი ვნებიანობით ებურცებოდა, რომ ადამიანს ერთბაშად იზიდავდა და ერთბაშადვე განირიდებდა.

ჯერ თექვსმეტი წელიწადიც არ შესრულებოდა, ჯერ ქარგლის სახელწოდებაც არ დაემსახურებინა და ზოგიერთ ხელოსანს ახლავ სჯობნიდა, მაგრამ რა ფაიდა იყო, როცა მათი ნამუშევარი მაინც უფრო ძვირად ფასობდა. სამაგიეროდ ღარიბ ხალხს იმათი ნივთისადმი ხელი ეგრერიგად არ მიუწვდებოდა და, სიიაფის გამო, შეგირდთა ნახელავს ეძალებოდა.

შიოს დაგეშილ თვალებს რა დაემალებოდა, — თავისი ილბლიანი მოწაფის წარმატების მიზეზს კარგა ხედავდა და მის ეგრე ადვილად განთქმულ სახელსაც არად აგდებდა.

სწუხდა, — მუშაობაში, გარჯილობაში ამდენი ხანი მოიყარა, ამდენი გამოცდილება მოიპოვა და ასე სათუთად შერჩეულ ახალგაზრდობაში ერთი ისეთი არ ერია, რომ ეს გამოცდილება იმისთვის გადაეცა.

თედოს ნამუშევარი ერთის შეხედვითვე იტაცებდა ახალი ნირის მუშტრის უბირ თვალს. სასყიდლადაც სარფიანი იყო და, სხვებთან ერთად, იოლად გამ-

დიდრებული და დიდკაცობაში ახლად ფეხშედგმული წუწურაქა ჩარჩ-ვაჭრებიც იმის ნივთებს ეტანებოდნენ.

ის სულძაღლი მევალე ვართანოვიც ყელზე დანით დაადგა, და, მეოსაც რა ძალა ჰქონდა, — სალუქი მუშაობისა და ფაქიზი მხატვრობისათვის სად ეცალა. დაკვეთებს დაკვეთებზე იღებდა და ხელობაში ჯერ კიდევ წელმოუმაგრებელ ბიჭს თავაუღებლად ამუშავებდა.

სასწრაფო საქმეებმა, ბაზრად ადრე გასვლამა და უხვმა ფეშქაშებმა შეგირდი ოლ გარჯილობას მიაჩვიეს. წინსვლის მაგიერ ხელი უფრო და უფრო უფუჭდებოდა. ბოლოს თავს იმდენად გაუვიდა, რომ მცირე დაკვეთებს როდი კადრულობდა. დიდ-დიდს ეტანებოდა და ამავე დროს ბევრი რამ ისეთი, რასაც უბრალო ხელოსანი უცებ გააკეთებდა, ის მთელ დღეებს ანდომებდა. უცოდინარობით ძალ-ღონის ეგრე უყაირათოდ ხარჯვაში თანდათან მოთმინების უნარიც დაკარგა და ხასიათი სულ გაუფუჭდა: უმიზეზოდ ბრაზობდა, საქმეს გულს დიდხანს ვერ უდებდა და, ჯავაირჩის ამ აუცილებელი თვისების დაკარგვასთან ერთად, იმდენად გაამპარტავანდა, რომ ხშირად დაკვირვების უნარიც ღალატობდა.

— შვილო, იაფ ქებას ნუ აჰყოლიხარ, — არიგებდა ოსტატი დაყვავებით. — ადვილად ნაპოვნი სახელის დაკარგვაც ადვილია. ჯერ ყმაწვილი ხარ, ჯერ ხმა არ დაგდგომია და დიდ სიმღერებს ნუ ეჭიდები. ცხოვრებას დააკვირდი, ქვეყანას მიჰხედე, თვალი დაიგეშე და ნივთიც მართალი გამოვა.

მაგრამ ის აინუნშიაც არ აგდებდა ოსტატის სიტყვებს. თავი უფრო ააღირა, ამხანაგებისაგანაც განკერძოვდა და სიმარტოვეში ისე გაავდა, რომ წარამარა ანჩხლობდა, ყველას ცემით ემუქრებოდა.

4.

რაც ხანი გადიოდა, მით უფრო მძიმე დღეები უთენდებოდა ხელობის კაცებს, მით უფრო ქესატი, ხელმოცარული დრო უდგებოდა ამქარს.

ქვეყანა ფაბრიკა-ქარხნებით იფინებოდა. ბაზარი ყელამდე აივსო „მაშინის საქონლით“ და მუშტარიც ყველაფერს მზამზარეულს მიეძალა, — ეს უფრო იაფი იყო და ხელდახელ სასყიდელი.

მოსახლეობაც ისე გაღატაკდა, რომ ახლის ყიდვა ყველას ეძნელებოდა და ხელოსნებს იმდენ ჯღანებსა და ძველმანებს აკონკინებდნენ, რომ განთქმული, ნაცადი ოსტატები, ლამის არის, ფინაჩებად იქცნენ.

ხელოსნები მეჭარხნეთა მეტოქეობას ვერ უძლებდნენ და ხელობასა სტოვებდნენ. დუქანი დუქანზე იკეტებოდა და ყველა ქირის სამუშაოს ეძებდა. ზოგი რკინისგზაში გაიქცა, ზოგმა სხვა ქალაქს მიაშურა, ზოგმაც „ზავოდსა“, ხოლო, ვისაც ცოტა რამ საფანელი გააჩნდა, ჩარჩ-ვაჭრობა დაიწყო. ვინც ესეც ვერ მოახერხა, ქუჩაში ხელგაშვერილი დარჩა. ბევრი გალოთდა და ბევრისბევრი ისევ ჯიმშერიშვილებს, ზეიცერებსა და ადელხანოვებს მიადგა კარსა.

ახლა, ვითომც აქაური ბოგანონი არა კმაროდნენ, გაღატაკებული უმიწაწყლოდ დარჩენილი ტაბარუკი გლეხობაც ბედის ძებნაში სოფლებიდან ქალაქს აწყდებოდა.

ერთი წყება ხალხისა რომ იყვლიფებოდა, მეორე წყება, იღბლიანთა ერთი მუჭა, უზომოდ მდიდრდებოდა.

ამქრის წესით, შეგირდს ოსტატთან სამ წელიწადს მუქთად უნდა ემუშავნა, სამიც ქარგლად და ხელოსნად მხოლოდ მას შემდეგ დაამტკიცებდნენ.

მექარხნეებმა სახსრიანად გამოიყენეს ეს ადათი და მეტწილად ქარგლებსა და შეგირდებს ამუშავებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა დილის ექვს საათზე იწყებოდა და საღამოს ათზე თავდებოდა, მაგრამ აღები ამასაც არა სჯერდებოდნენ. სხვა ჯარიმებს გარდა, მუშებს გამზადებულ საქონელს ათასი შარით უწუნებდნენ და, რაც უნდა კარგი ოსტატი ყოფილიყო, თვეში ჯამაგირად, დიდი-დიდი ცხრა-ათ მანეთს თუ გამოუყვანდნენ.

თავდაპირველად ეს ქარხნები გაფართოვებულ სახელოსნოებს უფრო წარმოადგენდნენ, მაგრამ შემდეგ და შემდეგ ამქრის სახე თანდათან დაჰკარგეს, რადგან ნაკლებ ხარჯსა და დიდ მოგებას დახარბებული აღები უხვად იწერდნენ „გრანიცის“ ათასნაირ „მაშინებს“ და ზედმეტ მუშებს ქუჩაში ჰყრიდნენ.

ისედაც შავ დღეში ჩავარდნილი ხალხი მთლად გამწარდა და თავგზააბნეულმა, ამქრის ამბოხების მაგიერ, „მაშინის ბუნტები“ და გაფიცვები დაიწყო. მანქანებს ლეწდნენ, ქარხნებს არბევდნენ, მაგრამ არა გამოდიოდა რა, — ცხოვრება მაინც თავისი გზით მიემართებოდა.

ქუჩებში, ქარვასლებში უთვალავი ბოგანონი საქმის ძებნაში უსაქმოდ დატანტალებდნენ ან და წვრილმანით ვაჭრობდნენ, დალალობდნენ.

ღამით, მტვერში მიყრილებსა და მიუსაფართ, ღია ცის ქვეშ ეძინათ. ხვალინდელი დღის იმედებს სიზმარში ტკბილად ალოლიავებდნენ და ზოგ მათგანს ოცნება ცხადში უმართლდებოდა.—მართლა მდიდრდებოდა, სახლებს ჰიმავდა და კაცობაში ფეხსა სდგამდა.

ზვიანი ერისთავნი და დარბაისელნი თავიანთ დაქცეულ ციხე-დარბაზებიდან გარმიანულ ნივთთა სასყიდლად, სახელმწიფო საქმეთა გამო სათათბიროდ აღარ ჩამოდიოდნენ. ხელოსნებთან ერთად ისინიც გალატაკდნენ და გულის ჯავრს ღვინოში იქარვებდნენ:

„გამიფრინდა სიყვარულის ფრინველი
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა,
დავშთომილვარ ასე აწ უნუგეშოდ
უბადობის გამო სხვისა და სხვისა.“

ნაცხოვრებნი იყვნენ და ცხოვრებასა ჰკარგავდნენ, გემო ჰქონდათ და წელი არ მოსდევდათ, ფასი იცოდნენ და ჯიბეში კატა უჭყაოდათ. ხელოსანთა სალუქად ნამუშევარ ნივთთა ყადრიც დიდი ჰქონდათ, მაგრამ ხელი არ მიუწვდებოდათ. ზოგი ამათგან იმდენად გაკოტრდა, რომ მამა-პაპეული სამკვიდრო და ძვირფასეული ან საჯაროდ ეყიდებოდა, ან და თვითონვე გაჰქონდა ბაზრად და მით ძველ ოსტატებს უნებლიე მეტოქეობას უწევდა.

ქალაქის ბიჭ-ბუჭები, ძველი სიმღერების მაგიერ, ოდესღაც აქ მყოფი იტალიური ოპერიდან გამოტანილ ახალი ყაიდის არიებს გასჭყიოდნენ ქუჩებში:

„ფიგარო აქა,
ფიგარო იქა...“

და არავინ არ იცოდა, ვინ იყო ეს ზღვის იქიდან მოყვანილი ვიღაც ფიგარო.

შიო დარაშვილი ამ ხნის კაცი იყო, ამქრის ერთგული წევრი, მისი გულის შემატკივარი და თავის ხელობითაც თავი დიდად მოსწონდა.

— ეს ქვეყანა იმთავითვე ხელოსანს უშენებია და კვლავაც ის აშენებს,— არ იშლიდა თავისას, მაგრამ თავისი სიტყვები თვითონვე [illegible] ეჯერებოდა, რადგან კარგად ხედავდა, რომ ეს ქვეყანა ის აღარ იყო, რომელსაც ერთ დროს ხელოსანი აშენებდა.

მარტო რომ დარჩებოდა, სირცხვილით იწოდა, რადგან ყველაზე ადრე ის გადაუდგა თავის თაბუნსა და იმისი ბედის ახლებურ ტრიალს ყველაზე ადრეც ის აჰყვა.

დარაანი ოდითგანვე ერთგულად იცავდნენ ოქროსმქანდაკებლობის ოსტატთა დიდ სახელს.

თაობიდან თაობაში გადადიოდა მათი ხელოვნების ჯადოსნური იდუმალება.

ახლა, როცა ძველ მოქალაქე-ოსტატთა ეს გვარი ისე გარდავლინდა, რომ მის შვილზე დადგა, შიომ აქაც უმუხთლა თავის დიდ წინაპრებს. გვარის ადათს ფეხი დაადგა, დარაშვილთა უკანასკნელი ნაშიერი სულ სხვა გზაზე დააყენა და მით მამა-პაპურ ხელობას ააცდინა.

ხათაბანდის ძველებურ სკივრში უქმად ეგდო დარაანთ სახლის სადასტურო აყიყის ბეჭედი და უქმადვე ლაღადებდა საუკუნეთა ბნელ სიხშოებიდან მოღწეული ხმა ზედ ამოჭრილი ხუცური წარწერისა:

ხელი: მშრომელის: მიწდების:
ხოლო: შრომილი: მის: ჰშთების:

ამ სახელოსნოში, ამ კედლებს შორის მუშაობდნენ, ირჯებოდნენ, ოფლსა ღვრიდნენ მისნი დიდნი წინაპარნი, რომელთაც მაშრიყის ქვეყნებში გურჯი დარას უწოდებდნენ.

ამ ქურაში ლღვებოდა ათასნაირად ნაზავები და ხალასად ნადნობი ლითონი, გუგუნებდა მათი ქარიშხალივით მოვარდნილი ოცნების ცეცხლი. ამ ქურასავით, სახმილივით ვარვარებდნენ მათი დიდის გზნებით, სიყვარულითა და შთაგონებით აღსავსე გულები.

რა არ გამოვიდოდა მათი ჯადო ხელიდან, რას არ შეჰქმნიდა მათი მარჯვენა!

ყველაფერს, რასაც შეეხებოდნენ, უკვდავ სულს ჩაუდგამდნენ და თავიანთი დიდი სუნთქვით ასულდგმულებდნენ.

მათი ნივთებით, ოქროჭედილი ხატებით, მურასა შანდლებით, ბრინჯაოს სინებით, ვერცხლის ჯავარიანი ყელმაღალი სურებით, პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ოქროს გულქანდებით, საპნის ქაფით აბუჟუჟებული ნაირნაირი ბირკებითა და ბალთებით, აბზინდებითა და დუგმებით, რახტებითა და ზარნიშიანი თოფ-იარაღით სავსე იყო სუნჯისა და დვინის, ბაღავანისა და ტრაპიზონის, სტამბოლისა და თავრიზის, ბაღდადისა და ისფაჰანის, სამარყანდისა და თვით უშორესი ყარაყორუმის ბაზრები.

დარაშვილთა ოსტატობა იმდენად იყო განთქმული, რომ მათი ხელოვნების დიდებას თვით აღა-მაჰმად-ხანის ყურამდეც მიეღწია.

ვიღაც ტყვისათვის მათგან შეჭედილ- მოთვალული მინანქრის გულსაკიდი ჩვილედი ხატი წაერთმია და რომ დაეხედა:

— მერიემ! მერიემ! — ამოხდომოდა, თან ქოსასა და სისხლდაშრეტილს ჟრუანტელისაგან ტკბილად გაჰღიმებოდა.

ხატს დასაწვავად ვერ შელეოდა და სულ თან დაჰქონდა, დაჰხარულდა, დაჰფრფინვიდა ზედ გამოხატულ ნუშივით მოგრძო თვალთა ეზო ცანათებულ ჟუჟუნა სახეს. ახალგაზრდა დედის ოთხი ნაწნავი უხვად ეყარა ბატკანივით აფართხალებულ შიშველ ყრმასა და ბედნიერი მშობელი ისე ნირიანად ილიმებოდა, რომ კაცს იტყუებდა და ახლოს არ იკარებდა, გულს ცოდვით აგზნებდა და იმედებს უწურავდა.

ოქროს მძიმე ნაოჭებად დაშვებული ოქსინო და სტავრა მისი ვნებიანი ტანის დაოკებულ მიმოტანას ვერა მალავდა.

დიდი საჭურისი ამაოდ ნანობდა თავის უნიათობას, ამაოდ გშინავდა და მით მოლა-მულიმებსა და მართლმორწმუნე მხლებელთ სულის მყუდროებას უშფოთებდა.

თავისი ტკბილი სიზმარივით დანთქმული კაცობით ის იმ გამხმარ ხესა ჰგავდა, რომელსაც ერთად-ერთი ფოთოლი გამოუბამს და იმითი ლამობს სიცოცხლესა. რომ ვერ იცოცხლა, გაავებულმა გრიგალივით გადიშხუილა ტფილისის თავზე და კრწანისის ვიწროებში მის წინააღმდეგ ბრძოლაში ვაჟკაცურად დასდო თავი სამასმა არაგველმა.

ისანს, ხარფუხსა და ფეთხაინს ბოლი გვიფად ავარდა.

იმავე საღამოს, ნამაზის შემდეგ, ალით წითლად განათებული მაოხრებელი ავი ღიმილით გასცქეროდა, მინარადან როგორ აქცევდნენ მისი კაცები აბანოებს, იმ აბანოებს, რომელთაც იგი ვერ განკურნეს და ვერც დაკარგული კაცობა დაუბრუნეს.

წყალსაც გმანავდა, მაგრამ არ მოხერხდა, — მაინც ცხელი, მაინც კამკამა ხალისიანად ამოჰქუხდა წიაღიდან.

განრისხებულმა სიონს გუმბათი გადააგლიჯა, ჩარხის წისქვილები წყალს გაატანა, ქალაქი მიწასთან გაასწორა და ამდენ დაქცეულ სახლებს შორის მხოლოდ ერთი ღა იდგა: დარაანთ უპატრონოდ დატოვებული სახლოსნოსი იმდენი ყადრი კიდეც შერჩენოდა, რომ ხელი არ ეხლო.

მისი ქართული აგურის ფაიებიანი რიყის ქვისაგან მიჯრით ნაწყობ კედელზე, დარბაზის ზემოთ, ახლაც საღსალამათად შერჩენილიყო სპილენძის მწვანედ დაჟანგული პატარა აბრა და ზედ ისევე, როგორც მაშინ, ალა-მაჰმადხანისა და ერეკლე მეფის დროს, იდუმალად ხმაურობდნენ დროთა ვითარებით გახუნებულნი, ნელიად სურნელნი ლექსნი საწყალი საათნავასი.

„ალმასო: ლალო:
ბადრო: შენ: სრულო:
მობრძანდი:“

შიო ხედავდა, რომ მის დიდ წინაპართა განთქმული სახელი, რომელსაც მან თავისი ნიჭით ახალი ბრწყინვალება და შარავანდედი შესძინა, ჩირადაც არავის უნდოდა. გული უკვდებოდა, რომ ეს სახელოსნო ალა-მაჰმად-ხანის რისხვას გადურჩა და ახლა მის ხელში იღუპებოდა. მაგრამ ხელოსნები მაინც იმდენ პატივსა სცემდნენ, რომ ერთხელ ოქრომჭედელთა ამქარმა ჯოხი იმასაც მიაყუდა და უსტაბაშობა შესთავაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარაშვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა,—ცოცხალის თავით არა ჰქნა. ბევრს ეხვეწნენ, ემუდარნენ, მაგრამ ერთხელ გაჭირზე გამდგარი კაცი ვერასგზით ვერ დაითათბირეს.

უსტაბაშობა დიდათ საპატიო წოდება იყო.

მას იმდენ ანგარიშს უწევდნენ, რომ ხელოსანთა ოჯახის საქმეებშიც შეეძლო ჩარეულიყო. ამას გარდა, ეს თანამდებობა სარფიანიც იყო. ბევრი ქრთამსა ხარჯავდა, რომ ეს ადგილი როგორმე დაეჭირა, — ამას ეხვეწებოდნენ და არა შვრებოდა.

— მე ერთი ცოლი მყავს, — ამბობდა ხუმრობით, — აი, მეორესაც შევირთავ და უსტაბაშადაც მაშინ დავდგები.

— რათა, ძია? — ეკითხებოდნენ გაკვირვებული შეგირდები.

— უსტაბაშობა მძიმე ვალია, შვილო. სინიდისთან მუდამ სუფთად უნდა იყო და სამართალიც სუფთად უნდა მოსჭრა. თუ ქარგლის ნამუშევარით არ დამტკიცდა, რომ ის მართლა ოსტატის სახელის საფერო კაცია, უსტაბაშმა დალოცვა არ უნდა იყაბულოს. თუ ეგრე გაისარჯე და სამართალიც სწორად მოსჭერ, გამწყრალი ქარგალი სულ გინებით აგიმყრალებს ცოლსა და დედას, რატომ ოსტატობა არ მიბოძაო.

რახან ამან არ ისურვა, რა გზა იყო, მეთაურად ისევ იმისი დოსტი ფუჩეჩაანთ ბეჩარა აირჩიეს.

შიოს მევალემ გაიგო თუ არა ეს ამბავი, სულ ცეცხლი ჰყარა პირიდან.

მისი უსტაბაშობის მოიმედე ვალის გასწორების თაბაუთში იყო და ახლა ამ უარით ყველა ვარაუდი ერთბაშად ეფუშებოდა.

გაბრაზებული თავისი კანონის ძალით კარს მიადგა, თავნის ოდენა ვახშსა სთხოვდა და მით, ისედაც გაჭირვებული კაცი, კიდევ უფრო უარეს დღეში ჩააგდო.

შეგირდებმა ოსტატი ამ გასაჭირში რომ დაინახეს, გადასწყვიტეს, თავთავისი წვითა და დაგვით ნაგროვები შეგირდანით გაემართათ ხელი, მაგრამ მან ცოცხალი თავით არა ჰქნა. გულიც მოუვიდა და, ვართანოვზე გაანჩხლებულმა, მთელი ჯავრი იმათზე იყარა. მერე ცოტათი რომ დამშვიდდა და გონს მოვიდა, ისევ ძველ დოსტებში დატრიალდა. აქეთ მოიწია, იქით მიიწია, ზოგი ისესხა, ზოგიც ოჯახის ნივთი გაჰყიდა და ვახში მამასისხლის ფასად გადაიხადა, მაგრამ რა გამოვიდა, — თავნი მაინც თავნად რჩებოდა. როგორმე იმასაც გაასწორებდა, რომ ეს ოხერი სოვდის საქმეები კიდევ უარესად არ წასვლოდა.

ძველებურ სამკაულს, მდაბიოთა გარდა, არავინ კადრულობდა, ყველას ვარშავისა და „ფრანციცული ფაბრიკის“ ნივთებში მისდიოდა სული.

ოსტატი ეხტაბარს მაინც არ იტეხდა და არც გასაჭირს უდებდა თავს.

— მე არც ვაჭარი ვარ და არც ნაობახი მაქვს, რომ ტუსაღის ტანისამოსივით მოურგებელი და ერთნაირი ასლის ასლი ნივთები დუქანში დავალაგო და ისა ვყიდო, — იტყოდა ხოლმე და თან თავს სინანულით იქნევდა.

5.

შვილის ნახვას დანატრებულ ოსტატს შეგირდებიც ებრალებოდა და, თუ რომელიმე მათგანი შაბათ საღამოს, ნაშაბაშევზე, ოჯახში მოინდომებდა წასვლას, სურვილს მაშინვე აუსრულებდა.

თედოს დედმამაც იქვე ცხოვრობდა, მაგრამ მას მშობლებთანა და ტოლ-ამხანაგებთან ყოფნაზე უფრო ფუჩეჩაანთ ქალი გულნარა იზიდავდა.

ის არდასარჩენი, გოგო იყო, რა გოგო, — ნაინატრი და აზიზად ნაზარდი! ჯერ თორმეტი წელიწადიც არ შესრულებოდა, ჯერ ბიჭურად ტანცინილი ხეხელა ტანი ისე მიამიტად ერხეოდა და მის ქცევასა და თავის დაჭერაში თავისდა უნებურად იმდენი ქალური სილბილე გამოჭკრავდა, რომ კვირაში ერთხელ შინ სტუმრად ამოსულ თედოს სულ იმასთან უნდოდა ყოფნა.

ახტაჯანა და თავქეიფა გოგონას მისი ხარბად მოჩერებული თვალების გადამკიდე თავი ლაღად ვერ ეჭირა და მუხლის თავებამდე აცურებული მოკლე კაბის წარამარა ჩაწევას უნდებოდა. ის კი თავისას მაინც არ იშლიდა, მის გულისწყრომასაც არად აგდებდა, რადგან მასთან ყოფნით ის ვნებები, მარტოსულობა და უსიამოვნება, სახელოსნოში რომ განიცადა, ერთბაშად ავიწყდებოდა. თავისი ჟინიანობით ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ თავგაბეზრებული გოგო ახლოსაც არ იკარებდა. ამ სიძულილს ახლა ისიც ამწვავებდა, რომ მას, როგორც ცხოვრების გზაზე უკვე გასულსა და ხელობაშიც სახელ მოხვეჭილს, თავი აქაც ამაყად ეჭირა.

გულნარას ყველაზე უფრო ის აბრაზებდა, რომ კარგად იცოდა მისი ხელობის ფასი. თვითონ ჯავაირჩის შვილი იყო და ჩვილობიდანვე იშვიათ ნივთებში თვალდაგეშილი რას მოტყუვდებოდა. ახლა ამას ისიც დაერთო, რომ ამ „უბადლო ოსტატმა“ ყველაზე მეტად მისი გულითადი მეგობარი, ხანდამაანთ პატარა ვანო, აიხირა.

ვანოს მამა ერთ დროს თურმე მღებარი იყო.

ცოლის სიკვდილს შემდეგ თავბრუს ხვევა დასჩემდა და სახურავებსა და მრავალსართულიან სახლთა შუშაბანდებზე სამუშაოდ ასვლას ვერა ბედავდა. სიყრმითგანვე ნაჩვევ ხელობაზე გული აეგდო და ადელხანოვის ფეხსაცმელების ქარხანაში მუშად წასულიყო. ახლა იმისი დედისერთა შვილი ოქრომჭედლის ხელობის შესწავლაზე ოცნებობდა და, ვინ იცის, იქნებ, სულ იმიტომაც აითვალწუნა თედომ იგი, მით უფრო, რომ უსტაბაშის ქალის ჯავრსაც იმაზე ყრილობდა.

გულნარას სულით უნდოდა, რომ მისი გულის მურაზიც განთქმული ჯავაირჩი გამოსულიყო, იმდენად სახელოვანი, რომ იმ აბეზარას სახელი მალე მიეჩქმალა და ჯავრიც იმითი ამოეყარა. ეს სატიალე ვანო კი ჯერ იმდენად ბალღი იყო და თანაც მიამიტი, რომ არას ამჩნევდა. გაყოყლოჩინებულ ბიჭსაც იმდენს უთმობდა, რომ გულნარა ბრაზით გულს ასკდებოდა, მაგრამ ბოღმას გულშივ იკლავდა, რადგან მათ გადაკიდებასა და ამთავითვე ურთიერთშორის შუღლის ჩამოგდებას ერიდებოდა.

6.

ერთ შაბათ-საღამოს ისინი კუკუმალულობას თამაშობდნენ.

თედო „ბინაში“ კედლისაკენ პირშებრუნებული იდგა და თვალდახუჭული ყველას გასაგონად ხმამაღლა სთვლიდა.

გაფაციცებული ბავშვები შიშით, რომ მას შემდეგ ფეხის ხმით არ მოეკვლია, უჩუმრად დარბოდნენ. ფეხაკრეფით ხან აქეთ აწყდებოდნენ, ხან იქით და თან ცდილობდნენ, რაც შეიძლება, შეუმჩნეველი სამალავები მოეძებნათ.

ვანოც ჩქარობდა, მაგრამ, საიმედო საფარი რომ ვერ ეპოვნა, ეზოში ისევ გზაკვალარეული დაბორიალობდა. თედო თვლაში უკვე ოთხმოცამდე ავიდა, საცაა ასსაც მიაღწევდა და მერე გვიანღა იქნებოდა. მეტი დაყოვნების დრო აღარ იყო. სახლის გვერდით ერთი ფარღალალა ფიცრის სარაია იდგა, მაშინვე იმას მიაშურა და კარი ფრთხილად შეაღო.

— აქ მო, ვანოჯან... აქ მო... — მოესმა ბნელ კუნჭულიდან იდუმალად.

დააკვირდა, — გულნარა იყო. ტომრებს უკან ვიწრო კასრზე ეშმაკივით შეცუცქულიყო და ვანოსაც იქ ეპატიჟებოდა.

კარი ფიცხლავ მიხურა და მისკენ გაქანებულს ერთი ისეთი ზარდამცემი ჩხავილი მოესმა, რომ სიჩქარისაგან ისედაც გულაფორიაქებული ერთ ადგილას გაშეშდა. თურმე საბუდარში ერთი ოხერი კრუხი მჯდარიყო და ის აკრიახდა.

თავის შიშზე თვითონვე გაეღიმა.

სიცილისაგან გულნარაც ძლივს იკავებდა თავს, ფხუკუნობდა და თან მეგობარს კვიმატიანი თვალებით ისევ თავისაკენ იწვევდა.

ვანოსაც ბევრი არ უყოყმანია, მაშინვე მის გვერდით მოეწყო, მაგრამ ადგილი ისე ვიწრო აღმოჩნდა, რომ ორნი ძლივს თავსდებოდნენ. მიპატიჟებული ამხანაგი ძირს რომ არ გადავარდნილიყო, კისერზე ხელი მაგრა შემოჰხვია. ბიჭიც რომ აეკრა, თვითონაც არ იცოდა, რა დაემართა, გულაჩქარებულს გრძნობა იმნაირად მოერია, რომ თვითონვე შეეშინდა. უნდოდა ხელი გაეშვა, მაგრამ ვერ უშვებდა, უნდოდა გაეგდო, მაგრამ ვერ ელეოდა. დედაც უყვარდა, მამაც უყვარდა, მაგრამ ამგვარ ყოფას არც ერთი არ შეედრებოდა. ეშინოდა და თან უხაროდა, უხაროდა, რომ ასე ვიწროდ იყვნენ.

ობლობაში გაზრდილმა და ალერსს უჩვევმა ბიჭმა დოსტის გულისცემას ყური მიუგდო და ეს მღელვარება იმასაც გადაედო, გული მასაც ამოუჯდა. ამ კუნჭულშიც ისეთი სივიწროვე იყო, რომ ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

ფიცრის ფჭრღალალებში შემოტანებული საღამოს მზის ირიბული სხივები მიწაზე სათუთად გაქულულიყვნენ და კუთხეში ტკბილად მიკუნჭულებს სულ დაავიწყდათ, რომ კუკუმალულობას თამაშობდნენ, დაავიწყდათ, რომ თედოს თვლა უკვე დაესრულებინა და მათ გაფაციცებით ეძებდა.

— გულნარ... გულნარ... — უნდოდა ეთქვა ვანოს, შეედრებოდა, რას, თითონაც არ იცოდა, მაგარმ იმ ტურის შესაჭმელმა კრუხმა კვლავ ისე გაავებულად დაიკრიახა, რომ შემკრთალმა გოგონამ ბიჭს უნებურად ხელი უშვა, თავდავიწყებაში წასულ მეგობარს საყრდენი უცებ გამოეცალა და კასრიდან ძირს ზღართანი მოადინა.

გულნარამ შიშით ერთი შესძახა, მაგრამ დარწმუნდა თუ არა, რომ არაფერი სტკენია, სიცილი აუტყდა. კისკისებდა თავდაჭერილად, ფხუკუნებდა და თან ამხანაგს ადგომაში შველოდა, მაგრამ სიცილი შეღავათს არ აძლევდა. ვანოც იცინოდა და გოგოს შესაქცევად განზრახ იქცეოდა. ამ დროს გარედან მხიარული ყიჟინა მოესმათ.

ორნივ გასაფრდნენ.

მაშინვე ჯუჯრუტანებს მიაწყდნენ.

თედოს რამდენიმე დამალული უკვე ეპოვნა და ახლა ერთ იმათგანს დასაჭერად დასდევდა. ერთი შეხედვითვე ეტყობოდა, რომ განზრახ არ იჭერდა. ვანო აღტაცებული იყო მისი ამგვარი კეთილი საქციელით, რადგან ეგონა, რომ

პატარაობის გამო ზოგავდა. გულნარამ ერთი გახედა და შუბლის ოფლები მაშინვე გოროზად შეიკრა. მიხვდა, რომ ეს ფანდი იყო, კი არ მიხვდა,—იცოდნო, რისი ხრიკებიც იყო. თედოს მისი, გულნარას, პოვნა უნდოდა, მისი დაჭერის სურვილი ჰქონდა და იმიტომაც ექცეოდა ასე გულკეთილად იმ პატარასა.

ვანო ისევ აღტაცებით გასცქეროდა მოთამაშეებს. ბოლოს გულმა არ მოუთმინა:

— არა ხედავ, გოუ?

ბრაზით გაფითრებულ გოგონას რისხვის ალმურმა გადაჰკრა სახეზე.

— რასა, ბიჭო? — მოუჭრა სიტყვა უკმეხად.

— რასა და არა ხედავ, რა ბიჭია ეს ჩვენი თედო?

— იჰ, ერთი შენცა, დააჰ! — აუგო სიტყვა ამრეზილად.

ვანომ დოსტს გაკვირვებით შეხედა.

— ჰოოჰო! — არა სცხრებოდა გულნარა და რამდენიც მეტს ლაპარაკობდა, იმდენად უფრო ანჩხლდებოდა. — რა ეგრე მიცქერი, ბიჭო?

ვანოს ხმა ჩაუვარდა.

გაოცებისაგან არ იცოდა რა ეთქვა.

— გოგოუ... — ძლივს მოიბრუნა ენა პირში, — ეგრე რათ აიხირე ი ბიჭი, ჰა? ვფიქრობ, ვფიქრობ და აზრს ვერ მოვსულვარ.

— მეჯავრება! მეჯავრება და იმიტომ! — მიახალა გაბრაზებით და მერე გული მაზედაც მოუვიდა: — ეგეთი ნუ ხარ! — ამ სიტყვებზე წელანდელი ტკბილი წუთები გაახსენდა და უფრო მკვახედ შეუტია: — მე შენ გეუბნები, ეგეთი ნუ ხარ მეთქი!

— როგორი, გოგოუ?

— როგორი და იგეთი... აი, იგეთი... — მაგრამ ნამდვილად თითონაც არ იცოდა, როგორი და ახლა თავის თავზე გაგულისებულმა უფრო გაკაპასებით განაგრძო: — აი, იგეთი, რა ვქნა... იგეთი მეთქი, ბიჭოუ... აბა მე რა ვიცი, როგორი... — და ერთბაშად თვალგაბრწყინებულმა წამოიძახა: — აი, რბილი... რბილი კი არა, დონდლო, დონდლოი, თორემ, იცოდე, შენც შემჯავრდები, აი....

— მეცა?

— შენცა... შენცა...

— რათა, გულნარ?

— რათა და მათა! — მოუთავა ერთბაშად ანგარიში ამხანაგს და წინ გადმოყრილი ნაწნავები თავის გაქნევით უკან ისე მოუთმენლად გადაისროლა თითქოს მთელი ჯავრი მაზე უნდა ამოიყაროსო.

ნაწნავის წვერი ბიჭს სახეზე აეტლაშუნა და ვანო მიხვდა, რომ მისი დოსტი სახუმროდ არ იყო გაჯავრებული. მიხვდა, რომ სიჩუმე სჯობდა და ხმა მართლაც არ ამოუღია. სანამ ისინი ეგრე დავობდნენ, პოვნის ჯერი მათზედაც მიმდგარიყო.

ჩხუბში გართულებს თედო მოულოდნელად თავს წაადგათ, მაგრამ ეშმაკებს ეგრე ადვილად რას დაიჭერდა! ბალღები ხელში თაგვებივით გაუსხლტნენ და ეზოში სიცილ-ჟრიამულით გაცვივდნენ.

გაანცებულ გულნარას უცებ დაავიწყდა ის თავისი ბრაზი. დრო იხელთა, „ბინისაკენ“ ჩაუჭრელად გაქანდა და მით თედო პირში ჩალაგამოვლებული

დასტოვა. დანიშნულ ადგილას რომ მიირბინა, უცებ შემობრუნდა. აღელვებული, სირბილით აქოშინებული მაინც არა ცხრებოდა და ერთ ადგილას გიჟმაჟურად ხტოდა. თან ყვიროდა, ხიფათში ჩავარდნილ ვანოს ეშველებოდა და თან გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ გადაუღობეს გზა მის ამხანაგს და მისკენ არ უშვებდნენ.

თედო ჯერ ისედაც გაწბილებული იყო იმით, რომ გულნარა ხელთ ვერ იგდო. ახლა გვიან, მაგრამ მაინც გაისაზრა, რომ ისინი რატომღაც ერთად დამალულიყვნენ. გულში ეჭვებმა დანასავით დაუარეს და, ბრაზით ანთებული, პატარა ბიჭს მოსისხლე მტერსავით დასდევდა. ვანო მარჯვედ უსხლტებოდა ხელში, გაბრაზებას ვერ ამჩნევდა და სიცილ-კისკისით იქაურობას იკლებდა. ბოლოს, როგორც იყო, კიბეებთან მიიმწყვდია და მარჯვენაში ხელი ისე გამეტებით დასტაცა, რომ კინალამ სახსარში ამოუგდო.

ვანომ ერთი გაოცებით ახედა და სახის იერი რისხვისაგან ერთბაშად გამოეცვალა, — მის დამჭერს თვალები მოწოლილი სისხლით ისე ბოროტად აგზნებოდა, რომ მიხვდა, თუ რათ ეჯავრებოდა იგი ასე ძლიერ მის ამხანაგს.

ტკივილისაგან გამწარებულმა მკლავი გამოსაგლეჯად მოიქნია, მაგრამ ვერ მოახერხა.

— ხელი გამიშვი მეთქი! — შეუტია განრისხებით და მეორე ხელი გასარტყმელად მოიქნია, მაგრამ თედომ მკლავ უფრო გამეტებით მოუგრიხა და აცდენილმა სილამ ჰაერში გაიშხუილა. გაგოროზებული გულნარა ამხანაგს გვერდში მაშინვე ქომაგად ამოუდგა და რისხვით ანთებული ლამაზი თვალები მოწინააღმდეგეს ისეთი ზიზღით შეანათა, რომ ჯავარაშვილს მარწუხივით ჩაჭიდებული ხელი თავისთავად გაეხსნა.

თამაში ჩაიფუშა.

7.

ერთი ისეთი ტკბილი ღამეთაგანი იყო, როგორიც თბილისში ასე ხშირად იცის ხოლმე. ცელქობით გააზატებულ ბალღებს შინ შესვლა ეზარებოდათ. ეზოში ერთადერთი ბუჩქად აყრილი დაგრეხილი ფშატი იდგა. სანამ მშობლები დასაძინებლად დაუძახებდნენ, მის ძირას ტიტველ მიწაზე თიკნებივით მიყრილიყვნენ და ტკბილად საუბრობდნენ.

ვანოს თავისი ბრაზი ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა. გაბუტული მხართეძოზე მოშორებით წამოწოლილიყო და მთვარით განათებული სახლებით ჩამწკრივებულ ქუჩის დაქანებას სევდიანად გასცქეროდა. ცისფერი სურაიანი აივნები მთვარის სხივებში ისე წყნარად ნანაობდნენ, გარინდებული ერთადერთი ალვის ხეც ისე საოცნებლად ამართულიყო, რომ მოჯადოებულს დღეევანდელი უმძრახობა სულ გადაავიწყდა. ლეგა-იისფრად დაბინდული მთაწმინდა თბილისს გაშლილ ფრთასავით წამოჰფარებოდა. ჭრიჭინებიც ისეთი თავდავიწყებით ხმაურობდნენ, თითქოს გვალვით თვრებოდნენ და ვარსკვლავებით მოჭიქულ ბოთლისფერ ცას დიდების ღაღადისით მიმართავდნენ.

საიდანღაც დუდუკის სევდიანი ზუზუნი მოისმა და მოსირმულ ცისიერში ისიც ტკბილი ღაღადისით მიემართებოდა.

ვანოს ეგონა, რომ ყოველ ადამიანს თავისი ბედის ვარსკვლავი უნათებდა მომავალს. ზოგი მათგანი საწყლად იბეჭუტებოდა, ზოგი ქრებოდა, კვლავ ინთე-

ბოდა, კვლავ ციაგებდა და მერე, მოწყვეტილი და განივრად გაქნეული, მუგუ-ზალივით სერავდა ბნელსა.

თავის ბედზე ერთი ყველაზე ჭიატა მანათობელი იმასაც ეყავდა აჩემებული და იმედის თვალით შესცქეროდა. და მაშინ, როცა ის ასე მიტოვებულად გრძნობდა თავს, გულნარა ტოლ-სწორებში არხეინად ჩამჯდარიყო და ისე უდარდელად კისკისებდა, რომ გული უნებურად აუდუღდა.

„შენ აზრუმის ცისკარი ხარ,
გულნარა...
მანათობლად ამომხდარი,
გულნარა...“

ამოხდა თავისთავად და რატომღაც ისე წარმოიდგინა, თითქოს აზრუმი ესცა იყო და... გულნარა იმისი ბედის ვარსკვლავი.

აივნებზე მსხდომარენი გაჩქურდნენ, არსაიდან ჩქამი არ მოისმოდა.

სიმღერა ჯერ დაწყებულიც არ იყო, რომ კიდევაც მიწყდა, — მომღერალი თავისმავე ხმამ გამოარკვია და ის იყო მიყუჩდა, რომ თედოს გაბოროტებული ყვირილიც გაისმა:

— ხმა ჩაიწყვიტე, ხმა, შე ლაწირაკო, შენა! — მაგრამ გვიანღა იყო, ვანო უკვე ალარ მღეროდა. არც განძრეულა იმ ყვირილზე, იჯდა და ნანობდა, რომ სიმღერა ასე ადრე დაასრულა.

ქუჩას გახედა, — თავქვეზე მთვარით გაშუქებული გულნარა შინისაკენ ნელი ტორტმანით მიდიოდა და თავი რატომღაც მხრებში ჩაეტანა.

8.

სამ წელიწადში სამჯერ იბრძოლა დნგრამ საყველიერო დიდ კრივებში ქვემოუბნელებთან ერთად და მისი წყალობით სამივე გამარჯვება მის უბანსა ხედა წილად.

გულნარას მამას ნამდვილად ზაქარა ერქვა, მაგრამ თავისი სახელი ხშირად თვითონაც არ ახსოვდა, — არც იყო გასაკვირი: მთელი უბანი ნართაულად ფუჩეჩაანთ ბეჩარას ეძახდა, რადგან ერთი ჩია, კუსპარა და დალეული კაცი იყო. იგი დნგარს მოწინააღმდეგე თაბუნს ეკუთვნოდა და თავისიანთა ყოველ დამარცხებაზე სულ გამჩენსა და მირონს აგინებდა იმ „ხოროველას“, რატომ დედასთან ერთად ისიც თან არ გადაიტანაო.

საიდან არ მოჰყავდა მის საწინააღმდეგოდ განთქმული ფალავნები, „ფოშტითაც“ იწერდა და მათ პატივისცემაში უკანასკნელ გროშებს ხარჯავდა.

კაცი საცდელს არ აკლებდა, წელებზე ფეხს იდგამდა და მაინც არა გამოდიოდა-რა.

ერთხელ ვიღაც ბორჩალოელი თათარიც ჩამოიყვანა სოფელ ფახრალოდან, მაგრამ ტალავერის წყლის მდელოებში ლაღად ნაზარდმა ვაჟკაცმა დნგრას ძვრაც ვერ უყო. მებაღემ ყველა წიწილებივით შემოილალა ირგვლივ და შუა ქუჩაში მარტოდ დარჩა. ფუჩეჩაანთ ბეჩარა სულ გადაირია, უილაჯო ბრაზით სისხლი თვალებზე გადაეფარა.

— ოჰიი! — დაიკვნესა. — ეს რა შავ დღეს შევესწარ ამ სიბერეში! — გაანჩხლებული ბინიდან ძირს გადაფრინდა და კლდესავით დადგმულ ვაჟკაცს

ქორივით მიეჭრა. ერთი შეხტა, ფალავანს ცხვირში კბენა დაუპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. მოკრივემ კუსპარა კაცს ხელი ქინდრში ჩაავლო და ბავშვივით მაღლა აიტაცა. სასაცილოდ აფხარკალებული თავისსავე სახლთან დიხჯად შიიყვანა და ბანზე სათუთად ჩამოსვა. საპატიო კაცი იყო, აღსაჰკალი და სხვა არა ჰკადრა-რა, მაგრამ სამაგიეროდ გამარჯვებით გახარებულმა და გაოინბაზებულმა ქვემოუბნელებმა ჰკადრეს, მისი ჭალარა არად ჩააგდეს და თავს სიცილი დააყარეს.

ბეჩარა სირცხვილით აიძურწა, თავი მხრებში ჩარგო და ბანიდან თავის ეზოში გაწბილებული ჩაიპარა. შინ ძველებურ განიერ ტახტზე დაეგდო და სიმწრით გმინავდა, თან ბრაზით ალმა-დალმა გორავდა, მკლავებზე ხორცს კბილებით იგლეჯდა.

— ქა, ხატის ღვინო დაგილევია, თუ რა არი, შენს ნირზე რო არა ხარ? — ეკითხებოდა ფერშეცვლილი სახლობა.

— ვირის ეშმაკზე შემსვეს, დედაკაცო, ვირის ეშმაკზე! — ყვიროდა გაანჩხლებით და ტახტიდან ატაცებული სუზანი ბრაზით სულ ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

ჯალაბი მიხვდა, რამდენსაც დაუყვავებდნენ, იმდენი მეტად გაცეცხლდებოდა და ისევ გაცლა არჩია.

დნგრა ისევ მარტო იდგა შუა ქუჩაში და, გამოსვლა რომ ვერავინ გაბედა, თავის უბნელთა გამარჯვების ტომბახს არ მოუცადა, შინისაკენ განიერი ნაბიჯით გაეშურა.

— მთელ ქონებას გადავაგებ, მეც ქვეშ გავეგები, ოღონდ მაგის ჯავრს ნუ შემაჭმევთ! მაშ მოკვდეს საწყალი ბეჩარა, თუ დაპირება არ შეასრულოს! მთხოვოს, რაც უნდა, — ჩიტის რძე რაა, იმას ვუშოვი, ოღონდ ეს სიბერის დღეები ნუ ჩამშხამდება! — ჩიოდა, ყვიროდა მაგრამ მანუგეშებელი არავინ ჩნდებოდა.

ჯერ ისედაც არ იყო კაცი, ახლა სულ ჩამოხმა, მართლაც ფუჩეჩს დაემსგავსა და ის თავისი სიცოცხლის გამხარებელი დედის ერთა შვილი ნუგეშად რომ არა ჰყოლოდა, ვინ იცის, რა დაემართებოდა.

უცხო კაცს რომ ნახავდა, ყველაზე უწინ იმას ჰკითხავდა:

— გეთაყვა, სადმე კარგი დამრტყმელი ხო არ იცი?

მთელ წელიწადს ლანდივით დადიოდა და მხოლოდ მომავალი საყველიერო კრივის იმედით-ღა ცოცხლობდა.

დნგრა კი თავისი მამლითა და სამი ვირით კრწანისში თავისთვის ცხოვრობდა. პირველად თავი იმასაც დიდად მოსწონდა ვაჟკაცობით, მაგრამ ბოლოს, ტოლი რომ ვერავინ დაუდო, მოიწყინა, შუბლი კუშტად შეიკრა და მერე არც გაცინებული უნახავს არავის.

— ქონდრის კაცებით აივსო ქვეყანა, პურს ტყუილად აფუჭებენ, მიწას ამძიმებენ.

თითქოს ბედმაც აბუჩად აიგდო, — ვეება კაცს რაღაც კიტრი, ტარხუნა და ბოლოკი მოჰყავდა, ხოლო ზამთარში ყვავილებსაცა ჰყიდდა.

კაცი რომ ვეღარ შეეპუა, ადგა და ისევ მიწას ეძგერა.

ორშაბათ დილით, მამალი რომ იყივლებდა, სამი ვირი და მათი ბედოვლათი პატრონი ბაღში ერთად გამოვიდოდნენ, — კვირაძალამდე თავაუღებლივ მუშაობდნენ.

ბარს რომ ფეხს დაჰკრავდა, ქვესკნელში ტარამდე ჩაჰყვებოდა ზამთრის ტენითა და ნაკელით ნასუქი მიწა დღის სინათლეზე გულ-ამობრუნებული ამოჰქონდა. ხანდახან შესდგებოდა და ქადასავით ნოყიერი მიწის სურნელებას ხარბად სუნთქავდა. მთელი დღეები წელს შრომით იწყვეტდა—თოხნიდა, ფოცხავდა, ბაღის ერთი პირიდან მეორემდე მაჯლაჯუნასავით დაებოტებოდა. მადლიერი დედამიწაც ერთიათად უნაზღაურებდა ამაგს. იმისი ხვავითა და ბარაქით დატვირთული სამი კოხტა ვირი, თბილისის ვიწრო ქუჩებს პაკა-პუკით რომ შეუდგებოდნენ, მათი პატრონიც მხარზე გადაკიდებულ ყანთარს არხეინად მიაჩხრიალებდა.

— ჰაი, პრასა, დანდური, ბოლოკი მოსულა! — გუგუნებდა სიონის ზარივით.

შაბათ დღეს შაბაშს დააყენებდა.

შინ ტიკით ღვინოს მოიტანდა, ირგვლივ თავის დიდყურა დოსტებს შემოიკრებდა და დილამდის მათთან ერთად დარდიანად ქეიფობდა.

— კაცი მე ვერ მერევა და ნადირი! — ყაყანებდა ლოთიან კამპანიაში.— რა კაცი ვარ? — და მერე ნაჩვევ ვირებს პირში ღვინოს ხელადით ასხამდა.

მამალი ყიოდა, ვირები ყროყინებდნენ და ყურებს იახშიოლის მაგიერ განივრად აბარტყუნებდნენ.

— ჭამეთ, გენაცვა, თქვენცა ჭამეთ, მეც მაჭამეთ! — არა სცხრებოდა ჟინში შესული დნგრა და ნალვინარზე ახლა პირში ტარხუნასა და სტაფილოს ატენიდა.

დარაანთ შიო ბევრს ემუდარა, ეხვეწა, მაგრამ არა გამოვიდა-რა, ეგრე ქეიფი ვერაფრით ვერ მოაშლევინა.

ყოველ კვირა დღეს ასე გაითენებდა.

მთვრალი ვირები ზურგზე კოტრიალებდნენ და ეშხში შესული მათი თამადა, რაც შეეძლო, ყვიროდა:

— კამპანიას გაუმარჯოს!

დილით ქალაქში ბაზრობა რომ გახურდებოდა, ეტლს დუდუკით ან არღნით წინ გაუშვებდა და თვითონაც უკან ეტლით მიჰყვებოდა.

— დნგრა მოდის, დნგრა!—იყო ყიჟინა, ალიაქოთი და მთელი უბანი ჭუჭულ-ბუჭულით აივნებზე, ბანებზე, ლობეებზე სიცილ-ხარხარით გადშოეფინებოდა.

9.

ყოველ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს, ერთი რამ ხინჯი თან დაჰყვება ხოლმე,—ის აკაცებს მას, იგივე უნახევრებს სიცოცხლეს. ერთი ხინჯი დნგრასაც ჰქონდა: საწყალი გულის კაცი იყო, — ბალღნი და პირუტყვნი ცოცხალ თავს ერჩივნა, მათთვის სული არ ეშურებოდა და, თვალში რომ ჩავარდნოდნენ, ხელს ტყუილად არ ამოისვამდა.

უბნის ცელქებმა მაშინვე აუღეს ალღო და, მის გუგუნს გაიგონებდნენ თუ არა, უკან აედევნებოდნენ.

— ძია, თუთა გვაჭამე, რაა!

მებალე შედგებოდა, თასაკიდან ფრთხილად ჩამოღებულ თაბახს ბუაში დარდიმანდულად ჩაუდგამდა და პატარა ღორმუცელების მადიან თქლაფვას ტკბილი ღიმილით უცქეროდა, ცქერით ვერა ძღებოდა, ბუბუნებდა ბალეებიან დათვივით ალერსიანად:

— სჭამეთ, გენაცვათ, სთქლაფეთ, თქვენ შემოგევლოთ თქვენი დნგრაი! ყველას გეყოფათ, ყველას გაგაძღებთ ამ დალოცვილი მიწისა და ჩემი ჯანის ბარაქა! სჭამეთ, მაგრამ, ეე, მსუნაგებო, კი არ წაიჩხუბოთ, არც გაწყინოთ, თორემ გაგებუტებით, თავის დღეში ხმას აღარ გაგცემთ. თქვენ რო ცოდო ხართ, მეც ცოდო ვარ, თქვენ რო გიხარიათ, მეც მიხარია. რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, იმ ღმერთს ეგრე გავუჩენივარ! — და მერე ისევ ხმამაღლა გაჰყვიროდა:

— ჰაი, თუთა მოსულა, თუთა, რა თუთა!

შეგვიანებული მსუნაგები გაფაციცებით მორბოდნენ ამ გუგუნზე, — ზოგი ღობეზე გადმოდიოდა, ზოგი ღობის ქვემოდან მოძვრებოდა, ზოგიც ბანიდან ხტებოდა და სირბილით გულამოვარდნილნი ქეიფში შესულ ამხანაგებს უერთდებოდნენ.

უბნის დედაკაცები ღიმილით შესცქეროდნენ მათ ამგვარ ყოფას და თან სიყვარულით დამდნარ მეხილეს ქოქოლას აყრიდნენ:

— იი, შენ კი გაჰქრი, შე ოტროველავ, აჰაანდე! იი, შენ კი გაგიწყრეს ი კარგი მამის სალოცავი, აჰაა! შეხეთ, ქაჯან, ერთი იმ ჯოჯოხეთის ანგელოზს დახედეთ, რა ყოფაშია, დაა!

მაგრამ დნგრა აინუნშიაც არ აგდებდა მათ წყევა-კრულვას, არც ეცალა იმათთვის. ისევ ღიმებოდა, ისევ ბუბუნებდა და თან დედის ძუძუზე წაკიდებულ ლეკვებივით აღრენილ ბავშვებს აწყნარებდა.

აკი იმიტომაც არა ჰქონდა ხილში ხეირი, მაგრამ ზარალს არად აგდებდა. მარტოხელა კაცი იყო, ხელის გულზე რომ დაესვათ, თავს იქაც დაირჩენდა.

ყველაზე მეტად მაინც გიგო მეწაღის ბიჭი უყვარდა. შავს გუდაღა ეშხიან თვალებს ხან კვიმატიანად რომ აცეცებდა და ხან კიდევ უფრო უბნელდებოდა. პატარა იყო, მაგრამ ხანდახან დიდი კაცივით იცოდა ჩაფიქრება, ციმციმა თვალებზე ბინდი ქუფრად გადაეკვროდა და გულიც ქუფრად ეხურებოდა.

— გაიცინე, ბიჭო, გაიხარე! — ემუდარებოდა მებალე.

მაგრამ არა გამოდიოდა-რა, ჩაფიქრებული ვანო სადღაც სხვაგან ბორიალებდა.

— ბიჭო, შენ გეუბნები, დაა! — მაინც არ ეშვებოდა. — მახათაზე დასახრჩობად ხო არავის მიჰყევხარ? ჯავრი მაშინაც გეყოფა, რო გაიზრდები, ამ ქვეყნის ავანჩავანსაც მაშინ გაიგებ, არც საფიქრალი გამოგელევა! ეხლა იცინე, ითამაშე, ეს თუთაცა სჭამე და ნორჩი გულიც შორი ქვეყნიდან მოფრენილი ჩიტივით გაიხარე! მეც ერთი ჩემი თავის უბედური რამა ვარ, მაგრამ ვის რა ვარგე, ვინ რა მარგო?

ბალღი ნაძალადევად ღიმებოდა და დნგრას კიდევ უფრო ემდურებოდა გული ამ ღიმილით.

— ვაიმე, ვაიმე, ესეც ვცხოვრობთ რაღა! კაცი ტირის, ბალღი ტირის, მუქთახორები იცინიან! ეიჰ, ეგეთ ცხოვრებასაც რა უთხარ, აჰაა! — და თავს

მწარე სინანულით რომ იქნევდა, უცებ გაშტერდა, — თაბახთან ჩაჩოქილ გულნარას ჟუჟუნა სვილისფერი თვალები ისე ეშხიანად მიჰბნედოდა, რომ შეშფოთებულმა შუბლზე ბარივით ხელი კანკალით გადაისვა.

— ოჰიი! — ამოიოხრა გულის სიღრმიდან. — გოგო, შე, არდასარჩენო, შენა, ეგრე ლამაზი რა დედამა გშობა? ეჰეი, ცოტაც და აივსები, დამშვენდები და ვაი იმ საწყალსა, ვისაც ემაგ ფოფინა თვალებით დაჰკოდავ! რა დღეში ჩავარდება ის უბედური, აჰაა! — და სავსედ დადგმული თაბახი ცარიელი აიღო, შინისაკენ გზას ოხვრა-გმინვით გაუდგა.

10.

გიგო ხანდამაშვილს ცოლი ადრე მოუკვდა.

დარდით გულგატეხილმა კაცმა მეორედ დაქორწინება აღარ ისურვა და ობოლი ქვრივ-ოხრობასა და სიღარიბეში ძლივს ამოზარდა. დღესა და ღამეს ადელხანოვის ფეხსაცმელის ქარხანაში ასწორებდა, მაგრამ რა ფაიდა იყო, როცა ნამუშევარი თვის დამლევამდე არა ჰყოფნიდა.

ადელხანოვთან ქარხანაში აუტანელი სივიწროვე და ჭუჭყი ხალხს შელავათს არ აძლევდა, ლოთობა და გადამდები სნეულება მუშებს მუსრს ავლებდა, ხვალინდელი დღის უიმედობა ხელსა სცარავდა.

დათხოვნილ მუშისაგან განთავისუფლებული ადგილის მოლოდინში ალაყაფის კარებთან აუარებელი ხალხი ირეოდა და ზოგი მათგანი გაჭირვებაში იმდენად ჩაფლულიყო, რომ გლახაობსაც არ თაკილობდა.

შაბათობით მათ მევალენი და მეწვრილმანენიც ემატებოდნენ, რომ მოწყალებასავით გაცემული ჯამაგირიდან გადარჩენილი ორიოდე გროში ახლა იმათ დაეცანცლათ ხელიდან.

ქარხანასთან ფულის მახედ რამდენიმე მიკიტნის სარდაფი და ერთიც კარგა მოზრდილი საყდარი იდგა. იმ დღეს ორივეს კარი ფართოდ იყო გაღებული, — მღვდელი წირავდა, მიკიტანი თლაშოის თლაშოიზე ასხამდა. ლოთები ყაყანებდნენ. არლანი ჭიჭყინებდა, ხოლო ეშხში შესული უსაქციელო ქალები ღვინისაგან დაბოხებული ხმით მამაკაცებივით გასჭყიოდნენ:

„წავალ, წავალ, არ დავდგები,
წავალ თათრის სოფელში...“

სამიკიტნოებთან და ქარხნის კარებთან მუშათა დაბეჩავებული ცოლები და შვილები მწუხარედ იდგნენ, თავიანთ მარჩენალ ქმრებს, მამებსა და ძმებს დალონებულნი ელოდნენ, რომ სასოებადაკარგულნი და დასალევად თავგაწეულნი უკმაყოფილო ყაყანითა და ტუქსვით შინ წაეყვანათ.

ყველა ასე ცხოვრობდა და არც გიგო ხანდამაშვილის ბედი იყო ილბლიან კალთაში ნატარები. კაცი შრომობდა, მთელი დღეები თავაუღებლივ ირჯებოდა და მაინც არა გამოდიოდა-რა, გაჭირვებიდან ვერაფრით ვერ ამოვიდა. სხვა გზა არ იყო, გადასწყვიტა, შვილი სადმე სამუშაოზე მოეწყო და მით ხარჯი და ბორჯი, ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა.

მართალია, ვანო ჯერ ბალღი იყო, მაგრამ თავისი ბიჭის მომავალზე ფიქრსა და თაბაუთს გიგო ადრევე შეუდგა. თავისი ვაგლახი ბედის განაჩენი იმდენად სძაგდა, რომ სულ იმ ოცნებაში იყო, როგორმე მისთვის სხვა სარფიანი

რამ ხელობა აერჩია. ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ შვილი ხელობის შესასწავლად შიო დარაშვილისათვის მიებარებინა, რადგან მისი ბადალი ხელოსანი სხვა არავინ ეგულებოდა, მაგრამ შეწუხებისა ერიდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბედსა ვცდი, იქნებ, ხათრი დამდოს, — მაინც არ დაბაძავს [illegible] და გადასწყვიტა პატარა ვანო იმასთან წაეყვანა.

მეორე დღეს ქარხანაში სამუშაოდ აღარ წასულა.

ჯერ გათენებულიც არ იყო, რომ, ადრე ღვიძილს ჩვეული, უკვე ფეხზე იდგა, მაგრამ გულდაგულ მძინარე შვილის გაღვიძება დაეწანა.

ტკბილი ძილით დამშვიდებული ბალღის სახე, წყნარი სუნთქვა და ოდნავ აბურცული ტუჩები იმდენ უმანკოებასა და უზრუნველობას გამოხატავდნენ, რომ გული ერთბაშად აუჩუყდა.

— ეძინოს, ცოდოა.

აუშლელ ლოგინზე მოცლილი კაცივით ჩამოჯდა.

იდაყვებით მუხლის თავებზე დაყრდნობილი და მუშაობით დაბებერავებული, ძარღვებით დაღვარჭნილი დიდი ხელები მოწყვეტით ჩაჰკიდა.

არასოდეს საქმის დღეს შინ ამ დროამდე არ დარჩენილა. მუდამ გათენებამდე დგებოდა, — ქარხნისაკენ ჯერ კიდევ ბნელში მიეშურებოდა.

თავის წარსულ დღესა და სოფელს თვალი წუთით რომ გადაავლო, შეეშინოდა, — მთელი ცხოვრება შრომა-ჯაფაში და გარჯილობაში უტარებია. ნუგეშად, სახალისოდ ერთი ბედნიერი დღე არ ახსოვდა. მომავალიც რომ გაითვალისწინა, მიმზიდველი ვერც იქ ნახა ვერაფერი.

— მეც მიცხოვრია რაღა! — წაიბურტყუნა სინანულით და უიმედობისაგან შუბლზე ჭირის ოფლმა ცივად გამოჟონა.

ჭერს ქვემოთ ვიწროდ გამოჭრილ სარკმელს ახედა, დღის სინათლე ოთახში მღვრიე წყლისფრად ატანდა ოდნავ, — გათენებულიყო.

— ადე, ბიჭო! — სთქვა ხმამაღლა, მაგრამ ბავშვს ისე ღრმად ეძინა, რომ არ გაუგონია. — ბიჭო, გეყო ბალღობა! ადე, ცხოვრებაში ფეხი უნდა შედგა. — დასძინა ისე გულჩათხრობილად, თითქოს თავის თავს მიმართავდა.

ვანო შეიშმუშნა და, რომ წამოიწია, თვალები მხოლოდ მაშინ გაახილა. მამას ერთი უსაგნოდ მიაჩერდა, მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა, ისევ დაეცა და დაეძინა. მხოლოდ მზემოკიდებული, ლაღად ნაზარდი ცალი ფეხი გამოჰყო საბნის ქვემოდან, — ალბათ, სცხელოდა.

გიგომ უცქირა. უცქირა და ნაღვლიანად გაეღიმა.

— ცოტაც იძინოს, ადრე ადგომა მერმეც ეყოფა.

ხელის ჩაქნევით წამოდგა და კარს მიაშურა, მაგრამ შედგა, ისევ მობრუნდა, ჭრაქი ჩააქრო და ღია აივანზე ნელი ნაბიჯით გავიდა.

გარეთ ჯერ ისევ გრილოდა. ღილის ჰაერი იმდენად იამა, რომ ღრმად ჩაისუნთქა.

მამაკაცები და მოზრდილნი შინ აღარ იყვნენ. ყველა სამუშაოზე, დღიურ ქირაზე გაკრეფილიყო. ეს ხუხულა ძველისძველი სახლი და ხელისგულის ოდენა ეზო დავლად ბალღებსა და დიასახლისებს დარჩენოდათ. მამაკაცთაგან მხოლოდ ის იყო შინ. — დღეისათვის თავი საგანგებოდ გაინთავისუფლა, საქმის დღე გააცდინა, რომ შვილი ცხოვრების გზაზე გაეყვანა.

მახლობელ ოთახიდან ვიღაცის ჩახლანძული ყვირილი მოესმა, რავი მარტო ეგონა და თურმე, მის გარდა, კიდევ ყოფილა შინ ერთი მარჩენალი. ყური მიუგდო, — მთვრალი მეზობელი კედელზე მუშტებს ურტყამდა, აბრაგუნებდა და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ღრიალებდა.

— არ დავლიო? არ დავლიო? მაშ რა ვქნა, შე ღმერთძაღლო, შენა? მე ვარ და დავლევ... მე ვარ და გავილეშები...

ეზოში კი მისი გოგონა გულის შემაწუხებლად ღნაოდა, — შიოდა, პურს თხოულობდა. საწყალი, ისე პატარა იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა. გამწარებული დედა კაპასობდა და ორივეს, შვილსა და გალეშილ ქმარს, აივნიდან წყევა-კრულვით უმასპინძლდებოდა.

გიგოს გული სიბრალულით აევსო. შინიდან პურის ნატეხი და ცოტა ყველი გამოიტანა.

ლოგინიდან ახლად ამდგარი მეზობლის ფეხშიშველა ბავშვები ერთადერთი ფშატის ხის ძირას უხალისოდ თამაშობდნენ. ერთ მათგანს დაუძახა და მისი ხელით პური გაუგზავნა.

მზე თანდათან ძალიანდებოდა.

გარეთ გამოფენილ დედაკაცთა ყაყანი და ბალღთა ჟრიამული თანდათან მატულობდა. სარეცხსა ჰფენდნენ, დაკონკილ საბნებს ჩრდილში ამზეურებდნენ, რადგან, ირგვლივ შემოზღუდული სახლების გამო მზე ეზოში ველარ ატანდა. თუნუქის სათლებიც აჟღრიალდნენ, — ახალგაზდები მტკვარზე წყლის ამოსატანად მიდიოდნენ.

თუ იქ, ქარხანაში, ტყავისა და სათრიმლავი კასრების მაბრუებელი სუნი ახრჩობდა, აქ ნესტისა და ნარეცხი წყლის შმორი უხუთავდა სუნთქვას.

— არ დავლიო? არ დავლიო? მაშ რა ვქნა, შე ღმერთძაღლო, შენა!— ყაყანებდა ისევ ჭირვეულად ის ლოთი მეზობელი, მაგრამ ვანოს ისე ღრმად ეძინა, რომ მაინც არ ეღვიძებოდა.

დღევანდელი დღის მოლოდინით აგზნებულ ბალღს წუხელ ძილი სულმთლად გაუფრთხა, გვიანამდე არ დაუძინია. მთელი ღამე რაღაც აბდაუბდას სულმოუბრუნებლად ტიტინებდა.

მამამ ერთხანს ალერსიანი ღიმილით უსმინა, უსმინა და თან თვალი ცრემლით ევსებოდა.

ბევრი აწყნარა, ბევრს ემუდარა, ხან გაუჯავრდა, ხან დაუყვავა, მაგრამ ვერაფრით ვერ გააჩუმა. ბოლოს, სულ ენად რომ გაიკრიფა, მოთმინებიდან გამოვიდა.

— ბიჭო, ძალა ნუ წაიღე მეთქი, დაა! დაიძინე, ხვალ ადრე ხარ ასადგომი! — შეუტია ისე ტლანქად, რომ პატარამ შუბლი ერთბაშად შეიკრა. თვალები ცრემლით აევსო და კინაღამ ატირდა. გულისთქმა მალე დაიოკა და ისე სთქვა გულისმომკვლელი საყვედურით:

— ვა, თუ კი არ მეძინება! — და ერთი წუთის წინ მერცხალივით აჟღურტულებული ბიჭი უცებ ჩაიფუფქა, ხმა ჩაიწყვიტა.

გიგოს გული სიბრალულით აევსო, მაგრამ შუბლი მაინც არ გაუხსნა.

ნაშუაღამევამდე შამფურივით იტრიალა გაბუტულმა ბალღმა. მარჯვენა გვერდზე დაწვა, — არ ეხერხა, მარცხნივ გადაბრუნდა, — ვერც ასე მოეწყო,

ბოლოს დაღლილობამ მაინც თავისი გაიტანა და, როგორც იყო, დაეძინა. ახლა წუხანდელ დანაკლისს ამ დილის ძილით ივსებდა.

— მეც ეგრე თამაშობა მეგონა ერთ დროს ეს ცხოვრება, — სთქვა და თავისივე ხმით გამორკვეულმა აქეთ-იქით შეშფოთებულად მიიხედ-მოიხედა, გიჟი არავის ვეგონოვო.

ვერცხლისფერ ფშატის კენწეროს მზე მაღლა წამოსდგომოდა. დილა საკმაოდ მოძალებულიყო.

— აქ არ დავგვიანდე, დაა! — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა და ისევ თავის აგურის იატაკიან ბნელ ოთახში შებრუნდა.

ვანოს ეღვიძა.

მშობლის დანახვაზე თვალები გაკვირვებით დააჭყიტა. ერთხანს გონს ვერ მოვიდა. მარტო გაღვიძებას ჩვეულმა უცებ ვერ მოისაზრა, მამა ქარხანაში რათ არ წასულიყო.

— ავათ ხო არა ვარ? — შიშით გაუელვა, მაგრამ ერთბაშად გაახსენდა, რომ დღეს ოსტატთან უნდა წასულიყო და ხელობის სწავლა დაეწყო.

ფიცხლავ წამოხტა და ტანთ საჩქაროდ ჩაიცვა.

პურიც სახელდახელოდ სჭამეს.

ეზოში რომ გავიდნენ, ბინას მოხედა, — დღეს პირველად დაკეტეს ოთახი.

გუშინ ნაყიდი ახალი კლიტე რაზაზე თვალის მომჭრელად ბრჭყვიალებდა.

მისი ტოლები, რომლებიც ჯერ კიდე მასავით ცხოვრების გზას არ დასდგომოდნენ, ისევ ფშატის ძირას იდგნენ და დაღვრემილნი მიმავალ ამხანაგს შუბლქვემოდან გამომზირალი ნაღვლიანი თვალებით უბრად აცილებდნენ.

მიტოვებული ტრუზი გაკროლილი კაკლები ისევ რიგში ეწყო და ერთი კოჭიც ცოტა მოშორებით თოხანზე იჯდა.

გიგომ გახედა კაკლებს, გახედა ბალღებს და ერთბაშად გული ამოუჯდა. მუდამ ცელქნი და აჟრიამულებულნი, ახლა უძრავად იდგნენ, — ენა მუცელში ჩავარდნოდათ.

ერთ მათგანს გულმა არ მოუთმინა, ორიოდე ნაბიჯით წინ წამოვიდა, მაგრამ შეყოყმანდა, თავდახრილი შედგა.

— მიდიხარ, ბიჭო? — ისეთი მიამიტი გრძნობით გასძახა, რომ გიგოს სიბრალულით გულღვიძლი დაეწვა, მღელვარება რომ დაეფარა, შვილს წინ გაასწრო და თავქვეზე თავჩაღუნული დაეშვა.

— ჰოონდე! — გასძახა ვანომ ნაგვიანევად.

სხვა არა უთქვამს რა, — ცრემლებმა ყელი გადაუკეტეს.

ერთ ადგილას ტარაბუასავით დატრიალდა. უნდოდა მათკენ გაქანებულიყო, — გადაიფიქრა, უნდოდა შინ გაქცეულიყო, — ესეც გადაიფიქრა, რატომღაც ხელები აიქნია, კიდევ აიქნია, უცებ შებრუნდა და მამას კვიცივით აედევნა.

11.

დარაშვილს მეგობრის შვილზე დიდიხანია რაც თვალი რჩებოდა. ახლა კიდევ უფრო მოეწონა, მაგრამ შეგირდად მაინც არ დაიტოვა. ვინცა ჰყავდა, ჯერ იმათ დათხოვასაც აპირებდა და ახალს რა თავში იხლიდა.

დოსტი სულ მაინც ვერ გააწბილა და თავისი სახელით ფუჩეჩაანთსა გაგზავნა.

ვანოს გული დიდად დასწყდა, დარაშვილისაგან ხელობის სწავლის ნატვრა რომ არ აუსრულდა, მაგრამ ყველაზე მწარედ მაინც თედო ჯაგარაშვილის დამცინავი ღიმილი ჩარჩა მეხსიერებაში. მამასთან ერთად გარეთ რომ გამოდიოდა, გულმა არ მოუთმინა და ერთხელ კიდევ მოიხედა — ერთხელ კიდევ შეავლო თვალი. ბიჭს თავი დაზგაში ჩაერგო და იქიდან ისე გესლიანად იცქირებოდა, რომ სასოწარკვეთილებისაგან ცრემლები მოერია.

გზაში გული მალე მოუშუშდა, რადგან მამას ბეჩარასთან მიჰყავდა და თავი იმითი ინუგეშა რომ გულნარასთან ხშირად იქნებოდა.

ბეჩარამ დიდი ხალისით მიიღო ისინი, რადგან ეს ერთი ხანია უშეგირდოდ იყო. თავისი საფერო ვერ ეშოვა და მარტო მუშაობთ თავი ჰქონდა გაბეზრებული. აი, მარჯვე დროც დაუდგა, ყმაწვილს ისიც კარგად სცნობდა, ახლა ქალიშვილიც შეუჩნდა და ხანდამაანთ პატარა ვანო შეგირდად დაიტოვა.

ბედად, საქმეშიც კარგი ბიჭი გამოდგა, — მუყაითი და საზრისიანი. ერთხელ აუხსნიდა, გამეორება აღარ სჭირდებოდა, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა: ყველა საქმე ერთნაირად ემარჯვებოდა, ნიჭსა და უნარს უყაირათოდ ფლანგავდა. რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ მისი ხელიდან არ გამოსულიყო. ხატვა, სიმღერა, ვისიმე ხმისა და საქციელის გამოჯავრება. ხეს უბრალო დანით ისე გათლიდა, რომ კაი ხარატი ვერ აჯობებდა. ოსტატის ქალს აყალო მიწისაგან ან პურის გულისაგან ერთიმეორეზე უკეთესსა და სასაცილო თოჯინებს უძერწავდა და გამლხვალ ლითონისაგან ათასნაირ ზღაპრულ ცხოველებსა და გველეშაპებს ჩამოასხამდა.

ოსტატის სახლში რამდენიმე ჩაგლეჯილი სელის სკამი ეგდო, ფეხებში ყველას უსარგებლოდ ედებოდა. არც სახმარად ვარგოდა და გადასაყრელადაც ენანებოდა. დააკვირდა, გაისაზრა და მერე სადღაც სელი იშოვა. გვერდით გულნარა მოისვა, იმასაც აუხსნა და ორთავემ სიცილით, თამაშობით ისევ ამოქსოვეს.

შეგირდის ეს თვისება დიდად მოსწონდა ბეჩარას და ხელობის სწავლების ძაგიერ სულ ოჯახში ატრიალებდა. თვითონ კი სახელოსნოში ისევ მარტოდ ჩუშაობდა, მუშაობდა და თან სულ იმის ვარაუდში იყო. სად ეპოვა ისეთი ფალავანი, რომ თავის უბანთან ერთად ჩავარდნილ სირცხვილიდან ამოსულიყო.

შინ ერთი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნებით სავსე სკივრი ედგა.

შეგირდი და ოსტატის ქალი, თუ არ თამაშობდნენ, სახურავ ქვეშ, ჩარდახში, ერთად ისხდნენ და ვარდ-ბულბულიანს, ყარამანიანს, შამი-ფარვანიანს, ჩარ-დავრიშიანს და მდივანოვის კალენდარს ხმამაღლა გატაცებით კითხულობდნენ.

ღამით ვანოს სახელოსნოში ეძინა და ეს წიგნები პატრონის ნამალავად ყოველ დღე თითო-თითოდ იქ მიჰქონდა. ყველას რომ ეძინა, ის კითხვით იბნელებდა თვალებს. საკითხავ წიგნებს არც მამა აკლებდა, მაგრამ იქ სულ სხვა ამბები ეწერა. „ოთხი ძმა“, „ობობა და ბუზი“, „ცბიერი მექანიკა“. ქარხანაში ეს წიგნები ნამალავად ვრცელდებოდა, იქიდან ქალაქსაც ედებოდა და მდაბიო მოსახლეობა ნელ-ნელა საზრისში მოდიოდა, ცხოვრების უკეთესობის მართლაც ცბიერ მექანიკაში თანდათან ერკვეოდა.

ვანოს, თუ საკითხავი არა ჰქონდა-რა, მთელ ღამეებს ოცნებობდა.

ძვირფას ნივთთა რკინის ყუთს მორგებული გასაღებით ჩუმად აღებდა და თავს მათი ბრწყინვალებითა და პეწით ირთობდა.

თვალის მომჭრელ ძვირფას თვლებს ლოგინში ერთად ჩაიყრიდა და ჭრაქის სინათლეზე ათასრიგად აწყობდა. ერთურთს უხამებდა და მათი შნო და ლაზათი გულს სიამით უვსებდა. ყოველ ნივთს თავისი სახელი ჰქონდა, ზოგს უბრალო, ზოგს საკვირველი და ზოგს ფარშავანგის ბოლოსავით ჭრელი და გრძელი. ყოველ ქვას თავისი შნო და ეშხი ამშვენებდა. ძველი მეგობრებივით ყველას საკუთარ სახელს ეძახდა, ზოგს კნინად, ზოგს გადაპრანჭულად, თავს ეკლებოდა, ეამუდარებოდა, იცინოდა, შუბლი კუშტად ეკვრებოდა და ამ უცხო და საოცარ ქვეყანაში თავს ბედნიერად გრძნობდა. ბადახშანის ყირმიზი ლალები, ბოლისფერი ხოშორი მარგალიტები, ნიშაბურის ცისფერი ფირუზები, ციმბირის აყიყები, გილანური ოქროს ღილები, ფიფინები, ბირკები, ხრიკები და მურასა სინსილები. ფრცხილი და იაგუნდი ცეცხლივით კიანთებდნენ, ზურმუხტნი, საფირონნი, სარდიონნი და იასპები ერთურთს წყალსა და შუქს თვალის მიმტაცებელი ბრწყინვალებით აფრქვევდნენ, ცდილობდნენ ერთურთის ლაზათი დაეჩრდილათ და მით უფრო მეტად მშვენდებოდნენ. და ასე, მათი განლაგებითა და მრავალრიგი წყობით დაღლილს ძილი უჩუმრად წამოეპარებოდა, სიზმარშიაც მათ ხედავდა. ხედავდა, როგორ დაბრძანდებოდა მათ შორის მისი ვარსკვლავი აზრუმისა და, ნაირფერ სხივთა სიმრავლით მწყაზრად ნაფრქვევს, სულიც მწყაზრად უკიაფებდა.

ბეჩარა ერთი-ორჯერ შეესწრო შეგირდს ამგვარ შექცევაში. გაბრაზებულმა კარგა ლაზათიანად სცემა, მაგრამ არა გაუვიდა-რა. ბოლოს, როცა შეატყო, რომ არა ეკარგებოდა-რა, ადგა და გაჯიუტებულ ბიჭს თავი გაანება.

ხანდახან ვანოს ისეთი ჟინი წამოუვლიდა, რომ მთელი დღეები სახელოსნოში ტრიალებდა, მუშაობდა, ქურასა და დაზგას თავაუღებლივ ჩასჩიჩინებდა.

არც ტოლ-ამხანაგების მოწოდება, არც გულნარას ხვეწნა-მუდარა და არც აღის ტუქსვა და წყრომა იმაზე არ მოქმედებდა.

დილიდან დაღამებამდე რაღაც ნივთს აკეთებდა, ჩაჰკირკიტებდა და ბოლოს, საქმეს რომ მორჩებოდა, ანდა თავი გაბეზრდებოდა, გაანჩხლებული, იმედდაკარგული იმდენი ხნის ნაშრომს ჩაქუჩით ამტვრევდა. მერე სახელოსნოში თოკით რომ დაებათ, მაინც არ მოიცდიდა. იმდენად სძაგდა და აბრაზებდა იქაურობა, რომ ადრე გათენებას ნატრობდა, რათა მალე გასცლოდა სახელოსნოს და გულნარასთან თავდავიწყებულ თამაშობაში გაექარვებინა ის დარდი, გულში ჭიად რომ ჩასჯდომოდა.

უბან-უბან ერთად ლაღად დარბოდნენ, თამაშობდნენ და ისიც ცქრიალებდა მანამ, სანამ ის ოხერი ჟინი ისევ არ წამოუვლიდა და ისევ თავიდან არ დაიწყებდა ის ტანჯვა-წამება და თავაუღებელი მუშაობა. ისევ ირჯებოდა, ამოჩეჩებულ აზრს ისევ თავს აკლავდა. უნდოდა, რომ ეს აზრი საუცხოვო რამ ნივთად ჩამოექნა, მაგრამ არა გამოდიოდა-რა. კვლავ რწმუნდებოდა, რომ აზრი უმწიფრი იყო, ხელი მიამიტი და ნივთსაც ლაზათი და სილრმე აკლდებოდა. გულს ერჩოდა და უნარი არა ჰყოფნიდა. იმედ-დაკარგული, ისევ უსასოო და თავისი თავით მოტყუებულილ ხელს უიმედოდ იქნევდა. სადმე მარტო მიკუნჭული ჩუმად ტიროდა, ნანობდა, რომ ასეთ ძნელ ხელობას ჩაეჭიდა და მამას ქარხანაში მეწაღედ არ გაჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12.

ერთ დღეს მათთან შიომ შეიარა.

ვილაც დიდკაცის დაკვეთა ჰქონდა აღებული და მისთვის დოსტ ხელოსნებში შესაფერი სიმწყაზრისა და სიდიდის იასპის ქვას ეძებდა.

სახელოსნოში შესულიც არ იყო, რომ შორიდანვე თავისი მეგობრის შვილის ნამუშევარი მოხვდა თვალში.

ხელში აიღო, ჩვეულებრივი ყურადღებით სინჯვა დაუწყო.

ბეჩარას ფერი ეცვალა, რადგან ოსტატი ძალზე მკაცრი იყო და სიტყვა-პასუხშიც დაურიდებელი. ტრელობასა და დაუდევრობას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, არავის შეარჩენდა, სათქმელს მაშინვე პირში მიახლიდა.

დარაშვილი არ ჩქარობდა.

თითქოს დაავიწყდა კიდევაც, რისთვის იყო მოსული.

ნივთი იქით გადასდო და ახლა სხვა აიღო. ისიც გადასდო და კიდევ სხვა აიღო. მერე ისევ პირველს მიუბრუნდა, ერთხელ კიდევ შეატრიალა ხელში მუშტრის თვალით, ქვებს შანდაგი და წყალი გაუსინჯა, ჩუქურთმებს კილო და შეხამება, მერე ერთი მძიმედ ამოიხვნეშა და იერიანი ღიმილით ამოხდა:

— ბარაქალა! — და კმაყოფილება რუსულითაც დაადასტურა:—ნიჩავოო!

ბეჩარამ და იმისმა შეგირდმა თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ ოსტატი არა ჩქარობდა. სახეზე დამცინავმა ღიმილმა ოდნავ გადაუქროლა. ბიჭის ბრავალმხრივი უნარი და ღობე-ყორეს მოდებული საქმიანობა ჭკუაში არც იმას დაუჯდა. ზოგი მათგანი ჩამოსხმული იყო, ზოგი ამობერვით ნაჭედი, ზოგი ნასევადები და ზოგიც ზარნიშიანი.

მის დაგეშილ თვალებს რა გამოეპარებოდა, — მაშინვე იგრძნო დიდი ნიჭი, ნიჭი ნიაღვარივით მოვარდნილი და უწვრთნელი, მაგრამ უხელმძღვანელოდ ეს ნიჭი ჯერ კიდევ ნიაღვარივითვე ზედაპირული იყო, უმწიფარი და გულის სიღრმემდე ვერ ატანდა, — მოწყურებულ ფესვებს მშრალად სტოვებდა. დაენანა ახალგაზრდისაგან გამოუცდელობის გამო თავისი თავისადმი ეგრე უყაირათოდ მოპყრობა.

ბეჩარას ერთი ქუშად გადახედა და ისე სთქვა, თითქოს იმას მიმართავდა:

— ბიჭო, თითო გოგრიდან თითო ჭკუა გამოდის. თავი დაზოგე, თორემ ცოდო ხარ, ადრე დაიგვალვები. ჯერ ერთ დარგს ჩაეჭიდე და, რომ ისწავლო, ხელი გაიმართო, მერმე სხვაზე გადადი.

ამბობდა ნელა, დინჯად და თან ხელში შერჩენილ ნივთს ჩრდილსა და სინათლის თამაშზე ამოწმებდა. უცებ შუბლი უხამსად შეიკრა და მიზეზიანად, თითქოს ზიზღითაც, იქით გადასდო.

— კაცს ადგილი არა აქვს. ხედავ და არ იცი, საიდან უცქერ. ჩრდილები თანაბრად არა წვანან, არც მასალა სჩანს, აზრიც დაკარგულა...—და სინანულით ხმამაღლა წაიბურტყუნა: — აფსუს, ნიჭი სჩანს, ხელობა არა.—და დოსტს ისევ კუშტად გადახედა.

ხელობა მართლაც არა სჩანდა.

ან საიდან გამოჩნდებოდა, როცა მის მკეთებელს წრთვნა აკლდა და ხელის გამართვა.

მთელ დღეებს, სახელოსნოში ყოფნის მაგიერ, ოსტატის სახლში უქმად ატარებდა.

ქალაქის მოსახლეობა იმდენად იყო გალატაკებული, ცხოვრებაც ისე გაჭირდა, რომ, ვისაც შეეძლო და ახერხებდა, მრავალშვილიანობას ეროდებოდა.

ბეჩარაც ერთი ხელმოკლე ხელოსანი იყო. რასაც შოულობდა იმასაც ფალავნებს აუმეტდა. სხვა გზა არ იყო, ისიც ერთ შვილს დასჯერდა.

ერთის შემყურე, ღმერთის შემყურე, — ისიც თავის ნაშიერს ღმერთსავით შეჰყურებდა. მზე და მთვარე იმაზე ამოსდიოდა, მაგრამ შინ მისი ტოლი არავინ ჰყავდა და სულ იმის ფიქრში იყო, რომ მარტოხელა და თავქეიფა გოგონა იჯახში უტოლ-სწოროდ არ დასჩაგროდა.

შეგირდი და ოსტატის ქალი ახლა უფრო მეტად დაახლოვდნენ, სულ ერთად თამაშობდნენ და იმდენად შეთვისდნენ, რომ აღა შვილის ხათრით ბიჭს იშვიათად ამუშავებდა, სახელოსნოდან შინ მალიმალ ისტუმრებდა.

— წადი, შვილო, შინ წადი და ერთი ის ჩემი ფაფხაჭელა გოგო გამირთე. ცოდოა, დედის ამარას არ მოწყინდეს.

ვანოსაც ეს უნდოდა.

ჯერ ბალღი იყო, ბრიყვი და სწავლას არად აგდებდა.

— დილილმე, დილილმე! — შესძახებდა და კუნტრუშით, სირბილით დოსტთან შინისაკენ გაქანდებოდა.

მერე ბანიდან ხტომაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ჯოხის ცხენებზე გადამსხდარნი ქუჩა-ქუჩა ლაღად დაჰქროდნენ, წიოკობდნენ და მთელ უბანს მხიარული ჟივილ-ხივილით იკლებდნენ.

ვინ იცის, რამდენჯერ უწიწკნია ვანოს კენჭაობაში წაგებულისათვის ხელები წია-წიათი და შინ ატირებული გაუშვია.

გულნარამ იცოდა, რომ მისი ეგრე დაჩაგვრისათვის შეგირდს შავ დღეს დაუყენებდნენ და ცრემლებს შინ არ ამხელდა.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევ. მეტრეველი.

ამირანი

I

ანთებული ქართლი

1

აგერ დაბლა ფერდობიდან ამოიჭრა ერთი მხედარი და ვაკეზე გატყორცნილ გზას მისცა თავი ჭენებით.

თითქოს მხედარს კვალდაკვალ მოსდევდნენო, ფერდობიდანვე ამოხტა ორი თოფიანი კაცი. ორთავემ წაიჩოქეს მარჯვედ, ამოიღეს მხედარი მიზანში და გაისმა ტყვიების ზუზუნი.

მხედარი გაჰკვრია კისერზე ცხენს. ლამის თავიც ცხენის თავზე დაუთასმია. ფეხებს კი სულგამწარებით ურტყამს ცხენს მუცელზე. მაგრამ ცხენსაც აღარ უნდა წაქეზება. ის თითონვე გრძნობს საფრთხეს და დაოთხილი მირბის. მტვრის კორიანტელს აყენებს უკან.

ის ორი კაცი კი ისევ წაჩოქილა მუხის ჯირკვებივით. ისევ გაისმის ტყვიების ზუზუნი.

ისევ მიაჭენებს ბედის მყივანი მხედარი.

გადაურჩება? არ გადაურჩება?

შორი-ახლოს საკინძე შეხსნილი ათიოდე გლეხი გაომებითა მკის ყანასმათი პირაწყობილი ნამგლები ახალ მთვარესავით ელავენ მზეზე.

თვალი მოჰკრეს თუ არა ფერდობიდან ამოვარდნილ მხედარს, ყველას ნამგალი ხელში გაუშეშდა.

ქვედაუბნელმა ზაქარამ თვალებზე ხელი დაიჩარდახა და ამბობს დაბეჯითებით:

— სანაძლეოს დავდებ, თუ ეს თამაზი არ იყვეს — ანდუყაფარის მარჯვენა ხელი!

— ის ორი ყოჩაღი კი ამირანის ბიჭები იქნებიან, ჩემმა-მზემ! — ამბობს ქოჩორ-გვერდზე მოქცეული სინკა.

ამასთან მოყოლებით გაისმის სხვების ჩართული სიტყვებიც:

— რასაკვირველია, თამაზია! ამას რაღა მკითხაობა უნდა!

— ეე! ცუდი დღე გათენებია მა საცოდავსა!

— თუ თავი დააღწია მაგ ურჯულომა, ქვას-ქვაზე აღარ დასტოვებს მერებრალიანსა და უბრალოზე — ყველაზე შურს იძიებს.

სინკა გასამხნევებელ დროშასავით აპრიალებს ჰაერში ნამგალს:

— ნუ გეშინიათ, ხალხო! ამირანის შევარდნები განა ეგრე მოცდენილად ნადირობენ!

მხედარმა გადაიქროლა ერთი მიწის თავზე, მეორეზედაც.

ნუ თუ გადურჩება?

მაგრამ აგერ უცებ მუხლის თავზე დაეცა ცხენი და ყირას გადაიარა, ჩქარა მიწაზეც გაიშხლართა და შეჰქმნა ფეხების ფართხუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედარი რალაცა ქასკანჯილივით სწრაფად ამოტრიალდა ცხენის ქვეშიდან. იქვე ჩაიკეცა ცხენის ზურგს-უკან, მოიმარჯვა თოფი და იმის მხრიდანაც დაიწყო ტყვიების ლაწა-ლუწი ფერდობისაკენ, ჯირკვებივით წაჩოქილ ორი კაცისაკენ.

მხედრის ასეთ მოულოდნელ შებრძოლებაზე სინკამ შეწუხებით წამოიძახა:

— ამ ულმერთომა, ამანაც კი არ გააფუჭოს ი ბიჭები! ჰაი დედასა გორისასა! რატომ ერთი ყირიმული მეც არა მაქვს, რო აქედან დავაზილო შიგ ბეჭის თავში!

ლაწუნობენ, ზუზუნებენ ტყვიები. გამშველებელი არავინ არის. ერთ-ერთი მხარე უნდა დამარცხდეს.

ვინ დამარცხდება?

ვინ გაიმარჯვებს?

მაგრამ აგერ მხედარმა უცებ შეჰკივლა საზარელი ხმით:

— ჰაი თქვე სალახანებო! მაჯობეთ?

აქ წამიერად წამოდგა ზეზე, გაშალა მკლავები მაღლა, თითქოს ცის ჩაბღაუჭებას შეეცადაო, და მოკვეთილი მუხის ძელივით დაეცა მიწაზე.

იქ, ფერდობზე ორმა კაცმა შესრულებულად ჩასთვალეს თავიანთი საქმე და სასწრაფოდ მიიმალნენ მთებისკენ აყოლილ ტყის ულრანებში.

გლეხებმა სიხარულის ქოთქოთი შეჰქმნეს:

— აჰა, ჩააძაღლეს, მორჩა!

— ხო აუტირდა დედაი! ეხლაც ითარეშოს გლეხკაცობის ზურგზედა!

— კოკა წყალზე გატყდებაო, მა!

ზაქარიამ ნამგალი მხარზე გადაიდო და თავშლის ყურით ოფლი ჩამოიწმინდა:

— ეეხ, კაცის სიკვდილი არ უნდა გაგეხარდეს ბარემა, მაგრამა... ბევრი ცოდო კი მიუძღვის მა საწყალსა!

— ჰოო-და, ხო უწია კიდევაცა! — ნიშნის მოგებით წასძახის სინკა.

ზაქარია ისევ განაგრძობს:

— დიდი უჯიათი და შეუპოვარი რამ კი იყო! კაციდან გაქცეული ეს ამის მეტად არ მინახავს.

— გაიქცა კიდევაც და წაიქცა კიდევაცა! — ისვრის მკვახედ სინკა.

მოხუცი ფიდო სულგრძელი მსაჯულივით ამბობს თითქოს თავისთვის:

— ეეხ! ბევრი მწარე დღე მეც მახსოვს მაგის გან! მაგრამ მკვდარ კაცსა შვილო, მაინც შენდობა ეთქმის. ღმერთმა შეუნდოს, რაც მაგასა ავკაცობა აქვს ჩადენილი სოფლის წინაშე!

სინკა მაინც არ ისვენებს:

— ჩაძაღლდეს, ჩაძაღლდეს, პაპა ფიდო! გლეხკაცის შემწუხებელი ვერ გაიხარებს, ვერა, დუნიაზე! ალალ-მართალი ადამიანი დღედაღამ მიწას ჩაბღუოდეს, ქვეყნის მარჩენალი პური მოჰყავდეს და იმას კიდევ პირში ლუკმას აშხამებდე!

აქ ყოველთვის წყნარმა და ყველგან მივიწყებულმა ძია ქიტესა

ჩემსავით ჟამიერმა მოხუცებმა რა ვქნათ! რომ დაგვიჭირონ, გვცემონ, გვტყეპონ, აგვიკლონ, როგორ გავუძლოთ ან სირცხვილსა და ან სიბრაზესა?

— ჰაი, დედასა გორისასა, პაპა ფიდოსაც როგორ შეჰპარვია ეგეთი გულში! პაპა ფიდო! ახალთაობაი განა ეგრე უდღეური გგონია? მშრომელი კაცი ერთი რაკი გულისხმაში ჩავარდა, სანამ არ გაიმარჯვებს — რა მოისვენებს? ეხლა ომია, ომი პაპა! დღეს-ხვალეობითა ხან ჩვენ მოვიგდებთ ქვეშა ხან — ისინი. მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენ მოვაჯდებით ზურგზე და ბდღვირსაც გავადენთ.

ერთხანად ჩუმად მიდიან გლეხები. ვინიცის თავში — რამდენი ფიქრი უტრიალებთ და გულში რამდენი ვარამი! მაგრამ გლეხ კაცი მიჩვეულია — გულში ჩაიკლას ბევრი რამ და ისე მოინელოს ქვეყნის სიმუხთლე. მაგრამ ყოველთვის ასე მოინელებს?

აგერ შეუდგნენ დოვლათით აზვირთებულ სერს, რომლის თავთუხოვან ქოჩორს აზიზად ვარცხნის მთის ნიავი.

აგერ ყანების ნაწიბურიდან ამოტივტივდა ძველი ტაძარი. გამოჩნდა იმის ფერხთ ქვეშ დაფენილი სასაფლაოც — ეს გლოვა ტირილის შეუცვლელი სავანე.

უცებ გლეხების ჯგუფს გამოეყო სინკა. სწრაფად მივიდა სასაფლაოზე. დაიჩოქა ერთ გვერდზე მოქცეულ ლოდთან, დაემხო პირქვე და ხარივით ჩაბღავის საფლავში:

— მამა! მამა! მახარობლად მოვედი შენთან! თამაზი მოკლეს! შენი მტარვალი თამაზი! ეხლა მაინც გაიხარონ შენმა ძვლებმა სამარეში!

ამ ძახილზე გლეხები შეჩერდნენ, თითქოს ელვის ჟრუანტელმა დაჰკრა ყველასო.

ზაქარამ მოწიწებით ქუდი მოიხადა, ყველამ მოიხადეს ქუდები.

ისევ ზაქარა ამბობს სევდიანი ამოხვრით:

— ეხ, შეიწყალოს ღმერთმა საწყალი გიო! აფსუს, რო არ მოესწრო ამ დღესა!

სინკა მოვიდა, ისევ ამოუდგა გლეხებს გვერდში.

— თუ კვდარს შეუძლია რამის გაგებაი, მამაჩემიც უსათუოდ გაიგებდა ჩემ ხმას სამარეში და სიხარულით შეირყეოდა იმისი ძვლები. ამ თამაზისაგან ნაცემნაბეგვი როცა კვდებოდა, სულ იმას იხვეწებოდა: თუ მე ვერ ველირსო, თქვენ ახალგაზრდები მაინც ნუ შესჭამთ მაგის ჯავრსო. საწყალმა რამდენჯერ მითხრა: ოდეს ეს შეასრულოთ შვილო, საფლავში ჩამომძახეთო. აი შეუსრულდა კიდეც ანდერძი! ბოლოს ხომ მაინც ჩაკვდა ეგ სულაქოთებულის დატოვებული! ეგრევე ამოითაქება ყველა ბატონების ჯილაგი და სახსენებელი. მაგათ დიდი დღე აღარ უწერიათ, მაგათი... ოხ, ნეტავი კი ჩემი ხელით გასროლილ ტყვიას მოეკლა ეგ ძაღლი და თუნდა... მაინც ვენაცვალე იმ მარჯვენას, რომელმაც ეგ დააწვინა!

2

გლეხების წინ უცებ ყანების ნალარიდან ჩასაფრებული მგელივით გამოძვრა ლექსო მეველე. ჯერ მიესალმა, შემდეგ შვინდის გრძელი ჯოხი მხრებში ამოიდო და გაჰყვა საუბრით: ჯერ თამაზის სიკვდილზე მოიოხა გული და შემდეგ მიმართავს:

— სხვა ახალი ამბები კი არაფერი იცით?

— შენ თუ იცი რამე, სთქვი შე ოჯახქორიანო, რალას იზოგები!

— ამ რამდენიმე დღის წინედ ერთი დიდი ღენერალი ჩაუძალლებიათ თურმე ქალაქში. აი მუშები რო დააჟლეტინა გამოსვლების დროსა, ესა, ყაზახებისთვისაც ყუმბარა უსვრიათ იარმუკაში და ათიოდე კაცი ლუკმა-ლუკმად უქცევიათ.

— აი, ვაცხონე იმათი დედმამი სული, ვინაც ეგეები მოაწყო!

— მუშებიც ისეთი არიან თურმე რომა, დღე-დღეზე ისევ მზად არიან ხელ-ჩართული ბრძოლისთვინა, მა! მაგრამ არც მთავრობაა გულხელ დაკრეფილი. ისიც სულ გამწარებით იბრძვის თავის გადასარჩენად. ყაზახების დიდი დამსჯელი რაზმი გამოუგზავნიათ თურმე ვიღაც ალი-ხანის მეთაურობითა. მოდის თურმე, მოსდევს აქეთა და სულ აწიოკებს მთელ სოფლებსა. პირველივე დღეს წინ მიგებებია თურმე ე ჩვენი თავადების შავი რაზმი — ანდუყაფარის მეთაურობითა. პირველი ესენი უთითებენ თურმე ვინც ურჩია, შემჩნეული ახალთაობაში ან საეჭვო. ვისაც თვალში ამოიღებენ — აღარც. იმასა აქვს დანდობა, აღარც იმის სახლკარსა. სოფლებში თურმე ჭიაკოკონაა გაჩენილი.

— მერე? ე ჩვენი ბიჭები რაღას აკეთებენ, ხალხს რო ასე იკლებენ?

— იცოცხლე, არც ჩვენი ბიჭები აკლებენ ხელსა! აი ეს თამაზიც მაგითვინ არ ჩააძალლეს? ეგ წინდაწინ იყო წამოსული საქმეების მოსაწყობათ და ცნობების შესაკრებად — როგორც თავის საბატონოში. მაგრამ ხო ჩამწარდა სიცოცხლე! კიდე ბევრს ჩამწარდება — დაიცადონ!

სინკა გაჯავრებით გულზე ირტყამს მუშტებსა:

— ჰაი დედასა გორისასა! სად არი ერთი ი თვითონ ანდუყაფარი არ ჩაუვარდება ამირანის ბიჭებსა ხელში, რო თავი მიუგალონ ქვაზედა შხამიანი გველივითა!

ლექსო-მეველე ბეჭზე ხელსა სცემს ნუგეშით:

— თუ სიკვდილმა არ გვისწრო, სიბერე ჯერ შორს არის! მაგასაც მოვესწრებით, ჩემო სინკა, აი ნახავ თუ არა! ერთი ვაჟიკა-ბიჭი იყო ჩვენთანა ქალაქიდან და ჰეი, რაამბები თქვა! მთელი რუს-სახელმწიფო ანთებულია და ფეხზე დგაასო მაშა! არ გეგონოთ, რო ახალთაობა დამარცხდაო! ეხლა უფრო მაგარი იერიშისთვის ემზადებიან მუშები და თქვენც, გლეხებიც მზად იყავით, გული არ გაიტეხოთო! მა, ასეთი ამბებია პაპა ფიდო, ძია ზაქრო, ძია გიო! დღევანდლამდე ჯერ ცოტა გვინახავს! ხვალა და ზეგ უფრო მეტსა ვნახავთ, მა!

პაპა ფიდომ მხრიდან მხარზე გადაინაცვლა ნამგალი, თან ფხა გაუსინჯა, თანაც ზედ დააყოლა, თითქოს ნამგალს ესიტყვებოდეს, თითქოს ლექსოსაო:

— ეგრემც გაგიხარია ჩემო ლექსო! მაგრამა რუს — ხელმწიფესა რა ძალა ჩამოაგდებს ტახტიდან — ვფიქრობ და ვერ მომიფიქრია.

— როგორ თუ რა ძალაო! მუშებისა და გლეხების ძალა ჩამოაგდებს კაცო! მუშებისა და გლეხებისა! შენ გგონია, მაშ უკუნითი-უკუნისამდე იჯდება ნიკოლოზი თავის ტახტზე, ჰა! ისე ამოვაგდებთ, გაზაფხულის ენძელასავითა, მა!

— შენ პირ — შაქარი! ოქროს ნისკარტი, ჩემო ლექსო! — უკრავს კვერს ზაქრო.

ყანების ბოლოს ლექსომ გვერდი აუქცია. თავისი შვინდის ჯოხი ამოიდო მხრებ ქვეშ და ნაღარ-ნაღარ გასწია ღიღინით:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან მდევი შაიბნენ,
შაიბნენ!
მიწამ დაიწყო გრიალი,
გრიალი!
ამირანმა დევი დასცა,
ადგილი დახვდა ქვიანი,
ქვიანი.
დასცა და მხარი მოსტეხა,
დააწყებინა ღრიალი,
ღრიალი!

3.

თამაზის სიკვდილმა ფეხზე დააყენა მთელი სოფელი ყორნისი.

ამავე დღეს თითქოს შერჩევით არც სოფელ წაბლოანაში დატრიალდა კარგი ამბავი.

სამხრობა გადასული იქნებოდა. პატარა ჭალის მოცარიელებულ შუაგულში სიმინდის ნათესები აქოჩრილა. ამ სიმინდების სიმწვანეში ნაცრის ფერად ჩაწოლილ გზაზე მძიმედ მიჭრიჭინებს საბარე ურემი.

ჭალაში ხამუშ-ხამუშ ცულლუტი ჭაჭკაჭი ჩაიჭახჭახებს. ხან გაისმის თავის თავად დაღალულ თუ ნიავით შეწუხებულ ხმელი ტოტის ლაწანი. მერცხალა კამეჩები ცოხნით და ნებიერად მიაბიჯებენ შინისაკენ. სამყურითა და იონჯით გამაძღრებს აღარაფერი დარდი არა აქვთ.

მაგრამ ისევე უდარდელია მათი მეურმე მალხაზ მაჩაბელი? წინა კოფაზე ჩამომჯდარა მუხლებზე დაყრდნობით. ყარამანდულას გრძელი ახალუხი თავით ბოლომდე შეუხსნია. პირისფერი პერანგის საკინძეც ჩამოუხსნია. შავი ბუხრის ქუდი კი სიცხით შეწუხებულს ჭალზე ჩამოუკიდია.

მალხაზი ჩუმი, გაუმეტებელი ხმით აღიღინებს ურმულს, თითქოს არ უნდა კამეჩების მეტმა და თავის გულის მეტმა კიდევ ვინმემ გაიგოს ეს ღიღინი.

მოჭრიალებს ურემი. იცოხნებიან კამეჩები. ღიღინებს მალხაზი. აგერ სიმინდებმაც გაიშრიალეს, თითქოს უეცრივ ამოვარდნილ ქარიშხლისაგანო და მალხაზს არდიგარდმო გამოუდგა ოთხი შეიარაღებული ბიჭი.

— გეძებდით და აი, გიპოვეთ კიდეცა!

მალხაზმა ელვის სისწრაფით იგრძნო ზარი განკითხვისა, მაგრამ არ შეიმჩნია. თვალის დახამხამებით ასწონ-დასწონა ყველაფერი და ისევ მშვიდი კილო არჩია:

— რაო ბიჭებო! გუმანში ჩემი წახდენა ხომ არ გაქვთ? რას მემართლებით?

ოთხივეს იარაღი ხელში უჭირავთ მომარჯვებული, მაგრამ ყველას მაგიერ ერთი შეეპასუხა:

— შენც რა უმანკო მტრედი ხარ! მითომ არ იცი, რასაც გემართლებით!

— ვისთვის რა დამიშავებია ჩემო შაქრა! ჩემთვისა ვცოდვილობ სახლში და ისე მივდივარ იოლადა! რა დიდი მებატონე მე მნახეთ!

— როგორი მებატონეცა ხართ ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცით, მაგრამ ჩვენ კიდე სხვაც ვიცით. შენ არა ხარ შავი რაზმის მოენე? შენი დასმენით არ იყო ბუგული — ქედზე რო ალყა შემოგვარტყა ანდუყაფარმა და ორი ბიჭი იმსხვერ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პლა! ეხლაც შენ იმიტომ არ დაძრწი სოფლიდან სოფელში მითომ და კი მუშა კაცივითა, რომ ყველაფერი რიგზე ჩაუკენჭო შავრაზმელებსა და ხალხის ჯალათად გამოგზავნილ ალი-ხანს?

მალხაზმა ნახა — დაფიცვით ფონს ვერ გავიდოდა. ისევ პირდაპირობა არჩია:

— მართალია ბიჭებო, ეგ დანაშაული კი მიმიძღვის, მაგრამ მოდი ერთი გლეხკაცურად მაპატივეთ ეგა და შემდეგ მრისხოს მამა — ზეციერმა, თუ გულში რამე გავივლო ახალთაობის საზიანოთა!

— პატიება ეგ ქრისტე-ღმერთის ხელობაა. ჩვენგან კი მიიღე — რაც გეკუთვნის!

და ამ სიტყვებთან ერთად რაზმელის ხელში იჭექა რევოლვერმა.

ამავე წამში მალხაზის ხელშიც გაიელვა ხანჯალმა. ბუნაგიდან წამომხტარი ვეფხვივით თავზე დაახტა რაზმელს და ქვეშ მოიყოლა.

კიდევ იჭექა რევოლვერმა. კიდევ გაიელვა ხანჯალმა და მორჩა ბრძოლა. წაქცეული რაზმელი წამოდგა ზეზე. ცოტა შეწუხება ეტყობა.

— ამ ურჯულომა მაინც მოასწრო ჩემი დაჭრა.

— სად დაგჭრა ბიჭო? ძალიან ხომ არ დაგაზარალა?

— მხარში ვარ დაჭრილი, მაგრამ ჩემ მხარს მე და შაქრა მოვუვლით. თქვენ კი მაგას მოუარეთ! ბიჭო, მაფრაშა ქონია ურემზე! ბარემ ჩასდეთ შიგა და ისე გაუგზავნეთ ნობათივითა სახლში!

ორმა რაზმელმა საჩქაროდ ჩასდეს მაფრაშაში მალხაზის უსულო გვამი.. თანაც პატარა ბარათი დააწერეს:

„ასე იციან წითელმა რაზმელებმა.

ხალხის მტრების სამაგიეროს გადახდა“.

შემდეგ გაუჯავრდენ კამეჩებს და გაუყენეს სოფლის გზას.

თვითონ რაზმელები კი მწყერებივით სულგანაბული სასწრაფოდ გაგოგმანდენ ყანა-ყანა და ქვეყნის შეუმჩნევლად შეერიენ ნაცნობ ჯაგებში.

საღამოს ჟამს კამეჩებმა ზანტად შეაჭრიალეს ურემი მაჩაბლიანთ ეზოში.

მალხაზის მამა—თავადი ლუარსაბი აივანზე ბოლთასა სცემდა. პირველ ხანობაზე მან უმეხრეოდ მოსულ ურემს ყურადღება არ მიაქცია: ალბად მალხაზი ეზოს გარედ შეელაპარაკა ვისმესო. მაგრამ გავიდა ხანი, კამეჩები დაიღალენ ფეხზე დგომით და ბოლოს დაწვნენ. ლუარსაბმა დაუძახა კენტად შერჩენილ მოჯამაგირეს — სოფლის ბეჩავ ხინკოლას და უბრძანა, კამეჩები გამოეშვა.

— მაფრაშას როგორ მიბრძანებთ ბატონო? მაღლა ამოვიტანო თუ ურემში დარჩეს?

— ურემში რა უნდა, შე ბრიყვო! არა, ბარემ შარაზე გაიტანე და იქ დაადგე, უფრო კარგა შეინახება!

— რავი! ბატონსა როგორც მოეპრიანება, მეც ისე ვიზამ, რა!

ხინკოლამ დაავლო მაფრაშას ხელი, ასწია მარჯვეთ, მაგრამ იმავე წუთას ზარდაცემულივით შეჰკივლა და მაფრაშაც ძირს გაუვარდა:

— მიშველეთ ბატონო! კვდარი კაცი ყოფილა შიგა!

— რას ამბობ შე ბრიყვო! ხომ არ მოგეჩვენა რამე!

— როგორ თუ მომეჩვენა ბატონო! მობრძანდი და ნახე. შენი კეთილი თვალითა! მე კი ახლო ვერ მივაკარები! ვაი, ბატონო, ე რა ღვთის რისხვა მოგდგომია კარზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცეცხლის გაჩენაზე — ისევე სწრაფად მოირბინეს ეზოში ბატონმა, ბატონის ცოლმა, ბატონის ქალიშვილმა. და ახლო მეზობლებმა.

ბატონის ცოლმა რა იცნო თავისი შვილი მალხაზი, ელდა ეცა, ენა ჩაუვარდა, გონებაც დაჰკარგა და განთიადზე ისე განუტევა სული, რომ თავის აზრზე აღარ მოსულა.

ამ მოულოდნელი უბედურებით აწიოკდა ლუარსაბ მაჩაბელის მთელი სახლი. შეიქნა გლოვა და ვიში.

და ამ უბედურებასთან ერთად ლუარსაბის დარბეულ ოჯახში შეიჭრა რაღაც საზარელი შიში, რის გამო ცოცხლებიც მკვდრებს ემსგავსებოდენ.

თამაზისა და მალხაზის მკვლელობის ამბავმა ჩქარა მიაღწია ანდუყაფარის ყურამდე. თავისი რაზმის ასეულით ის მეორე დღესვე ამოიჭრა სოფელ ყორნისსა და წაბლოანაში.

ვინც კი ახალგაზრდა გლეხი შემოხვდებოდა გზაზე, შეხვედრის საათს აწყევლინებდა ყველას. მაგრამ თუ მოხუცებულნიც არ გამოიჩენდენ საკადრის მოწიწებასა და პატივისცემას, მათაც ლულს ადენდა ზურგზე. ყველას კი მრისხანეთ ემუქრებოდა:

— ორ დღეს დამაცადეთ და მერე ალიხანი ამომყრის თქვენ ჯავრსა, როგორც ღირსი ხართ! თუ ყველას გაჩენის დღე არ გაწყევლინოთ და ანდუყაფარიც აღარ ვყოფილვარ- ლეკიანობა რომ გაგიგიათ — იმაზე უარეს დღეს დაგაყრით! დამაცადეთ, დამაცადეთ! ბევრს დარჩება ციმბირი აქეთა! რუს-ხელმწიფემ ისე ამოგხადოთ პირში სული რო—საქართველოს ღრუბელი გენატრებოდეთ!

სოფელმა შიშისაგან სული განაბა. შეწყდა მუშაობა. დაცარიელდენ მინდვრები. ქალები და მოხუცები სახლიდან გარეულ გამოსვლას ერიდებიან. ბავშვებიც თავიანთ კარმიდამოს ვერ სცილდებიან. ახალგაზრდა ბიჭები კი სადღაც გადაიმალენ და იმათ ასავალ-დასავალი აღარსდ მოსჩნს.

მხოლოდ შავი რაზმელები დააჭენებენ სოფლიდან სოფლად და შიშის ზარსა სცემენ უმწეოდ დარჩენილ მოსახლეობას.

ანდუყაფარის მოსვლისთანავე მამასახლისმა გასცა ბრძანება, რომ სოფლეურად გაელოთ ხარჯი რაზმის სარჩენად.

სოფელსაც რა ღონე ჰქონდა უარის სათქმელად! თანაც ფიქრობდენ, ეგები პურმარილის ძალამ გასჭრას და აღარ წაგვახდინონო. ამიტომ აღარაფერი დაზოგეს.

იკლოდა ხარი, ძროხა, ცხვარი, ასეული წვრილფეხა. ღვინოც მოჰქონდათ მორი ადგილიდან. ყველა ამ ნაირ-ნაირ ხორაგეულობას ეზიდებოდენ ეკლესიის გალავანში, სადაც იშლებოდა ასი კაცის სუფრა — ანდუყაფარის რაზმელებისათვის.

თუმცა თამაზისა და მალხაზის სიკვდილი ერთგვარ მოკრძალებას ავალებდა რაზმელებს, მაგრამ რა შელვინიანდებოდენ ცოტაოდენად, შემდეგ საზღვარიც ავიწყდებოდათ. შეიქნებოდა აურ-ზაურიანი ლხინი: სიმღერა, ცეკვა, თოფისა და რევოლვერის სროლა, ხანჯლის ტრიალი.

თვითონ ანდუყაფარიც რა ლაზათიანად შეზარხოშდებოდა საამო ღვინით, ახოვანად შესდგებოდა რომელიმე საფლავის ქვაზე და მრისხანეთ სჩექდა:

— სად არიან ის ღობემძვრალა სალახანები! თუ ვაჟკაცები არიან, აბა გამოჩნდენ ერთი და ვნახოთ, დედა ვის აუტირდება! სად არის, ის ამირანია ვილაც ლაჩარი! ამირანი კი არა ვახტანგ-გორგასალანობა დაირქვას, მამა უცხონდება!

ასეთი ნაირ-ნაირი მუქარის შემდეგ ანდუყაფარი ომახიანად გამოსცლიდა ყანწს. ყარამანისებურ ულვაშებზე ღირსეულად გადისვამდა ხელს და გამარჯვებული სარდალივით ისევ ჩამოჯდებოდა სუფრის თავში.

შუაგულ სოფელში, გულ-მოკლულ სოფელში ასე ისმოდა ორ დღეს შავრაზმელების ზარი და ღრიანცელი.

4.

მესამე დღეს ალიხანმაც ამოინადირა თავისი ყაზახებით.

მათ განვლილ გზაზე რჩებოდა აწიოკებული სოფლები, გადამწვარი სახლკარი, აოხრებული ოჯახები.

ეხლა ჯერი მოდგა სოფელ ყორნისზე.

ამავე დღეს ასაფლავებდენ ყორნისში—მალხაზს და წაბლოანაში—თამაზს.

ორთავეს დასაფლავებაზე საპატიო ჭირისუფლებად დაესწრენ შავრაზმელები და ყაზახები. გლეხობაც ძალათი მორეკეს — დასაფლავებაზე დასასწრებად.

სოფელსავე გამოაღებინეს საქელეხო ხარჯი.

მიაბარეს თუ არა ცხედრები მიწას, სოფლელები გაეშურენ თავთავიანთ სახლებში. ყაზახები და შავრაზმელები დასხდენ და შეუდგენ პურის ჭამას.

ჩქარა ქელეხი ნამდვილ თავაწყვეტილ მოლხენად გადაიქცა.

ძველის ძველი გვარიშვილობის წარმომადგენელი შავრაზმელი თავად-აზნაურები და ყაზახის ოფიცრები ერთმანეთს ეფიცებოდენ სიყვარულსა და მეგობრობაში, ხელმწიფის სამსახურსა და ახალთაობის განადგურებაში. თან მთვრალები ეხვეოდენ ერთმანეთს, ლოშნიდენ და არეულ სადღეგრძელოს შეექცეოდენ.

ერთი-ერთმანეთს სცვლიდენ გოპაკი და ლეკური, მრავალჟამიერი და „მნოგაია ლეტა“. ალავერდი კი საერთო იყო ყველასათვის.

საღამომდის გაგრძელდა ყაზახებისა და „სახელოვან“ თავად-აზნაურების ეს ღრეობა. საღამოზე კი შეუდგენ თავიანთ მოვალეობის შესრულებას.

პირველ რიგში სოფელ ყორნისის მორჯულებას შეუდგენ.

ალიხანმა გასცა ბრძანება, დაუყოვნებლივ შეიკრიბოს მის წინ მთელი სოფელი. არავინ დააკლდეს: არც ქალი, არც კაცი, არც მოხუცი, არც ახალგაზრდა!

ამ ბრძანების შესასრულებლად დაფაცურდენ მამასახლისი და ჩაფრები, ყაზახები და შავ-რაზმელები. ყველა ცდილობდა, ერთი-ერთმანეთისათვის გადაეჭარბებინა ერთგულებაში, მაგრამ შავ-რაზმელებს მაინც ვერავინ სჯობნიდა სიფიცხე და თავგამოდებაში.

მოჰყავთ ხალხი. ფეხები უკანა რჩებათ დასაკლავად განწირული საქონელივით. მაინც ერეკებიან ძალით მათრახითა და გინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგერ ერთ მანდილოსანს თვითონ მამასახლისი მოსდევს ხელისკვრით.

— შენის ხელით მოგაყვანინებთ ი შენ სათოკე შვილსა! „არ ვიცი“ ეხლა აღარ გაგივა ლენერალ ალიხანთანა და ანდუყაფარ თავადთანა!

აგერ ერთ შავ-რაზმელს წინ გამოუგდია პაპა ფიდო!

— გასწი შე ბებერო ძაღლო! საყევარი ხომ არ გინდა დაგიბა, რომ ცოტა ჩქარა იარო! მაგრამ სასაყევრე მოზვრები ხო ტყეში გყავთ გაშვებული! დაგვაცა ჩქარა ჩამოგარეკინებთ! მე კი ეხლა სარეკელას მაგიერობას მაინც გაგიწევ, რომ ცოტა მარჯვეთ იარო!

ამ სიტყვებთან ერთად ბებერ ფიდოს რამდენჯერმე გადაუშხივლა ზურგზე მოქნილი სახრე.

ფიდო შემოტრიალდა, თვალი თვალში გაუყარა ამ ტანოვანობით წარმოსადგენ ჭაბუკს. და ეუბნება:

— თავადო! თუ ადამიანობისა არა; შენი ახალგაზრდობისა მაინც არა გრცხვენია! ე მოხუც კაცს რათ მაკადრებ უკადრის საქმესა!

აქ შავ-რაზმელი უფრო აენთო:

— ჰაი შე ბებერო ძაღლო! ვითომ გეთაკილება კიდევაცა ჩემი ცემაი, ჰა! ერთი პირი ბატონყმობა ხო იგემე! შე ქოფაკო! ეხლა მეორეპირ ბატონყმობას შეგასწრობთ და სულსაც ამოგხდით!

აქ ისევ ზედიზედ გადაუშხივლა მოხუცს სახრე.

ამ ცემა ტყეპაზე წამოსწრებულმა ყაზახებმა პაპა ფიდო უდიდეს დამნაშავედ მიიჩნიეს და ახლა ისინი მისცვინდენ მათრახებით საცოდავ მოხუცს. ურტყეს, იმდენი ურტყეს, სანამ არაქათ გამოლეული მოხუცი ღობის ძირას არ წაიქცა.

ყველაფერ ამას შორიდან უცქერიდა ფიდოს შვილიშვილი პატარა გელა. როცა ყაზახები განშორდენ, მხოლოდ მაშინ მიბედა თავის ღირსება — შელახულ პაპასთან. თან კურცხალ-კურცხალი ცრემლები ჩამოსდის, თან სუსტი ხელებით ეწევა პაპას, რომ ფეხზე წამოაყენოს.

როგორც იქნა შეიკრიბა მთელი სოფელი. არ სჩანან მხოლოდ ახალგაზრდა ბიჭები, მათ შორის — სინკა, არხია, ლექსო მეველე.

ალიხანმა მოკლე მუქარით მიმართა ხალხს და შემდეგ მოსთხოვა — ამ სოფლიდან გასული წითელ-რაზმელები დაუყონებლივ ჩააბარონ მთავრობას, უიმისოდ სულ გადავწვავ და ავაოხრებ აქაურობასო.

ალიხანს თარჯიმანობს თვითონ ანდუყაფარი. რა გადაუთარგმნა ალიხანის მუქარა, ახლა თავის მხრივ დაუმატა:

— არ გეგონოთ, რომ თამაზისა და მალხაზის სისხლი შეგრჩებოდეთ! ქვას ქვაზე აღარ დავტოვთ! ლეკიანობაზე უარეს დღეს დაგაყრით! აბა, რას იტყვით ხალხო? გადარჩეს სოფელი თუ ავაოხროთ ერთიანადა!

ხალხში სიჩუმეა.

ბოლოს ზაქრო გამოეყო ყველას და მოწიწებით წარსდგა ანდუყაფარის წინაშე.

— დიდო ბატონო! ესენი თუ გადამთიელები არიან და არ ვებრალებით, თქვენ ხო საქართველოს შვილი ხართ! თქვენცა და თქვენ მამაპაპასაც ამ მიწის პური გიჭამიათ! ნუ გაგვწირავთ! შეხედეთ თქვენ ღმერთსა! გლეხკაცის ეგრე წახდენას არ იპატიებს არც ღმერთი და არც სამართალი!

ანდუყაფარმა შუბლი შეიჭმუხნა:

— შენ ენად ნუკი გაკრებილხარ ქადაგივითა! ის გირჩვენია ამალამვე ჩა-
გვაბარო თქვენი რაზმელები, ან-გზა მიგვასწავლოთ და ... ჩვენ თვითონ
მოურიგდებით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო, რუს-ხემწიფეზე ძლიერი არვინ მეგულება დუნიაზე! და თუ
თქვენ ვერ მოგიხერხებიათ იმ ორიოდე ტიღა-ბიჭის ხელში ჩაგდება, მე რო-
გორ შევძლო თქვენი შეუძლებელი?

ანდუყაფარმა ყველაფერი გადაუთარგმნა ალიხანს.

განრისხდა ღენერალი. მან გამოჰყო ათეული ყაზახი თავისი ოფიცრით და
მისცა რაღაც ბრძანება. ახლა ანდუყაფარს მოუბრუნდა და უჩვენებს ზაქროზე.

— გაჰყვეს ამათ და უჩვენოს ყველა აქაური წითელ-რაზმელების სახლი.

შეწუხებული ზაქრო ემუდარება ანდუყაფარსაც და ალიხანსაც:

— უკადრის საქმეს ნუ მაკადრებთ ბატონო! ენატანიობა ჩემ ხნის კაცს
როგორ შეეფერება!

— მაშ მათრახები ხომ შეეფრება შენ ხნის კაცსა!

და ზაქროგს ზურგზე დაიწყო მათრახმა ტყლაშა-ტყლუში.

— წაიყვანეთ და ეხლა მარტო თავის სახლი გიჩვენოთ. იმ „ბუნტოვჩი-
კების" სახლებს კი ჩვენ თვითან ვიპოვით!

ზაქროს მიყოლებით მთელი ხალხიც დაირეკეს ყაზახებმა და შავ-რაზმე-
ლებმა. მათ არ ჩამორჩენ ხალხის დაბრიყვებაში მამასახლისი და ჩაფრებიც.
შელალეს ხალხი სოფელში და თვითანაც შეესიენ ნადავლად შემოჭრილი
მტერივით.

უკვე სიბნელე დაესუდარა აკანკალებულ სოფელს.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ღამის წყვდიადი.

აგერ შუაგულ სოფლიდან ავარდა უზარმაზარი ალი და შეიქნა ხალხის
წიოკობა.

იწვის ზაქროს სახლი. მაგრამ დაუნდობარი ცეცხლი სახლს ალარ სჯერ-
დება. ჩქარა გადადის ბეღელზე და ძარზე, საბძელზე და ძნაზე. თვალის სის-
წრაფით ნადგურდება რამდენიმე თაობის მიერ წვითა და დაგვით მონაგარი
გლეხკაცის დოვლათი.

ზაქრო გამხმარი ხესავით სდგას შორი-ახლოს და უცქერის თავისი სახლ-
კარის ფერფლად ქცევას.

იწვის განა მარტო სახლი და ბეღელი ან საბძელი და ძნა! იწვის თვით
ზაქროს გულიც.

იწვის მისი ბავშვების გულიც, აგერ ღრიალით რომ მოდიან:

— მამაა! ვაიმე მამაა!

ზაქროს გულიდან ზაქროს ტვინსაც მოედო ცეცხლი. უგონოსავით ეცა
აქეთ-იქით. სადღაცა ნახა ახლად გალესილი ნაჯახი და დატრიალდა გახელე-
ბული აფთარივით.

— ჩემი ოჯახის აკლების შემდეგ მე რაღათ მინდა თავი ცოცხალიო!

ამ ამოკვნესასთან ერთად დაუქნია ნაჯახი ყაზახის ოფიცერს და თავი შუ-
აზე გაუხლიჩა. ახლა იქავე დოინჯ შემოყრით მოსეირნე შავ-რაზმელს დაუ-
ნაცვლა და მასაც ტვინი მიწაზე დაანთხევინა.

მაგრამ თავის მეორე მსხვერპლს ზაქროც ზედ დაჰყვა: რომელიღაც ყაზახმა მოასწრო და თავი ხმლით გაუჩეხა.

ამ ამბის შემდეგ შეიქნა კიდევ უფრო მეტი ტირილი და ვაგლახი, ხარი და წიოკობა.

აჰა, ჩქარა სოფლის მეორე ადგილასაც გამოჩნდა ცეცხლი. მესამესაც, მეოთხესაც!

უკვე აღარ ითვლიან-რამდენ ალაგას იწვის ვისმეს სახლკარი.

ცეცხლის გუგუნთან და ლაწა-ლუწთან ერთად სოფლის გულიდან მოისმის ჯოჯოხეთური ღრიანცელი, გლოვა და ვაგლახი.

ბრძანებაა — არავინ გაბედოს ცეცხლის ჩაქრობა, რადგან ეს არის სასჯელი მთავრობის ურჩი და ბოროტმომქმედი პირებისათვის.

შუალამე გადავიდა. უკვე ბევრის სახლკარი დაიფუქა, ბევრის ოჯახი დანელდა. ცეცხლი მაინც მძვინვარებს და ატრიალებს ახალ და ახალ უბედურებას.

სინკას სახლი სოფლის ბოლოს იყო მოქცეული. აჰა, იქამდისაც მიაღწია ცეცხლმა და სინკას ორიოდე ნამშრალი ხარბად ჩაიხვია თავის უძღებ წიაღში.

აგერ ბოსლიდან მოისმა ბაგაზე დაბმულ ხარის საზარელი ბღავილი! ადამიანის გოდებაზე საზარელი ბღავილი!

მაგრამ ვილას ახსოვს პირუტყვი!

ვინ მიეშველება ამ განკითხვის ჟამს!

ვინ არის თავზე ხელაღებული!

უცებ ანთებულ ბოსლის კარებში შავად გაიელვა ვილაცა თავშებურდნულმა.

ერთი წამის შემდეგ ბოსლიდან გამოვარდა დაფეთებული ხარი. მიჰქელმოჰქელა წინ წემოხვედრილნი და დაოთხილი გავარდა მინდვრებისკენ.

ხარის მოყოლებით იმავე წამს ბოსლიდან იხტუნა თავშებურდნულმა აჩრდილმაც, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვეღარ მოასწრო და იქვე დაეცა სულშეხუთული.

ეს იყო სინკას უნცროსი ძმა მიხა.

ამ უბედურობის დანახვაზე ვილაცა ქალმა შეჰკივლა ლახვარდარტყმულივით:

— ვაი შენ გამწარებულ დედასა შვილო, ცეცხლი ცეცხლზე რომ დაემატა!

5.

ღამეა.

ჭერეთხევის ულრან ტყეებში მედიდური მყუდროება დამყარებულა.

დაზარმაცებული მთვარე ჯერ არსადა სჩანს.

ჭუტალა ვარსკვლავები ელვარებით მოსჩერებიან ამ პირშავ დედამიწას, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოუნათლიათ მისი სახე.

სადღაც ჩაგორდება კლდის ნატეხი და ჩაირახრახებს. სადღაც გაისმის ხმელი ტოტის ლაწანი.

სადღაცა მოსწყდება ვარსკვლავი. უკანასკნელად გაავლებს ბრწყინვალე კვალს ცისკამარაზე და იკარგება უკუნეთში.

რომელლაც გორაზე მარტოდ აღმართულ წიფლის ხეს არ აწუხებს არც ენატანია ნიავი, არც თავისი უთვისტომობა.

მაგრამ იმის ქვეშ კი ღელავს და შფოთავს ოცდაერთი გული—ოცდაერთი ჭაბუკისა.

ეს არის ამ ზემო მხარის წითელი რაზმი — ამირანის მეთაურობით. ზოგი ნაბადში გახვეულა, ზოგი მაზარაში. სხედან, წევნან, დასეირობენ. ყველას მარწუხებივით ჩაუბჯულია ძმად ნაფიცი თოფი.

ზოგჯერ შორეულად გაისმის ჭოტისებური სტვენა, ეს გუშაგია სხვადასხვა ამბის მაუწყებელი.

თვითონ ამირანი — ნაბადშემოკეცილი ხის ძირას წამომჯდარა. მის ფეხთით წამოწოლილა ხვადი მგელი და ორი ნაკვერჩხალივით აბრიალებს სიბნელეში ანთებულ თვალებს.

ეს ხვადი მგელი ლეკვობიდანვე ხელზე გაზარდა ჭერეთხევის ერთმა ტყის მცველმა. შემდეგ, როცა ამირანი გაიცნო ტყეში გასული — მას დაუთმო საუქრად. ამირანმაც ისე შეიჩვია და შეითვისა ეს მგელი როგორც ერთი საუკეთესო რაზმელეთაგანი. მას არ დააკლებს არც ლუკმას, არც ალერსს. უმალ თვითონ დარჩება მშიერი, ბეყოს კი არ დაანატრულებს არაფერს. პირუტყვმაც შეიფერა ესეთი საგანგებო მზრუნველობა ამირანისა და თვითანაც შეეთვისა დაგეშილი მურიასავით.

ხამუშ-ხამუშ ბეყო დაიყმუვლებს ეულად, გულის გამგმირავად თითქოს ჰგოდებს სწორსა და ამხანაგზე თავისი მოდგმიდან. მაგრამ რადგან არ ესმის გამოყმუილება არც ერთი მხრიდან, ისევ ამირანს დაუწყებს ალერს დაალმასებული კბილებით და მსხვერპლის დაფათრას დანატრულებულ ტორებით.

შორიდან ორჯერ გაისმა ჭოტური ყივილი:

— არსაიდან არავითარი საფრთხე! გუშაგი თავის სადარაჯოზეა! განაგრძეთ მშვიდათ ყოფნა!

მაინც ამ ხმაზე ყველამ ყურები სცქვიტეს, მწოლიარეებმაც გვერდი იცვალეს და ისევ ჩაიდეს გული საგულეს. ამირანი კი ცოტა შეშფოთებულია, მაგრამ არ იმჩნევს. ცოტა ხნის შემდეგ ვეღარ მოითმინა და თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო:

— რა ვქნა! როგორლაც შეაგვიანდათ ჩვენ მოენეებს წაბლოანიდან.

— ვაი თუ ანდუყაფარმა და ალიხანმა ისინიც გააბეს კაკანათში! თუმცა ყველაზე რო ვიფიქრო, არხია ისეთი ვერცხლის წყალია, რომ იმის ხელში ჩაგდებას ადვილად ვერავინ ეღირსება.

შაქრომ ნაბდის ქუდი მოიხადა, გაიბერტყა ხელზე, თან ჩაილაპარაკა :

— ცოტაა თუ ბევრი მაინც ეს ორი კაი კერატი გავიმძღვარეთ წინა ამჯერობაზე.

კოდალა თოფის ჩახმახსა ჰფერავს ჩოხის კალთით:

— დედა ვუტირე მაჩაბლიანთა! ი კაი ძღვენი მიუვიდოდათ იმ დღესა.

— მა რა ეგონა მამა-ცხონებულსა! ბრუნდე გზაზე სიარული ბოლოს მაინც არ შერჩება, არა კაცსა!

— მე ბიჭო იმი დაი მენანება! ოჰ, იმი სულის ჭირიმე! აფსუსი არ არის იმი რძიანა სახეს ცრემლი ედნებოდეს!

ამირანი იცინის და მხარში ანჯღლევს კოდალასა!

— ჰა, კოდალა! შენ თვალი ხო არ შეგიგორდა ი თავადის ქალზე?

— ეხ, ბარემ თვალიც შეგორებული მაქვს და გულიცა, მაგრამა ვინ შალირსებს! ნეტამც იმი თავი ან ცეცხლიდან დამახსნეინა ან წყალიდანა და მერეც არ მეტყვის — შენ გენაცვალეო! რა ქალია, შენი ჭირიმე! ... ნაზუქივით არის გამომცხვარი! ბერი რო ბერია, ისიც კი სულს წაიწყმედავს, მე და ჩემმა ღმერთმა!

შაქრა ეშმაკურად ხითხითებს.

— ბიჭო კოდალა! ეხლა რო აქ მოგცა იმი თავი, რას იზამ?

— ჩავუდებდი თავს კალთაში და დავიძინებდი ისე უმანკოთა!

— უუ, რა მამა აბრამის ბატკანი ყოფილა კოდალა, გესმით ბიჭებო?

— გაჩუმდი კაცო! ე ბეყოს მართლა ბატკანი არ ვეგონო და არა მწვდეს აქა კანჩალაში!

— არა მაინც რას იზამ კოდალა, ეხლა რო აქ მოგცა ი თავადის ქალი ელიკო?

— რას ვიზამ, რა! ხო არა გგონია შენ დაგითმო? ისემც არა გიჭამია რა! რაშიც გინდა მომკითხე ძმობა და ამხანაგობაი, მაგრამა მაგაში კი ვერ ჩაგიზიარებ ჩემო შაქრა.

კოდალამ ერთი ამოიოხრა ვითომ და დიდი ბოღმებით, თან დააყოლა:

— ოხ, ნეტავი კი იმ დღეს მოვესწრებოდე რომა თავადის ქალი გლეხს ეხვეწებდეს ცოლობასა და ის კიდე ინაზებოდეს! ამას რო ვეღირსებოდე, მაშინა დედამიწაზე ხო ერთი ადლით მაღლა გავივლი არა, ბიჭებო!

აქ შაქრამ ერთი ლაზათიანად წასცხო კისერში:

— ის ერთი ადლიც რო მოგემატოს, მაინც ერთ კაცზე მეტი არ იქნებიშე კოდალა, შენა!

— მერე ე მოკლე ბიჭი არ ვიყავი, შარშანა ორ-ადლიანი რო გაგაზომინე სომანეთობასა!

— ეგ რა ვუყოთ! ტერტერამა უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო!

— ეხლა ჩემო შაქრა, გინდა ტერტერა მოიშველე და გინდა არქიელი, მაინც აღარაფერი გეშველება.

აქ ამირანი ღიმილით მიმართავს კოდალას:

— ერთი გვიამბე შენ გაზრდასა! მე კარგად არც კი ვიცი ეგ ამბავი!

სხვა რაზმელებიც შეეხმაურენ:

— აბა, აბა კოდალა! გვიამბე შენ გახარებასა! ბევრს ხო არც კი სჯერა, რო შენ მართლა წააქციე შაქრაი.

კოდალა ეშმაკურად შეხედავს შაქრას.

— ჰა ბიჭო, შაქრა! ვუამბო?

— უამბე რა!

— მერე არ გეწყინება?

— რაზე უნდა მეწყინოს!

— რავი! თავმომწონე ბიჭი ხარ და ეგები ითაკილო.

შაქრამ მხიარული სილაღით კისერში წაავლო ხელი კოდალას და გადააკოტრიალა.

— შე ტკაველ-ნახევრიანო, შენ როგორი ჩემი მომრევიცა ხარ, განა არ იციან ყველამ!

— მოჰყე, მოჰყე კოდალა, აგრემც დღე მოგმატებია სომანეთან ერთად!

— რახან არ მეშვებით, მაშ მე ბრალი ამიყრია და ამ სულ-კისერ-მაქარსაც თქვენ მიეცით პასუხი ჩემმაგიერათა.

— ამდენი ბოდიშები შენა ვინა გასწავლა ამ ტყე-ღრეში, ჰა!

— მაშ სმენაიყოს და გაგონება! ვამოფ აი, შაქრა!

— თქვი, შენ გაგიწყდეს სახლი! — და თანაც ერთი კარგი უფერდულა შაქრამ.

— ... ჰო და ასე იყო: შარშანდელი ამბავია განა, შორეული კი არ გეგონოთ! მთელი ახლო მახლო სოფლები მოგროვილა სომანეთობას. ჩქარა დაიწყო ჭიდაობა. პირველად ხან ვინ წაიბღლაძუნა და ხან ვინა. მერე ნამდვილ ფალავანებზე მიდგა საქმე. ერთი-ორი პირი ჭიდაობა ასე ჩატარდა. ბოლოს დაიძახეს, ბულიას ბიჭი შაქრა ჭიდაობსო. მთელი ხალხი სუ წრეს მოაწყდა სანახავადა. დიდი სახელი ჰქონდა დავარდნილი ამ პირძალლისა და ვინ არ მოვიდოდა ამის საცქერათა. მაგრამ არ გინდა ახლა ტოლი გამოუნახო! ვინაც გაიგო, ბულიას ბიჭი შაქრა ჭიდაობსო, ყველას გულის კანკალი აუვარდა. ვერავინ ვერ გაბედა შებრძოლებაი. დგას ეს შენი კისერ-მოღერებული შაქრაი და ელის, მაგრამ შენც არ მომიკვდე თავი არავინ გაიმეტა შესარცხვენად. ხან ვის წაავლებენ ხელსა და ხან ვისა, მაგრამ აჰ! ყველამ ხელები გაატატანა. ბოლოს აკი მე მომწვდენ. ვეუბნები: კაცო, რამ გაგაგიჟათ! იმასა ერთ ლუკმად არ ვეყოფი მეთქი! ვიცით არ ეყოფი, მაგრამ მაინც დაეჭიდე! აბა გახდილია კაცი და თავის მოჭრა არ არის, რო ერთი არავინ გამოუჩნდეს იმი შემბედავიო! ბოლოს მეც დავთანხმდი. რა მენაღვლებოდა, ხო ვიცოდი წამაქცევდა, მაგრამ რა დიდი ფალავანი მე ვიყავი, რო შევრცხვენილიყავი! ვთქვი, ერთი ხალხს მაინც გავაცინებ მეთქი და გავიძრე ტანისამოსი. ი გოგოც იქვე დგას ი ჩემი ცოდით სამსეი და ჟუჟუნა თვალებით აკი მე არ მომჩერებია. მამდვილი ბურაოსავით დამიტრიალდენ იმი თვალები ამ საოხრე გულშია.

— რომელი გოგოი, ბიჭო?

— რომელი გოგოი და ისა მეთქი, ი ჩემი ცოდით სამსეი! ლუარსაბის გოგოი! რა გამოვდიოდი წრეში, აკი უცაბედათ ხელი არ მომიხვდა იმი თეძოზედა. ეეი! ავენთე, მარა რა ავენთე! ნამდვილი ხმიადივითა ქონდა ი დალოცვილი! აი ეს ხელი მომიხვდა, აი, ვენაცვალე ამასა! (თან იკოცნის მარცხენა ხელის გულზე) რაკილა იმი თეძოსა კანში გავკარი, სიხარულისაგან სუ მიმინოსავით დავიწყე ფრენაი. თანაც ვამბობ: ე წაქცევა ხომ არ ამცდება და არა სიკვდილივითა, ბარემ მოდი ე ხალხი მაინც გავაცინო მეთქი. დავუარე ბიჭო წრესა და რა დავუარე! ჩემ დანახვაზე ყველა გაკვირდა. ახლა მარიფათიანადაც რო დავუარე ნამდვილი ფალავანივითა, ყველას სიცილი აუტყდა. გამოვიდა ე შაქრა — ბიჭი თავის ადლიანი ბეჭებითა და რო დამინახა ქონდრის კაცი, ამასაც ჩაეცინა გუნებაში. მე ეხტიბარიანათ მიწა რამდენჯერმე დავიფშვნიტე ხელში, მერე მივედი და ერთი გარდანელივით ჩამოვართვი ხელი, მაშა! არავინ ფიქრობს, თქოს საფალავნო წესები არ-ვიცი. ეხლა დავიწყე ციბრუტივით ტრიალი აი ამ ღორჯუას გარშემო. (თან ბეჭებში გასცხო შაქრას) ვფიქრობ: ერთი ცოტახანს მაინც გავუძლო მეთქი და ხალხიც გავაცინო.

ესეცა ეს ოჯახქორიანი კაცად კი არა მთვლის! აინუმშიც არ იგდებს ჩემ გადახტომ-გადმოხტომასა. ხელებ გამოშვერილი ნელ-ნელა მოდის ჩემკენა ბუღა მოზვერივითა. ვიცი, თუ მომავლო ხელი, სულ დამამტვრევს სატაცურივითა. კარგა ხახს ვუპოოწიალე ასე გარჩემო. მერე ვთქვი, მოდი ერთი კიდე გავაცვნებ ხალხსა. სანამ დამაბეჭებდეს მეთქი მიწაზე. ერთი გადავხტი, ვტაცე ამ გამოშვერილ მარჯვენაში, წამოვიკიდე და... აკი არ გადმომყვა ეს დე-გმირივით ბიჭი და გადაკოტრიალდა შუაგულ წრეში! იცოცხლე ჩქარა წამოხტა სახტად დარჩენილი. გამგელებით მეძებს აქეთ-იქით, რომ დამბდღვნას ერთიანად, ჟაგრამ იქ ვილა გაუჩერდებოდა! დასცა ხალხმა ყიჟინა. შეიქნა ერთი ალიაქოთი. მე კი ჩემი გამარჯვებითვე გაკვირვებული ჰაიჰარად გავარდი იქით ი თეძოსკენა, იმისი კი ჭირიმე! ცოტა კიდევ გავეხახუნე, ისე პატარა ნახუნაგი ავიღე რაღა, მითომ უცაბედათა. გამარჯვების სიხარულზე ეს სიხარულიც რო დაერთო, ავენთე. როგორ ავენთე — თითქოს ჩემ სახეზე დიდი ოთხშაბათის ჭიაკოკონა დაენთოთო. მა, ასე კი დაემართა ჩვენ შაქრასა.

აქ წამოხტა შაქრაი. ცალი ხელი მარცხენა ფეხში წაავლო კოდალას, მეორე — კისერში. ასწია და შეათამაშა ჰაერში.

— აბა მითხარით ბიჭებო, სად გავშოტო წმინდა გიორგის ზვარასავითა!

— შეიცოდე, შეიცოდე კაცო! ცოლშვილი ოხრად დარჩება. მერე ვილა ანუგეშებს უდროოდ დაქრილებულ მაჩაბლის ქალსა.

კოდალაც ხითხითებს, თან ხუმრობით ეხვეწება შაქრას:

— გამიშვი შე ღმერთ-ძაღლო! ხელში არ შემოგაკვდე და ცოდო არ დაიდო მთელი კაცისა. მე ხომ არ წაგაქცია ბიჭო, ჩემი რა ბრალია. ის — ლუარსაბის გოგომ წაგაგცია იმას კი ვენაცვალე ბამბიჭულა სახეში! არა, ხმიადა თეძოებში!

შაქრა კი ათამაშებს ჰაერში კოდალას.

— ეს არის ჩემი წამქცევი, ესა! გამტკავლეთ დედამიწაი ამიზომაზე, რო ზედ დავაკრა ადლივითა.

— ეხლა გინდა ასჯერაც დამაბერტყე ბეჭებზე, ჩემო შაქრა, მაინც იმ ერთ წაქცევას ველარ გამომიბრი და ველარა!

— აპატიე ბიჭო შაქრა, აპატიე!

— ერთხელ გაუხარია საწყალ ბიჭსა, თავის ჯეელობაში და ნუ ჩააშხამებ, რა არი!

— აჰა! კაი ამხანაგების ხათრით მიპატიებია შე კოდალა, შენა!

და შაქრამ ამხანაგების ფეხებთან გადმოაგორა ძღარბივით მოკუნტული კოდალა.

აჰა გაისმა სამპირი ჭოტისებური ყივილი.

ცოტახნის შემდეგ გამოჩნდა გზის მომკვლევი. მას ფეხდაფეხ მოსდევდენ არხია, სინკა და სამიც სხვა ბიჭი.

მისალმებისთანავე არხიამ სავსე ხურჯინი დააგდო რაზმელების წინ:

— აჰა, ბიჭებო! დარბეულ სოფლიდან ამაზე მეტის წამოღება ვერ მოვახერხეთ. გულს ნუ დაგაკლდებათ მაინცა!

სინკამაც გადმოაგორა პატარა ტიკჭორა:

— აჰა, ე პილატეს ცრემლებიცა! სულერთია რუსი ყაზახები არ შეარჩენდნენ დედაჩემსა და ბარემ თქვენ შეგერგოთ!

ამირანმა ხურჯინი მისწია ამხანაგებისაკენ:

— დათვო პანტა გიმწიფოსო და კიდეც მიჭირსო! ეს ხალვა ... მართლაც კაი დროს შემოგვესწრო! აბა ბიჭებო, ეხლა მაინც დანაყრდით მთელი დღის მარხულები. არხია და სინკა კი სოფლის ამბავს მოგვიყვებიან.

კოდალამ მარჯვეთ გახსნა ხურჯინი და ამოალაგა იქაური დოვლათ-ბარაქა: პურები, ხახვი და ყველის პატარა კვერეულები.

— ბიჭო არხია! ე ხახვი ჩვენი ბოსტნიდან ხო არ არის? იქ იცის ხოლმე ასეთი გოგრა თავები.

— მაინც იქიდან არის. იმდღეს გადმოგვიტანა დედაშენმა — სესხი მართებოდა.

— ოი, ამას კი ვენაცვალე თაფლა საძირისში!

და კოდალამ ჯერ აზიზად აკოცა ხახვს ძირში, შემდეგ კი მსუნაგად ჩაკმიჩა ხომანდულა ვაშლივით.

ბეყომაც თვალები ააბრიალა. ხურჯინის ქექვაზე იმასაც აეშალა ჭამის საღერღელი, მაგრამ თავის საკბილო ვერაფერი დაჰყნოსა და ერთი მაგრა შეჰყმუვლა, თითქოს გულის გასაქარვებლადო.

ამირანი მისწვდა ხის ტოტებ შუა გაჩხირულ ძვალს — წინა დღით რომ შემოენახა და მიუგდო ბეყოს. პირუტყვი ხარბად დააცხრა ძვალს, ჩაბღუჯა ტორებში ბრძოლით მოპოებულ ნადავლივით და შეუდგა მადიანად ღრღნას.

— მა ხარის ძვლების მაგიერა ერთი ალიხანის ძვლები მომცა, რო ისინიც დავახვრეინო უფრო გემრიელადა! ამბობს სინკა.

— ჯერ ხორცი და მერე ძვლები, ბიჭო! — უსწორებს არხია.

— მერე ანდუყაფარსა ხელუხლებლად სტოვებთ თქვე ოჯახქარიანებო! — ფიცხობს კოდალა. ის კიდე ცოცხლივ უნდა მიუგდოთ ბეყოსა!

სინკა არა ყაბულობს.

— არა, ცოცხლივ არ გამოდგება: ის თვითონ ისეთი მგელია, რო ამისთანასა ორს მოერევა. არა ჯერ სული ამოვხადოთ ჩვენა და ამას მერე ლეში მივუგდოთ.

არხია თითქოს თავისთვის ბუზღუნებს:

— ჰოი, იმასაც კი შეხვედრია მუნია და საქექელა, სანამ ჩვენ ხელში ჩავარდებოდეს!

ამირანმა მოსტეხა დაფაშრებული პურის ყუა. თან ყუათიანად ილუკმება. კოდალას ნაქებ ხახვთან ერთად, თან არხია და სინკასაც აჩქარის:

— აბა ბიჭებო, რაღას აყოვნებთ! გვითხარით რა ხდება სოფელში?

არხიამ გვერდი ინაცვლა, თითქოს ეს საჭირო იყვეს სალაპარაკოდ მომართვისათვისო.

— რაღა რა ხდება ჩემო ამირან! აქედანაც კი დაინახავდით — რა უბედურებაც დაატყდა ჩვენ სოფელსა! რა ჩვენსა, რა სხვასა! სადაც ფეხ შედგამენ, ქვას ქვაზე აღარა სტოვებენ. ნამდვილი მეორედ მოსვლაა. რაღა დავმალო ძმაო! ვინაც ჩვენი სოფლიდან რაზმელია გასული — ყველას სახლკარი გადაბუგეს. კოდალას ბოსელს ჩემი გვერდელა ქოხიც ზედ მიაყოლეს.

— მაშ გადაწვეს ჩემი მუხის ბოსელი, ჰა? აფსუს, სად ვიყო ბიჭი კოდალა, რო დედა ამეტირებინა, ვინაც...

— ეჰ, რა გამოვიდა! ძია ზაქრომაც ეგრე ქნა სწორედ; ველარ გაუძლო თავის სახლკარის აოხრებასა, ჯერამ-ერთ აფიცერს გაუპო თავი ნაჯახითა მერე — მეორესა. შემდეგ გამხეცებულმა ყაზახებმა ისიც ზედ მიაყოლეს თავის მსხვერპლსა.

ამირანი თითქოს შეჩვეულია ასეთ ამბების სმენასო და გაუკვირვებელად ჩაურთო სიტყვა:

— ყოჩაღ ძია ზაქრო! ორზე მეტი არც ერგებოდა იმას წილში! ვენაცვალე იმის გუთნიდედურ მარჯვენასა!

სინკამ თითქოს რაღაცას გამოჯავრებითო ერთი ბრმა ლუკმა სდრუზა პირში და თანაც დააყოლა:

— ეხ, ვიცი ჩემ კარმიდამოზედაც დაანთებდნენ ჭიაკოკონასა, მაგრამ რა ვუყოთ! ტირილითა და ვაებით რა გაეწყობა!

ამირანი მხარზე ხელსა სცემს: ჩვენც გადავუხდით სამაგიეროს! სულ დინს ვუტირებთ! იმას როგორ ვაფიქრებინებთ, თითქოს სოფელი უპატრონოა და ახალთაობამაც დაჰყარა იარაღი! გაძლება სწორედ ჭირში უნდა ბიჭებო და არა ლხინში! ჩვენც გაუძლებთ! მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო! ჩვენც სწორედ ქვა ვართ, ნამდვილი სიპი ქვა, მაშა!

ლექსომ თავისი ტანტარა ჯოხი მიწას ჩაატაკა თითქოს ანდუყაფარს ჩასცხო შიგ კვინიხშიო:

— შენ ენა — პირს კი ვენაცვალე, ამხანაგო! შენა თუნდა ზღვაშიც შემოგყვებით და გავტოპამთ კიდევაც, ჩემმა-მზემა!

ამირანი ისევ არხიას მიუბრუნდა:

— მერე, მერე არხია! გაგაწყვეტინეთ ი სოფლის ამბები.

— მერე რაღა ჩემო ამირან! გამხეცებულ ყაზახებსა და შავრაზმელებს რაღა მოეთხოვებათ. შესაჭმელს სჭამენ, დასაწვავს სწვავენ, ასაკლებს იკლებენ. ბავშვებსა და მოხუცებსაც კი არ ინდობენ: ცემით სიქას აცლიან — ეგები გამოვტეხოთ რამეშიო. ახალგაზრდები თუ ვინმე ჩაუვარდათ ხელში ჯერ მათრახებით ალილავებენ და მერე გაბაწრავენ კიდევაც საციხედ. მაგრამ შუშანას გოგოს — თეკლას საცოდაობას რომ ვუცქირე — იმან ყველაზე მეტად მომიკლა გული.

— რომელი თეკლა, ბიჭო? ამას წინად რო ღამე ვათიეთ მე და კოდალამა ოჯახში, ისა? — შეშფოთებით ეკითხება ამირანი.

— ჰო, ისა, მა!ხო გახსოვს, კაი შეთვალებული გოგოა და კაი ბიჭებსაც ეჭირათ თვალი, მაგრამ...

— რაო, რა მოხდა კაცო, თქვი ჩქარა! — მოუთმენლად ეკითხებიან თითქმის ყველანი.

— რა მოხდებოდა ლამაზი ქალის თავსა, არიცით! რო დაიწყეს ი მხეცებმა სოფელში თარეშობაი, საწყალი გოგო შიშისაგან საბძელში შემალულიყო. ზაქროს ძარიდან ცეცხლი ჩქარა იმ საბძელსაც გადასწვდა. ამ დროს მეც ჩუმად მივიპარებოდი ბალ-და ბალ. ი საცოდავს ალბათ შეეშინდა არ დავიწვეო და გიჟივით გამოვარდა საბძელიდან და თითქოს განგებაო — ზედ არ

შეეფეთა სამ ყახაზსა. იმათაც სტაცეს ხელი და გადაითრიეს ბალში, რასაც ის წიოკობდა. —

— მიშველეთ! ვინა ხართ ქრისტიანებიო!

„მაგრამ ვინ მიეშველებოდა! ყველას თავისი გენია სწყობდა, მეც ხელთ არა მქონდა რა და უიარაღო კაცი რას გავაწყობდი! ერთი ხელობა მივწვდი მარგილსა, ვთქვი, ასე როგორ ვუციქირო ახალგაზრდა ქალის გაწბილებასა მეთქი! სამ გამხეცებულ ადამიანს რას დავაკლებდი! რავი, ეგები თავიც გამეწირა, მაგრამ მომაგონდა რო აქეთ ვიყავი წამოსასვლელი და თქვენც ლოდინი გქონდათ ჩემი.“

— ეხ! სად ვიყა ბიჭო კოდალა, რო ამ ჩემი კარაბინითა ზედიზედ მიმეწვინა ის სამგლეები! ილბალი არა ჰქონია საწყალ გოგოსა, თორე...

— მერე, მერე, არხი!

... ამდროსა, ბედზე თუ უბედობაზე, აკი ანდუყაფარი არ წააწყდა თავზე ხუთიოდე რაზმელითა! ზოგი მუქარითა, ზოგი ტკბილათა და ე გოგო ხელიდას გამოაცალა ი წყეულებსა. ვთქვი, ეგები ეშველა მეთქი, მაგრამა...

— მაგრამა?

—...მე მეგონა, სახლში გაუშვებდა საწყალ გოგოსა, მაგრამ შენც არ მოგიკვდე. მაშინვე თავის სახლისაკენ გაუყენა.

— მერე, მერე?

— მერე რალა გამოცანა უნდა! ტურებიდან წართმეულ ლუკმასა მგელი გაუშვებდა!...

— აფსუს გოგო, რა გოგო! — სინანულით აქნევს თავს ლექსო — ის ისეთი ამპარტავანი რამეა რო ამის შემდეგ თავს აღარ იცოცხლებს, ჩემმა მზემა!

ამირანი თავის მღელვარებას ბეყოსთან ლაქუცში ჰფარავს:

— თვითმპყრობელობის მიერ აშვებული ნადირებისაგან სხვას რას უნდა ელოდეს ადამიანი! ეხლა ჩვენ უნდა ვეცადოთ — ფასად დაუსვათ სოფლის ესეთი აწიოკება. დაუსჯელად თუ დავტოვეთ, ხვალ უფრო თავს გავლენ და უარეს ჩაიდენენ.

— დაუსჯელათაო! მა რალა ოხრათ გვინდა ეს იარაღი, თუ ამნაირ გაჭირების დროს არ მოვიხმარო? მოკვდეს ბიჭი კოდალა, თუ ერთი ხუთიოდეს არ შევანანო სიცოცხლეი.

ლექსო მეველეც ველარა ფარავს გულის დუღილს:

— ჩემმა მზემ თუ ერთი კაი ნიშადური არ ამოვცხეთ ანდუყაფარსაცა და ალიხანსაცა, სუ პირშავად დავრჩებით სოფელთანაც და ახალთაობათანაც. ლუკმა პურს არავინ გაიმეტებს მერე ჩვენთვისა და ახიც იქნება, ჩემმა-მზემა!

ამირანი ამშვიდებს ყველას:

— ნეტა რაზე ფიცხობთ ბიჭებო! განა ვისმეს გაუვლია აზრათ გულხელ დაკრეფილი ვუცქიროთ ჩვენი ხალხის აწიოკებასა! სად სმენილა, სად გაგონილა ასეთი ამბავი!

გულდალმა მწოლარე შაქრამ მაგრა გააზმორა, თითქოს დედამიწაც გასჭიმაო:

— მე შვილოსა ისე დავიგეშე თავადებზე ნადირობაში რო ეხლა ერთი დღეც აღარ მინდა გავაცდინო. თითქოს კანშიც ველარ ვეტევიო! აბა ჩემო

ამირან, ვინძლო ისეთი დღე დავაყაროთ მაგათა, რუს-ხელმწიფემ რო გაგოს სუ „ნასკაკოი“ იძახოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.

ამირანის მუხლებთან ჩაცუცქულმა ბეყომ ერთი დაიყმუვლა ბოლმიანათ და რაღაც ობლობის ჟრუანტელი მოჰფინა წყვდიადით შესუდრულ არე-მარეს.

ამირანმა, თითქოს ჭკუაში ჩასაგდებათ, მაგრა მოსწია საყელოს.

— რა გაყმუვლებს შე ვერანო! ლეშის სუნს ხო არა ჰყნოსავ წინდაწინ!

აგერ ჭოტისებური სტვენაც გაისმა სამპირად.

— ეს ალბათ ჩვენი ბიჭები ბრუნდებიან ქვემო მხრიდან.

— ნეტა რა ამბავი მოაქვთ!

— ცოტა კი დააგვიანდათ მა პირძაღლებსა!

— თუ გამარჯვებული მოდიან, დაგვიანებას ვინ ჩაიგდებს აინუნში.

— ბეჭა სადაც წავა, ის ხელცარიელი დაბრუნდება!

— მერე ღირღიტაც თუ გვერდში ჰყავს!

— ეგ ოჯახქორიანები რამ შეატოლა ეგრე ურმის თვლებივითა! უერთმანეთოთა ნაბიჯის გადადგმა ეზარებათ. ერთად კი თუნდა ანთებულ საკირეში გადაცვივიან.

კოდალა ვითომდა ნაწყენი კილოთი ბუზღუნებს:

— მოკვდეს ბიჭი კოდალა, თუ ბეჭასა და ღირღიტას ჩამორჩეს! მაგრამ თვალი დაუდგეს ტან-მორჩილებას! აქაო და ბეჭასავით მხარბეჭიანი არა ვარო, თვალში გეცოტავებით, არა!

ამირანმა ამხანაგურად წასცხო კოდალას კისერში:

— შე კოდალა, სულ წუწუნებ, წუწუნებ, თითქოს ყველასაგან დაბრიყვებული იყვეო, მაგრამ შენ განა ვისმეს დააჩაგვრინებ თავსა! პატარა ხარ მაგრამ რავიცი, შენზე მაღალსაც ისე ელაპარაკები, თითქოს ზევიდან დასცქეროდეო.

გაისმა ხმელი ტოტების უძლური ლაწუნი, ბალახის მორიდებული შრიალი და ჩქარა გამოჩნდენ — ვისაც ელოდენ.

ყველას დაეტყო სიხარული ამხანაგების დანახვაზე. ამირანი ფეხზე ადგომით შეეგება.

— აბა ბიჭებო, დევ-კაჟიანებო! ვატყობ, გამარჯვებული მოდიხართ! ეგრეა თუ არა?

— ბეჭა ულვაშებზე კმაყოფილებით ისვამს ხელს:

— ნეტამც ყოველთვის ისე გაგვემარჯოს, როგორც ამჯერობაზე, და ჩქარა ჩვენი მტრებისა გასაგისიც კი აღარ დარჩებოდა.

— ხომ ჩააძაღლეთ ი ქვეყნის ამამტუტებელი?

— ჩავაძაღლეთ და დინიც ვუტირეთ! — კმაყოფილებით ამბობს ღირღიტა და მძიმედ გაგორდა იქავე გაშლილ ნაბადზე.

არხეა გაოცებით ეკითხება:

— ვისა ბიჭო, ვის უტირეთ დინი?

— ვისა და ხეთაგა მამასახლისსა!

— ოხ, თქვენ მარჯვენას კი ვენაცვალე იმისი მოსპობისათვისა! რაც იმან უბედურება სთესა ქვეყანაზე, უწია მაინც ცოდომა!

სინკა თან კმაყოფილებით თან სინანულით გულში ირტყამს მუშტს:

— ჰაი დედასა გორისასა, რო მენაც არ ვიყავი იქა! ერთ ლაზათიანად კი ჩავაზელდი იმ დაჭარხლებულ სახეში. იმან რო ეს თავმომწონე ბიჭი ამოა სოფელში გამაშმათრახა ოხ, რატო ჩემი ხელით არ ამოძვრა სული ი ქოფაკების ერთსა!

ამირანი ამშვიდებს:

— სულ ერთი ჯილაგისა არიან, ჩემო სინკა! ვიზედაც შურს იძიებ ყველა ერთ ბარაში გავა! ყველა შარბათად შეგერგება. აი ხვალ იქნება თუ ზეგ, დროს შევურჩევთ და ერთი ლაზათიანად ვიყაროთ გულის ბუხარი მა ჰარამზადებზე.

ამირანი ერთ ხანად დაფიქრდა, რაღაცას საზრისობს:

— ეხლა ბიჭებო სოფელში რომელი დაბრუნდება? მოენე გვჭირდება! მეტადრე ეხლა — ამ გამწვავებულ დღეებში.

არხიამ გვერდი შეუბრუნა:

— მე არ წამესულება ძმაო. ტყუილა უნდა ხელში ჩავუვარდე მწიფე ჭანჭურივით ან ანდუყაფარს ან ალიხანსა. მერე და მეც მინდა მონაწილეობა მივიღო ბრძოლაში, განა მე კი არა მწყურია ჩვენი მტრების სისხლი!

სინკაც ცხარე უარზე დადგა:

— ვითომ სინკა რაღა შენზე ნაკლები ბიჭია! მენაც მწყურია მტრების სისხლი! ჩემი ტოლი ბიჭები ხალხის მტარვალებს ებრძოდენ და მე ყანებში ვიმალებოდე! მენაც თქვენთან ერთად უნდა დავაჭახანო თოფი ყაზახების ჯოგში, თორე ცვედანათ მომნათლავენ ყველანი და სოფელშიც აღარ შემესვლება.

ამირანმა თითქოს დამაჯერებლად მიიჩინა ამხანაგების გულისწყრომა და ისევ ლექსო-მეველეს მიმართავს:

— ჩემო ლექსო, ისევ შენ უნდა მიუბრუნდე სოფელსა. შენ ერთი საწყალი მეველე კაცი ხარ: სულ მინდორ-მინდორ რო იარო დღე და ღამე — ბრალს ვერავინ დაგდებს. თანაც თავს შეინახავ, თანაც ამბებს აჰკენჭავ კარგად და ყოველ საღამოთი გვაცნობებ შეპირებულ ადგილას.

ლექსო კი ფიცხობს ამის გაგონებაზე და უკმაყოფილოდ ეპასუხება:

— ჩემმა-მზემა ამხანაგებო, მე უბედო კაცი ვარ, განა! მარტო გოგოებში კი არა — იმათი სალავათიც დაიქცეს! ამხანაგებშიც უბედო ვარ: როგორა ახლა! თქვენა ანდუყაფარსა და ალიხანებს ებრძოლოთ და მე მხარზე კომბალ გადაგდებული ყანა-ყანა დავდიოდე, ჰა! აშენდა სოფელი, მა! ჩემმა-მზემა თავს აღარავის დავაბრიყვებინებ, გინდც გვერდიდან გამოჭრილი ამხანაგები იყვნენ.

ამირანი უყვავებს და თანაც დინჯი კილოთი მიმართავს:

— ლექსო, ლექსო! სახალხო საქმე რთული საქმეა, დიდი საქმეა, წმინდა საქმეა. მას მრავალი სადარაჯო აქვს და ყველამ პირნათლად უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება — რომელ საგუშაგოზედაც კი შეუხვდება. ჩვენ, ხომ სოფელშიც გვჭირდება კაცი ყოველივე ავ-კარგის საცნობელად. უიმისოდ რა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ, თუ სწორედ არაფერი გვეცოდინება? შე ყურუმსალო, როგორ? გეთაკილება განა ეგეთი მოვალეობის შესრულება? ამჯერობაზე ეს საქმე იკისრე მარტო. შემდეგისათვის კი შენც შეგკაზმავთ

„თოფითა და ჯინჯილითა“ და მიგიშვებთ ჩვენ მტრებზე. ხომ არა გგონია, მართლა ყველა ისე ამოვჟლიტოთ, რომ შენ წილად აღარავინ დარჩეს? ნუ გეშინია, ამ საქმეში მაინც არ დარჩები ისე განაწყენი — როგორც გეგონებოდ!

ლექსო თავს იჩეჩავს, წინააღმდეგობის ძალას ვეღარ ბოლოებს თავის თავში:

— ეს ოხერი ხათრიანი კაცი ვარ. ადამიანი ხელად დამაჯერებს ხოლმე თავის სიტყვებში. აბა რაღა გავაწყო, რახან ჩემზე ჩამოდგა საქმე! უიმისოდ კი ჩემმა-მზემა...

7

ცხრაას ხუთი წლის ბუმბერაზული გამკლავების შემდეგ მართალია რევოლუციამ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ქედმაღალ მებრძოლებს არც დამარცხებულად მიაჩნდათ იგი. იმათ სჯეროდათ, რომ ჩქარა, სულ ჩქარა ისევ მოიკრებს ძალ-ღონეს მუშათა კლასი და რევოლიუციურ გლეხობასთან ერთად გადამწყვეტ იერიშის მიიტანს ძველი ქვეყნის ციხე-სიმაგრეზე. სწორედ ამიტომ ისინი არ სწყვეტდენ ბრძოლას არც ქალაქად, არც სოფლად. ამგვარად აფხიზლებდენ მთელ ხალხს და მშვიდობას უკარგავდნენ ისევ — თვალბედითი თვითმპყრობელობას.

განრისხებული ხალხის მოულოდნელი შემმართებით დარეტიანებული მთავრობა და გაბატონებული კლასებიც თითქოს გონს მოვიდნენ, ოდნავ გასწორდნენ წელში. შეუდგნენ სასოწარკვეთილ თავდაცვას. ზოგჯერ კი გაბოროტებულნი იერიშებზეც გადადიოდნენ და სულმოკლედ სცდილობდნენ შურისძიებას.

ქალაქში დაიწყეს მუშების მიერ მოპოებულ უპირატესობათა თანდათანი შეკვეცა. ადმინისტრაციამ გაახშირა მუშების დევნა, დაპატიმრება, გადასახლება.

სოფლად კი — გლეხის შრომით გააზატებულმა თავად-აზნაურობამ გაიხსენა მივიწყებული ფარხმალის ძალა და შეადგინა გლეხობისათვის ზარის დამცემი შავი რაზმი. ვინც მწყრალად იყო პატიოსან გარჯილობით არსებობაზე, ვინც მიჩვეული იყო მუქთახორად ქეიფსა და ლხინს და თანაც ჯანი ერჩოდა — ყველა გაეშურა ამ შავი რაზმის დასამშვენებლად.

მას სათავეში ჩაუდგა აწიოკებულ — საქართველოს არსებობაში სისხლითა და მახვილით სახელ მოხვეჭილ გივი ამილახვარის ნაბოლარა შთამომავალი — ანდუყაფარ ამილახვარი. ის იყო წინამძღოლი და სულის ჩამდგმელი ამ სახელოვანი რაზმისა.

მთავრობის დამქაშებთან შეხმატკბილებით, მათი ხელშეწყობით ეს შავი რაზმი დანავარდობდა უმთავრესად ქართლის სოფლებში და ზარსა სცემდა ჭირის — ოფლის მომწურავ ჩვენ გლეხკაცობას.

მათი თავი და თავი საზრუნავი იყო ძველებურად ღალების აღდგენა, მემამულეების მფლობელობის ხელშეუხლებლობა სახნავ-სათესზე, ტყეზე, მთასა და ბარზე. ერთი სიტყვით თავისუფლების განთიადზე გამოსული გლეხობა ისევ უნდოდათ ჩაებოჭათ ბატონყმურ არტახებში და ოდინდელად ეფარფაშათ მის ნაოფლარზე.

მაგრამ არც ახალთაობა დარჩენილა გულხელდაკრეფილი. მოვიდა სეტყვა — დახვდა ქვაო. თავადაზნაურობის უხერხემლო და უნიადაგო შავ რაზმს მაგრად მიეგება წინ გლეხკაცობის მიერ გამოჭედილი წითელი რაზმი. ამ ხელჩართულ ბრძოლის დროს ეს რაზმი იყო იმედი და სასოება საუკუნოებით დაბრიყვებულ ჩვენი სოფლისა.

ეს „ქებული" შავ-რაზმელები საკუთარ საბუდარში დაჩიტულ ბახალებივით ამოფარებოდნენ უმაღლესი მთავრობის ფრთებს. ყოველთვის მათი ერთგული მსახური იყო მამასახლისიც, ბოქაულიც, მაზრის უფროსიც. რომელ სოფელშიც კი მივიდოდნენ, იქაური თავადი ვალდებულად სთვლიდა თავს — გამასპინძლებოდა ამ „სახელოვან" რაზმებს ჩვენებურად, ძველებურად, მამაპაპურად. მაგრამ ეს ამაგი, ეს გულუხვი პურმარილი დკარგულად არავის შიაჩნდა: ყველა დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან ერთი ათად, ერთი ასად ისევ გლეხებს აზღევინებდენ ამ სამეჯლისო გამასპინძლებას.

წითელი რაზმელები კი ტყეს აფარებდენ თავს. გარეული ნადირივით დაძახვილებული ყნოსვით მათ კვალდაკვალ დასდევდნენ მთავრობის დაწუწკებული ქოფაკები და შურისძიებით აღსავსე შავრაზმელები.

მაგრამ წითელი რაზმელები ხომ ხალხისთვის იბრძოდენ! მადლიერი ხალხიც მიუძღვნიდა ღირსეულ სამაგიეროს. ეს ხალხის სიყვარული იყო მათ ბრძოლის ცეცხლს რო აღვივებდა. გაჭირვების დროს ხალხი აძლევდა იმედიან თავშესაფარს. ხალხი ასაზრდოებდა მათ თავიანთ ნაწვამ-ნადაგი ლუკმით. ამ განკითხვის ჟამს ხალხს თავის მკერდზე აღზრდილი შვილები — ეს წითელრაზმელები მიაჩნდა ერთად ერთ მოქომაგეთ და მრისხანე მოპასუხედ — დაუნდობარი მტრებისადმი.

წითელი რაზმის ქოჩორა ბიჭებიც არასოდეს არ აცრუებდენ ხალხის ასეთ პირსავსე ნდობას და სამახსოვროდ უმასპინძლდებოდენ გაკადნიერებულ ხალხის ჯალათებს.

ამ რაზმის ხელმძღვანელობა თავიდანვე ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გაიხადა თავის ბუნებრივ საზრუნავად. ამ ქართლის თავანკარ ბიჭებში, ბრძოლა და თავგანწირვით აღგზნებულ ბიჭებში ბოლშევიკები ანთებდნენ რევოლიუციური შეგნების შორს მანათობელ ლამპარს. რაზმის ყოველ თვალსაჩინო მოქმედებას ისინი წარმართავდნენ საერთო ბრძოლის დიადი მიმართულებით. ისინი აწვდიდნენ იარაღსა და სხვა საჭირო მასალას. რჩეული ამხანაგების საშუალებით ისინი აკავშირებდნენ რაზმს მთელი ქვეყნის რევოლიუციურ გულისცემასთან.

განსაკუთრებით შესაპოვარი და ზარის დამცემი გახდა წითელი რაზმი, რა სათავეში ჩაუდგა მას ამირანი.

მაგრამ როგორ მოხდა ეს?

ცხრაას ხუთის ბობოქარ ხანაში ამირანი ტფილისში ტრიალებდა. აქ კი რევოლიუციის ყველაზე ძლიერი კერა გიზგიზებდა ნაძალადევის თავდაბალ ქოხმარებში.ეს იყო გოროზ არწივთა საბუდარი. პირველად აქედან გაისმოდა ბრძოლის მდეგარი შეძახილი. პირველად აქ აღიმართებოდა ჟრუანტელის მომგვრელი წითელი დროშა. აქედან ედებოდა შეუპოვარი ბრძოლის ყიჟინა მთელ საქართველოს. ყოველი ნაცადი მებრძოლი აქ იძენდა გამძლეობას, სიმტკიცეს, გზნებას და სწორუპოვრობას.

ამირანს ნაძალადევი მიაჩნდა ბრძოლისა და რევოლუციის სკოლად, სადაც პირუთვნელ შეგირდათ წარმოედგინა თავისი თავი. ამირანს უბიწო გრძნობით უყვარდა აქაური მიწის ყოველი ნატერფალი. ან როგორ არ ეყვარებოდა! ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, ამ მიწაზე მოსიარულეებს უტვირთიათ ახალი ქვეყნის ამოქნა, ახალი მზის მოვლენა დედამიწაზე. აქ, ამ მიწაზე მოსიარულე ყოველი მშრომელი თავის პატარა გულში ატარებს უდიდეს საკაცობრიო იდეალებს და ბრძოლის ჩაუფერფლავ ნაკვერჩხლებს.

ამირანს დედის კალთაზედაც არ უგრძვნია ის ნანინაებრივი ნეტარება, რასაც განიცდიდა ნაძალადევის ბრძოლით დაცხრილულ კალთებზე. არც ერთ ციხე-სიმაგრეში არ მიაჩნდა თავი ისე უზრუნველყოფილად, როგორც ნაძალადევის გულია ქოხმახებში.

ყოველი რევოლიუციონერისათვის საპატიო ამბავად ითვლებოდა ნაძალადევში მუშაობა და ამირანიც ამაყობდა ამ მუშაობით.

ამირანი — როგორც სწორუპოვარი მებრძოლი — არასდროს არ დაჰრიდებია რაიმე საჭირო და სახიფათო საქმეს, მაგრამ თითქმის ყოველთვის უვნებლად აღწევდა თავს. აქ ყოველთვის მნიშვნელობა. ჰქონდა ამირანის მოხერხებასა, საზრიანობას და სიმარჯვეს, მაგრამ თითქოს ბედიც ათამამებდა.

მართალია ამირანს არ სჯერა ბედის გარდაუვალობა და მეუფება ცხოვრებაში, მაგრამ იგი მაინც ხშირად წაიხუმრებდა ხოლმე ამხანაგებში:

— მე ქუდ-ბედიანი კაცი ვარ, თორემ აქამდის მრავალჯერ უნდა წამეგო თავიო.

აი თუნდაც ცხრა ძმის ტრაგედია ნაძალადევში.

8.

დეკემბრის მიწურულებია.

რამდენიმე დღეს თოვდა. შემდეგ დაიწყო მწვავე ყინვა და სუსხიანი ქარი. თითქოს ეს ავყია ამინდი გასაოცრად ეხმატკბილებოდა უკანასკნელად მოსულიერებულ თვითმპყრობელობის ულმობელობას.

ჩააქრეს მოსკოვის თავგამოდებული აჯანყება. მთელს რუსეთში შენელდა ამძვინვარებულ მუშათაკლასის იერიშები. მთავრობამ სული მოითქვა და თითქოს ოდნავ გამოერკვა რევოლიუციური ზარდაცემიდან. ცხოვრების სხვადასხვა ჯურლმულებიდან გამოძვრენბნელეთის პირქუში ძალები. შავ-რაზმელმა ხულიგნებმა ხელსაყრელად მიიჩნიეს ასეთი დრო. ყველა დიდ ქალაქებში დაიწყეს ხალხის ამაწიოკებელი თარეში.

ტფილისშიაც შეიქნა ჭეშმარიტ რუსთა კავშირი. მას ბელადათ მოევლინა ვილაც სულიერი მამა — ვოსტორგოვი. მის ლოცვაკურთხევით უკვე გაემზადენ შავ-რაზმელები ნაძალადევის ასაოხრებლად.

ეს გაიგეს „ბიჭებმა“ და გადასწყვიტეს — სამახსოვროდ შეანანონ ესეთი თავხედობა ბნელეთის ახლად მოვლენილ მოციქულებს.

დატრიალდა ამირანი თავისებური სისწრაფითა და გამჭრიახობით. ბევრი მებრძოლი ჯერ კიდევ ვერ შეჰრიგებოდა რევოლიუციის დამარცხებას თუნდაც დროებით. მათ ისევ მარჯვეთ ეჭირათ ხელში იარაღი და ჰლამობდენ ფეხზე დამდგარ მტრებთან პირისპირ შეხვედრას.

ამირანმა დაუყონებლივ შეაგროვა სამოციოდე რაზმელი და გაანაწილა ნაძალადევის თავდასაცავ საგუშაგოებზე: თუ მართლა გაბრიყვდებოდნენ გათავხედებული შავრაზმელები და განიზრახავდნენ ნაძალადევის ალყას, იარაღით უნდა მიეცათ სასტიკი პასუხი.

ბიბლიოთეკა

შავრაზმელების გამოსვლის წინალამეა. რევოლიუციონერმა გუშაგებმა შეამჩნიეს — ყაზახების დიდი რაზმი მოემართება ნაძალადევისაკენ. (ალბად წინასწარ უნდოდათ დაეზვერათ ეს მებრძოლთა თავანკარი უბანი).

ბიჭებმა გადასწყვიტეს — არ შეებრძოლონ ყაზახებს, რადგან ამას აუცილებლად მოჰყვება მუშათა უბნების აოხრება და აწიოკება. სჯობს ძალები შემოინახონ ხულიგნებთან შესაბრძოლებლად.

უმრავლესობა სახლში დაბრუნდა. ამირანი კი ათ თავგამოდებულ რაზმელთან ერთად გაემართა ნაძალადევის ნაგერალა ტყისაკენ. ეს რაზმი მან შემოინახა უკიდურესი შემთხვევისათვის. ამ გამწვავებულ და სახიფათო ხანაში ამირანს არ უნდოდა, ერთიან განიარაღებულად დარჩენილიყო შეუპოვარ მებრძოლთა საიმედო საბუდარი. იქ, მაღლიდან უნდა ეზვერნათ, რომ ყაზახებს არ ჩაედინათ რაიმე სიმხეცე. და თუ მაინც თავისას არ დაიშლიდენ, მაშინ ეს შეფიცული რაზმელები ან დაიხოცებოდნენ, ან შეანანებდენ ამ თავზედობას.

შეღამებულია. თითქოს ყორნების გუნდს დაეჩრდილოს სიცივით და რაღაც ჟრუანტელით აკანკალებული არემარე.

ბიჭები მიდიან ქურციკივით ფრთხილად, ფეხაკრეფით. მიადგენ თუ არა ტყის ნაწიბურს, უეცრივ გაჩნდენ იქ საზვერად მოსულ ყაზახთა რკალში.

ორთავე მოპირდაპირემ უყოყმანოდ იგრძნეს, რომ აქ მხოლოდ იარაღით უნდა გაუსწორდენ ერთიერთმანეთს.

და გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა ათეულსა და ასეულ შორის.

ბრმა, დაუნდობარი ტყვიების ზუზუნით იქსელება ჰაერი არდი-გარდმო.

ლაწუნობენ ნორჩი ხის ტოტები. კვნესიან ობოლი ქოხის კედლები. წიოკობენ გაყინული ფანჯრის შუშები. დამფრთხალი ცხენები თქარა-თქურით მირბიან გაუფრთხილებელ სიბნელეში.

რევოლვერის ტკაცნსა და თოფის ლაწუნს თან მოსდევს გაბოროტებული გინება ან შეძახილი.

ყველაზე მკაფიოდ კი ისმის სასიკვდილოდ დაჭრილთა უკანასკნელი გმინვა. მაგრამ რამდენი დაეცა უკვე დაუკვნესებლად, ამას ვერ ამხელს პირქუში წყვდიადი.

მხოლოდ შაშხანა თოფების ლაწუნი ისევ ხშირად გაისმის. რევოლვერის ხმა კი თანდათან შენელდა.

აგერ მხოლოდ სამი ბიჭილა დაფორიაქობს სიბნელეში. ხიდან ხესთან გადინაცვლებენ, ბეგიდან-ბეგზე.

სხვები სადღა არიან? მაგრამ რადგან აღარა სჩანს — ეს მიწამ იცის, სადაც არიან.

— შენ რომელი ხარ?

— ამირანი! შენ?

— მე თედო ვარ!

— მეც ბეჭა ვარ, მაგრამ ტყვიები გამომელია!

— მეც მელევა!

— ბრძოლა აღარ შეიძლება! თავს ვუშველოთ, თუ მოვახერხებთ!

პირქუში აჩრდილები სირბილით და სროლით მოდიან ბიჭებისაკენ.

უეცრივ სიბნელეში გაიელვა რომელღაც მომაკვდავ მებრძოლის ხმამ:

— ვინც გადარჩეთ, შური იძიეთ! განაგრძეთ ბრძოლა!

ბიბლიოთეკა

ერთმა თოფმა საგანგებოდ დაიჭექა.

სამივე მებრძოლმა იგრძნო, ვის მკერდსაც მოხვდა ამ თოფის ტყვია.

— ბიჭებო! თქვენ მაინც უშველეთ თავსა!

ბეჭა ცალ მხარეს მიიმალა წყვდიადში.

ამირანი და თედო ერთად მირბიან — თავქვევით. აგერ სადღაცა შეიხიზნენ მაღალ ფიცრულის ორღობეებში. უკან ყაზახები მოსდევენ სროლით ღობე კაცზედ მაღალი არის, ვერა სწვდებიან, რომ გადაახტენ.

— თედო, მე გიზრუგულებ! შენ გადარჩი! უფრო საჭირო ხარ!

— რას სულელობ! მოდი შემახტი ჩქარა და თავს უშველე!

ამირანი წაიკუზა და ელის თედოს.

— ამირან! მე დაჭრილი ვარ სულერთია, ვერ გადავხტები! მაშ შენ მაინც გადარჩი ჩქარა!

— ხომ არ მატყუებ?

— მუხლში ვარ დაჭრილი! ფეხზე ძლივსღა ვდგევარ. აბა, შემახტი თორემ საცაა დავეცემი და ორივე დავიღუპებით.

ყაზახები მორბიან, ისვრიან. ტყვიები ფიცრულს ეხეთქებიან და ეძებენ უკუქცეულ მებრძოლების გასაგმირ მკერდს.

— მაშ მშვიდობით ძმაო!

— მშვიდობით! ამირან, თუ მოახერხო, სოფელში წამასვენე! სამუხის ძირას დამასაფლავე, რომ დედაჩემმა მიტიროს ხოლმე!

ამირანი შეახტა ფიცრულზე მიყუდებულ თედოს და გადაეშვა ღობეს ეით. უკანიდან კი ყაზახების ტყვიებთან ერთად მოსდევს თედოს ძახილი:

— გადარჩენილებო! შური იძიეთ!

9

ცხრა ძმის დაღუპვის შემდეგ ამირანმა ნაპოვნად მიიჩნია თავის სიცოცხლე. ამიტომ გადასწყვიტა: ეს ხელახლად ნაპოვნი სიცოცხლე მტლედ დაადოს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სამსახურს.

ის ხომ ბუნებით იყო მოწოდებული ბრძოლისთვის. მაგრამ ეხლა ყოველ ნაბიჯზე უკან მისძახის ცხრა ძმის საფლავიდან აღმომხდარი ყივილიც:

— გადარჩენილებო! შური იძიეთ!

და ამირანიც გადაუთქმელ ნატვრად ატარებს ამა ანდერძის პირნათლად შესრულებას.

პირველ ყოვლისა შეასრულა თედოს მუდარა.

მისი გვამი წაასვენა სოფელში. დაკრძალვაზე მოგროვდა ახლო-მახლო სოფლების მთელი გლეხობა. დედის გლოვამ და მწუხარებამ აამღელვარა ისედაც აღშფოთებული ხალხი. ყველა წყევა-კრულვას უგზავნიდა თვალბედითი თვითმპყრობელობას.

თედოს დასაფლავება ზედმეტ საბაბად გადაიქცა ხალხის აღშფოთებისა და მრისხანების გამოსამხელად.

აგერ მიასვენეს უებრო მებრძოლი სამარადისო სავანეში დასაკვიდრებლად. ყველას უნდა დაინახოს მისი სახე. ყველას უნდა უკანასკნელად შეჰფიცოს რაღაც. ყველას უნდა დაიმახსოვროს, თუ როგორ [illegible] მებრძოლები უძრავ კუბოში.

ბიბლიოთეკა

როგორც ახლად გალესილი მახვილი ელავს მზეზე, ისე ელავენ ამბოხარი სიტყვები ხალხის სასმენად.

დრტვინავს და შფოთავს ხალხი. გუგუნებს და ტორტმანებს ხალხი.

თედოს დედა კი უკანასკნელად ეთხოვება და ვერ გამოსთხოვებია თავის პირმშოს. მისი გლოვა ტირილი სუსხიან ქარივით უვლის ყველას ტანში და აჟრჟოლებს თავით ფეხამდე.

— შვილო თედო! გულდაგულ დედაშენთან ერთად რატომ აქ არ დაგტირის შენი კარგი ძმაც! ისიც ხალხის ცოდვით სავსე მტარვალებისაგან არის დევნილი შვილო! ის ნადირივით ტყე-ღრეში დაეხეტება შვილო! იმან არ იცის, თუ მისი უფროსი ძმა როგორ გამოსწყვიტეს საუკუნოდ ტოლსა და ამხანაგებში! დალახვროს ღმერთმა ის წესი და წყობილება, ის კანონი და სამართალი, როცა ძმა ძმის სიკვდილს ვერ დასწრებია უკანასკნელი განდობისათვის.

უცებ ხალხი შეირხა, თითქოს რაღაცა ქარმა დაუბერაო. მაგრამ ქარის მაგიერ აგერ მაღლა სერიდან მოჰქრის ვიღაცა ცხენოსანი. ხელში თოფი უჭირავს მომარჯვებული და ბედაურს დაუგეშავის სიფიცხით მოაჭენებს კიდეც გულდაგულ ხალხისაკენ.

აგერ მოვარდა კიდეც მხედარი. ცხენდაცხენ გაარღვია ხალხი, მივიდა კუბოსთან, მოიხადა ქუდი და შესძახა:

— მშვიდობით ძმაო! ერთი მოკვდი, მაგრამ ათასი დავრჩენილვართ და შურსაც ვიძიებთ ხალხის მტრებზე! გამარჯვება მაინც ჩვენია!

ერთი დააჭახანა თოფი. შემდეგ ჰკრა ბედაურს ქუსლი და გასხლტა შურდულივით მინდვრებს იქით, ტყისკენ.

ხალხმა ერთპირად შექმნა გუგუნი:

— კოდალა!

— კოდალა!

თედოს დედამ კი შავმანდილ წამოსხმული მკლავები გაშალა და შესძახის:

— ხალხო! რახან ჩემი თედო კიდევ ეღირსა უკანასკნელად თავის ძმის ნახვას, ეხლა კი მშვიდათ ჩავა ცივ სამარეში!

თედო დაკრძალეს.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა დანანებით, ფიქრებით, გულის ტკივილით.

ამირანი?

მისი ფიქრები თითქოს ცხენდაცხენ მიაჭენებენ კოდალას კვალზე. ცხრა ძმის დაღუპვით დამწუხრებულს და გაბრუებულს თითქოს კოდალამ უჩვენა გზა ახალი ბრძოლის და მოქმედების.

იმ სამწუხარო ჟამს რო კოდალამ შევარდენივით ჩამოუქროლა, ნადავლად თან წაიღო ამირანის მგზნებარე გული. ეს ჩამოქროლა იყო ერთობ ვაჟკაცური, ლამაზი, ძლიერი. მაშ როგორ შეიძლება დაუცხრომელი მებრძოლის გული არ მოეხიბლა ასეთ რაინდულ განავარდებას.

მის დანახვაზე ამირანმა წამოიძახა:

— აი ასეთ ბიჭებთან ღირს სიცოცხლეც, ბრძოლაც და სიკვდილიც! მაშ წინ რაღა უდგია მებრძოლის ასეთ პირუთვნელ ნატვრას!

მთავრობის დამჭაშების მიერ ქალაქში დევნილმა და ათვალწუნებულმა ამირანმა ამ დღიდან გადასწყვიტა ქვეყნის დამპურებელ გლეხობის ჩასაგრძოს ეხლა თავისი სწორუპოვარი სამსახური რევოლიუციისადმი.

სწორედ ამიტომ ამირანი ჩაუდგა სათავეში ამ რაზმს. ჩქარა იგი გადააქცია ზარდამცემ ძალად სოფლის ხელისუფლებისა და ანდუყაფარის პირქუშ რაზმისათვის.

აი, ეხლაც ხომ პირისპირ სდგანან სამკვდრო სასიცოცხლო შებრძოლებისთვის.

10.

ამირანმა მისცა სათადარიგო განკარგულებანი რაზმს და თვითან კი საღამოჟამისას დაეშვა თაქვე. ის მიეშურება ერთ კარგა დასახლებულ სადგურისაკენ. იქ დღევანდელ დღეს აქვს შეპირება ვაჟიკასთან შესახვედრელად.

ვაჟიკა არის ის მთავარი და სისხლით მჩქეფარე ძარღვი, რომელიც წითელ რაზმს აერთებს მუშების მოწინავე რაზმთან — ბოლშევიკებთან. დღესაც მისგან მოელის მტკიცე გადაწყვეტილებებს, თუ საბოლოოდ რა საბრძოლო გეზი აიღოს — ამ ცეცხლისკიდების დროს.

უკვე კარგა შელამებული იყო, როცა სიფრთხილით მივიდა დანიშნულ ადგილას ერთ თავისიან კაცთან. ვაჟიკა იქ არ დაუხვდა. ამირანის მოსვლამდე იგი სხვაგან იცდიდა. ასე წინდახედული იყო იგი ყოველთვის.

მასპინძელმა სხვათაშორის აცნობა ამირანს, რომ სადგურზე თვალი მოჰკრა მეთქიას, რომელიც აქაურ დიაკვანთან ერთად დასეირნობდა.

მეთქია მენშევიკების ერთი ბელადთაგანი იყო. „მეთქია“ ამხანაგებმა დაარქვეს მას ზედმეტ სახელად: ლაპარაკის დროს იგი ხშირ-ხშირად და ყოვლად უადგილო ადგილას რაღაც ავადმყოფური აჩემებით მიაყოლებდა ხოლმე სიტყვა „მეთქის“. ეს ახირება კი ამხანაგებში ყოველთვის იწვევდა სიცილს და ამის გამო ბესარიონად მირონცხებულ კაცს დაარქვეს მეთქია. ამგვარად შერჩა და შერჩა ეს სახელი ბესარიონს და კიდევაც იფერებდა მას სიამოვნებით — არალეგალურ მუშაობის დროს.

თავისი ამხანაგების დავალებით მეთქია ბევრჯერ შეეცადა წითელ რაზმთან კავშირის დამყარებას, რომ მენშევიკების გავლენის ქვეშ მოექცია იგი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოახერხა. ამირანი სათოფეზეც არ იკარებდა მას და ყოველივე ცდა ამაოდ რჩებოდა. ეხლაც ალბათ რაიმე მსგავსი მოსაზრება აქვს მეთქიას, თორემ ისე თავს არ შეიწუხებდა. დამხმარედ კი სწორედ კაი ვინმე უშოვია — დიაკვანი. ფერი ფერსაო — მადლი ღმერთსაო.

ჩქარა ამირანის მოსაკითხად მოვიდა ვაჟიკას მიერ გამოგზავნილი ამხანაგი — გალმეველი. მან გადასცა ამირანს, რომ შეხვედრა სჯობია მინდორში. ამიტომ გაეშუროს სამუხისაკენ და ისინიც იქ გაჩდებიან.

ამირანმა ნება-ნება გასწია მინდორზე გამარტოებულ სამუხისაკენ. უკვე ბნელა, თუ არ საგანგებოდ მისული, კაცი კაცს ველარ იცნობს.

აგერ მოვიდნენ ვაჟიკაცა და გალმეველიც.

ვაჟიკამ საჩქაროდ გამოჰკითხა რაზმის მდგომარეობა, სულიერი განწყობილება, შეიარაღება. ამირანმა ყველაფერი აუწყა პირუთვნელად. ვაჟიკა ყველაზე მეტად კმაყოფილი დარჩა რაზმის საბრძოლო გადაწყვეტილებით. ვაჟიკომ იცოდა მეთქიას წამოსვლა და ისიც იმიტომ გამოეშურა აქეთ, რომ ხელი შეუშალოს მენშევიკური გახრწნის გავრცელებას წითელ-რაზმელებშიც.

ვაჟიკამ მოკლედ და საქმიანად გააცნო ამირანს ბოლშევიკების მიერ დღევანდელი მდგომარეობის შეფასება. ისედაც დარწმუნებული კიდევ ზედმეტად დაარწმუნა შეურიგებელ ბრძოლის აუცილებლობაში. ვიდრე მუშათა კლასის ძოწინავე რაზმებს არ აუღიათ ხელი ბრძოლაზე, არც გლეხობა უნდა განიარადღეს. პირიქით ამ აღვირაწყვეტილ რეაქციის თარეშის დროს უფრო მეტი სიმხნეევა საჭირო, უფრო მედგრად უნდა შეებრძოლონ მოსისხლე მტერს.

ამგვარად ურყევი რწმენითა და ნებისყოფით გამოკვერილმა ვაჟიკამ ამირანის რწმენა უფრო გაასალკლდევა, ბრძოლის წყურვილი უფრო მეტად აღანთო. თან ხვალისთვის რამდენიმე „ვაშლსა“ და საკმაოდ პატრონებსაც შეჰპირდა.

ამგვარად გამხნევებულ ამირანს დაულოცა გზა მოსალოდნელი სასტიკი ბრძოლისა და გამოემშვიდობა ამხანაგ გალმეველთან ერთად. ეხლა ისინი გაეშურენ იმერეთისაკენ, რომ იქაური რაზმელებიც შეამზადონ ალიხანის „დასახვედრელად“.

11

უკვე კარგად დაღამდა.

კიდით-კიდემდე მოკრიალებული ცა ათასნაირი ბრწყინვალე თვალებით დასჩერებია სანდომიანად დოინჯშემოყრილ ქვეყნიერობას.

ჰაერი ბარბაცებს ზაფხულის ილბლიანობით, ყანების სურნელობითა და მოსავლის სიუხვით. დედა მიწა თითქოს იზმორება ნებიერად. სინოყივრით ლაწუნობენ მისი სახსრები და ფშვინავს ჭირნახულის ნეტარებით.

სხეულ დამწიფებულ მინდვრებსა, ხუჭუჭა ტყეებსაც, თეძოებგადმოყრილ გორაკებსაც სიცოცხლის დამათრობელი ოხშივარი ასდის.

ქვესკნელის გულიდან ამოსჩქეფს, ვარსკვლავეთიდან იღვრება ან ნიავთან ერთად იშობვის რაღაც სანადიმო ზუზუნი და მისით იყლინთება მთელი გარემო.

ღელავს და ტორტმანობს სიცოცხლის დაუკარგავი ეშხით დახუნძული ქვეყანა და სანეტარო გუნდრუკას აკმევს — მადის ამშლელად.

ღელავს და ტორტმანობს სიცოცხლის დაუხარკავი ეშხით დახუნძული მოგონებით ეხმატკბილება გარემოს გუგუნს.

აი პირველი მოგონება შეშინებული ნუკრივით რომ წამოხტა და მირბის იმის წინ — ეს ხომ თეკლას ნორჩი სახეა!

გუშინ, ამხანაგებში ვერ მოიცალა ამ ღველფ — მოყრილ მოგონებისთვის, როცა პირველად გაიგო თეკლას სირცხვილი და გაწბილება. ეხლა კი...

ეხლა ხელშეუხებლად ყველაფერი აგონებს თეკლას: ეს მკერდზე მოლივლივე ყანებიც, ფხიზელი ჭრიჭინაც, სიცხით მკერდ-დახეთქილი ნიადაგიც, ამავე მოგონებას აშუქებს ცაზედ მოწყვეტილი ვარსკვლავიც.

ეს იყო ამ ორი თვის წინად. ხმა მაღლა სათქმელად თითქოს ისეთი არაფერია, მაგრამ ამირანის უხუნებელ მეხსიერებაში აბრეშუმის შრიალა ძაფით

არის ამოქარგული ეს მოგონება. აი ეხლაც შრიალებს იგი ყანებთან ერთად, ნიავთან ერთად, ამირანის ფიქრებთან ერთად.

დაიღალა ამირანი ტყეებში წოწიალით. რამდენიმე თვეა იარ[illegible]ბელ[illegible]ზე სძინავს ხან რომელიღაც ხის ქვეშ, ხან გამოქვაბულში. [illegible] ქვაც კი გაბრტყელდა მის თავქვეშ დებით. მოენატრა ვაჟკაცს ადამიანურად ღამის გათევა სადმე ოჯახში.

ასე დანატრულებით მოხვდნენ ამირანი და კოდალა ქვრივი შუშანას ოჯახში. შუშანა მშობლიური ჯიგრიანობით გაუმასპინძლდა ამ გულის საიდუმლოებასავით გაუმხელ სტუმრებს. მიუგარგარა როგორც დედის მზრუნველობიდან მოწყვეტილ მტრედის ხუნდებს. მიუალერსა დღედა ღამ დევნილებს და მოუშუშა მრავალი ტკივილი ველური ცხოვრებისა.

დილას მამლიყიულზე ადგენ ბიჭები, ამირანი გამოვიდა დერეფანში პირის დასაბანად.

უცებ სახლის საძირკველიდან ყელმოღერებით გადმოხტა თეკლა — ყელ მოღერებული ლიტრით ხელში. ამ გადმოხტომაზე უეცრივ ორი გვრიტიც შეუფრთხიალდა ჭრელი ჩითით მზეთუნახავად დაფარულ საბუდარში.

ამირანმა მიმინოსავით შეავლო თვალი ამ გვრიტების შეფრთხიალებას და კინალამ წასცდა მათი დაჭერა.

სიამოვნებით თავგზა-აბნეულმა ვაჟმა ერთი უნებლიედ შეჰხედა გოგონას ხორბალა სახეში. და ეს ქორეული შეხედვა წითელი ატლასივით გადაეფინა გოგოს მორცხვ სახეს: აენთო, აილეწა, თითქოს გულში დანთებულმა ცეცხლმა მოულოდნელად სტყორცნა ალი იმის ლოყებსო.

ამირანი კი ორი მუჭით ხარბად იშხაპუნებს ცივ წყალსა და მათი ანელებს თვის სახეზე წაკიდებულ ალმურს.

თეკლამ გამტკიცული ლავაშივით დაკეცილი პირსახოცი მარჯვედ გაშალა გედის ფრთებივით და ამირანის გამოწვდილ ხელებზე გადააფრიალა.

— აფსუსი არ არის ქალო ასეთი გაფითქინებული პირსახოცის დაჭმუჭნა?

— ალალი იყოს! თქვენზე უკეთესს სხვას ვის მოვახმარ!

და ისევე აენთო თეკლა. ისევე აენთო ამირანიც. თითქოს ამ უბრალო სიტყვებით ჭიაკოკონა დაანეთეს ერთმანეთის არსებაშიო.

— რა ვიცით!

ვისაც სიყვარული წლობით მოსახვეჭელ სიკეთედ წარმოუდგენია, მისთვის ეს მხოლოდ ბიწიური ცდუნება არის.

მაგრამ ვისაც სიყვარული წარმოუდგენია ცეცხლად და ნიაღვრად, ელვად და ქარიშხლად, — მისთვის ეს არის ჟრუანტელის მომგვრელი დაკვესება ამ ქვეყნიურ ნეტარებისა.

დიაღ, ასე განთიადზე, მზეზე ადრე მევლენილი თეკლას სურათი გაჰყვა ტყეშიც. ფეხდაფეხ დასდევდა დაუღალავად. ბნელ ღამეებში სხვების უჩინრად ნაბდის ქვეშაც ეხუტებოდა მის სიცივით აკანკალებულ ტანს. ოდესაც გარემო ბუნება სულგაკმენდით განიცხრომებდა, ამირანს ესმოდა თეკლას გულ-ამოსკვნილი მუდარა:

— მეც წამიყვანე შენთან ტყეში! მეც წამიყვანე!

ესმოდა ეს მუდარა.

თვითონაც უნდოდა შეჰვედროდა:

— წამოდი ჩემთან! წამოდი ჩემთან!

მაგრამ ბოლოს მაინც განშორებისას გამბედავად ვერ შეხედა სახეში. თვალი თვალში ვერ გაუყარა. (რამდენი მტრისთვის კი [illegible] პირისპირ და რისხვაც საკადრისი დაუტეხნია) აი ეს თეკლა ხელთ [illegible] ეინიც მოიკლა ანდუყაფარ ამილახვარმა.

ანდუყაფარ ამილახვარი! აგერ მისი სურათიც წინ ებლანდება ამირანს ამ ბნელ ღამეში: რამდენიმე შემთხვევა მაინც სარკის სიცხადით დაუდგა თვალწინ:

ამირანი ბავშვობისას ხშირად ეწვეოდა ხოლმე თავის დეიდას ანდუყაფარის საცხოვრებელ სოფელ ქორეთში.

მრისხანე იყო ანდუყაფარი, მაგრამ უფრო ზარდამცემი იყვნენ გლეხობისათვის მისი ორი მოურავი პეპო და მცველი ჩაჩანი. მათი შიშით თრთოდენ ყველანი. მათ დანახვაზე ყველანი იმალებოდნენ. არც გასაკვირი იყო: იგინი ცოფიანი ძაღლებივით მხოლოდ საბაბს ეძებენ, რომ უშვერად შეებღალათ ან გაემათრახებინათ ყველა უბრალო შეხვედრისა ან სიტყვის შებრუნებისათვის.

აი ერთხელ ქალოზე მუშაობს პატარა ამირანი. ამდროს გვერდზე ჩამოიარა ანდუყაფარის ჩაჩანმა, მის დანახვაზე ამირანის ბიძიაც, დეიდაშვილებიც საჩქაროდ აქეთ-იქით გაიფანტნენ: ზოგი საბძელში შევიდა, ზოგი ძნას მიეფარა, ვითომ და მუშაობენო. მხოლოდ პატარა ამირანი გაჩერებულა შუა ქალოზე და მისჩერებია ჩაჩანს. ის თითქოს სიყოჩაღეთაც ითვლის, რომ ყველა გაურბის ჩაჩანს და ის კი შეხეთ, რა ბიჭია! ფეხსაც არ იცვლის! ამასაც არ სჯერდება! ის თამამად მისჩერებია თითქოს ჩაჩანის ახმახ მოყვანილობას, თითქოს იმის გრძელ ხანჯალს ან მსხვილ იფინის სახრეს. მან გაბედა და თვალებშიაც კი შეხედა. ამღვრეულ, ჩასისხლიანებულ თვალებში.

ჩაჩანმა მხეცივით შეუბღვირა ამირანს, და თან შებღუვლა.

— რას იყურები, შე ძაღლის წიწილო!

ამირანს თითქოს თავისდაუნებურად წამოსცდა:

— მერე რა, რომ ვიყურები! ხომ არა გჭამ!

— უუ, მე შენი დამტოვებელი კი... შენ პასუხსაც ბედავ!

ამ სიტყვებთან ერთად ეს მხეცი გადმოეშვა ქალოს ლობეზე. ბავშვი შიშისაგან ალაგობრივ გაშეშდა, გაქცევაც ვეღარ მოიფიქრა. ჩაჩანი ცალი ხელით მისწვდა ამირანს საკინძეში, მეორეთი კი ჰლეწა და ჰლეწა მწარე სილები. შემდეგ ესეც აღარ აკმარა და იფინის სახრე რამდენჯერმე გამეტებით გადაუშხივლა ზურგზე.

სულგამწარებულმა ბავშვმა იქავე მიგდებულ ორთითს წაავლო ხელი, მაგრამ მოღერება ვერც კი მოასწრო. მხეცმა ისემძლავრად სტკიცა სილა, რომ ბავშვი თავბრუდახვეული გაგორდა ძირს. მთელ უბანში კი გაისმის გულშესაზარი ბღავილი:

— მიშველეთ! მომკლა!

მაგრამ მომშველებელი არავინ სჩანდა.

ბოლოს მხეცმა ეტყობა იყარა გულისბუხარი, მიანება ბავშვს თავი და გამარჯვებული მედიდურობით ჩაიარა შუაგულ სოფელში.

ნაცემ ნაბეგვი ამირანი მაშინათვე გაშორდა კალოს. გაბრუებულივით გასწია ტყისაკენ. იქ, ერთი თივის ბულულზე მოიკუნტა მიუსაფარი ოთხფეხივით. წაჰყო ბულულში თავი და მორთო გმინვა.

აბა, იმას არც ლოყები ეწოდა სილებისაგან, არც ზურგი ტყეობდა ფიცრების სახრისაგან. იმას გული ედაღებოდა ხალხის დაბეჩავებაზე, უძლურებაზე: ბავშვს უსაბუთოდ ცემითა ჰკლავს ვიღაც მებატონის მხეცი მოურავი, ხალხი ამას უცქერის და ბიშველება კი ვერავის გაუბედია.

აი ამ უმწეობის გამოა ამირანი ასე მოკუნტული, იმიტომ ჰგოდებს ასე ბოლმიანათ და ლამის გასქდეს პატარა ამირანის გული ამ დიდი ბოლმით.

ნეტავ რომელი უფრო მხეცი იყო, პეპო — მოურავი თუ პირქუში ისმაილა?

და თითქოს ამ მხეცობის შესადარებლად ამირანის წინ ცოცხლდება მეორე სურათიც:

ხაფხულია, გლეხკაცობა დღე-ღამეს სტეხავს თავის წლის სარჩოს ჩასაბინავებლად. ყველა ეშურება — დროზედ მომკას, დროზედ გალეწოს. დარსა და ავდარს გულისფანცქალით ემკითხავება თვითეული გლეხკაცი.

აი, ამირანის ბიძასაც ერთი ყანა დარჩა მოსამკალი. გადამწიფებული თავთავი ლამის მარცვლად ჩაიფჩხვნეს მიწაში. ერთი დღითაც ალარ შეიძლება მის დაყოვნება.

ამ დროს მოდის ანდუყაფრის გზირი და ამირანის ბიძას ეძახის თავისთან ბეგარაზე — ყანის სათიბად.

შეფიქრიანდა საწყალი კაცი: ვერც ანდუყაფარს ეთქმის უარი, ვერც თავის ყანას, რა ჰქნას? ეს ერთი ღერი კაცი რა გზას დაადგეს?

აქ პატარა ამირანი გამოუჩნდა გაჭირების ტალკვესად.

— მე წავალ ძია, ბატონიანთ სამუშაოზე! უეჭველად ხომ ცელი და ნამგალი არ უნდა ვატრიალო! ფოჩხი და ორთითიც ხომ სჭირდებათ! ფოჩხვასა და დაბულულებაში კი ვინ მაჯობებს!

მართლაც ასე გადასწყვიტეს: ამირანი წავიდა ბატონის სამუშაოზე, გაჭირებულმა გლეხკაცმა კი თავის ყანას მიჰხედა.

ანდუყაფრის წითელ-დოლა ზღვას ასამდე კაცი შეჰსეოდა, ათიოდე მომკალის გარდა ყველა ბეგარით იყო გამოყვანილი სოფელ ქორეთიდან.

თავმომწონე ამირანი სცდილობდა თავის სიპატარავით არავის ჩამორჩენოდა, რომ შემდეგ საყვედური არ შეეხვედრებინათ იმის ბიძისთვის.

აქვე დაგეშილი ქოფაკივით მოუსვენრად დასტრიალებდა პეპო-მოურავი. ის ერთი წუთითაც არავის აძლევდა მოსვენებას. ხან აქეთ უტრიალებდა მუშებს, ხან იქით. ანჩხლობდა, იგინებოდა, უტევდა ყველას — ბრალიანსა და უბრალოს.

— აბა ჩქარა!

— შენ ფეხები უკან ნუ გრჩება!

— შენ წელი ნუ გწყდება, თორე ამ სახრით მოგარჩენ ხელათა!

— შე რაღას ზანტობ! ქელეხში ხო არა გგონია თავი!

— აბა შენც გაინძერი! ხო არ გავიწყდება რო ბატონის სამუშაოზე ხარ!

ყოველ ამ შეტევაზე თანაც დედ-მამის სულს უკურთხებდა დიდსა და პატარას. ბუნებრივ უხეშობასთან ერთად თანაც თავგასული იყო იმით, რომ სიტყვის შებრუნებას ვერავინ უბედავდა.

აგერ ამირანსაც ჩამოურბინა ამ წუწკმა ქოფაკმა და უდიერად შესძახა.

— ვაანძრიე ხელი შე ძაღლის წიწილო! შენისთანა ლაწირაკებით უნდა მოიხადონ ბატონის ვალი!

ამ სიტყვებთან ერთად კაი საჩუქარივით ერთი სახრეც გადაუყოლა ბიჭზე.

ამირანი აენთო და ბოლმამორევით შეუბღვირა შეურაცყოფელს.

მოურავმა თვალი შეავლო ამირანის გაბრაზებას:

— როგორა! შენ იუკადრისე კიდევაც ჩემი სახრე? აბა მაშ უკეთესად გაგიმასპინძლდები!

ამ სიტყვებთან ერთად წამოვიდა სახრე — მოღერებული. ბრაზმორეულმა ამირანმა ხელში ფოჩხი მოიმარჯვა.

მოურავმა რა დაინახა ამირანის ასეთი თავხედობა, წამსვე იძრო ხანჯალი და გაექანა მისკენ, მაგრამ ამირანი უეცრივ მოსწყდა ადგილიდან და დამფრთხალი ირემივით გაეშვა მინდორზე. მირბის ამირანი და უკან მისდევს ხანჯალ-ამოწვდილი პეპო-მოურავი. თუ დაეწია, შუაზედ გაჰფათრავს, მაგრამ ვერა! ამირანი უფრო ფეხმარდი გამოდგა.

რა დაჰკარგა მხეცმა დაწევნის იმედი, აიღო და შიშველი ხანჯალი უკანიდან ესროლა ბავშვს. ბედზე ასცდა, მხოლოდ ფეხის ქუსლი გაჰკაწრა ოდნავ.

შეშინებული ბავშვი იმდღესვე დაბრუნდა თავის დედასთან.

და აქაც, ქუსლთანერთად კიდევ უფრო გული დაეჭრა. ასი კაცის წინ ბატონის მხეცი უდანაშაულო ბავშვს მისდევს უკან — მოსაკლავად და ვერავინ გაბედა ხმის ამოღება, გამოსარჩლება.

არა, ამირანი თავის შეურაცყოფაზე კი აღარა სწუხს, მას გულს უკლავს მშრომელი ხალხის, ქვეყნის მარჩენალი ხალხის ასეთი დაშინება, დაბეჩავება, დამონავება.

სამ დღის შემდეგ გაიგო, რომ პეპო-ოსი და თავის მოყვარე ჩხუბის დროს თურმე ერთმანეთს შეაკვდენ ხანჯლებით.

ამირანმა რამდენიმე მიწისთავი გადაიარა. აგერ ნაღარში დაბუდებულ მწყერს წააწყდა და შეშფოთებით წამოუხტა ფეხქვეშიდან. აგერ ირმის ნახტომიდან მოსწყდა ვარსკვლავი. ცეცხლის ისარივით გაიელვა ცაზე გრძლათ, გრძლათ და ჩაიღუპა უკუნეთში.

ყოველი ვარსკვლავის მოწყვეტაზე ამირანსაც ჰგონია, რომ მასაც სწყდება რაღაც გულში. რა სწყდება ნეტავ? ან რამდენი აქვს იმის გულს ასე მოსაწყვეტი ვარსკვლავი? იმის გულიც ხომ ზეცა არ არის — უთვალავი ვარსკვლავებით გაბრწყინებული!

რაო! ცხოვრებასთან ანგარიშს ხომ არ ასწორებს ამირანი, რომ მოგონებათა ქარავანი ასე მისდევს ფეხდაფეხ ამ სიბნელეში? აი ამ მოგონებათა ქარავნიდან გამოეყო ერთი დღეც იმისი ბავშობისა:

გათავდა ზაფხულის ზღაპარი. ამირანი სასწავლებლად მიემგზავრება ქალაქში.

ერთ მეზობელს საფქვავი მიაქვს განთქმულ დეგოთის წისქვილებში. ამირანიც მას გაჰყვა. წისქვილებიდან სადგურიც აღარ არის შორს და ფეხით ჩაირბენს ნახევარ საათში.

ამირანი მიკუნტულა ურმის უკან, ტომრების ძირში. გვერდზე ულაგია თავისავით მოკუნტული კალათი და ჭრელი თავშალი. ეს არის დეიდას მიერ გამოტანებული მოკრძალებული საგზალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა კოფაზე მჯდომი მეურმე გაუბედავად ღიღინებს რაღაცას.

ამირანი შეკუნჭულა ტომარსა და ტომარს შუა. ხან სამოსელ — შემოძარცულ მინდვრებს უცქერის, ხან გოროზ ბრუტ-საბძელას მიაშტერდება. ხან წეროების ქარავანი გამოჩნდება ცის კამარაზე და ერთერთი წეროსავით ამირანის ფიქრიც მათ ედევნება.

თანაც გარკვევით ესმის მეურმის ნაღვლიანი ღიღინი:

ერთი ვარ, ერთხელ მოვკვდები,
ერთხელ ვატირებ დედასა!
ერთხელ სჯობია სიკვდილი —
ნიადაგ შეღონებასა!

ამირანს გული ბოლმით ევსება. ყურებში კი არა, სწორედ იქ, იქ, გულის სიღრმეში ესმის დასაკლავად გამზადებული ხარის ბღავილი, გალახული მშიერი ძაღლის სოფლის ბოლოზე ყმუილი. ესმის თავისი დედის ჩუმი გოდება ერთადერთ პირმშოს ობლობაზე, გაჭირვებაზე.

ამირანი ითვლის და ვერ დაუთვლია — უკვე რამდენი გაუხარელი დღე უნახავს თავის ავდრიან ბავშვობაში. მაგრამ ყველა ამ დღეებიდან ეს ორი დღეა — საბუდარ-აშლილი ყორნებივით რომ დაფრთხალობენ მის წარუხოცელ — მოგონებაში. ეს არის: ისმაილა — ჩაჩანმა რომ გალახა კალოზე და პეპო-ოსმა კი სამკალში.

ამირანს გააჭროლა მთელ ტანში. ეხლა იგრძნო, ამ უშველებელ ქვეყანაზე რა პატარაა, რა უჩინარი და უძლური ეს ტომრებშუა მოკუნტული ბიჭიკო. შეეცოდა თავის თავი, უფრო აუდუღდა გული და მდუღარე ნაკადიც მოსქდა ბრუნდ-საბძელას ცქერაში დაღალულ თვალებიდან.

ღიღინებს მეურმე. იმან არ იცის, რომ ტომრებს უკან უსიტყვოდ მიკუნტულ ბიჭიკოს როგორ ღაპაღუპით სცვივა ცრემლები.

ამდროს! თითქოს მიწიდან ამოხტენო — ურმის უკან გაისმა ცხენების თქარა-თქური.

უცებ დაწინაურებულმა ცხენოსანმა რაღაც უწყინარი ხმითაც შეუტია ამირანს:

— რასა სტირი ბიჭო! აჰა, ვაშლი სჭამე, ისა სჯობია!

და ამ სიტყვებთან ერთად თითქოს ჭიაფერში ამოვლებული უშველებელი კეხურა ვაშლი წითლად გაუგორდა ამირანს კალთაში.

ეს იყო ანდუყაფარი და იმისი სტუმარი თავადიშვილები.

ეს ღაჟღაჟა ვაშლიც ანდუყაფარმა ესროლა ქვეყნიერობაზე ნამდურავ პატარა ამირანს.

მაგრამ ამირანი არ უჯერის არც თავის თვალებს, არც თავის ყურებს: როგორ? ეს მრისხანე ანდუყაფარი იყო, რომ შეებრალა ამირანი და ვაშლიც ესროლა! ველარაფერი გაუგია: ქვეყანა შეტრიალდა? ხალხი გამოიცვალა?

ატრიალებს ბავშვი ვაშლს ხელში და გულში კი ათასგვარი გრძნობები ფორიაქობენ. საამურია ეს გრძნობები თუ გულისდამწყვეტი? სასიხარულოა თუ

სევდის გამაორკეცებელი? არ იცის. ცხოვრება დაუძლეველი პატარა ბიჭი ჯერ ამეებში ვერ ერკვევა. მხოლოდ კი იცის: სწორედ ეს უუმბარასავით ნასროლი ვაშლი იყო, რომ ააფორიაქა იმისი გული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას უკან გავიდენ ბევრი წლები. ცხოვრების მრავალ მთაგრეხილზე გადაიარა ამირანმა. ბევრი უფსკრულის პირას გაუვლია. ბევრი ამხანაგი ჩამოსცლია გვერდიდან. მაგრამ თითქოს ყველაზე მეტ სანანებელად ეს უბრალო რამ ჩარჩენია გულში ამირანს:

— ეხ, ნეტავ ის ვაშლი არ მიეცა ანდუყაფარს იმ ბავშობისას.

როგორ? განა ანდუყაფარი აღარ არის ხალხის მტარვალი? მისი ნაწვამნადაგის მიმთვისებელი? განა იგი არ არის გლეხკაცობის სულთამხუთავი და შავი რაზმის სულის ჩამდგმელი?

დიაღაც არის! ყველაფერ ამაზე ანდუყაფარს ხელი არ აუღია და ვერც აიღებს, სანამ პირში სული უდგია.

მაგრამ მაინც —

— ეხ, ნეტავ ის ვაშლი არ მიეცა აიმ ბავშობისას!

ამ ფიქრებით მიუახლოვდა ამირანი თავის ბიჭების საგუშაგოს.

12

მთელ წაბლოანას ისე გაემელა სული — თითქოს სასაფლაო იყოს და არა ზაფხულის შრომით მოჟრიამულე სოფელიო.

აღარც ბაღი ბაღობს, აღარც კალო კალოობს. გლეხის ხმაც და მარჯვენაც ერთად დაუქმებულა. კერაც გაცივებულა თითქოს: არსად ბოლავს ბუხარი.

ადამიანებთან ერთად თითქოს ყველა დამუნჯდა: აღარც ძაღლი ჰყეფს, არც ხარი ბღავის. ვინ შეულოცა? რამ შეუკრა კრიჭა ასე ერთპირად?

ყველანი ჩაკეტილან სახლში და ფრთხილად იცქირებიან სოფლის შარა გზისაკენ. საცოდავი ბავშვები კი გულის კანკალით მისჩერებიან თავიანთზე უფრო შეშინებულ უფროსებს და ვერ გაუბედიათ ხმამაღალი ტირილი.

კარზე მომდგარი განკითხვით ასეა გულჩაკლული მთელი სოფელი.

მხოლოდ ლუარსაბ მაჩაბლის ოჯახი გამდგარა სოფლის ვაებიდან განკერძოებით. მართალია ნატვრის თვალი არც იმას ჩაგორებია ხელში, მაგრამ სოფლის ვარამი მას კი არ აწუხებს, არამედ ჯიბრზე ახარებს კიდეც.

გუშინ თავისი ვაჟკაცი შვილი გაისტუმრა სამარადისო სამყოფელს. მას ადვილად ველარაფერი ანუგეშებს ამ ქვეყნად, მაგრამ ეხლა იმის გულში მძვინვარებს აულაგმავი შურისძიება. დაე ეხლა იმის შვილის მაგიერ დაიღვაროს სისხლი ათის, ოცის, ორმოცის. დაე, გადასწვან, ააოხრონ, ააწიოკონ სოფელი. სულერთია: მან გადასწყვიტა — სამუდამოდ ამოიკვეთოს ფეხი სოფლიდან და ამის შემდეგ თუნდაც ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა. დღეს კი აქ მოდიან მისი შურის-მაძიებელები და ისიც სცდილობს — ღირსეული პურმარილით გაუმასპინძლდეს მისი მალხაზის სისხლის ამღებლებს.

იკვლება ძროხა, მოზვერი, ცხვარი. ქათმის სათვალავს ხომ აღარავინ დასდევს. ბატონის საკლავს თან მისდევს გლეხების საქონელიც, რომელსაც კი თვალს დაადგამენ. ვინ არის დამშლელი, პასუხის მომთხოვი!

ქვითკირით შემოვლებულ კოშკებიან ძველ გალავანში რამდენიმე ადგილას გიზგიზებს ლაშქრული ცეცხლი. საარაყე ქვაბებს თეთრი ღრუბლებივით

ასდით ოხშივარი. სათონიდან მოდის მომაკვდავის მომსულიერებელი ცხელი შურის სუნი. მარანშიც უკანასკნელ ქვევრებს მოჰხადეს სარქველი და ღვინის გრილი სურნელება საამოდ დატრიალდა დასიცხულ ჰაერში.

ლუარსაბი ბუნავ-მოშლილი ნადირივით მძვინვარებს: მფრთავს, ყვირის, ათასნაირ განკარგულებას იძლევა. მას თითქოს განადგურების ავი სული დაუფლებია. აღარაფერი ენანება, აღარაფერს ზოგავს: დაე, დაიწვას ყველაფერი, დაიხარჯოს ყველაფერი, დაცარიელდეს ყველაფერი. მალხაზის დაკარგვის შემდეგ დაე განიავდეს ყველაფერი. მხოლოდ უკანასკნელად ისე არ უნდა ამოიკვეთოს ფეხი ამ მამა-პაპეულ სამკვიდრობელიდან, რომ სიცოცხლის დღეები არ მოუწამლოს აქაურ გლეხკაცობას. მალხაზის სისხლს ეგრე იოლად არავის შეაწევს. მოახლოვებულია საათი შურისძიებისა.

აგერ უეცრივ ახმაურდა კიდეც მიმკვდარებული სოფელი.

ყველა უბანში გაისმის უწესრიგოდ მოჭენავე ცხენების თქარათქური. ორლობეებიდან ადგა მტვერის ბუღი და სეტყვის მომასწავებელ ღრუბლებივით დატრიალდა სოფლის თავზე. კრიახობენ დამფრთხალი ქათმები. უმწეოდ ჰყეფავენ შეშინებული ძაღლები. სადღაც ქოხებიდან მოისმის ზარდაცემული ბავშვების უნუგეშო ტირილი და მათთან აყოლებით მოსთქვამენ გულჩათუთქული მანდილოსნები.

ხეპრე ყაზახები და „კეთილშობილი“ შავრაზმელები ისე თავგასული დათარაშობენ, თითქოს მტერთან დიდი ბრძოლების შემდეგ ეს არის ეხლა წაერთმიოთ ეს სოფელი და უნდათ შურისძიების ღვარძლი დაანთხიონ ყოველ ნაბიჯზეო. ვის უდიერად შეუკურთხებენ, ვის მათრახს გადააწნავენ, ვის ცხენქვეშ გასთელავენ. ყველას ერეკებიან ეკლესიის გალავანისაკენ. იქ ელის მეფის მრისხანე ჯალათი ალიხანი და მისი მხარის დამამშვენებელი ანდუყაფარი.

დაშინებული, ნაცემ-ნაბეგვი, შეურაცყოფილი ხალხი როგორც იქნა მოგროვდა.

ალიხანმა ძლევამოსილად გადააავლო თვალი თავჩაქინდრულ ხალხს და შეუტია მკვახედ:

— როგორ !ამ სოფელში ბებრებისა და ბავშვების მეტი არავინ არის?

ხალხი სასაფლაოს მსგავსად მუნჯია, უძრავი.

ალიხანი უფრო მრისხანებს:

— როცა საჭიროა ხმის ამოღება, მაშინ დამუნჯდებით ყველანი? აბა სოფლის თავი-კაცები წამოაყენეთ ეხლავე წინა!

თავ-კაცობას ასე იოლად თავისთავად ვინ დაიჩემებს! თავ-კაცს ყოველთვის წინ წამოაყენებს ხოლმე ხალხის გაუბზარავი ხმა და ერთსულოვანი პატივისცემა. მაგრამ ეხლა ასეთი პატივისცემით ვის გასწირავს ხალხი? ვის გახდის პასუხისმგებლად მთელი სოფლის ჭირვარამისა? ვის გაიმეტებს ჯალათების ხელში მისაცემად?

სოფელი მუდამ თავმომწონეობს თავი-კაცის სახელითა და ღირსეულობით. აქ კი იმას მოელის შეურაცყოფა, დამცირება და ეგებ უარესიც. არა, ხალხი ამას ვერ ჩაიდენს. ხალხი სდუმს და გარინდულია — გულჩაკლული ზამთრის ტყესავით.

— ვინ არის მეთქი თავი-კაცები?

ისევ გაისმის დამუქრებული ხმა ალიხანისა.

აქ ალიხანის წინ მოკრძალებით წამოდგა ლუარსაბ მაჩაბელი და მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ! ამ ხალხისაგან პასუხს ადვილად ვერ ეღირსებით. მე თვითონ მოგახსენებთ, ვინც არიან აქაური თავი-კაცები.

ჩაჩანიძე ნიკა.

გელაშვილი თედო.

ბადრიძე მიხა.

აი, ამათ იციან მთელი სოფლის ავი და კარგი. ამათ იციან, ვინც არის ქვეყნის დამაქცეველი. თქვენ შეგიძლიათ სულ სათითაოდ ჩამოათვლევინოთ ყველა წითელი რაზმელი. ადგილებიც იციან, სადაც იმალებიან. ისიც იციან, ვინც ასაზრდოვებს. ისიც იციან, ვინც მოჰკლა ჩემი მალხაზი. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ძალით გამოსტეხოთ ესენი. ნებით ერთ კრინტსაც არ დასძრავენ.

— აბა, ჩაჩანიძე ნიკა ეხლავე წამოდგეს წინა! — გაისმის ცივი ხმა ალიხანისა.

დასიცხული ცხვრის ფარასავით ხალხი ისევ უტყვათა დგას თავჩაქინდრული. აქ ანდუყაფარმაც ნადავლად გამოსული ქორივით გადაავლო ხალხს თვალი:

— ჰა, ჩაჩანიძე ნიკა! რა სული გაგიმელია! უეჭველად მათრახით გინდა გამოგაბრძანოთ!

ხალხის გული შეირყა ნიადაგისებური სიმძიმით. იქიდან დინჯი ნაბიჯით გამოვიდა ჭაღაროსანი გლეხი.

ნიკას მაშინათვე გვერდში ამოუდგა რამდენიმე ყაზახი — მისატევად გამზადებული ქოფაკებივით.

— იკადრე გამოსულა! — დამცინავად მიმართავს ხმალ-ხანჯალზე მედიდურად ხელებ დაყრდნობილი ანდუყაფარი.

ელიხანმა დამუქრებით გაატყლაშუნა მათრახი ჰაერში და მკვახედ შესძახა ზვარაკივით უწყინარად მდგომ ნიკას.

ანდუყაფარს საპატიო მოვალეობად მიუჩნევია — თვითანვე უთარგმნოს ხალხს ალიხანის სასტიკი ბრძანებანი:

— აბა, სოფლის თაო-კაცო ნიკა ჩაჩანიძე! ჩამოთვალე თქვენი სოფლიდან გასული ყველა რაზმელები. არცერთი არ გამოსტოვო! აგრეთვე ჩამოსთვალე — ვინ აწვდის სურსათ- სანოვაგეს, ვინ უწევს დახმარებას და ვინ არის მათი მოენე სოფლად! თუ ყველას არ მოგვცემ ხელში, შემდეგ ყოველივე ცოდო-მადლი აგვიყრია თავიდან და ვაი შენი ბრალი მაშინ!

ნიკამ ფეხიდან ფეხზე გადაინაცვლა და უნუგეშოდ ჩასჩერებია თავსავით დამუნჯებულ დედამიწას.

— პირუტყვი ხარ, ხე ხარ, ქვა ხარ თუ ადამიანი! რატომ არ იღებ ხმას? — და ამ სიტყვებიდან ერთად ალიხანმა საბოლოოდ მოიმარჯვა მათრახი.

ნიკამ გუთნის თავში შებმული ხარივით ტვირთმძიმედ შეხედა ალიხანსაც, ანდუყაფარსაც, მიწასაც, ცასაც და მიმართავს:

— რა გინდათ ჩემგან ბატონო! რა მოგახსენოთ! რო მიბრძანებთ ყველა რაზმელები დაგვაჭერინეო, თქვე დალოცვილებო, ი რაზმელები განა ჩემ სიტყვაზე დადიან! რაც რუს-ხელმწიფეს ვერ მოუხერხებია ამ ჯარითა და თოფ-ზარბაზნითა, ის მე როგორ შევძლო შეუძლებელი!

— შენ შესძლებ, თუ კი მოინდომებ! — უკუმეხად ესვრის ალიხანი.

— როგორა ბატონო! თქვენი სიტყვითა მა მე რუს-ხელმწიფეზე უფრო ძლიერი ვყოფილვარ!

აქ განრისხებულმა ალიხანმა ცოფიანი მგელივით დაჰღმუვლა:

— როგორ! შენ რუს — ხელმწიფესაც ადარებ თავსა, [illegible] ხელ-აღებულო ჩერჩეტო, შენა!

და ნიკას ზურგზე გადაიტყლაშუნა ცეცხლისავით მწველმა მათრახმა.

ნიკას არ უნდა ასე სულმოკლედ შეიმჩნიოს პირეული ტკივილი და შეურაცყოფა. ის თავის ტოლი მუხასავით უდრეკელად სდგას და თითქოს მისი ფესვებიდან ისმის ადამიანობის მქეჯნავი საყვედური:

— ბატონო! ხელმწიფის მაგიერი კაცი ხარ! ე მოხუც კაცს რათ მაკადრებ ამდენი ხალხის წინ სირცხვილსა და შეურაცყოფას! ასეთ საქციელს არ გიყაბულებთ არც ღმერთი და არც სამართალი.

— როგორ ყველა ერთნაირად არიან ენაგაკრეფილი! აბა ერთი ამას კარგა ასწავლეთ ჭკუა და მერე დაიმოკლებს ენასა!

ყაზახებსაც ეს უნდოდათ. ჭაავზნებული ქოფაკებივით მიესიენ უმწეო ადამიანს. ერთი ერთმანეთს ეჯიბრებიან მუჯლუგუნის მაგრა წაკვრაში, მათრახის მწარედ გადაკვრაში და უდიერად შეურაცხყოფის მიყენებაში.

ნიკა კი... მას თითქოს თავის არსებაში ათასწლოვან გლეხკაცური მოთმინების ულოთი შეუკრავს მიწისა და ცის ძალაო: არ ჰკვნესის, არ იმუდარება, შეწყალებას არა თხოულობს. თავპირზე ჩამოდის სისხლი. ზურგზეც და მკერდზეც ნაოფლარი პერანგი წითლად შეიღება. ხელსაც კი არ აშველებს არც მკერდს, არც სახეს: შეურაცყოფა და ტკივილი განა ისე მცირეა, რომ ხელით დაიფაროს?

ასე მხეცური ცემა-ტყეპით მოიყვანეს ნიკა და შეაგდეს ერთ ბოსელში. კარებშიც დარაჯები დააყენეს.

ნიკა ერთხანს გარინდული იდგა ბოსლის უტყვი დედაბოძივით. შემდეგ შეამჩნია ცარიელ ბაგაზე დამბული ორი ხარი. ნიკაც მივიდა, ჩაიჩოქა ხარებთან და დაემხო ბაგაზე.

ისიც ხომ პირუტყვია — ნაცემ-ნაბეგვი, უმოწყალო, მიუსაფარი!

გამოიძახეს გელაშვილი თედო.

ზამთრის გაყინული ტყიდან რო მოჩეხილი მუხა გამოაქვთ შრიალით, ტოტების მტვრევით — ისე მოდის თედო ხალხის სიღრმიდან, თან მისდევს კვნესა ვარამი, გულის კანკალი.

გამოვიდა თედო და იქავე შეჩერდა ხალხის მორევის სანაპიროზე.

არც მიწა კანკალებს, არც თედოს გული. ბევრი უნახავს ავდარი, ამასაც ნახავს და თუ მეხიც ჩამოვარდება — ეგები სჯობდეს, ვიდრე შეურაცხჰყონ იგი ცემა ტყეპით მთელი სოფლის წინ.

თედოს შორიახლოდან მისჩერებია ძველ, თალხ სამოსელში გამოწყობილი მანდილოსანი. ის მეუღლეა თედოსი. მაგარმ არა! ის კლდეა უძრავად დაყენებული — უსიტყვო, უნუგეშო, სამძიმარიანი. მხოლოდ ორი ნაკადი მომსქდარა ამ კლდის სახეზე და ეს ამცნობს მის ადამიანობას, მის არსებობაში დანთებულ გენიას — მწველსა და უნელებელს.

მეორე მხარეს — ჯოგიდან გამოცალკავებული ნუკრივით სდგას ერთი ათითერთმეტი წლის ბიჭუნა. ამ გაქვავებულ ხალხ შორის, ამ სიცხე-პაპანაქებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მას აკანკალებს. გრძნობს განსაცდელს და შველა კი არსაიდან არ ეგულება, არსაიდან ამ უშველებელ ქვეყანაზე.

დაინახა თედომ აკანკალებული ბიჭუნა და შეუტია:

— გელა შვილო! წადი, მოშორდი! შენ რაღა სიკეთეს ეგულები აქა!

მაგრამ გელას არ გაუგია. ის ვერ წავა აქედან. ცას მოსწყდება ვარსკვლავი, მაგრამ მამის ბედს ვერ მოსწყდება გელა ასეთ განსაცდელის ჟამს. რა ვუყოთ, თუ ვერაფერს ვერ უშველის. მაინც ფეხები არ ემორჩილება წასასვლელად. გული არ ემორჩილება წასასვლელად. ის დაბმულია ამ დედამიწაზე, სანამ...

აქ ანდუყაფარმა შეუტია თედოს:

— აბა, შენ რაღას იტყვი, თუ შენი თავის მტერი არა ხარ?

— ...დიდო ბატონო! განა თქვენ თვითან არ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი არც კითხულია და არც ბრალი მიგვიძღვის არავითარ საქმეში! მამლიყიულიდან დღე და ღამის გაყრამდე სუ მიწას ვეჭიდებით დარში და ავდარში. გუთნისა და ხარის მიმყოლ გლეხკაცსა სადა სცალია საარმო საქმითვინა, ბატონო!...

ალიხანმა დაჰკარგა მოთმინება.

— რას აჭიანურებს ეგ ბრიყვი! ჩქარა ჩამოთვალოს თავიანთი ბუნტოვჩიკები, თუ არა და მაგასაც გავუმასპინძლდები როგორც ეკადრება ხელმწიფის ურჩსა და მოღალატეს!

ამ სიტყვებთან ერთად მათრახიც გაატყლაშუნა ჰაერში.

თედომ შეხედა ჯერ ალიხანს, შემდეგ ანდუყაფარს:

— ბატონო! ემაგი დარტყმასა ბარემ ტყვია დამარტყათ — ის მირჩევნია!

ალიხანი უფრო გაშმაგდა:

— აჰა! შენ არჩევანშიც შედიხარ! აბა, ძმებო — ყაზახებო! ერთი ამასაც თქვენებურათ!...

ყაზახებიც მხოლოდ ბრძანებას ელოდენ, რომ თავიანთი სიმხეცე ეხლა თედოს ზურგზე გაეხედნათ.

მივარდნენ, რამდენიმემ მკლავდამკლავ გააკავეს. სხვებმა კი იმარჯვეს მათრახები და თედოს თავზედ დატრიალდა მეორედ-მოსვლის საშინელება.

იქით კი იწეწება შავებში მოსილი მანდილოსანი:

— ვაიმე ჩემო თავმომწონე თედო! რას გიშვრებიან ეს ურჯულოები!

იგი გონება დაკარგულივით გაექანა ალიხანისაკენ:

— მეც მომკალით! ჩამქოლეთ ბარემ, ის მირჩევნია, ვიდრე ჩემი თვალით ვუცქერიდე ჩემი ვაჟკაცის ესე შერცხვენასა.

ყაზახები ეხლა ამ მანდილოსანს მივარდენ და უდიერად მიათრევენ განზე.

პატარა გელაც ბღავის ნადირისაგან დამფრთხალი მოზვერივით:

— ვაიმე დედა! ვაიმე მამა!

ხან ერთისკენ გაიქცევა ხან მეორესკენ. ყველგან უძლურია. ვერცერთს ვერ ეშველება.

აქ იმის თავზეც გადაიშხივლა მათრახმა და წიხლისკვრით გააგდეს მოშორებით.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, რომელია ბადრიძე მიხა? ეხლავე წამოდგეს წინა!

ხალხში გაისმის თავდაჭერილი ოხვრა და შფოთვა.

— ჩქარა, სანამ მათრახით გამოგათრევდეთ!

როგორც გაუტეხავი ყამირიდან ჰგლეჯავ ბელტს და ვერ მოგიგლეჯია, ისე ხალხის წიბოებიდან გამოგლეჯილი მიხა მოდის ძლივ-ძლიობით გელაზები არ აბია ფეხებზე, მაგრამ გელაზებზე მაგრა ძველ ახალოხში ჩასჭიდებია ორი პატარა გოგონა. ისინი ტირილით, ვაი-ვაგლახით ებღაუჭებიან მიხას.

— არ გაგიშვებთ მამა! შენც მოგკლავენ ცემითა! ვაიმე გვიშველეთ!

მზრუნველმა ყაზახებმა ბავშვები მოსწიწკნეს მიხას და გარეკეს განზე.

მიხა ანდერძ აგებულივით წამოდგა წინ და ხელები აღაპყრო მაღლა:

— ხომ ვიცით თედოზე და ნიკაზე უკეთესი ბედი არც მე მომელის. თქვენი იყოს ჩემი ცოდოცა, ჩემი ბავშვების ცოდოცა, ხალხის ცოდოცა!

მიხა სიპ ლოდზე დაემხო პირქვე:

— აჰა, ბარემ შემდექით ზურგზე და გამათავეთ! თქვენგან ხო სხვა სიკეთეს არ ველოდები.

ალიხანი განრისხდა:

— ცემა-ტყეპით ააყენეთ ეხლავე ეს სალახანა!

მივარდნენ მიხას. წამოაყენეს.

ლუარსაბ მაჩაბელი აღელვებით მიმართავს ალიხანს:

— თქვენო აღმატებულებავ! ეგ არის ყველაზე ამამტუტებელი! ყველაზე მეტად ეგ აქეზებს ხალხს: გადასახადი არ მისცეთო ღალა არ მისცეთო, დრამა არ მისცეთო! თვითან მაგის შვილი კოდალაც რაზმშია გასული. ალბად ჩემი შვილის სიკვდილშიაც ერია იგი!

მიხამ ველარ აიტანა და მიიწია ლუარსაბზე:

— ჰაი შე ქოფაკო! საქართველოს შვილმა ეგრე უნდა გასწირო შენი მარჩენალი ხალხი!

მაგრამ ალარ დასცალდა მიხას. იქავე გააკავეს, დაანარცხეს მიწაზე და მთელი საშინელება დატრიალდა მის თავზე.

ნაცემი, ნაბეგვი, დამტვრეული, გონება-დაკარგული უსულადო ოთხფეხივით წაათრიეს და შეაგდეს ბოსელში სხვა პატიმრებთან ერთად.

*
* *

ანდუყაფარი ნიშნის მოგებით მიმართავს ხალხს:

— ჰა, მაშ რა გეგონათ! ხელმწიფე, არ გვინდაო! ბატონი არ გვინდაო! ღვდელი არ გვინდაო! კაი მათრახები ხო გინდათ? ციხე ხომ გინდათ? ციმბირი არა, რუს-ხელმწიფესა თქვენ ჩამოაგდებთ? ბატონობასა თქვენ მოსპობთ, რომელიც თვით ფარნაოზისა და ვახტანგ გორგასლანიდან მომდინარეობს?

სწორედ ამ დროს სოფლის თავსა და ბოლოს გაისმა გახშირებული სროლა.

ყველა შეშფოთდა. თავგზა დაებნათ. ატყდა ერთი ალიაქოთი და ვაი უშველებელი.

სახტად დარჩენილი ალიხანი იძლევა რაღაც სასტიკ ბრძანებას. მაგრამ ვინ არის წესიერი გამგონი და შემსრულებელი?

ანდუყაფარიც დაფაცურდა და მოუწოდებს თავის რაზმელებს, რომელთაც ლუარსაბის ეზოში უკვე წინასწარ მოელხინათ. ამ მოულოდნელობით შეშინებული ყაზახები ისვრიან წალმა-უკულმა. დარბიან აქეთ-იქით. დაეძებენ ასე თავხედურად შემოჭრილ მტერს.

თითქოს აშკარაა — ვინც არის მტერი:

აგერ ონავარი მიმინოსავით დაიწყო ნავარდი მთელ სოფელში ერთმა სახელმა:

— ტყის ძმები!

— ტყის ძმები!

ეს სახელი ჰკვეთავს ჰაერს. ვის გულში იჭრება ნუგეშინისმცემელად, ვის გულში კი შიშის და ძრწოლის ჟრუანტელად.

შეშფოთებულ მტარვალთა ბანაკიდან გაისმის სასტიკი ბრძანება:

— მდევარი! ჩქარა მდევარი!

პირველები ისევ ანდუყაფარის თავმომწონე რაზმელები დაფაცურდენ. მაგრამ ვაი შერცხვენავ! მათ ცხენებზე შემსხდარიყვნენ წითელ-რაზმელები და გამალებით მიაჭენებენ ტყეში შეჭრილ გზაზე. ამ ვეფხვის ბოკვერებს კი წინ მიუძღოდა ანდუყაფარის არაბულ ბედაურზე მოვლებული ამირანი.

ყაზახებიც გაექანენ თავიანთ ცხენებისაკენ, მაგრამ ისინიც პირ-კატანაცემი დარჩნენ. რაზმელებს სადავეები დაეწყვიტათ ყველა ამ ცხენებისთვის და გაერეკათ მინდორზე. ეხლა კი იალაღზე გასული პირუტყვები ახლოსაც არ იკარებდენ თავიანთ მხედრებს.

სოფლის ნაპირზე გასულმა ჯარებმა და ყაზახებმა გახშირებული თოფის სროლა დაიწყეს ტყეში, მაგრამ ამას უფრო ეხტიბარისთვის სჩადიოდნენ: არავის არა სჯეროდა, რომ მათი ტყვია ამირანს სადმე მიეწეოდა.

13.

მეორე დღესვე აიყარა ალიხანის ჯარი და გაუდგა ლიხის მთისაკენ. მას თან გაჰყვა ანდუყაფარიც თავისი რაზმელებით.

აქ აღარც ლუარსაბ მაჩაბელმა დააყოვნა. უკვე სამუდამოდ აიყარა გული სოფელზე. აღარაფერი უნდა აქაური: აღარც სახლი, აღარც კარი, აღარც მამული. ხო მაინც დაგირავებულია, დაე დარჩეს ბანკს ვალში აქედან სხვა რაღა უნდა წაჰყვეს სევდისა და უბედურების მეტი! ერთი ქალიშვილის მეტი რაღა დარჩენია! ეს მაინც გადაარჩინოს თავის უკანასკნელი დღეების სანუგეშებლად! თვითონ ელიკოც დღედაღამ სულ ცრემლად იღვრებოდა. თვალდათვალ კელაპტარივით დნებოდა ქალი ჯავრისა და შიშისაგან. გათენდებოდა — დაღამებას აღარ ელოდა. დაღამდებოდა — გათენებას აღარ ელოდა, სწორედ ამიტომ უფრო გადასწყვიტა ლუარსაბმა — სამარადისოდ ამოიკვეთოს ფეხი ამ წყეული სოფლიდან. ნუგეშად ისიც ეყოფა, რომ უკანასკნელად ჯავრი მაინც იყარა აქაურ გლეხკაცობაზე. დაე წავიდნენ და სადაც თავიანთი სთქვან იქ — ლუარსაბისაცა! მხოლოდ დღესვე კი უნდა გაასწროს, ვიდრე გზებზე სიმშვიდეა ალიხანისაგან დაშინებულ აქაურ არემარეში.

მახლობელ რკინის გზის სადგურამდე ორი საათის სავალი იქნებოდა. შუადღის შემდეგ შეაბმევინა ხინკოლას ეტლი და გაუდგა გზას, რომ თვალსინათლივ ჩავიდეს სადგურზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდის ლუარსაბი. გვერდით უზის თავისი კენტად დარჩენილი ქალიშვილი. ერთად ერთი ნუგეში და სიხარული თავის სიცოცხლის მზის ჩასავალზე. აღარ იხედება აღარც უკან, აღარც გვერდზე. ყველაფერი ეზარება იქაური ყველაფერი ერუანტელსა ჰგვრის. მაგრა მოუხვევია მხრებზე ხელი ოალაცა შიშით სულგანაბულ ელიკოსათვის. ეშინია, ისიც არ წაართვას ვინმემ ან რაიმე ბედის სიმუხთლემ.

ნახევარი გზა უკვე გამოიარეს მშვიდობით. ლუარსაბი სულ წინ მისჩერებია და ყოველ წუთით ზომავს მანძილის შემოკლებას. თითქოს ყველაფერი მშვიდად მიმდინარეობს. არაფერი ფათერაკს არ უჩანს თვალი. განგებ თითქოს მგზავრებიც კი არსად სჩანან. თითქოს ყველა მოჰრიდებია ამ აწიოკებულ ქვეყნის პირზე სიარულსო. მხოლოდ ორი შიშველი ცხენი მოსჩანს ხევის პირად ჩირგვზე მიბმული. თითქოს მხოლოდ ეს ორი სულდგმული იძლევა სიცოცხლის ნიშანწყალს ამ სულგანაბულ დედამიწაზე. სძოვენ მშვიდად მწვანით მოქარგულ ხევის ნაპირზე. ლუარსაბი რატომღაც თვალს ვერ აშორებს ამ ცხენებს. იგი შეუცნობელი შიშითა ძრწის ყოველი ჩირგვის ან რაიმე ნიშანდობლივი საგნის დანახვაზე. მას საიმედოდ მიაჩნია მხოლოდ ტრიალო მინდორი, სადაც ყველაფერი მოსჩანს ხელისგულივით. ისე კი, აი, ამ უწყინარად მოჩუხჩუხე ხევზე გადაბიჯებული პატარა ბოგირიც კი რაღაცას აფიქრებინებს და ერუანტელით იხუტებს მკერდზე ჩიტის ბარტყივით ათრთოლებულ ელიკოს. თან ხინკოლას უტევს თუ ემუდარება აკანკალებულის ხმით:

— ცოტა ჩქარა გარეკე ბიჭო. სიდამბლავე ხომ არ დაგეცა!

მაგრამ ამ დროს ხიდის ქვეშიდან თუ ქვესკნელიდან უეცრივ ამოიჭრენ შაქრა და კოდალა.

— რა გეჩქარება თავადო! ჯერ ანგარიში გაასწორე ჩვენთან და მერე საითაც გინდა მიბრძანდი.

ლუარსაბს შიშის მეხი დაეცა. ჭირისოფლმა დაასხა. ცახცახებს. უნდა სთქვას რამე, შეემუდაროს რამეს, მაგრამ ენა აღარ ემორჩილება. რაღაცას ლუღლუღებს საპყარად და თან დადამბლავებული ხელებით სცდილობს მაგრა ჩაიხუტოს თავისი გოგონა, უნდა, უკანასკნელ განკითხვის ჟამს ის მაინც დაიფაროს როგორმე. ატრიალებს დადამბლებული კაცი დადამბლავებულ ენას, მაგრამ პირუტყვად ქცეული ვეღარაფერს ახერხებს.

— ხო გეწია შუაგზაში ხალხის ცოდოი! რაც ამაგი სოფელს დასდე, აჰა, მიიღე სამაგიერო!

და შაქრას ტყვიამ სამუდამოდ დაანელა ლუარსაბის უანდერძო სიცოცხლე. უსულო გვამმა უკანასკნელად გააზმორა და გადმოვარდა ეტლიდან.

მეორე მხარეს ეტლის საფეხურზე შემდეგარა კოდალა, რომელსაც ზარდაცემული ელიკო დასაკლავი პირუტყვივით მისჩერებია უმწეოდ:

— შემიბრალეთ!.. ღმერთი არა გწამთ!.. რა დაგიშავეთ!...

შიშით თუ უნებლიედ ქალს მკერდი გადაღეღია. კოდალამ მიმინოსავით მოჰკრა თვალი, იქ დაბუდებული ორი თეთრი მტრედი როგორ ფართხალებენ შეშფოთებული...

ელიკომ ათრთოლებული ხელებით ჩაბღუჯა კოდალას მკლავები. თან მდუღარე ცრემლი მოსქდება ანთებულ ლაწვებზე, თან ემუდარება ფეხქვეშ-სათელი მონასავით:

— ...რაც გინდათ, წაიღეთ!... ოღონდ სიცოცხლე მაჩუქეთ!... ადამიანები არა ხართ! შემიბრალეთ!... მე ხომ ჯერ არ მიცხოვრია!... რაც გინდოდეთ... ოღონდ...

კოდალამ ქუდი გაისწორა თავზე და შეუტია ხიდისყურზე მოკუნტულ ხინკალას:

— შენ ე, უდღეურო! დაჯექი შენ ადგილას და გაუდექი გზას!

მერე მიუბრუნდა უმწეოდ მომუდარე ელიკოს!

— წადი იცოცხლე, შე საწყალო! დაე, შენც შენმა კაიქალობამ გაცხოვროს! მხოლოდ არა თქვა, რო ახალთაობის ხალხმა დანდობა არ იციან უდანაშაულო ადამიანისა!

ელიკოს ესმის და არ სეჯრა კოდალას სიტყვები. უზომოდ გულაჩუყებულს, თან კურცხალ კურცხალი ცრემლები სცვივა თან სცდილობს ხელზე აკოცოს მისი სიცოცხლის მიმნიჭებელს.

კოდალას თვალი ჩასწყდა ელიკოს ანთებულ მკერდში. თვითანაც აენთო და გადმოხტა ეტლიდან ძირს.

— ...მხოლოდ მამიშენისა და შენი ძმის კვალზე არ გაიარო, ეი ლამაზო!

წავიდა ეტლი.

შაქრა და კოდალა კი მოახტენ თავიანთ უბელო ცხენებს და ფეხმარდად გააჭენეს ხევის აყოლებით.

ჩქარა ტყემ ჩაიხვია იგინი თავის უბეში და უჩინარი გაჰხადა ავი თვალისაგან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

ცხოვრება აკაკი წერეთლისა
(მონოგრაფია)

თავი I.
აკაკის ღვაწლი

მიმდინარე წელს ასი წელიწადი სრულდება აკაკის დაბადებიდან და ოცდახუთი მისი გარდაცვალებიდან.

ამ თარიღს განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავს ქართველი ხალხი. მასთან ერთად ამ დღეს პატივისცემით აღნიშნავენ ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ერები.

აკაკის სახელი კარგა ხანია, რაც გასცილდა მშობლიური ლიტერატურის ფარგლებს. მისი შემოქმედება დღეს ცნობილია და ახლობელი სხვა ხალხებისათვისაც; და ეს არც არის გასაკვირველი: აკაკის პოეტური მემკვიდრეობა გამსჭვალულია იმავე დიდი იდეებითა და ღრმა გრძნობებით, რაც ახასიათებდა პუშკინის, შევჩენკოს, ოვანეს თუმანიანის, მირზა ფატალი-ახუნდოვისა და სხვა დიდი მწერლების, — თავისი ხალხის მისწრაფებათა გამომხატველ და გულის მესაიდუმლე პოეტების შემოქმედებას.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე აკაკიმ წარუშლელი კვალი დააჩნია საქართველოს მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი და გონებრივი მოძრაობის ყველა მნიშვნელოვან სფეროს. თავისი აზროვნებით, მხატვრული შემოქმედებით და პრაქტიკული საქმიანობით მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხის სოციალური და ნაციონალურ განთავისუფლების, მისი საზოგადოებრივი თვითშეგნების გაღვიძებისა და კულტურული აღორძინების საქმეში.

არ დარჩენილა არც ერთი ფაქტი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, არც ერთი პოლიტიკური ან კულტურული მოვლენა, რომელზედაც აკაკის არ გაეცეს პასუხი, არ გამოხმაურებოდეს სიტყვით და კალმით, არ გამოეთქვას თავისი ავტორიტეტული მოსაზრება. როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, აკაკი ორგანიულად იყო დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასთან. იგი კარგად იცნობდა ჩვენი ხალხის ისტორიულ და თანადროულ ვითარებას, მის ჭირვარამს, ადათ-ჩვეულებებს, ენასა და ხასიათს. ამ გარემოებამ აკაკის საშუალება მისცა მჭიდროდ მისულიყო ხალხის გულთან, მის სულიერ ტკივილებთან და მისწრაფებებთან. მან შესძლო თავის შემოქმედებაში ხალხის გულისნადების გამოხატვა, მისი გრძნობებისა და ნააზრევის გამოვლინება, მისი სევდისა და მომავლის იმედების გამომზეურება.

ამაშია აკაკის, როგორც შემომქმედი პიროვნების, სიდიადე, ამით აიხსნება ის განუზომელი სიყვარული, რომელიც მან მოიპოვა ჩვენი ხალხის გულში.

ამით იყო გამოწვეული ის დიდი დაფასებაც, რომელიც მან მიიღო ჯერ კიდევ სიცოცხლეში ჩვენი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებისაგან.

ილია ჭავჭავაძე მას „ჩვენი ხალხის რჩეულს“ უწოდებდა. ცნობილია ილიას სტატია, დაბეჭდილი 1882 წლის „ივერიაში“, სადაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოეტური სიტყვის ბუმბერაზი უდიდესი პატივისცემით ახასიათებდა აკაკის: „ჩვენდა სასიხარულოდო, — სწერს ილია, — ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილ კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისთვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამის მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლო ჟამს კახეთში; ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთს წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართვლისა და საქართველოს სიყვარულისათვის... ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული“. ილია ამ წერილს ამთავრებდა წინასწარმეტყველური სიტყვებით: „გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამოდ სახსოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისათვისო“.

ასე სწერდა ილია ჭავჭავაძე და ასეთი იყო აზრი არა მარტო იმ დროის მოწინავე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა აკაკიზე, — ეს იყო მკვეთრად გამოხატული შეხედულება მთელი ქართველი ხალხისა თავის საყვარელ და სახელოვან პოეტზე.

აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე საქართველოს მე-19 საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი წარმომადგენლები არიან.

მათი მსოფლმხედველობა და მხატვრულ-ლიტერატურული პრინციპები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ სამოციან წლებში, როდესაც ისინი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ.

ამ დროს რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზრთამფლობელად ითვლებოდნენ რევოლუციონურ-დემოკრატიული ინტელიგენციის ბელადები—ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი. პოეზიაში რევოლუციონური იდეების გამომხატველი იყო პოეტი ნეკრასოვი, ერთი ხელმძღვანელთაგანი ჟურნალ „სოვრემენნიკისა“, რომელსაც მეთაურობდა ჩერნიშევსკი.

ვინც იცნობს აკაკის პოეტურ შემოქმედებას, განსაკუთრებით 60-70-იან წლებში, მისთვის ნათელია, რომ აკაკი უსათუოდ განიცდიდა „სოვრემენნიკის“ რევოლუციონურ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენას. მისი „იმერული ნანინა“ და სხვა ლექსები თავისი თემატიკით და განწყობილებით ძალიან უახლოვდებიან ნეკრასოვის პოეზიას. ცხადია, ორივე პოეტის შემოქმედების იდეური სა-

ფუძველი უნდა ვეძებოთ თანამედროვე რევოლუციონურ-დემოკრატიულ აზროვნებაში. საინტერესოა, როგორც დამახასიათებელი ფაქტი, რომ აკაკი 1878 წ. დაესწრო პეტერბურგში ნეკრასოვის დასაფლავებას, და ამის შესახებ კორესპონდენციაც გამოგზავნა ნ. ნიკოლაძის გაზეთ „ობზორში", სათაურით „წერილი პეტერბურგიდან". ამ წერილში აკაკიმ უდიდესი თანაგრძნობით ასწერა ნეკრასოვის ხსოვნის საპატივსაცემოდ მოწყობილი ახალგაზრდობის დემონსტრაცია და გამოთხოვების მომენტი რუსეთის შესანიშნავ დემოკრატ პოეტთან, აკაკიმ ძლიერი მხატვრული ნიჭით ასახა ერთის მხრივ რუსეთის ობივატელურ-მეშჩანური ბურჟუაზიული ინტელიგენცია, ხოლო მეორეს მხრივ, ჯერ კიდევ შეუგნებელი ქალაქური დემოკრატია, რომელიც არ იცნობდა თავისი ქვეყნის დიდებულ მომღერალს. აკაკი თითქოს აგრძნობინებდა მკითხველს, რომ გაივლის დრო, და ნეკრასოვს, ისე, როგორც მის იდეურ მასწავლებლებს—ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვს სათანადოთ გაიცნობენ და დააფასებენ რუსეთის მრავალმილიონიანი მშრომელი მასები.

მაგრამ აკაკის პოეტურ შემოქმედებისათვის, ჯერ კიდევ მის დასაწყის პერიოდში, მარტო დემოკრატიული მოტივი როდი იყო დამახასიათებელი. თავის „ჩემ თავგადასავალში" აკაკი სწერს, რომ ყირიმის ომის შემდეგ და განსაკუთრებით სამოციანი წლების პერიოდში, რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას პირზე ეკრა გარიბალდის, მაძინის, კოშუტის და ევროპის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სხვა ბელადთა სახელები.

აკაკის ცნობიერებაში ჯერ კიდევ მანამდე ღრმად იყო აღბეჭდილი მიცკევიჩის პოემის გმირის კონრად ვალენროდის სახე. ახალგაზრდა აკაკი გამსჭვალული იყო მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ვალენროდის მსგავსად გამხდარიყო ნაციონალური გმირი და გაენთავისუფლებინა თავისი ქვეყანა ეროვნული ჩაგვრისაგან. პეტერბურგში ყოფნის დროს ეს შეგნება უფრო განმტკიცდა მასში და, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, მან გადასწყვიტა სამშობლოს სამსახური არა სამხედრო კარიერით, არამედ სამწერლო ასპარეზზე, პოეტური იარაღის შემწეობით. აკაკის ლექსებში იმ თავითვე უდიდეს ადგილს იკავებს ეროვნული თემატიკა. ამის შემდეგ ორი მოტივი — დემოკრატიული და ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი, ხდება ძირითად მოტივებად აკაკის პოეტურ შემოქმედებაში.

მთელი თავისი დიდი მხატვრული პოტენცია, თავისი მახვილი და სატირიული ნიჭის საოცარი ძალა, მოქალაქობრივი შეგნება და ფიზიკური ენერგია აკაკიმ შესწირა თავისი ხალხის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლების საქმეს.

აკაკი დიდია, როგორც ლირიკოსი პოეტი, მაგრამ მან თავისი პოეტური შესაძლებლობანი არა ნაკლებ გამოამჟღავნა სხვა მხატვრულ ჟანრებშიაც. ამ მხრივ მას იშვიათად შეედრება მეორე სხვა მწერალი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. აკაკი მძლავრი იყო, როგორც ეპიკოსი პოეტიც. თავის პოემებში მან ასახა ძველი საქართველოს ისტორიის ცალკეული დრამატიული მომენტები და ჰიპერბოლურ-რომანტიზირებული მეთოდით დაგვიხატა სამშობლოსათვის თავდადებული გმირების ცხოვრება და მოღვაწეობა. მართალია, მისი თემატიკა ძველი საქართველოს ფონზე იშლებოდა, მაგრამ იდეური მიმარ-

თულება და განწყობილება აკაკის ეპიური თხზულებებისა ყოველთვის ამჟღავნებდა პოეტში მე-19 საუკუნის მოწინავე ქართველ ადამიანს, პროგრესიულად მოაზროვნე მხატვარს, რომელიც გადასულ ისტორიულ მეცნიერებათა სასწავლი. და თავის თანამედროვე საზოგადოებას, მკითხველთა ფართო მასებს, თუ როგორ იყო საჭირო სამშობლოს სამსახური, ხალხის ერთგულება, ქვეყნისათვის თავდადება. ივი აღვიძებდა მიძინებულ ეროვნულ თვითშეგნებას და მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობას ხალხში.

აკაკის კალამს ეკუთვნის ლექსად დაწერილი მრავალი დრამატიული ნაწარმოები: „პატარა კახი", „თამარ ცბიერი" და სხვა, სადაც დაახლოებით იმავე თემატიკასთან გვაქვს საქმე, როგორც პოემებში — „ნათელა", „თორნიკე ერისთავი", „გამზრდელი" და „ბაგრატ დიდი".

აკაკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის მხატვრულ პროზას. ქართული პროზის შედევრად ითვლება აკაკის „ჩემი თავგადასავალი", „ბაში-აჩუკი" და მთელი რიგი უდიდესი ოსტატობით ღაწერილი სხვა მოთხრობებისა.

„ჩემი თავგადასავალი" ქართული ლიტერატურისათვის ისეთივე მნიშვნელობის ნაწარმოებია, როგორც რუსულ მწერლობაში არის ლევ ტოლსტოის „ბავშვობა, ყრმობა და ჭაბუკობა", გერმანულში გოეთეს „პოეზია და სინამდვილე" და სხვა.

ამ ნაწარმოებში აკაკიმ დაგვიხატა ბატონყმური საქართველოს საოცრად სწორი და მხატვრული რეალიზმით შესრულებული სურათები და ტიპები. მან ასწერა მეფის დროინდელი სასწავლებელი, სადაც ბავშვებს ზრდიდნენ მომავალ მოხელეებად და მეომრებად, მხოლოდ მოქალაქეებისა და ხალხისათვის ერთგულ შვილების აღზრდა-გაწვრთნაზე არავინ ფიქრობდა. აკაკიმ ამავე ნაწარმოებში დაგვიხატა მეტად ოსტატური პორტრეტები მე-19 საუკუნის გამოჩენილ მწერალ — მოღვაწეებისა (ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის, დიმ. ყიფიანის, ალ. ყაზბეგის და სხვა).

„ბაში-აჩუკი" ისტორიული მოთხრობაა, მე-17 საუკუნის საქართველოს ცხოვრების ფონზე გაშლილი; აქაც, როგორც თავის პოემებში, აკაკიმ გვიჩვენა საუცხოო ნიმუშები სამშობლოსთვის თავდადებული გმირების ცხოვრებისა და ბრძოლისა.

აკაკი მეტად საინტერესო იყო აგრეთვე თავის პუბლიცისტურ ნაწერებში. მისი ფელეტონები, დაწერილი თანამედროვე პოლიტიკურ და ყოფა-ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში", „ივერიაში", „კვალში" და სხვაგან.

ეს ფელეტონები, ხშირად ლექსნარევ პროზით დაწერილნი, მხატვრული პუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

მაგრამ აკაკის ღვაწლი მარტო მხატვრული შემოქმედებით არ ამოიწურება. მან ბევრი იმუშავა ქართული კულტურის თითქმის ყველა სფეროში; აღვნიშნავთ მათ შორის ქართულ თეატრს, რომლის განვითარებისათვის აკაკის ბევრი შრომა მიუძღვის, არა მარტო, როგორც დრამატურგს, არამედ როგორც რეჟისორს, მსახიობს, რეცენზენტ-კრიტიკოსს და პრაქტიკულ მოღვაწეს.

აკაკიმ დიდი ამაგი დასდო ქართული ზეპირსიტყვაობის შეგროვება-გამოქვეყნების საქმესაც.

როგორც დიდი პოეტი და სიტყვის ოსტატი, იგი საუცხოოდ გრძნობდა, თუ რა დაუფასებელი საუნჯე იმალებოდა ხალხის გულში, ხალხის ძიერ ათეულ საუკუნეთა მანძილზე შექმნილ ლექსებსა და თქმულებებში, ზღაპრებსა და ლეგენდებში.

აკაკის მრავალმხრივს მოღვაწეობაში აღსანიშნავია მისი ჟურნალისტური საქმიანობაც; როგორც ვთქვით, აკაკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მე-19 საუკ. ქართულ პერიოდულ გამოცემებში, სადაც ბეჭდავდა არა მარტო თავის პოეტურ ნაწარმოებებს, არამედ მხატვრულ-პუბლიცისტურ ფელეტონებს („ცხელ-ცხელი ამბები", „ნადული", „ბოდვა" და სხვა). აკაკის დიდი სატირულ-იუმორისტული ნიჭი განსაკუთრებული სიძლიერით იჩენდა თავს ამ ხასიათის ნაწერებში. აკაკი ერთ დროს რედაქტორობდა საკუთარ ჟურნალს „აკაკის კრებულს" (1897 — 1900 წ.წ.) სადაც, სხვათაშორის, ფართო ადგილს უთმობდა ხალხურ ზეპირ-სიტყვაობასაც.

აკაკის ნაწერებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი აქტუალური, იდეურ-ხატვრული მნიშვნელობა.

ჩვენი სოციალისტური ეპოქის პოეტებისა და მწერლებისათვის სანიმუშოდ რჩება აკაკის ცხოვრება და შემოქმედება. აკაკი თავისთავს „გარემოების საყვირს" უწოდებდა და განა ეს მისაბაძი არ არის საბჭოთა მწერლისათვისაც, რომელიც ვალდებულია იყოს თავისი დიადი ეპოქის, თავისი ხალხის ცხოვრებისა და იდეების გამომხატველი? აკაკი ასწავლიდა პოეტებს: მწერალი გამბედავი უნდა იყოსო და განა ასეთი გაბედულობა არ მოეთხოვება საბჭოთა მწერალს, რომელმაც, ლენინ-სტალინის პარტიის იდეურობით აღჭურვილმა, თანამედროვე უნდა ახადოს ფარდა ჩვენი ცხოვრების ნაკლოვან მხარეებს, ძველი ბურჟუაზიული აზროვნების ნაშთებს თანამედროვე ადამიანის შეგნებაში?

მაგრამ მთავარი აკაკის შემოქმედებაში არის მაინც მისი ხალხურობა. ბევრს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ აკაკის ხალხურობა მხოლოდ მის უბრალო, სადა პოეტურ ენაში გამოიხატება. არა, ხალხურობა საფუძვლად უდევს მთლიანად აკაკის შემოქმედებას, მისი იდეურობისა და მხატვრული მეთოდის თვალსაზრისით. ახსნა აკაკის ხალხურობისა უნდა ვეძებოთ იმაში, რომ პოეტი ერთის მხრივ თავის შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროს ნახულობდა ხალხის გულში, ხალხის აზროვნებასა და მისწრაფებებში, და მეორეს მხრივ ამ თავის შეგოქმედებას ახმარდა ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეს.

აკაკის უყვარდა ხალხში ყოფნა, იგი მოგზაურობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ეცნობოდა მის ჭირვარამს, ადათ-ჩვეულებებს, ცხოვრებას. იგი უშუალოდ განიცდიდა ჩვენი ხალხის ნაფიქრსა და ნაგრძნობს. აი საიდუმლოება აკაკის პოეტური სიტყვის გულწრფელი უშუალობისა, რაც აგრეთვე მისაბაძად უნდა დარჩეს ჩვენი ეპოქის მწერლობისათვის.

ხალხურობა, სამშობლოს სიყვარული, თავისი ეპოქის იდეებისა და ცხოვრების პრობლემატიკისადმი აქტიური გამოხმაურება — აი ყველა ის ღირსებები, რამაც აკაკის შემოქმედებას მოუპოვა ხალხში არაჩვეულებრივი პოპულარობა და სიყვარული.

აკაკის პოეტურ მემკვიდრეობას ღირსეულად აფასებს მისი მშობელი ქვეყანა.

ჩვენი ვალია ისეთივე პოპულარული და ცნობილი გავხადოთ ჩვენ ხალხისათვის პოეტის დიდი ცხოვრება, როგორითაც სარგებლობს მისი დიდი შემოქმედება.

თავი II.

წერეთლების გვარი

აკაკი თავისი წარმოშობით იმერეთის წარჩინებულ ფეოდალთა გვარეულობას ეკუთვნოდა. პოეტის ბიოგრაფიის გაცნობის დროს ზედმეტი არ იქნება თვალი გადავავლოთ მისი უშუალო წინაპრების ცხოვრებასაც.

წერეთლების გვარს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია მოეპოვება. ამ გვარის წარმომადგენლები თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ იმერეთის სამეფოს ცხოვრებაში მეთექვსმეტე საუკუნიდგან მოკიდებული მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე,—იმ დრომდე, ვიდრე იმერეთი საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციების ბედს გაიზიარებდა და მსხვერპლი შეიქნებოდა მეფის რუსეთის იმპერიალისტური ექსპანსიისა აღმოსავლეთში. საუკეთესო წარმომადგენლები წერეთლების გვარისა თავის დროზე მჭიდროდ იყვნენ დაახლოვებულნი იმერთა მეფის კართან და ასრულებდნენ სარდლების, სახთუხუცესების, დესპანებისა და სხვა მაღალ სახელმწიფო მოხელეთა თანამდებობას.

წერეთლების უძველესი სამკვიდრებელი აღმოსავლეთ-საქართველოში უნდა ვეძებოთ. ამ გვარის წინაპარნი, როგორც ირკვევა, თავდაპირველად ზემო ქართლში მოსახლეობდნენ. გორის სამხრეთით, თრიალეთის მთის ჩრდილო მხრიდან მიემართება ქედი, რომელიც ეხლაც ატარებს წერეთის ქედის სახელწოდებას, ხოლო იმავე რაიონში, მდინარე ტანას შემდინარეთა ხეობაში, მდებარეობენ სოფლები დიდი წერეთი და პატარა წერეთი.

ჟამთა მიმავლობაში წერეთლებს ბინადრობა უცვლიათ. ნაწილი იმერეთში გადასულა, ნაწილი კიდევ დასახლებულა მდ. ფრონეს ხეობაში, ცხინვალის მახლობელ მიდამოებში. ეს სანახები რომ ძველი საცხოვრებელი ადგილი ყოფილა წერეთლებისა, ამას კარგად მოწმობს, სხვათაშორის, ერთი სიგელი როსტომ მეფისა (1634 — 1658), ბოძებული მის მიერ 1648 წელს ვინმე ზაალ წერეთლისათვის. „...მას ჟამსა, ოდეს დადიანს ბატონს ლევანს, თქვენი თავი აქ ჩვენთვის შემოებარებინა, — სწერს ამ სიგელში ქართლის მეფე თავის „ერთგულსა და მონდობილს ყმას“ ზაალ წერეთელს, — რომე ჩვენის გულისათვის შეინახეთო და მამული უბოძეთო, მოკითხული ვქენით და ზემო ქართლს თქვენისავე ნათესავის სამკვიდრო მამული თიღვა შეგიწყალეთ და გიბოძეთ ყოვლითურ აზნაურისშვილებითა, ზვრითა, სასახლით, სასაფლაოთი, იმ წესითა, რომე რაც დათუნას საგოგატიშვილო მამული ჰქონდეს, ის არ მოეშალოს და სხუა, რაც წერეთელს გიორგის საკერძო მამული ჩვენგან წყალობად მიმატებოდეს, ის თქვენთვის სახასოდ გვიბოძებია სხვა აზნაურიშვილი და გლეხი ყოველივე, სურნის[1]) გარდაისად, რისაც მქონებელი წერეთელი გიორგი ყოფილიყოს, ყოვლითურ

[1]) სურნისი — სოფელია მდ. ფრონეს ხეობაში.

მთით ბარამდისინ თქვენთვის გვიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა..." [1].

როგორც სიგელიდან სჩანს, მდ. ფრონეს ხეობაში მდებარე სოფელ ... ...

ოატ იმერთა მეფის 1669 წლით დათარიღებულ წერილში, რომელიც მიმართული იყო რუსეთის მეფის ალექსისადმი, წარმოდგენილია იმერეთის სამეფოს წარჩინებულთა და სახელმწიფო საქმეების ბჭობაში მონაწილეობის სია. ამ სიაში „ბოიარებს“ შორის მოხსენებულნი არიან „დიდი ბაიარი და სარდალი წერეთელი ზაალ, ბაიარი წერეთელი ოტია, ბაიარი წერეთელი დავით, ბაიარი წერეთელი ქაიხოსრო“...[1].

სავსებით ბუნებრივია ის გარემოება, რომ ამ ფრიად გამოჩინებულ ფეოდალთა ხსენებას გვერდს ვერ აუვლიდენ მე-17-18 საუკუნეების ქართული პოეტური სიტყვის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც არიან ფეშანგი, არჩილი და ბესიკ გაბაშვილი.

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით ალექსანდრე მესამის გარდაცვალების შემდეგ (1660 წ.), იმერეთი მთელი ასი წლის მანძილზე წარმოადგენდა მეფე-მთავართა შორის გამუდმებული ბრძოლისა და შინაური აღრეულობის ასპარეზს. თანამედროვეთა სიტყვით, იმერეთი ამ დროს იყო „იწროებასა, ოხრებასა, მწუხარებასა შინა, რომე ესე ვითარი არაოდეს მოსულიყო ესრეთი შფოთი და ურვა, მას აქეთ არავინ ისმინოს და არცა ვის სმენოდეს“ (ქრონიკები, II, 481). ამ შინაურ ანარქიაში, დაუსრულებელ ინტრიგებსა და შფოთში, სხვა ფეოდალ-თავადთა შორის, აქტიურ როლს თამაშობდნენ წერეთლებიც. მე-17 საუკუნის პოეტს ფეშანგის თავის პოემა „შაჰნავაზიანში“ ასახული აქვს, სხვათაშორის, სწორედ ერთი ასეთ მომენტთაგანი, როდესაც იმერეთის აწეწილ საქმეების მოსაგვარებლად ქართლიდან დიდის ლაშქრით გადადის შაჰნავაზ მეფე (1661 წელს). მას, მორჩილების გამოსაცხადებლად, პირველ რიგში წარუდგებიან საწერეთლოს მფლობელნი:

„მთასა გარდახდა, მაშინვე მოეგებოდა ყუელანი,
კოლბაურს დასცეს კარავი, აივსო იგი ველანი,
მოწინავესა შეეპყრა მათისა გზისა მცუელანი,
ორგულთ მიესმა, მოედვა ცეცლი უშრეტი მწუელანი.
წერეთლები და ვინც იყო, სახუეწრად მოაშურესა,
თავსა მართლობდენ იგინი, იდგიან ერთსა ყურესა,
მათსა საქმესა იმართუენ, შემცოდეს არ უყურესა,
ჰკადრეს: „მეფეო, უვიცთა თქუენ, ლომი, მოგინდურესა“.[2].

წერეთლების რეზიდენცია საჩხერე მდებარეობდა აღმოსავლეთ საქართველოდან მომავალ დიდ გზაზე, რომელიც ლიხის მთით სოფელ კორბოულზე გადმოდიოდა და მიემართებოდა ქუთაისისაკენ. ფრანგი მოგზაური შარდენი და ევროპელი მისიონერები თავიანთ მემუარებსა და მოხსენებებში აგვიწერენ სწორედ ამ მარშრუტს, რომელიც ინდოეთიდან და სპარსეთიდან მომავალ სავაჭრო გზას წარმოადგენდა და ტფილისს იმერეთის სამეფოსთან და შავი ზღვის სანაპიროებთან აერთებდა.

---

[1]) ს. კაკაბაძე — „მასალები იმერეთის სახელმწიფოს მდგომარეობის შესახებ მე-17-ს“.— „საისტ. მოამბე“ 1925 წ. წ. გვ. 208.

[2]) ფეშანგი — „შაჰნავაზიანი“. სახელგ. 1935 წ. გვ. 54.

საჩხერე მეჩვიდმეტე საუკუნეში უკვე კარგად დასახლეულ დაბას წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიაში სწერს: „ყვირილას სამხრით კიდეზედ არის საჩხერე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი, ვაჭარნი და ვაჭრობენ. ამ საჩხერის პირისპირს, ყვირილის ჩრდილოთ, არს მაღალს კლდესა ზედა ციხე მოდინახე, მოზღუდვილი კლდითა, მაგარი და უბრალოველი მტრისაგან". [1]. არჩილ მეფე „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში" იხსენიებს წერეთელთა სამყოფს საჩხერეს და მათ სასახლეს, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს, შაჰ-აბასისაგან ლტოლვილმა კახეთისა და ქართლის მეფეებმა თეიმურაზ პირველმა და ლუარსაბ მეორემ თავისი მხლებლებით რამდენიმე ხანი გაატარეს და შემდეგ, იმერთა მეფის გიორგი მესამის მოწვევით განაგრძეს გზა ქუთაისისაკენ.

„გარდავლეთ ლიხი, მივედით ადგილსა იმერელთასა.
გიორგი მეფე მობრძანდა სამყოფთა წერეთელთასა,
წინ მოგვეგება, გვესალმა საჩხერეს, ადგილს ველთასა,
დავივანენით სამყოფსა მუნ სახლსა კარგთა ველთასა. [2]

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართულ მატიანედან ვეცნობით იმერთა მეფის გიორგი მეექვსის თანამებრძოლს, მხედართ-მთავარს ქველ წერეთელს.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის „საქართველოს ცხოვრებაში" გადმოგვცემს, რომ 1709 წელს „მოადგა მეფე [გიორგი მეექვსე] ნავარძეთს ციხესა აბაშიძისა... ხოლო მოდგომილს ნავარძეთს მეფეს აძრახეს ძეთა ლიპარტიანისათა კაცია და ბეჟან, რათა ულაშქროს მეფემან და გარდაადგინოს მამა მათი და დაიპყრან მათ ოდიში: უსმინათ მათ მეფემან, მოუდგინა ნავარძეთს ქ ვ ე ლ ი წ ე რ ე თ ე ლ ი და თვით წარვიდა ოდიშს... დაიპყრეს ოდიში... და დასვეს კაცია დადიანად. მერმე მოვიდა მეფე იმერეთს. ხოლო ქველმან აღიღო ნავარძეთი და წარგზავნა მეფემან ზარბაზნები მისი კაცხს"... [3].

ეს ქველი წერეთელი საერთო წინაპარია საჩხერელ და სხვიტორელ წერეთლებისა. აკაკი წერეთლის უფროსი ძმის დავითის მიერ 1881 წელს შედგენილი გენეალოგიური სიის მიხედვით [4] ზემოხსნებული ქველი წერეთლის შვილს, რომელსაც აგრეთვე ქველი ეწოდებოდა, ორი ვაჟი ჰყოლია: პ ა პ უ ნ ა — მამამთავარი საჩხერეში მოსახლე წერეთლებისა და დ ა ვ ი თ ი, — წინაპარი სხვიტორელი წერეთლებისა.

გაძლიერება წერეთლების გვარისა დაკავშირებულია ნავარძეთის ციხის ამღებ ქველი წერეთლის სახელთან. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგიდან, როდესაც იმერეთის მეეფეებმა გიორგი მეექვსემ (1703—1720 წ.) და ალექსანდრე მეხუთემ (1721 — 1751 წ.) ცოტად თუ ბევრად მოთრგუნეს გალაღებული აბაშიძეების გვარი, იწყება წერეთლების (საჩხერის შტოს) შეუჩერებელი ზრდა და

---

[1] ვახუშტი — „საქართველოს გეოგრაფია" მ. ჯანაშვილის რედაქციით. გამოც. ჟურნ. „მოგზაურისა" თბილისი, 1904 წ. გვ. 279.

[2]) არჩილი — ტომი 2, გვ. 55 ტფ. სახ. მუზეუმი გამოც. 1937 წ.

[3]) ვახუშტი ბატონიშვილი — „საქართველოს ცხოვრება". ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი 1913 წ. გვ. 339.

[4]) დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში.

ფართე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ასპარეზზე გამოსვლა. ამიერიდან საჩხერის მფლობელნი „შეიქნენ უმეტეს წარჩინებულნი“. პაპუნა წერეთელმა, როგორც ეს შეეფერებოდა ზვიად ფეოდალს, საჩხერის თავზე მიუდგომელ ციხის წვერზე, ააგო ძლიერი სიმაგრე, შემდეგ „მოდი-ნახედ“ წოდებული.

ეს ისტორიული ძეგლი აკაკის მრავალჯერ აქვს აღწერილ-მოხსენებული თავის ნაწარმოებებში. გავიხსენოთ თუნდაც ახალგაზრდობის დროინდელი პოემა „რუსეთუმე“ (მეათე თავი) და სხვა ნაწარმოებნი. აკაკის ცნობილი პოემის გმირი ნათელა „ქალია ქველი წერეთლის, პატრონი მოდინახისა“...

ამ ციხის შესახებ არსებობს საინტერესო ისტორიული გადმოცემა. გაძლიერებულ პაპუნა წერეთელს მოუსურვებია დიდი ფეოდალის, დავით აბაშიძის ქალის შერთვა. მაგრამ აბაშიძეს შემოუთვლია: „მე ქალს წვივშავიძეს არ მივცემ, სანამდის ციხეს არ აიშენებსო“. მაშინ პაპუნა წერეთელს განუახლებია საჩხერის თავზე უძველესი მოხვის ციხე. დანგრეულ ციხის კედლებზე მას აუგია ოთხი კოშკის ბურჯი, აუშენებია შიგნით ეკლესია, მოუწყვია ჭირნახულის შესანახავი ხაროებში, ჩაუგდია დიდ-დიდი ქვევრები, შეუყვანია სიმაგრეში მეციხოვნე ჯარი და მეორედ მიუგზავნია მოციქულები აბაშიძისათვის ამ სიტყვებით: „მოდი ნახეო.“ ამგვარად, გადმოცემით, საჩხრის ციხეს დარქმევია „მოდი-ნახის ციხე“. ამის შემდეგ დავით აბაშიძე დამოყვრებია პაპუნა წერეთელს და ამიერიდგან ორივე გვარს დაუწყვია გაძლიერება.[1].

მეფე ალექსანდრე მეხუთისათვის, როგორც სჩანს, მაინცა და მაინც სასიამოვნო არ აღმოჩნდა ზემო იმერეთის ორი უძლიერესი გვარის — წერეთლებისა და აბაშიძეების ასეთი მოყვრული კავშირი, ცხადია, აგებული გარკვეულ პოლიტიკურ მოსაზრებებზე: განემტკიცებინათ თავისი ფეოდალური განკერძოება და დაეპირისპირებინათ თავისი ძალები ცენტრალური სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისათვის. ალექსანდრე უცდიდა შესაფერ შემთხვევას გაზვიადებულ ფეოდალების დასამორჩილებლად და ეს შემთხვევაც ჩქარა მიეცა. 1735 წელს ზურაბ აბაშიძემ (დავითის მამამ), როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, „მოიპარა მამუკა-შვილის ციხე ხარაგაულისა, მოჰკლა მამუკას შვილი და დაიპყრა თვით“.[2]. პაპუნა წერეთელი, როგორც სჩანს, ხელს უწყობდა თავის მოყვარეს, ყოველ შემთხვევაში იმდენად აქტიურ როლს თამაშობდა ამ საქმეში, რომ გაჯავრებულმა ალექსანდრე მეფემ გადასწყვიტა მისი სამაგალითო დასჯა. იგი თავისი ლაშქრით შეესია საწერეთლოს, მოაოხრა იგი და ბოლოს ალყა შემოარტყა მოდი-ნახის ციხეში გამაგრებულ პაპუნას. რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ბრძოლა, ცნობილი არ არის, მხოლოდ ალექსანდრე მეფემ ვერ მოახერხა ციხის აღება და გაწბილებული გაბრუნდა უკან. ამის შემდეგ, როგორც ეტყობა, ალექსანდრე მეხუთეს ხერხი უმჯობინებია ღონისათვის და დროებით შერიგებია თავის ურჩს თავადებს.[3]. რამდენიმე წლის შემდეგ მან თავის ვარციხის სასახლეში მოიწვია პაპუნა წერეთელი და ზურაბ აბაშიძის

---

[1]) გ. წერეთელი — „საჩხერის ციხე „მოდი-ნახე“. „კვალი“ 1893 წ. № 3. გვ. 12. ეს გადმოცემა პირადად აკაკისაგანაც გაუგონიათ ზოგიერთებს (იხ. ჟურნ. „მნათობი“ — 1933 წ. № 6-7, გვ. 163.

[2]) ვახუშტი — „საქართველოს ცხოვრება — 1913 წ. გვ. 356.

[3]) ვახუშტი, გვ. 356; მარი ბროსე — „საქ. ისტ.“ 1900 წ. გვ. 233.

ვაჟი დავითი, ღალატით მოაკვლევინა ორივე და თვითონ კი ხელახლა გაილაშქრა „მოდი ნახის“ ციხის ასაღებად. მაგრამ არც ეხლა გაუღიმა ბედმა: ვახუშტი ბატონიშვილი სწერს: „ცოლმან და ძემან პაპუნასამან განამარჯეს ციხე და [მეფემან] ვერ შეუძლო წარღებაო“.[1].

ბიბლიოთეკა

პაპუნა წერეთლის ასეთი გამწვავებული ურთიერთობა მეფესთან, როგორც ვხედავთ, მისთვის ტრაგიკული ფინალით დამთავრდა. ასეთი საკმაოდ დამაჯერებელი გაკვეთილის შემდეგ, და რასაკვირველია, უმთავრესად პოლიტიკურ და ეკონომიურ მოსაზრებათა გამო, მისმა შვილმა და შვილიშვილებმა სამეფო კართან დაახლოვებისა და ერთგულების გზა აირჩიეს. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ წერეთლები იმერთა მეფეების სრული ნდობით არიან აღჭურვილნი და ამ გვარის წარმომადგენლებს უკავიათ ყველა მთავარი პოსტები სახელმწიფო მმართველობისა. სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის დროს წერეთლები ითვლებიან იმერეთის ყველაზე უფრო წარჩინებულ თავადებად და მეფის ახლობელ კარისკაცებად. ასეთები იყვნენ: სარდლები პაპუნა და მისი შვილი ქაიხოსრო, სახთუხუცესი ზურაბ, რომელსაც გუჯრებში სოლომონ მეფე თითქმის ყველგან უწოდებს „ერთგულებითა კარისა ჩვენისა გამრიგეს“, ბოქაულთუხუცესი ვახუშტი, მოლარეთუხუცესი გიორგი, მელვინეთუხუცესები სვიმონ და მისი ძმა როსტომი (აკაკის პაპა) და სხვ.. წერეთლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმერეთის სამეფოს სამხედრო და სამოქალაქო საქმეების წარმართვაში, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოებაში.

ბესიკ გაბაშვილმა თავის ოდაში „რუხის ბრძოლა“ დიდათ შეაქო ამ ისტორიული ბრძოლის (1780 წ.) ერთი მთავარ მონაწილეთაგანი, სარდალი წერეთელი, როგორც სამაგალითო გმირი და შეუდრეკელი ვაჟკაცი .

მოგვყავს ორი ტაეპი ამ ნაწარმოებიდან, სადაც პოეტურ სტრიქონებში გამოხატულია გამოჩინებული სპასალარის სამხედრო ღირსებები:

..აწ შენი მსურს ქების კონვა, ვინ სარდლობდი, წერეთელო!
მაშინ ჰგვანდი მეხთა ტეხას, ჯგუფთა, რაზმთა განმბნეველო,
ელვის სახედ, მტერთა თვალის დამჭუხებო, შემზარველო,
გმირის ხმითა დამქუხებო, თხემთა ტვინის დამთხეველო!

. . . . . .

შაბაშ, შაბაშ შენდა! ვაშა! თუმცა გამკე ვერა დია,
შენი გვეცმა მცირე ცეცხლი, დიდთა ხეთა მწველადია;
ესპად მსროლო თოფისა და ლეკურის ხარ ბელადია —
ბრძენთა ენამ როდეს გაქოს ყოვლთვის შესაფერადია..“ [2].

სარდალი პაპუნა წერეთელი, მისი შვილი სარდალი ქაიხოსრო და ბიძაშვილი, სახლთუხუცესი ზურაბ განსაკუთრებულად დიდ როლს თამაშობდნენ იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანებში. ზურაბ წერეთელი 1784 წ. დავით მეფის დესპანათაც იყო გაგზავნილი ეკატერინე მეორის კარზე, სადაც

---

[1]) ვახუშტი, „საქ. ცხოვრ.“ გვ. 357.
[2]) ბესიკი — „თხზულ“. ფედერაცია, 1932 წ. გვ. 35

იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ.[1] სხვათაშორის, საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ ზურაბ წერეთლის სახელთან დაკავშირებულია პირველი სტამბის დაარსების ისტორია იმერეთში. როგორც ცნობილია, სოლომონ მეორემ 1803 წ. ქუთაისში დაარსა სტამბა, რომლის ზედამხედველად მას დაუნიშნავს ზურაბ წერეთელი.[2] ამ სტამბაში 1803 წელსვე დაიბეჭდა პირველი წიგნი — „საღმრთო და სამღვდელო სახარებანების კვირიაკისა". ამის შემდეგ ქუთაისში კიდევ დაუბეჭდავთ ხუთიოდე საეკლესიერო ხასიათის წიგნი. იმერეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ (1810 წ.) სტამბის მუშაობა შეწყვეტილა. 1815 წელს ზურაბ წერეთელს და მის შვილს გრიგოლს სტამბა გადაუტანიათ თავის სასახლეში საჩხერეს, რისთვისაც რუსეთიდან გამოუწერიათ ორასსამოცი თუმნის სასტამბო იარაღები და მოწყობილობანი და აგრეთვე ქაღალდი. სტამბისა და წიგნის ბეჭდვის საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიუღია ზურაბის შვილს გრიგოლს, შემდეგ რუსეთის ხელისუფლების მიერ მაიორის ჩინითა და კავალერის სახელწოდებით დაჯილდოვებულს. საჩხერის სტამბაში დაუბეჭდავთ სულ ორი წიგნი — „სამოციქულო" და „სახარება".[3]. ამაზე შეწყვეტილა ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კულტურულ-საგამომცემლო საქმიანობაც.[4]

ზურაბ წერეთლის უფროსი შვილი სვიმონი, როგორც ერთგული თავადი სოლომონ მეორისა, რუსეთის ჯარის შემოსვლის შემდეგ გადაჰყოლია მეფეს ემიგრაციაში. სხვათაშორის, ეს სვიმონი ერთი მონაწილეთაგანი იყო მთავარმართებელ ტორმასოვის ტყვეობაში მყოფ სოლომონ მეორის გაპარებისა ტფილისიდან. 1810 წლის 9 მაისს, ღამით, 23 იმერლისაგან შემდგარი შეთქმულთა ცხენოსანი რაზმი ქალაქ გარეთ დაუხვდა გადაცმულ მეფეს და სწრაფად გაიტაცა იგი ახალციხისკენ. ამ რაზმში, გარდა სვიმონ სახთხუციშვილისა, მონაწილეობდნენ სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, მისი ძმა როსტომი, სიმონ გიორგისძე წერეთელი და სხვები. თუ რამდენად მედგარი მოწინააღმდეგე ყოფილა დამპყრობლებისა სვიმონ წერეთელი ესა სჩანს, სხვათაშორის, მეტად საინტერესო წერილიდან, რომელიც მას 1810 წელს მოუწერია ტრაპიზონიდან თავისი ძმის გრიგოლისათვის. ეს დოკუმენტი თავის დროზე გამოაქვეყნა აკაკიმ თავის ჟურნალ „კრებულში". იმ ეპოქის პოლიტიკური განწყობილების დასახასიათებლად მოგვყავს ეს საგულისხმო წერილი: „ჩემო მოწყალე ძმაო, სახუცის ძეო, წერეთელო გრიგოლ,—მიმართავდა ეცხოეთში გადახვეწილი ემიგრანტი შინ დარჩენილ ძმას, — აქ ქუთაისიდან სომეხი მოვიდა და მითხრა ორი ამბავი. ერთი ეს, რომ გრიგოლს, შენ ძმასაო რუსეთს აგზავნიანო. ღმერთს ექნა, არ გამეგონა ეს და მომკვდარიყავი, ჭეშმარიტად მერჩია. ასე როგორ გადაირიე, რომ შენ რუსეთს მიხვალ, მეფე აღარ მინდაო. გამიშინჯე საქმე. ბაბუაშენიც მაგრე წავიდა სხვა ქვეყანას, რომ ბატონი აღარ მინდაო. ძმაო, ამაზე სარწმუნოდ ბრძანდებოდეთ და არც ჩემი მოხსენება გინდა, შენ უკეთ იცი ეს, რომ თავისობას სირცხვილში ყოფნას ბევრად სჯობს სახელოვნად სიკვდილი, უნდა გათითებდეს ხელს ყოველი კაცი გარსე-

[1]) Бутков — „матер. по нов. ист. Кавказа" т. III, გვ .185, 189, 191.

[2]) პ. გუგუშვილი — „ქართ. წიგნი" სახელგ. 1929 წ. გვ. 94.

[3]) დ. კარიჭაშვილი — „ქართ. წიგ. ბეჭდვ. ისტორია" გვ. 109.

[4]) საჩხერეში, მოდინახის ციხის ქვემოდ ერთ ადგილს ეხლაც „ნასტამბარს" უწოდებენ.

ვან ეშიკ-აღასასავით[1] — „ამან დაჰკარგა მეფეო". და ესეც ვიცი, რომ შენზე ძალაც ვის შეუძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ეს მითხრა, რომ დედოფალი იმან უნდა ჩაგვარაოს, ეს ეგეთ დასტურა ეს გითხრეს და მაშინვე შენი თავი არ მოიკალ, ფუი შენს კაცობას, დედოფალი ჯერ შენი მშობლიურად მომვლელი, გამზრდელი, შენი მაცოცხლებელი, დამცოლშვილიანებელი და დამთავიანებელი, მიათრევ და რუსებს აძლევ რისთვის, რა გაჭირვებისათვის? ასე ვთქვათ, მოგკლან. მოკვდი მაგისთვის, არაფერი იქნება, ვალი გაქვს ჭეშმარიტად, ხუთჯერ რომ მოკვდე, მაინც ვერ გადაიხდი. შენი გულისათვის მოგახსენებ მაგას, რომ საკიცხავად არ დაიდვა, თორემ მე ანლა მოვალ მანდ და ანლა არა და ნუ იქ ღვთის გულისათვის. ნურც შენ იქ ამ კაცობას და ნურც მე მომკლავ ზაფრით, მაგის უხიაგში არ გაერიო, შენი ჭირიმე, ძმაო.

ესეც მითხრა, რომ შენი ცოლიც მიყავსთო, მაგრამ არა მგონია დაანებოსო. ამან კი დამაფიქრა. მაგ თუ დედოფალი დაანებე ვისმე, ჩემ ცოლს რაღას დაეძებ? ჩემი კი გაეცი, არ დავეძებ, ოღონდ დედოფალს ნურავის დაანებებ, ვიცი შემძლებელი ხარ".. [2]

ამ წერილს, რომელიც ერთგვარი პროკლამაციის ხასიათს ატარებს, როგორც სჩანს, დიდი გავლენა ვერ მოუხდენია ადრესატზე. გრიგოლ წერეთელი, მამა მისი ზურაბის მსგავსად, უფრო რეალური პოლიტიკის მიმდევარი დარჩენილა და მეფის რუსეთის ხელისუფლებასთან ამაო ბრძოლას, მასთან შეგუება და ერთგული სამსახური უმჯობინებია.

საერთოდ ზურაბ წერეთელმა ძალიან აქტიური როლი ითამაშა და დიდათ შეუწყო ხელი იმერეთის სამეფოს საბოლოო შეერთებას რუსეთის იმპერიასთან. ცხადია, მეფის რუსეთის ხელისუფლება შესაფერად აფასებდა ზურაბის ასეთ დამსახურებას. იგი ჯერ კიდევ 1805 წლიდან იყო დაჯილდოვებული პოლკოვნიკის ჩინით და მრავლადაც დასაჩუქრებული სოლომონისაგან განდგომისა და რუსთა იმპერატორის ერთგულებისათვის.

უნდა ითქვას, რომ მეფის რუსეთის მთავრობის ერთგულების გზას მარტო გრიგოლ სახუციშვილი და წერეთელთა გვარის დიდი უმეტესობა კი არა, იმერეთის თითქმის მთელი თავადაზნაურობა დაადგა მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორის ორთავიანმა არწივმა მაგრად ჩაჰკიდა თავისი ბრჭყალები ქართველი ხალხის მიწა-წყალს. იმ დროს, როდესაც ქართველი გლეხობა აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდა დამპყრობლების წინააღმდეგ, ქართველი ბრწყინვალე წოდება მხარში უდგა მეფის ადმინისტრაციას და ცეცხლითა და მახვილით აქრობდა ამბოხების ცეცხლს. მართალი იყვნენ იმერეთის თავადები, როდესაც 1853 წელს იმპერატორისადმი მიმართულ „უქვეშევრდომილეს" თხოვნაში სწერდენ: „ქუთაისის გუბერნიის თავადები თქვენი უდიდებულესობის ტახტის ჭეშმარიტად ერთგულნი იყვნენ მუდამ, ჯერ კიდევ მას შემდეგ, როცა რუსეთის მართებლო-

---

[1]) გარსევან ჭავჭავაძე. — რუსეთთან ტრაქტატის დამდები.

[2]) „აკაკის კრებული" 1900 წ. I — გვ. 72-73.

ბა ის იყო შემოდიოდა ჩვენში და როდესაც იგი მოითხოვდა ჩვენგან დახმარებას, რათა ხალხისათვის შთაგვეგონებინა რუსეთის სახელმწიფოს „მფარველობა.“ [1] სხვათაშორის, ამ მეტად მეტყველ დოკუმენტზე, სხვებთან ერთად ხელი აქვს მოწერილი აკაკის მამას როსტომ წერეთელსაც.

მაგრამ ეხლა დრო არის გადავიდეთ აკაკის უშუალო წინაპრებზე.

აკაკი სხვიტორელი წერეთლების შტოს ეკუთვნოდა. მამით იგი უშუალო შთამომავალი იყო ნავარძეთის ციხის ამღებ ქველი წერეთლის შვილი-შვილის დავითისა, რომლისგანაც წარმოიშვენ სხვიტორელი წერეთლები. დედით მისი გენეალოგიური ხაზი ადის იმერთა მეფე. გიორგი მეექვსემდე (მეფობდა სხვადასხვა დროს 1703—1720 წლამდე). ეს ის გიორგი მეფეა, რომელმაც 1709 წელს ქველი წერეთლის დახმარებით აიღო აბაშიძეების ციხე ნავარძეთი. გიორგი მეექვსის შვილიშვილი, შემდეგში სოლომონ დიდათ წოდებული (1751 — 1784), პაპა იყო 1819-20 წლებში მომხდარი „საეკლესიო აჯანყების“ ცნობილი მონაწილის თავადი ივანე აბაშიძისა. აკაკი შვილიშვილად ერგებოდა ამ ივანე აბაშიძეს. ამგვარად, აკაკის სრული უფლება ჰქონდა გაემეორებინა დიდი პუშკინის მიერ თავის თავზე სიამაყით ნათქვამი სიტყვები, რომ იგი შთამომავალი იყო „წინაპრებისა, რომელთა სახელი მოხსენებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიის თითქმის ყოველ გვერდზე“-ო. აკაკი, როგორ საუკეთესო შვილი და უდიდესი პოეტ-თაგანი თავისი ხალხისა, პუშკინის მსგავსად, ორგანიულად იყო დაკავშირებული თავისი ქვეყნის თანადროულ ცხოვრებასთან. წინაპრების საშუალებით კი იგი მჭიდროდ უკავშირდებოდა თავისი ხალხის წარსულ ცხოვრებასაც. წინაპრების ისტორია აკაკის სავსებით მართებულად თავისი ხალხის საერთო ისტორიის განუყოფელ, შემადგენელ ნაწილად ეხატებოდა. და სწორედ სამშობლოს წარსულთან ორგანიული კავშირის ამ მძაფრი განცდითაც აიხსნება ის გარემოება, რომ აკაკი თავის შემოქმედებაში არა ერთხელ უბრუნდებოდა და უდიდესი სიყვარულით ამუშავებდა წინაპრების თემას. ასეთ ნაწარმოებთა შორის ჩვენ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ და აგრეთვე მთელი რიგი სხვა მეტად საგულისხმო წერილებისა, როგორც არის მაგალითად „სოფ. სხვიტორის“ სახელწოდებით მოთავსებული ნარკვევი აკაკის „კრებულში“. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აკაკი თავის პოემებში ხშირად ხატავდა აგრეთვე თავის სამშობლო კუთხეს „საჩხერის მხარეს“, მის მომხიბლავ ბუნებას და ისტორიულ ძეგლს „მოდინახის“ ციხეს.

თავისი წინაპრები მამის ხაზით აკაკიმ მოკლედ, მაგრამ მეტად მხატვრულად აღწერა ზემოხსენებულ წერილში „სოფ. სხვიტორი“. ამიტომ უმჯობესია სიტყვა ისევ აკაკის დავუთმოთ და გავეცნოთ მის ნაამბობს ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ. „სხვიტორელი წერეთლები, — სწერს აკაკი, — განთქმული ვაჟკაცის დავით წერეთლის ნაშიერი არიან. ქველ წერეთელს, საზოგადოდ ყველა თავად წერეთლების წინაპარს, ორი შვილი ჰყავდა: დავით და პაპუნა. პაპუნა ბერათ იყო შესული მღვიმევის მონასტერში. დავითი უშვილოდ

[1]) П. Гугушвили — селское хоз. и агр. отнош. т. I стр. 359.

ბერდებოდა და იმ მოსაზრებით, რომ საწერეთლო უპატრონოთ არ დარჩენილიყო, გამოიყვანა მონასტრიდან ძმა და ცოლი შერთო. მისი ჩამომავალი დღეს თხუთმეტ ოჯახად არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით წერეთელი შესანიშნავი რაინდი იყო და მისი ხმალი მთელ საქართველოში განთქმული. ხელ-ჩართულ ომში რომელ მხარისაკენაც მიმართავდა, გაიტანდა. გადმონაცემია: ღვინო თავის დღეში არ დაულევია, მაგრამ სისხლი კი ათრობდა და ომში მიუკარებელი რამ იყოო. მხოლოდ ერთხელ კი გაქცევია ომს. ეს მაშინ იყო, როცა ქართლისა და იმერეთის მეფე შეიტაკენ. მეფემ თურმე ჰკითხა გაქცევის მიზეზი და მანაც საჯაროდ უპასუხა: „შიშმა გამაქცია, საოცარი რამ ჩვენება ვნახეო: დედა-ჩემს ჩემი ძმა მარჯვენა ძუძუსა სჭრიდა და მეც მიწვევდა, რომ მარცხენა მომეჭრაო". ამ სიტყვამ ისე გამოაფხიზლა იმერეთის მეფე, რომ ქართლის მეფეს მოციქულები მიუგზავნა,—გავრიგდეთო. სიბერის დროს დაქვრივდა, შეირთო მეორე ცოლი და მიეცა ვაჟი-გიორგი.

ეს გიორგი მისთანა ვაჟკაცი ვერ ყოფილა, მაგრამ ღონე კი საოცარი ჰქონია. ერთხელ თურმე მთაში მიდიოდა, დიდი თოვლი იყო და ვიწრო ნაკვალევში ჩამდგარიყო, გადახვევა არც იქით შეიძლებოდა და არც აქეთ. წინ დაჭრილი ტახი შემოეფეთა და რომ სხვა ველარა მოასწრო რა, ნაბადი ამოსდვა და თავზე გადაივლო. პირდაპირი, გაუდრეკელი კაცი ყოფილა და მიტომაც დაურქმევიათ ხარ-გიორგი. ორჯერ დაქვრივდა და უშვილოდ რომ არ გადასულიყო, იმანაც სიბერეში შეირთო ერისთვის ქალი და მიეცა ორი ვაჟი: სვიმონი და როსტომ.

ეს სვიმონი მეფის სახლთ-უხუცესი [1] იყო და სიბერის დროს მოესწრო უკანასკნელ მეფეს და დიდი სამსახურიც გაუწია: გადაჰყვა სპარსეთში [2] და სანამ არ დაასაფლავა ტრაპიზონში, ალარ დაბრუნებულა.

მისი თანამედროვე იყო მეორე სვიმონ წერეთელიც, სახუციშვილი. ერთი მათგანი საოცარი თვალადი ყოფილა და მეორე კი ტანადი და ამიტომაც დიდი მეფე სოლომონი ხშირად თურმე იტყოდა ხოლმე: „ერთის თავი რომ მეორეს ტანს დაადგა, მაშინ ჩემი სამეფო საკვირველების მხარე იქნებოდაო".

სვიმონ მეღვინეთ-ხუციშვილი უკეთეს ცხენოსნად ითვლებოდა იმ დროში და ყოველთვის, როცა ჯირითი თავდებოდა და საერთო ცხენის ჭენებაზე გადიოდენ, ეს თურმე ისეთ თხრილზე გადაახტუნებდა ხოლმე ცხენს, რომ ყველას უკვირდა. ერთხელ ალექსანდრე ბატონიშვილმა, დიდი სოლომონის შვილმა, უხუმრა: გააძრახა მხლებლები და საიდუმლოდ ცხენს თვალები გაუფუჭა. ჩვეულებრივათ რომ გააჭენა ცხენი სვიმონმა და უნდოდა თხრილზე გეეხტუნებია, ცხენი თხრილში ჩაუვარდა და თვითონ კი გალმა ნაპირზე გახტა. ალბათო, ამბობდენ ზოგიერთები, მეჯინიბემ უთხრა და ისიც მომზადებული იყო, რომ თან არ ჩაყვა ცხენსაო!.. მეფე სოლომონს ეწყინა ეს ხუმრობა, გაუჯავრდა მემკვიდრეს და სვიმონს წირქვალში დიდ ძალი ყმა და მამული აჩუქა. სვიმონმა მადლი მოახსენა, მაგრამ სიხარული კი მაინც არ დაუმჩნევია. მაგრამ ის ჩემი ბედაური კი ერთად ერთი იყოო, — იტყოდა ხოლმე ხშირად მეგობრებში.

---

[1]) აქ უბრალო ლაფსუსთან გვაქვს საქმე: უნდა იყოს მეღვინეთ-უხუცესი და არა სახლთუხუცესი. (ლ. ა.).

[2]) უნდა იყოს — „თურქეთში." (ლ. ა.)

ამ სვიმონის და როსტომის შვილიშვილები არიან დღევანდელი სხვიტორში მოსახლე წერეთლები".[1]

ასეთი არის აკაკის ნაამბობი მისი უშუალო წინაპრების შესახებ. ეს ნაამბობი აგებულია ოჯახში დაცულ ცოცხალ გადმოცემაზე და, თავისთავად ცხადია, სავსებით უნდა შეეფარდებოდეს ისტორიულ სინამდვილეს.

აკაკის გენეალოგია

ქველი წერეთელი
(მე-XVII ს.)

ქველი წერეთელი
(მე-XVII—XVIII ს.)

დავით წერეთელი
(მე-XVIII ს.)

გიორგი წერეთელი
(მე-XVIII ს.)

როსტომ წერეთელი
მელვინეთ-უხუცესი
(მე-XVIII—XIX ს.)

როსტომ წერეთელი
(1802—1876 წ.)

იმერეთის მეფე
გიორგი მეექვსე
(მეფობდა 1703—1720 წლებში)

იმერეთის მეფე
ალექსანდრე მეხუთე
(მეფობდა 1721—1751 წ.)

იმერეთის მეფე
სოლომონ I დიდი
(მეფობდა 1751—1784 წ.)

დარეჯან ბატონიშვილი
(ცოლი ქაიხოსრო აბაშიძისა,
მოკლ. 1810 წ.)

ივანე აბაშიძე
(მოკლ. მე-XIX ს. 20-იან წლებში)

ეკატერინე აბაშიძე
(1808—1885 წ.)

ა კ ა კ ი
(1840—1915 წ.)

[1]) „სოფ. სხვიტორი" — აკაკის „კრებული", 1897 წ., № I, მეორე განყოფ., გვ. 33-34.

როგორც წერეთლების ისტორიის მოკლე ნარკვევიდან ვნახეთ, ამ გვარეულობაში უძლიერესი იყო შტო—პაპუნა. წერეთლის შთამომავალნი. მათი დიდი გავლენა, მათი წარჩინებული მდგომარეობა იმერეთის სამეფო ერისა და წარმატება პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ასპარეზზე, ცხადია, დაფუძნებული იყო მათ ეკონომიურ სიმძლავრესა და მატერიალურ დოვლათზე, რომელიც დროთა განმავლობაში უგროვდებოდა ამ გვარს დიდი მამულების მფლობელობისა და მრავალ-ათასი სული ყმა-გლეხობის ექსპლოატაციის წყალობით.

სხვიტორელი წერეთლები შედარებით ნაკლებ შეძლებული ფეოდალები ყოფილან.

მათი წონა და გავლენა, როგორც იმერეთის მეფეების დროს, ისე მეფის რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სავსებით შეეფარდებოდა მათს განსაზღვრულ ეკონომიურ მდგომარეობას.

თავი III.

ბავშობის წლები

აკაკი დაიბადა 1840 წლის 9 ივნისს, განთიადისას, სოფელ სხვიტორში, მამისეულ სასახლეში. ეს ორსართულიანი ქვიტკირის სახლი ეხლაც აღმართულია მდინარე ჩიხურის პირად, მაღალი მთის ფერდობზე. თავის „თავგადასავალში“ აკაკი ირონიულად შენიშნავს თავისი მამის სახლის შესახებ: „ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკის აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე — ციხისა, მაგარმ არც ერთ მათგანს კი არ ჰგავსო“.

ეს სასახლე, როგორც მისი აივნის კედლის ქვაზე ამოჭრილ აკროსტიხიდან სჩანს, აკაკის მამას, თავად როსტომ წერეთელს აუგია 1834 წელს. მოგვყავს ქართული არქაული წყობილსიტყვაობის ეს გაუმართავი ნიმუში, — იგი არაფრით წააგავს იმ მუსიკალური ჰარმონიით აღსავსე ლექსებს, რომლებსაც ამ სასახლის წიაღში დაიწყეს ჟღერა რაღაც ორი ათეული წლის შემდეგ.

„რა პატრონმა გებად მიწყო, სხუანი დრტვინვენ: ვერ სრულყოფსა!
ოდეს სრულმყო უცოდველად მოდათ მომცა იმერლებსა,
საქმე პლანი საძნელოა, თორემ მერმეთ ვინ ვერ ქმნასა,
ტვირთად მისდა ვინ აღმიღო, აწ ილხენდეს შინა ჩემსა.
ოსტატთ ყოფილ ბერძენთაგან ხელი მყვეს აღსაგებლად თებერვალს თვეშიდ,
მომწოდებელის ხელმძღვანელობით, სრულ მყუჰეს ამავეს ჩყლდ-სა წელში,
იულისის თვეშიდ“.

ეს „პლანით“ აგებული და თავის დროზე იმერლებისათვის „მოდათ“ მიცემული სასახლე 1887 წელს ინახულა ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მოსულმა გერმანელმა მწერალმა არტურ ლეისტმა. როგორც სჩანს, უცხოელს ძალიან მოსწონებია აკაკის მიერ დაწუნებული ძველი სასახლე. მისი „სილამაზის შესახებ ბევრჯერ მილაპარაკნია ილიასთანო“, — შენიშნავს ერთ თავის ნარკვევში ლეისტი და იქვე გვიხატავს შენობის გარეგან სახესაც: „აკაკის სახლი ტყიან ხეობის შესავალთან არის. ჩრდილოვანს, თითქმის საიდუმლოებით მოცულს ბაღში და თავისი სისპეტაკით ნათლად და სასიამოვნოდ გამოიცქირება ხეების მდი-

დარ მწვანე სამოსელის შორისო".[1] აკაკი თავის თავგადასავალში რამდენიმეჯერ უბრუნდება მშობლიურ სახლის აღწერილობას. და ჩვენ წარმოგვიდგება მთელი თავისი ტიპიურობით აკაკის მამის, ფეოდალი-მემამულის, ივანე როსტომ წერეთლის სამყოფელი არე მარე. „ჩვენი სახლის ზედა სართულს, — სწერს აკაკი, — ოდა ერქვა, ქვედას — პალატი, და ორივეს საერთოდ კი — სასახლე, რომელსაც ირგვლივ სამი კუთხით სხვადასხვა შენობა ერტყა: სამოახლო, საფარეშო, სახაბაზო, სამზარეულო, ბეღლები, საბძლები, სასიმინდეები, მარანი და სხვა და სხვა ხულები. იმათზე მოშორებით საჯალაბო იყო და იმ საჯალაბოს გარს ერტყა საჯინიბო, სათხებო, საღორე, საქათმე, საბატე, საინდოურე და სხვ.

..სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარმაზარი ნიგვზები, ანუ როგორც ზოგან უწოდებენ, კაკლის ხეები, საჩრდილებლად თავმომწონედ შლიდენ შტოებს. სახლის წინ კარის ეკლესია იყო აგებული, უკან საქალებოთი"...

როსტომის სასახლეში უამრავი შინა-ყმა და მოსამსახურე იყო მოგროვილი. მათი რიცხვი, რასაკვირველია, სჭარბობდა მეურნეობის ნამდვილ მოთხოვნილებას, მაგრამ ამას კარნახობდა მამა-პაპათაგან მიღებული წესი და ჩვეულება, რომელსაც მებატონე არ გადაუხვევდა. მით უმეტეს თავადი როსტომ წერეთელი, რომელიც წმინდა დამცველი იყო ძველი, ტრადიციით განმტკიცებული ადათებისა და ყოფა-ცხოვრებისა. „სამოახლოში, — გვიამბობს აკაკი, — ქალები იდგენ და სამ ხარისხოვნად იყოფოდნენ: გამდლებად, მოახლეებად და გოგოებად. გამდელი, როგორც ოჯახის ერთგული, ნამსახური და მოჭირნახულე, დიდ პატივში იყო, ხმა ჰქონდა საოჯახო საქმეში და ბატონიშვილების გამოზრდაც მის ხელში იყო. ეს ყოველ ოჯახში, საზოგადოდ ძველთაგანვე მიღებული იყო, მაგრამ დედაჩემი კი ამ კანონს არ დასდევდა და უფრო თვითონ ზრდიდა შვილებს. მოახლე ქალბატონთან თანშეზრდილი და ნამზითვი, მისი ხელზე მოსამსახურე იყო; გოგო კი — ყველას მორჩილი და მოსამსახურე. იმათ გამდლები ადევნებდენ თვალყურს და სწვრთნიდენ; საქმე არ გაოელეოდათ ხოლმე: ჭრა, კერვა, ქსოვა, ქარგვა, რეცხვა, აბრეშუმის მოყვანა და სხვა ამგვარი რამ ხელსაქნარი — მათი პირდაპირი მოვალეობა იყო.

კაცებს უფრო ცოტა საქმე ჰქონდათ სასახლეში. სახაბაზოებში ხაბაზები იდგენ; დღეში ორჯერ გაახურებდენ თორნეს, გამოაცხობდენ საცხობს და სხვა საქმეს, რაც უნდა საჭირო ყოფილიყო, ხელს არ მოჰკიდებდენ. სამზარეულო მზარეულებს ეჭირათ და ისინიც ხაბაზების კვალობაზე მიდიოდენ. მარან-ბეღლები ხელოსნებს ებარა, სასიმინდე და ხულებიც მათი საქმე იყო; საბძლები კი მეჯინიბეებს ჰქონდათ მიჩენილი. მოჯალაბე და მწყემსები ცალკე წრეს შეადგენდენ. ყველას თავის საკუთარი, ძველთაგანვე დაწესებული და გადაჭრილი საქმე ჰქონდა: სხვა საქმეს ხელს არ ჰკიდებდა, სხვების საქმეში არ გაერეოდა; იცოდა მხოლოდ ის, რაც მისი საქმე იყო და კიდეც ასრულებდა, თქმა აღარ უნდოდა. ეს ყველა ასე იყო, მაგრამ რადგანაც ამგვარი საქმის კეთება მაინცა და მაინც ბევრ დროს არ მოითხოვს, ბატონის მხლებლებიც უმეტეს ნაწილად უსაქმურად ბრძანდებოდნენ და სიზარმაცით დათენთილი იყვნენ. მხოლოდ ფა-

[1]) არტურ ლეისტი — „საქართველოს გული" ტფილ. 1923 წ. წიგნი I. გვ. 29.

რეშებმა არ იცოდენ, რა უნდა გაეკეთებიათ; თუ ბატონები არ მიუთითებდენ, ისე, თავისთავად, ხელს არაფერსა ჰკიდებდენ“..

ასეთი იყო სასახლე და მისი ბინადარნი, სადაც დაიბადა აკაკი. ჩვენ პოეტი მესამე ვაჟი იყო მშობლების. ვაჟის შეძენა ისე გახარებია თავად-რისტომს, რომ დიდი ხნის გარისხებული და სასახლიდან გაგდებული შინაყმა შეურიგებია, ხოლო ახლადდაბადებული ბავში კი ბებიას მაშინვე გაულახავს. აკაკის გადია შემდეგ თურმე ასე მოჰყვებოდა ხოლმე ამ ამბავს: „ვენაცვალე ჩემს კაკოს... ამის დაბადებაც სულ სხვანაირი იყო: დაიბადა ერთი რაღაც დათვის ბელა, ბამბის-ქულა და ისე გაეკმიდა სული, რომ კრინტს არ სძრავდაო! ეს თურმე იმას ჰფიქრობდა: საიდან სად მოვედიო? და ბებიას კი გულშემოყრილი ეგონა და ჩქმეტა დაუწყო!.. ერთი-ორი კიდეც შემოუცაცუნა ხელი და ძლივს ხმა ამოაღებინა! ვის უნახავს ამის ტირილი? სულ იცინოდაო“. ერთ თავის დაუბეჭდავ ლექსში („ჩემ თავგადასავალი“) აკაკი გადმოგვცემს, რომ დედაჩემს ჩემზე მოლოგინების დროს ძალიან უმტკივნეულო მშობიარობა ჰქონდა და ასე უტანჯველად ნაშობი შვილი სხვა თავის ბავშვებზე ნაკლებად ვუყვარდიო:

„ჩემამდე ყოლა შვილისა
დედა ჩემს უძნელდებოდა:
თავს მკურნალები ეხვიენ,
იტანჯებოდა... კვდებოდა.
და მე კი ისე ვშობილვარ,
ფრჩხილიც არ წამოსტკენია...
გახარებია ეს ყველას,
მაგრამ თვით დედას სწყენია:
თურმე რაც მეტი ტანჯვაა,
იქ სიყვარულიც მეტია...
მე კი უწყინრად ვშობილვარ
და გული დამიკეტია.
არ ვყვარებივარ დედასა,
როგორც სხვა შვილი, ისე მე“...

ცხადია, ეს იყო უსაფუძვლო ეჭვიანობა და, როგორც სჩანს ,ეს ლექსი ამ მოსაზრებით არც გამოუქვეყნებია როდისმე აკაკის. თავის „თავგადასავალში“ პოეტს, როგორც ქვემოდ ვნახავთ, დედა-მისი დახასიათებული ჰყავს „ნამეტანი ჩვილი გულის მქონე და მოყვარულ“ ადამიანად და ამასთან ერთად საუკეთესო აღმზრდელად ყველა თავისი ბავშვებისა.

ძიძასთან

ახლად დაბადებული ბავში დიდხანს არ გაუჩერებიათ სასახლეში. ძველი ჩვეულების თანახმად იგი ძიძისათვის მიუციათ აღსაზრდელად. „ძიძაობა და ყმაწვილის სოფელში გაბარება, — სწერს აკაკი, — ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდენ და აზრდეინებდენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები — აზნაურებს და აზნაურები კი გლეხებს; უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდენ“...

პატარა აკაკი მახლობელ სოფელ სავანეში გაუგზავნიათ. მისი ძიძა, სახელად მანო, ყოფილა სადუნიშვილის ქალი და ფარსადან ყანჩაველის მეუღლე. ამათ ამ დროს ჰყოლიათ ვაჟი ამბაკო — აკაკის კბილა, და ამათზე უფროსი ქალი გაიანე, რომელსაც შესძლებია თავისი ძმისა და აკაკის აკვანის რწევა.

„საწერეთლოში, ზემო იმერეთში, — სწერს აკაკი, — ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალთვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ეს საუცხოვო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე", ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის: ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ეწა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც".

აი აქ, ამ საუცხოვო ბუნების წიაღში გაატარა აკაკიმ თავისი ბავშობის პირველი წლები. იგი იზრდებოდა ისევე, როგორც სხვა მისი ტოლი გლეხის ბავშები. ამ პირველმა წლებმა, გატარებულმა სოფელში, უაღრესად კეთილი გავლენა იქონიეს როგორც მის ფიზიკურ აგებულებაზე, ისე გონებრივ გავნითარებაზედაც. „არ შემიძლია არ გამოვტყდე, — ამბობს აკაკი თავის თავგადასავალში, — რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდიო".

ძიძასთან პატარა აკაკიმ დაჰყო ექვსი წლის ჰასაკამდე.

„თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი, — იგონებს პოეტი, — წინა და უკანა კარებით, უფანჯრო-უსარკმელო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა-კერაზე, მხართეძოზე წამოწოლილი, დევივით იდვა დიდი უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა". პატარა აკაკი მთელ თავის დროს ძიძიშვილებთან და სხვა მეზობელ გლეხის ბავშებთან ატარებდა. მას ძლიერ უყვარდა ყანებში სიარული, სადაც გლეხები მუშაობდნენ და მღეროდნენ. მაგრამ გაცილებით მეტ გასართობსა და სიამოვნებას პოულობდა იგი მინდვრად და ტყეში, სადაც მისი ტოლი გოგო-ბიჭები სამწყესურში იმყოფებოდნენ. „გათენდებოდა თუ არა, უქუდო, ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქა ვრჩებოდიო, — სწერს აკაკი თავის თავგადასავალში და დასძენს, — ყმაწვილი, რომელიც კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილია, ის არის მოკლებული უპირველეს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშს, გენიოსიც რომ იყოს, მისი მასწავლებელი სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავის საკუთარ ნახულობით. სოფლელს თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისი სხვადასხვაფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება; ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, — ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისება მათ".

პატარა აკაკის თვალწინ მიმდინარეობდა გლეხი კაცის მძიმე და გაუხარელი ცხოვრება, მისი ნიადაგი შრომა და საქმიანობა შინა და გარეთ—მინდორსა,

ყანასა და ტყეში; იგი ხედავდა, თუ როგორ მოძრაობაში იყო გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე, — როგორ მიდიოდენ დილა ადრიან გლეხები სამუშაოდ და დაღამებამდე ძვირად ბრუნდებოდენ სახლში. როგორ ტრიალებენ ქალები ოჯახში, როგორ უვლიდენ ისინი საქონელს, გვიდენ და ასუფთავებდენ სახლს, ამზადებდენ სადილ-ვახშამს, სცრიდენ, მტკიცავდენ, აცხობდენ და სხვა. პატარა ბავშისათვის სოფელი და გლეხის ოჯახი შესანიშნავი შკოლა იყო ბუნებისა და ცხოვრების ახლო გასაცნობად. აკაკი ამბობს, რომ ჯერ კიდევ ამდროს „შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდიო“. ერთგვარმა სპარტანულმა აღზრდამ, მიღებულმა ადრინდელ ბავშობაში, გლეხის ოჯახში (რაც სხვათაშორის, დედის წყალობით გრძელდებოდა მშობლების სახლშიდაც), როგორც აღვნიშნეთ, მეტად ჯანსაღი გავლენა იქონია პოეტის ფიზიკურ აგებულებაზედ. „ექვსი-შვიდი წლისა, — სწერს აკაკი, — ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი: ტანმრთელი, მალხაზი, კეთილი; ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი, როგორც სამოთხის შვილი. დიაღ, სანამდის სოფელში ვიზრდებოდი, სრულიად ბედნიერიც ვიყავიო“.

კვირაში ერთხელ თუ ორჯერ ნახულობდნენ მშობლები. თავისუფლებას და მინდორში სირბილს მიჩვეულ ბავშისათვის ეს ამბავი მაინცა და მაინც დიდი სიხარულის მომგვრელი არ იყო: „დღეს ბატონები გამობრძანდებიანო, — იტყოდა ხოლმე ჩემი ძიძა, — გამწმენდდა, გამბანდა, მომრთავდა თითქოს სადღესასწაულოდ და აღარ გამიშვებდა გარეთ: მართლაც იმ დღეს გამოვიდოდენ ჩემ სანახავად დედ-მამა დიდის ამბითა და ამალით, ისე როგორც კი შეშვენოდა ბატონ-ყმობის დროს, და მთელი სოფელი ცქერად გადაიქცეოდა ხოლმე. იმათი გამოსვლა ჩემთვის მხოლოდ სასეირო და სათამაშო იყო, ვიცოდი, რომ ისინი ბატონები იყვნენ და მე მათი შვილი ვიყავი. როგორც ისინი, ისე მათი მახლობლები მოწიწებითა და ალერსით მეპყრობოდენ: მკოცნიდენ, ხელში მანებივრებდენ, მაგრამ მაინც მე მათი მობრძანება არაფრად მეპიტნავებოდა, რადგანაც გული ტყე-მინდვრისა და სამწყესურისაკენ მქონდა. კიდევ ჩემი ბედი, რომ ისინი დიდხანს არ იცდიდენ სოფელში და მეც, გავიგულებდი ხოლმე თუ არა მათ ცოტა მოშორებით, ისევ გავრბოდი სამწყესურში. იქ სოფლის ბიჭები, ჩემი ამხანაგები, გამომკითხავდენ ხოლმე: „რა მოგიტანეს, რა გითხრეს ბატონებმა, როგორ იყვნენო?“ და სხვა. ამის გამოკითხვის შემდეგ, ჩვენც მაშინვე „ბატონობიას“ თამაშს დავიწყებდით ხოლმე: ზოგი ქალბატონს წარმოადგენდა, ზოგი ვითომ ვაჟბატონი იყო, ზოგიც მხლებლები!.. გადავჯდებოდით ჯოხის ცხენებზე და ჩვენს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა“...

ბავშებს ურიცხვი სათამაშო და გასართობი ჰქონდათ გამოგონილი. ერთი მათგანი სამუდამოდ ჩარჩენია აკაკის მეხსიერებაში. ეს თამაშობა ყოფილა „ქოროობია“. აკაკის თავის თავგადასავალში აღწერილი აქვს ამ თამაშობის შინაარსი. „ერთი უფროსთაგანი კრუხობას იკისრებდაო, — გვიამბობს პოეტი, — სხვები წიწელები ვიყავით, გავაკეთებდით წრეს, ჩავაბამდით ფერხულს და ვტრიალებდით. ქორი მოდიოდა წიწილების მოსატაცებლად, კრუხი იგერიებდა, სანამ ძალ-ღონე ჰქონდა. ბოლოს ქორი ხან ერთი კუთხიდან, ხან მეორე კუთხიდან მოვარდებოდა, გაჰგლეჯდა წრეს და გაიტაცებდა წიწილას; მაშინ წიწილე-

ბი გაიფანტებოდენ, მიიმალებოდენ აქეთ-იქით და გამწარებული კრუხი-კი, შვილებს რომ აქეთ-იქით მიმალულსა და მიხიზნულს დაინახავდა, თვითონ გამოუდგებოდა ქორს, დააგდებინებდა და დაიბრუნებდა ხოლმე მოტაცებულ წიწილას. მაშინ ხელახლად იწყებდა ქოთ-ქოთს, შეიკრებდა წიწილებს და გააბამდა წრეს. მართალია, გამარჯვებული კი ყოველთვის კრუხი რჩებოდა, მაგრამ იმ საბრალოს მოსვენება არ ჰქონდა და „იტანჯებოდა". ასეთი ხასიათის იყო ეს თამაში. ყოველდღე ბავშები სხვადასხვა თამაშს ამით ათავებდენ ხოლმე. მიუხედავად ამისა, პატარა აკაკის ეს თამაში არ უყვარდა, ეცოდებოდა კრუხი და ხშირად თურმე ეკითხებოდა ძიძას: „რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასვენებსო?" — „ჭამა უნდაო!" — უპასუხებდა ძიძა და დაიწყებდა სიცილს.

აკაკი მესამოცე წელში იყო გადამდგარი, როდესაც ამ თავის ადრინდელ ბავშობის ცხოვრებასა და თამაშობა-გართობებს იგონებდა „ქორობიას" შესახებ იგი სწერდა მაშინ: ეს თამაშობა „დღეს რომ ვაკვირდები, ძალიან მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედს. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტორია სწორედ ქორობიას წარმოადგენდა: საქართველო კრუხი იყო სიცოცხლე-გამწარებული, და სხვა მისი კუთხეები — წიწილები!.. მტრები ქორებივით ესეოდენ... იტაცებდენ ხან ერთს მხარესა და ხან მეორეს, მაგრამ საბოლოოდ კი საქართველო მაინც კიდევ იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს და გაერთებული, ფერხულჩაბმული წრე ბოლოს იქნევდა ძლიერად. მაშინ მე ეს არ მესმოდა, რასაკვირველია, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურად მკბენდა და მეჯავრებოდა „ქორობია"-ო.

ასეთი იყო აკაკის მიერ გატარებული ყმაწვილობის წლები სოფლად. ამ დროს მიღებული პირველი ცხოველი შთაბეჭდილებები, უშუალო გაცნობა ბუნების მოვლენებისა და შრომით გააზრიანებული ცხოვრებისა, როგორც ვთქვით, წარმოადგენდა იმ პირველ დიად შკოლას, რომელიც აკაკიმ გაიარა გაცილებით ადრე, ვინემ წერა-კითხვას ისწავლიდა და ნამდვილ სასწავლებელში მიებარებოდა. და ეს პირველი შკოლა, ეს პირველი „წვრთნა სულისა", როგორც ქვემოდ დავინახავთ, გაცილებით უფრო ნაყოფიერი და ცხოველმყოფელი აღმოჩნდა აკაკის შემდგომი დიდი ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის, ვიდრე ოფიციალური შკოლა და იქ გამეფებული, გონებისა და გრძნობების დამაჩლუნგებელი სქოლასტიკა.

ერთხელ, სოფელში, — იმ დროს პატარა აკაკი ექვსი წლისა იქნებოდა, — სახლში რომ დაბრუნდა, მოწყენა შენიშნა ძიძამ და ჰკითხა: რა იყო, ქორობია ხომ არ გითამაშნიათო?

— ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცაო! — უპასუხა ბავშმა სიცილით. ძიძამ გულში ჩააკრა და ტირილი დაიწყო. ძიძის საქციელი ბავშს გაჰკვირვებია: „ვკითხე: რა გატირებს-მეთქი? — ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წიწილასაც მოიტაცებენო!.. წიწილას რა უჭირს, მაგრამ როგორ აიტანოს და როგორ-ღა გასძლოს კრუხმა უიმისოთ? — ეს რომ სთქვა, გული ამოუჯდა, მოუმატა ტირილს და უფრო ძალუმად მიმიკრა გულზე. მე თუმცა არა მესმოდა-რა, მაგრამ მივხვდი, რომ აქ კარგი არა არისრა-მეთქი, და დავიწყე ტირილი... ვიტირე, ვიტირე და ჩამეძინა ძიძის კალთაში. მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე: სამუდამოდ გა-

მომათხოვეს სოფელს და გამიყვანეს სასახლეში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო"...

ასე დამთავრდა ადრინდელი ბავშობის ხანა აკაკისა. მშობლებმა ოჯახში წაყვანილს, მას მართლაც ახალი, განსხვავებული ცხოვრება დახვდა. ბაგრამ სანამ აკაკის ბიოგრაფიის ამ ახალ ხანას აღვწერდეთ, საჭიროა უფრო ახლოს გავიცნოთ სახე იმ ოჯახისა, ანუ, აკაკის სიტყვით რომ ვთქვათ, მოსახლეობისა, სადაც პოეტმა გაატარა თავისი ყრმობისა და ჭაბუკობის დაუვიწყარი წლები.

თავი IV.

ოჯახური წრე.

მ ა მ ა

აკაკის მამა, თავადი როსტომი, ერთად-ერთი შვილი იყო თავისი მშობლების: მელვინეთ-უხუცესის — როსტომ წერეთლისა და მისი მეუღლის — თავად აბაშიძის ასულის ანნასი. იგი დაიბადა 1802 წელს. მამა ადრე გარდაცვლია, — ასე რომ, რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობის ჟამს (1810 წ.), როსტომი უკვე „დედისერთა მცირეწლოვანი ობოლი ყოფილა. ბიძებიც გადავარდნილი ყოფილან, მეფე სოლომონს ჰხლებიან თან". ბავში ძალიან ნებიერად იზრდებოდა თურმე, დედის კალთას არ სცილდებოდა. ასეთი აღზრდის მიზეზად აკაკი გვიამბობს ერთ ფაქტს, მეტად დამახასიათებელს იმ გარდამავალი ხანისათვის. მეფის რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ „წერეთლები მძლავრობდნენ და სახუცის ოჯახი კი მთავრობისაგან ზურგგამაგრებული ყველაზე ბატონობდა, — ვკითხულობთ აკაკის „თავგადასავალში",—ქვრივ-ობოლს ვინ არ სჩაგრავს და, რასაკვირველია, შეძენის სურვილით გატაცებული სახუცესიც არ დააკლებდა ხელს. ერთხელ სახუცის მოურავი მისულა ბებიაჩემთან და მოუხსენებია: თქვენ რომ ეზოში ძელქვის პატარა სახლი გიდგათ, სახუცესს სურს, რომ დაუთმოთო. პატრონს, რასაკვირველია, შორს დაუჭერია ეს ამბავი, ნაგრამ მოურავს მაინც მოუყვანია მუშები, დაუნგრევია სახლი და გადაუტანია. გამწარებულ ბებიაჩემს სახუცისათვის წიგნი მიუწერია: „დიდო ზურაბ წერეთელო! გრცხვენოდეს უკადრისი საქციელისაო. დაგვიმარტოხელე ქვრივ-ობოლი და სახლს თავზე გვანგრევო. ვინ იცის, დრო რას მოიტანს, თუ ღმერთმა ინება და ჩემი მაზლი შინ მშვიდობით დაბრუნდა, მაშინ დრო გადაბრუნდება და შენც ესევე საქმე მოგივაო". პასუხად ზურაბ წერეთელს აი, რა მოუწერია: „აბაშიძის ქალო, ენა დაიმოკლე, თორემ ხომ იცი, დროც ჩემ ხელთ არის და გასავალიცო. ჩაგწერ სიაში და შენი ობლიანა მოზდოკში ამოგაყოფინებ თავსო." ამ მუქარით შეშინებული ქვრივი გაჩუმებულიყო, მეტი რა გზა ჰქონდა, და შვილსაც ისე უფრთხილდებოდა, რომ მუდამ გვერდში უჯდა და აღარსად უშვებდა. ამის ბრალი იყოო, — დასძენს აკაკი, — რომ მამაჩემი შინაკაცად იყო გაზრდილი და მხოლოდ ის იცოდა, რაც დედაჩემს ესწავლებია."

ერთ ხანს, თავად როსტომს მონასტერშიდაც კი უსწავლია. ძალიან უყვარდა თურმე ამ ამბის გახსენება. „პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბავშობისასო, — იკვეხოდა თავმომწონედ როსტომი, — ყველას ვჯობდიო, — რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდენ, მე ორ-სამ წელიწადს გავიარე,

გავათავე ლრამატიკა, ანგარიში, ისტორია, ლეოლრაფია და სხვანი. ბატებმა არ დამაცალეს, ყიყინით მაწუხებდენ, თვარა, რომ მომეცადა, არისტოტელის კათეღორიასა და ლოღიკას სულ ბდღვირს გავადენდიო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ დედის კალთაში თავის დებას ისეთი ზეგავლენა მოუხდენია როსტომზე, რომ მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ზნეთ გამოჰყოლია თვითნებობა და ახირებულობა. როსტომს არ ჰყვარებია ნადირობა, რაც იმ დროში მებატონეების ჩვეულება იყო. კარში გამოსვლა ეზარებოდა და სულ სახლში იჯდა. შინაც არაფერს აკეთებდა. მისი საყვარელი გამოთქმა იყო თურმე: კაცი სიმშვიდისა და მოსვენებისთვის არის გაჩენილიო. „არც თითონ შრომობდა, არც სხვას აწუხებდაო,—სწერს აკაკი,—უყვარდა ძილი, აგრეთვე ჯრ სწყინდა, როცა ხედავდა, რომ უსაქმური მოსამსახურეები მთელი დღე მხართეძოზე წამოწოლილი კოტრიალობდენ სახლში. პირის გემო იცოდა. უყვარდა კარგად ჭამა და სულ იმას იძახოდა: არიქა მშიერი არავინ დარჩეს სახლში, დიდსა და პატარას, ყველას სამყოფად აჭამეთო! ბუნებითად ნამეტანი გულკეთილი იყო, შური და ბოროტება არ ესმოდა რა იყო. მაგრამ უბრალო რამეზე უცბად იცოდა გულის მოსვლა, და მაშინ აღარ დაზოგავდა გინდ შორეული ყოფილიყო, გინდ ახლობელი. ეს ზნე მოუვლიდა ხოლმე უფრო ხშირად მაშინ, როდესაც უნებურად გამოაღვიძებდა ვინმე, მაგრამ სიფიცხე დიდხანს არ გასტანდა. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ჩვენში როგორც შობის წინ ალილოზე, ისე სააღდგომოდ ჭონაზე დადიოდნენ ხოლმე მომღერლები, ერთხელ იმ დროს მოვიდენ ჩვენსა მეჭონეები და დაიწყეს „ჭონა", როცა მამაჩემს ეძინა. „ალათასა, ბალათასა, ხელი ჩაჰკარ კალათასაო" რომ შემოსძახეს, მაშინ გამოელვიძა მამაჩემს და მიაშურა. მომღერლებმაც რომ დაინახეს ლომივით კაცი, პერანგისამარა, თავშიშველა მათკენ ბუჭარით მიმართული, დაფრთხენ; გადაცვივდნენ ზოგი აქეთ, ზოგი იქით ყორეზე, თავს უშველეს, მაგრამ თითო ოროლა აქა-იქ მოგროვებული კვერცხები კი სულ დაემტვრათ. მამაჩემი გამობრუნდა და უბრძანა მოურავს: „შემიტყვე, ვინ იყვნენ ეგ მეჭონეები, რომ ცოცხალი არ გადავარჩინოო. ამაზე დიდი ფიციც დასდვა. მაგრამ, რომ გამოიძინა და კაი გუნებაზე დადგა, ბევრი იცინა და თავის ბრძანებაც გამოსცვალა: „შემიტყვეთ, ვინ იყვნენ ის საცოდავები, რაც დამტვრევიათ კვერცხები სასახლიდან უზღვევით და, ამას გარდა, კარგადაც დაასაჩუქრეთო". ეს ხასიათი რომ იცოდენ მისი, მძინარის ყველას ეშინოდა და ფხიზელს კი არავინ ერიდებოდა. დედაჩემს არ მოსწონდა მამაჩემის ყოფაქცევა. მაგრამ ბევრს უთმობდა. როგორც კი შეიქნებოდა შუადღე და გუგული თორმეტჯერ დაიძახებდა „გუგუს", მამაჩემი მაშინვე სადილად დაჯდებოდა. ადრე რომ შინდომებოდა სადილი, მაინც არ სჭამდა, უცდიდა გუგულს და მოთმინებიდან გამოსული ყვიროდა: „რა არის, ეს რჯულძაღლი, რო ასე აგვიანებს და სასადილოს არ დაუკრავსო?" ესეები ყველა დედას არ მოსწონდა და ხშირად ეტყოდა ხოლმე: „შენი ცოდვა მიეცეს, ვინც შენ აგრე გამოგზარდაო". ამგვარი ახირებული ხასიათი ოჯახში მოსაწონი არ არის, როგორც წესისა და რიგის ამრევი, მაგრამ სასახლეში კი ყველას ვაჟბატონი უფრო უყვარდათ, ვიდრე ქალბატონი. რასაკვირველია, მრისხანე დედაჩემს არ უყვარდა არავის დასჯა, მხოლოდ სიტყვითა და შეხედულებით იყო საშიში. ხშირად იპატივებდა ხოლმე მამაჩემისაგან გულმოსულობით განწირულს, მაგრამ მაინც ყველა მრისხანედ თვლიდა".

„ერთხელო, — განაგრძობს აკაკი მამამისის ამბავს, — მოცლილი ფარეშები წასულიყვენ შეშის მოსატანად. ტყე იქვე ახლოს იყო; თითო კონის შეკვრას, რასაკვირველია, დიდხან არ მოუნდებოდენ, მაგრამ დაღამებამდე მანც-რად დაბრუნდებოდენ სასახლეში? დარჩენილიყვნენ სათამაშოდ და, ხვათაშორის, „ტირილობია“ ეთამაშნათ: გადააფარებდნენ თურმე ჩოხას შეშის კონას, დაახურავდენ ქუდს, ერთი მიუჩოქდებოდა, ორი იქით-აქეთ ხელს მოჰკიდებდა და სხვები ზარს ააყოლებდენ მოთქმით ტირილს, ვითომდა მკვდარიაო; ხან ერთმანეთს ტიროდენ, ხან თურმე მოურავს, ხან ხელოსნებს, მზარეულებს, ხან ვის და ხან ვის. ამ ხანად თურმე რიგი მოურავზე მიმდგარიყო. იმასაც გაეგო, გული მოსვლოდა და ბატონს დააბეზღა: „თქვენ გტიროდენო“. მამაჩემს გული მოუვიდა; მიაყვანაა მომტირლები და მათი საქმე ცუდად იყო, რომ დედაჩემი არ გამოსარჩლებოდა: „როგორ გეკადრება აგრე გამოურკვევლად გარისხებაო? ტირილიც არის და ტირილიც არისო. ვინ იცის, რა სიტყვებს ამბობდენო? ეგებ მართლა წარმოიდგინეს, რომ ბატონი აღარა გვყავდეს, რა დღეში ჩავცვივდებოდითო და იმას მოსთქვამდენო!“ ამის გამგონე ბიჭებმა გული მოიცეს და შეჰფიცეს: „შენი ხატი ნუ გაგვიწყრება, ჩვენ თქვენი ხსენება არ გაგვებედოს, და ღმერთმა ნუ მოგვასწროს მაგ დღესო. ჩვენ მხოლოდ მოურავი ვიტირეთო“. მამაჩემს გაეცინა და ბრძანა: „კარგი, აღარ დაგსჯით, მაგრამ გაიმეორეთ კი ახლავე, როგორ იტირეთ მოურავიო“. იმათაც, რასაკვირველია, შემოიტანეს შეშის კონა, გადააფარეს ჩოხა და შეჰქნეს ღრიალი: „ვაიმე მოურავო!“ და შეიქნა კომედია. სათითაოდ იტირეს სუყველამ. დიდმა, პატარამ, ვინც-კი ოჯახში იყო, თავი მოიყარა, შეიქნა ერთი საზოგადო მხიარულება, ასე გასინჯეთ დედაჩემიც კი მეორე ოთახში იჯდა და ცდილობდა სიცილი შეეკავებია. ცუდ გუნებაზე იყო მხოლოდ მოურავი, და მეორე დღეს მოციქულიც მოუგზავნა მამაჩემს: „თუ შეიძლებოდეს რამდენიმე ხნით დამითხოვეთ, რომ სახლში წავიდეო“.

როსტომი ოჯახის საქმეებში არ ერეოდა. მთელი სიმძიმე ოჯახის მართვა-გამგეობაში აკაკის დედას ეკატერინეს აწვა მხრებზე. მაგრამ „ქმრის ახირებულობა ბევრჯერ ხელს უშლიდა და ამ ნიადაგზე ამ ორს, სრულიად-ერთმანეთის წინააღმდეგ ბუნების მექონ ადამიანთ ხშირად ჰქონდათ ერთმანეთში საყვედური“. მიუხედავად თავისი ახირებულობისა და საქმეში აჩქარებული ხასიათისა, როსტომი ძლიერი გონების კაცი ყოფილა, მოსწრებული და ენამჭევრი, თუმცა კი ხშირად ენამწარეც. აკაკის დედა ეკატერინე ხშირად იტყოდა თურმე: „ამ ჩემს შვილებს მამამისის ენა გამოჰყვათ, დაუხურდავებელიო“. აკაკი შენიშნავს ამაზე: „ჩვენ ხუთნი და-ძმანი ვიყავით, ღვთის მადლით, არც ერთს არ გვქონდა სუსტი ენა და აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მამაჩემის დაუხურდავებელი ენა. სწორედ სასიამოვნო და საყვარელი სანახავი იყო მამაჩემი, როდესაც გუნებაზე იყოო, — დასძენს აკაკი, — იმას რომ სწავლა მიეღო და ცხოვრებაში განვითარება ჰქონოდა, შესანიშნავი რამე იქნებოდა. მაგრამ ნამეტან გულკეთილობასთან შეერთებულ გულფიცხობას სულ სხვა ბეჭედი დაესვა, და თუ დედაჩემი არ ყოფილიყო, ოჯახში ყოველიფერი არეულ-დარეული იქნებოდა — ამას თვითონ მამაჩემიც გრძნობდა და დამშვიდების დროს, დიდი პატივისმცემელიც იყო ცოლის ნებასურვილისა. მიუხედავად მისი ახირებუ-

ლობისა, გარეშეებსაც ძალიან უყვარდათ მამაჩემი და მთავრობაც დიდ პატივსა სცემდა სიმართლისა და პირდაპირობისათვის და ბევრ რამესაც უთმობდაო".

თავადი როსტომის ახირებულობის საილუსტრაციოდ ბევრ მრავალ ანეკდოტურ ეპიზოდს გვიამბობს მისი ცხოვრებიდან. მათ შორის მოვიყვანთ-ორ შემთხვევას, ყველაზე უფრო დამახასიათებელს ამ თვითნება ფეოდალისათვის.

„ერთხელ გენერალ-გუბერნატორმა ბაგრინმა დაიბარა, — სწერს აკაკი მამის შესახებ, — მოდი ახლავე ჩემთან, უნდა მოგილოცო ხელმწიფის წყალობაო". ბზობა დღე იყო. მივიდა მამაჩემი. გაგარინმა მიულოცა და უთხრა, რომ ხელმწიფის „ბლაღოვოლენიე" მოგვიდაო. მამაჩემს იამა და დაჯდა, დაუწყო ცდა, როდის ჩამაბარებენ „ბლაღოვოლენიესო": იცადა, სადილობა გადავიდა, მამაჩემმაც მოთმინება დაჰკარგა და მიაძახა: „თუ მიბოძებთ, მიბოძეთ ეგ რაღაც „ბლაღოვოლენიე" არისო. გუბერნიის მმართველს გაეცინა და უთხრა თარჯიმანის პირით: „ბლაღოვოლენიე უმაღლესი მადლობა არისო". მოთმინებიდან გამოსული მამაჩემი წამოვარდა ზეზე და მიაყვირა: „ღმერთმა უმადური გამყოფოს, უსადილოდ დამტოვეთ. დღეს ბზობაა, მაგას ერთი კაი ზურგიელი მერჩიაო", — სთქვა და გამოვარდა გარეთ. არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ჩვენსა თარჯიმანი მოვიდა, გაგარინის გამოგზავნილი, თანაც ერთი წყვილი დიდრონი ზურგიელი მოიტანა: „ეს მიახლებია შენთვისო — შემოეთვალა გუბერნატორს, და „ბლაღოვოლენიეც" კიდევ სხვა იყოს ზედმეტიო". რასაკვირველია, სრულიად დაკმაყოფილებულმა მამაჩემმაც დიდი მადლობა შესწირა".

მეორე შემთხვევას როსტომის ცხოვრებიდან უფრო მეტის იუმორით გვიამბობს აკაკი.

„ხშირად მამაჩემს სახარების კითხვა უყვარდა, მაგრამ იმ კილოთი, რა კილოთიც წირვაზე კითხულობენ ხოლმე, და ისე გაიტაცებდა ხოლმე კითხვა, რომ სახარებაში გამოხატულ პირებს ემუსაიფებოდა. მაგალითად: „ჰი, შენს მადლს", „ვენაცვალე შენს სახელს", „იცის ბიჭმა" და სხვანი და სხვანი; ამგვარ სიტყვებს ჩაურთავდა ხოლმე, მოსაწონ აზრს მოიწონებდა და საგმობელს ჰგმობდა. ერთხელ, სახარების კითხვის დროს, როდესაც მივიდა იმ ადგილამდი, სადაც ფარისევლები შეცდენას უპირებდენ ქრისტეს და ქრისტე უბრძანებდა მათ: „მიეცით კეისარსა კეისრისა და ღვთისა ღმერთსაო", მამაჩემმა ჩვეულებრივად წამოიძახა: „დაგესხათ თავს ლაფი, გინდოდათ რომ მოგეტყუებიათ? ჰოი, ახლა ნეტავი თქვენი თავი მომცა ხელში, რომ ეგ წვერები სულ ღერა-ღერად დაგაგლიჯოთო". ამ სიტყვებს დედაჩემმა მოჰკრა ყური, გამოვიდა მეორე ოთახიდან და ჰკითხა: „ბატონო, ვის უჯავრდები მაგრე გულითო?" — „ვისა და შეჩვენებულ ფარისევლებსო" — გულმოსულად უპასუხა მამაჩემა.

— შე დალოცვილო, მაგ სიშორეს რომ არ წაეპოტინო, — მიუგო დედაჩემმა, — შინ რომ საკუთარი ფარისეველი გყავს, რატომ იმას კი არაფერს ეუბნებით? შენმა მოურავმა მთელი ოჯახი აურ-დაურია, მაგის თავგასულობას საზღვარი აღარა აქვს. რამდენი ხანია გეხვეწები, რომ ამ ოჯახს ეგ როგორმე მოაშორო, მაგრამ ის ფარისევლობით თვალებს გიხვევს და ჩემი აღარა გჯერაო! ამის თქმა და მამაჩემის ზეზე წამოვარდნა ერთი იყო: მომგვარეთ მოურავიო — დაიყვირა. მოიყვანეს ნამძინარევი მოურავი, მაგრამ სანამდის ის რას-

მე იტყოდა, მიაძახა ბატონმა ბიჭებს: „მე ფარისეველი სახლში აღარ მინდა, დააყოლეთ ეგ შეჩვენებული თავდალმართზე და მიაყოლეთ პანღური, რომ სასახლისკენ პირი აღარა ჰქნასო“.

ეს მოურავი მრათლა საძაგელი რამ იყო, — ამთავრებს თავის ნაამბობს აკაკი, — მაგრამ მამაჩემი მაინც არ ელეოდა და დედაჩემმა, რომ იცოდა მამაჩემის ხასიათი, სახარების კითხვაში შეურჩია დრო და ძლივს გადაარჩინა ოჯახი იმ ცუდი მოურავისაგან“.

მაგრამ როსტომის ფიცხი ხასიათის სიმწვავეს მარტო მოურავები და შინაყმები როდი განიცდიდნენ — იგი არა ნაკლებ სასტიკი იყო საერთოდ თავისი ყმა გლეხებისადმი. როსტომი მტკიცედ იცავდა ბატონყმური ინსტიტუტის მიერ გამომუშავებულ წესებს გლეხებთან ურთიერთობაში და არავის აძლევდა ნებას შეეცვალათ ან დაერღვიათ იგი. სხვიტორელმა გლეხმა, ღრმად მოხუცებულმა ხოჯანა სარალიძემ (გარდაიცვ. 1939 წელს), რომელიც პატარობიდანვე ფარეშად იყო ნამსახური აკაკის მამის სასახლეში, — გვიამბო ერთხელ საუბრის დროს, რომ „როსტომი გულფიცხი და გაუმაძღარი კაცი იყო. გლეხები რომ მოუტანდნენ ხოლმე დაწესებულ ღალას, ზოგიერთები ეტყოდნენ ხოლმე როსტომს, რათ გინდა ამდენი სიმინდი, ბეღლები გისკდებაო, მაგრამ როსტომის გული არ ძღებოდაო![1]) მაგალითებს როსტომის სასტიკი დამოკიდებულებისა თავისი ყმა-გლეხებისადმი ქვემოდ კიდევ მოვიყვანთ, ეხლა კი გვინდა უკანასკნელად შევეხოთ ერთ ამბავს, ძალიან სახასიათოს მისი პიროვნებისათვის. საქმე შეეხება ახალგაზრდა გლეხის „გასამართლებას“ და დასჯას როსტომის მიერ.

„ჩვენ ოჯახშიო, — სწერს აკაკი, — მახსოვს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, რომ კაცი დაესაჯათ. და აი ერთი იმათგანი. ერთხელ სოფლიდან გამოვიდა მოხუცებული გლეხი და შეეევედრა მამაჩემს: „შენი ჭირიმე, ეგებ მიშველოთ რამე, შვილი გამიმუტრუკდაო, ნაქართლი გახლავსო. როცა იქ მიდიოდა, გვარიანი ჭკუიანი ბავშვი გახლდათ, ახლა იქიდან რომ დაბრუნდა, ჭკუის ნიშანწყალიც აღარ ეტყობაო. ჩაუცვამს რაღაც ქაჯურად, იპრანჭება და სამუშაოდ ხელს აღარ ანძრევსო. ამან ყოველიფერმა კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ ერთი მისთანა საქმე ჩაიდინა, რომ ოჯახსაც თავი მოსჭრა და ჩვენ სოფელსაც: საჯაროდ ყბაში სილა გაარტყა დედაკაცსაო... საბრალო ჩემი რძალი წყალში გადავარდნას აპირებდა, რომ ჩვენ არ დაგვეჭირაო“.

მამაჩემმა გამოაყვანინა ნაქართლი ბიჭი, რომელმაც რაღაც ახირებულად დაუწყო მუსაიფი ბატონს: „კნიაზს გაუმარჯოს“ — უთხრა ბატონს. ბატონს გაუკვირდა და ცივად უპასუხა: „შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი კნიაზიცა! ე, რას დამგვანებიხარ, რანაირად ჩაგიცვამს?“

— როგორ თუ რანაირად, კნიაზ? ჩვენი ადათი ეს გახლავს.

— როგორ თუ თქვენი? სადაური?

— ქალაქური, მე გეურქ-აღასთან ვიყავ ქარვასლაში, იქ ყველანი ასე იცმენ...

— კი, მაგრამ ეგ ქუდი რომ განზე მოგიქცევია და მარტო ნახევარზე გახურავს, ნახევარმა თავმა რაღა დააშავა?

---

[1]) იხ. ლევ. ასათიანი — „განახლებული სოფელი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., № 15.

— ეს ანჩხისხატური გახლავს.

— ეგ კოპლებიანი ქამარიც ანჩისხატურია? წვეტიან ჩექმებზე, რომ შემდგარხარ, თითო ტკაველა რიკი მიგიცია ქუსლებისათვის ... სიმაღლეს რო აღარ სჯერდები, გინდა ცაც მოატყუო და დედამიწაც?

— ესეც ადათი გახლავს, კნიაზჯან.

— ადათი! ჰმ! მაშ ისიც ადათი ყოფილა, რომ შენ დედაკაცი გაგილახავს?

— ვისი დედაკაცი? მე ჩემს ცოლს ვცემე.

ამ მუსაიფს მოსამსახურეები ყურს უგდებდენ. უკვირდათ და თავის ქნევით ილიმებოდენ. ერთხანს ბატონსაც ეცინებოდა, მაგრამ ბოლოს ველარ აიტანა მისი უზრდელი სიტყვა-პასუხი და დაიღრიალა: „სტაცეთ ამ წუწკს ხელი, ბიჭებო! მოხადეთ ქუდი, გააძვრეთ ჩოხა, შემოხსენით ეშმაკის კოთხოებიანი ქამარი, გახადეთ ფეხს და მიაკარით ხეზეო!“. მოსამსახურეები მიცვივდნენ და სიამოვნებით აასრულეს ბატონის ბრძანება. ბოლოს ბრძანა ბატონმა, რომ სამოახლოდან გამოსულიყვენ გოგოები, სათითაოდ მისულიყვნენ მასთან და ეთქვათ: „ფუი, შეგირცხვა წვერ-ულვაში, რომ დედაკაცსა სცემეო“. ეს რომ გაათავეს, ბრძანა, რომ ხელშეკრული გაეყვანათ წყალ-გალმა, იქ გაეხსნათ მისთვის ხელები, პანღური ეკრათ და გაეგდოთ. ეს ამბავი ძალიან ეწყინა დედაჩემს, რომ გაიგო და უსაყვედურა ქმარს: „როგორ იქნება მაგრე გაკიცხვა კაცისა და შერცხვენაო! ცხადია, რომ სულელია და მაგითი ეგ ჭკუას ვერ ისწავლისო“. ამაზე მამაჩემმა ასე სთქვა: „მაგის ჭკუას მე რას დავეძებ, მაგრამ სამაგალითოდ დავსაჯე, რომ სხვებიც არ გაბრიყვდენ სოფელში და პრანჭიობა არ დაიწყონო“.

ასეთი იყო აკაკის მამა თავადი როსტომი. ასეთი იყო იგი შინაურობაში და აგრეთვე გარეშეებთან დამოკიდებულებაში.

საინტერესო არის ვიკითხოთ, თუ რა გადასცა თავისი ხასიათიდან როსტომმა თავის სახელოვანსა და დიდბუნებოვან შვილს? შეიძლება ითქვას, რომ მამის ბუნებრივ ნიჭთაგან აკაკიმ მემკვიდრეობად მიიღო ძლიერი გონება, მახვილი ენამჭევრობა და მასთან ერთად ენამწარეობაც, რომლის სუსხი ბევრს განუცდია აკაკის ხანგრძლივი პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანძილზე.

მამისაგან მოსდგამდა აკაკის აგრეთვე ზოგიერთი ახირებულობა ხასიათისა, — რომლის მაგალითებს მკითხველი ნახავს ქვემოდ, პოეტის ცხოვრების შემდგომი ეტაპების გაცნობის დროს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ როსტომს.

1847 წელს ქუთაისში მთავრობის მიერ დაარსდა ეგრეთწოდებული „იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობის უფლებათა გამრჩევი კომისია“. ამ კომისიაში დეპუტატად დანიშნული იქნა თავადი როსტომ წერეთელიც, რომელსაც, აკაკის სიტყვის თანახმად, „მთავრობა დიდ პატივსა სცემდა სიმართლისა და პირდაპირობისათვის“. ამ ხანებში მას ქუთაისში დასჭირვებია ცხოვრება და თითქმის ყოველდღე სამსახურში სიარული. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, თუ რა შეწუხებული იქნებოდა ამ გარემოებით „სიმშვიდისა და მოსვენების“ თაყვანისმცემელი როსტომი! მაგრამ თავის საპატიო მოვალეობაზე მას უარის თქმა არ შეეძლო და ისიც იძულებული იყო შერიგებოდა ბედს.

თავადი როსტომ წერეთლის სახელი გვხვდება 1853 წლის 17 აგვისტის ერთ დოკუმენტზე, სახელდობრ იმ „უქვეშევრდომილეს“ თხოვნაზე, რომელიც ქუთაისის გუბერნიის თავადებს იმპერატორისათვის მიურთმევიათ. [illegible] სახელსა და გვარს წინ უძღვის კოლეგიის რეგისტრატორის ტიტული — ეს იყო პირველი საფეხური რუსეთის იმპერიის სამოქალაქო მოხელეთა მრავალსაფეხურიან იერარქიაში. სჩანს, თავად როსტომის ღვაწლს სათავად-აზნაურო საქმეთა გამოჩევ კომისიაში უშედეგოდ არ ჩაუვლია და მეფის მთავრობისაგან მას ამ ჯერად მართლაც მიუღია „ბლაღოვოლენიე“.

როსტომი გარდაიცვალა 1876 წელს. იგი დასაფლავებულია საგვარეულო სასაფლაოზე, სოფელ სხვიტორში, იქ, სადაც დაიბადა და გაატარა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი.

ᲓᲘᲓᲐ

აკაკის დედა ეკატერინე, დიდი სოლომონ მეფის ასულის, ბატონიშვილ დარეჯანის შვილიშვილი იყო. დაიბადა 1808 წელს. მამა ეკატერინესი, ივანე აბაშიძე, ცნობილია, როგორც ერთი მეთაურთაგანი 1819 წელს იმერეთში საეკლესიო რეფორმების ნიადაგზე აღმოცენებული აჯანყებისა[1]). ეს აჯანყება მეფის რუსეთის მოხელეებისა და ადმინისტრატორების მიერ შეგნებულად იქნა პროვოცირებული, რათა თავიდან მოეშორებინათ პოლიტიკურად არა სასურველი პირები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მათი დაპყრობითი ლონისძიებების გატარებას ჩვენს ქვეყანაში. საქმე შემდეგში იყო. იმერეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ რუსეთის მეფის ხელისუფლებამ გადასწყვიტა ბოლო მოელო აგრეთვე ქართული ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობისათვისაც.

1819 წელს ეგზარხოსი თეოფილაქტე რუსანოვი, რომელიც, სხვათაშორის უნდა ითქვას აქვე, მოსისხლე მტერი იყო ქართველი ხალხისა, — შეუდგა იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საეკლესიო-სამონასტრო ქონების აღწერასა და ცნობაში მოყვანას. მიზანი ამ ლონისძიებისა იყო, ცხადია, ჩამორთმევა მთელი ამ ქონების და ადგილმამულისა და გადაცემა სინოდის განკარგულებაში. ამ ფაქტმა, როგორც ეს აღნიშნულია ოფიციალურ გამოცემაში — კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის აქტებში (ტ. 4, ნაწ. 1 გვ. 3), — „გამოიწვია ამ კუთხეებში სახალხო მღელვარება, რომლის ჩასახშობად ცოტა გაკლდა საჭირო არ შეიქნა იარაღის ხმარება“.

როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, მეფის მოხელეები იძულებულნი გამხდარან ამ სახალხო მღელვარების დასაწყნარებლად სწორედ რომ იარაღის ძალისათვის მიემართნათ. უპირველეს ყოვლისა მათ შეიპყრეს ხალხის აღელვებაში დამნაშავედ მიჩნეული პირები. ერთსა და იმავე დროს დაპატიმრებულნი იქნენ ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გენათელი ეფთვიმე, დარეჯან ბატონიშვილი, მდივანბეგი სეხნია წულუკიძე და მიქე-

[1]) ივანეს მამა, ქაიხოსრო აბაშიძე მეთაურობდა იმერთა ლაშქრის ერთ ნაწილს 1810 წელს, როდესაც თურქეთს გაქცეული სოლომონ მეორე ისევ დაბრუნდა იმერეთში და შეეტაკა გენერალ სვიმონოვიჩის წინამძღოლობით მომქმედ რუსის ჯარს. ერთ-ერთ ბრძოლაში ამ დროს გმირულად დაიღუპენ ქაიხოსრო და მისი სამი ვაჟიშვილი, ივანეს უფროსი ძმები: როსტომ, გიორგი და სვიმონი.

ლაძე. ამასთან ერთად უხეშ ძალმომრეობასაც ჰქონია ადგილი. კაპიტანი დუბეცკის სიტყვით, რომელიც თვითმხილველი ყოფილა ამ ამბისა, — ერთ-ერთი მიტროპოლიტი, წინააღმდეგობის გაწევისათვის ჯერ თოფის კოდალებით და ხიშტებით გაულახავთ, შემდეგ ნაცემი და დასისხლიანებული მოხუცი შეუკოჭავთ და ძალათი შეუსვამთ ცხენზე. [1].

მიუხედავათ დიდი წვიმისა, პატიმრები იმავე ღამეს წაიყვანეს ქუთაისიდან. ღრმად მოხუცებული მიტროპოლიტი დოსითეოს სასტიკად გაცივდა და გზაშივე, სურამ-გორის გზაზე გარდაიცვალა. ამბოხების გამოწვევის შიშით მიცვალებული მიტროპოლიტი მაინც შეუჩერებლივ მიჰყავდათ მისი სიკვდილის გაუცხადებლად ანანურამდის, სადაც ის დაასაფლავეს კიდეც. დარეჯანი მოათავსეს ვორონეჟში, წულუკიძე და მიქელაძე — სიმბირსკში და გენათელი — სვირის მონასტერში, ნოვგოროდის გუბერნიაში, სადაც ის მალე (1822 წ.) გარდაიცვალა. [2])

მეფის ადმინისტრატორების უხამსობამ და ძალმომრეობამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია იმერეთში. ზემოხსენებული კაპიტანი დუბეცკი სწერს: 1819 წელს რიონის პირას მოხდა „თავად-აზნაურობის, სამღვდელოებისა და მრავალი ათასი კაცისაგან შემდგარი ხალხის საგანგებო ყრილობაო. ამ ყრილობაზე დადგენილ იქნა ყველა რუსების ამოჟლეტა და საკუთარი მეფის არჩევა. ეს დადგენილება დაიწერა ქაღალდზე და დადასტურდა მეთაურთა ხელისმოწერითა და ბეჭედით, ხოლო ფიცი განმტკიცებული იქმნა ჯვარსა და სახარებაზე საზეიმო დაფიცებით. ამის შემდეგ არჩეული იქნენ ჯარის უფროსებიო“. ასე დაიწყო აჯანყება. თეოფილაქტე ეგზარხოსი შიშით იძულებული გამხდარა უკანვე დაებრუნებია საეკლესიო მამულების სააღწერო სიები და თითონ კი, ხალხის მოთხოვნით, საჩქაროდ გაპარულიყო აღმოსავლეთ საქართველოში. „აჯანყებულებიო, — სწერს აკადემ. ივანე ჯავახიშვილი, — ძალიან მოხერხებულად მოქმედებდნენო, — თავდაპირველად მთავრობის მოხელეებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს გაეგოთ, თუ სად იმყოფებოდა აჯანყებულთა შტაბი, სანამ ერთმა აჯანყებულთაგანმა, სიკვდილის წინ, არ გაამჟღავნა ეს საიდუმლო. ამის შემდეგ რუსების რაზმი მოულოდნელად დაესხა თავს საორგანიზაციო კომიტეტსა და აჯანყების მოთავეებს და ტყვედ წაიყვანა მთელი მათი შემადგენლობაო“.

აჯანყება იარაღით იქნა ჩახშობილი. კაპიტან დუბეცკის სიტყვით, იმერეთში „ექვსი თუ შვიდი თვის შემდეგ იქნა სიმშვიდე დამყარებული. ათი კაცი ჩამოალრჩვეს, ბევრი ხიშტებზე იქნა აგებული და ბევრიც გაგზავნილი რუსეთში“. [3])

---

[1]) „Русская Старина“, 1895 წ., აპრ. გვ. 121, „Записки“ И. Дубецкого.

[2]) ი. ჭეიშვილი — „დარეჯან ბატონიშვილის სახლი ქუთაისში“ — იხ. „საისტორიო მოამბე“ № I — 1924 წ. გვ. 227.

„აქტებში“ მოყვანილი ცნობის თანახმად დარეჯან ბატონიშვილი ერთხანს პენზაშიც ყოფილა გადასახლებული. შემდეგში მისთვის ნება დაურთავთ მოსკოვში ცხოვრებისა (აქტები, ტ. 7, გვ. 387).

[3]) იხ. ივ. ჯავახიშვილი — „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკ.“ (რუსულ ენაზე), ს. პეტერბურგი, 1906 წ., გვ. 23. კაპ. დუბეცკის ცნობები მოტანილია ამ წიგნიდან.

დარეჯან ბატონიშვილის ვაჟი ივანე აბაშიძე, რომელსაც, როგორც სჩანს, ამგვარივე სასტიკი სასჯელი მოელოდა, ხელში არ ჩავარდნია მოძალადეებს, მიუტოვებია თავისი სახლკარი, სამშობლო ქვეყანა და გადახვეწილა ფურქეთში. აჯანყების ამ ერთი ორგანიზატორის გაქცევა მოსვენებას [illegible] შეფის ადმინისტრატორებს, განსაკუთრებით გენერალ ერმოლოვს. ეს სისხლის მსმელი სატრაპი და კავკასიის ხალხების მრისხანე ჯალათი ივანე აბაშიძეს უწოდებდა „უბოროტეს მოღალატეს და აჯანყების მომწყობს გურიასა და იმერეთში“.[1]) ერთი წლის შემდეგ გენერალი ერმოლოვი სწერდა გრაფ ნესელროდეს: „ახალციხის საფაშოში მთავრობის მფარველობის ქვეშ ცხოვრობენ გურიასა და სამეგრელოში შარშან მომხდარი ბუნტის ყველა დამნაშავენი და მათ შორის მთავარნი: უკანონო შვილი, რომელიც თავისთავს ვახტანგ ბატონიშვილს უწოდებს; პოლკოვნიკ პუზირევსკის მკვლელი თავადი ქაიხოსრო გურიელი და ერთი უდიდეს გაიძვერათაგანი («один из величайших мошенников») თავადი ივანე აბაშიძე, რომელიც ამჟამად კონსტანტინეპოლში იმყოფება, ხოლო იმერეთის ბუნტის დროს ჯარით დახმარებას იღებდა ახალციხის საფაშოდან“-ო.[2])

ივანე აბაშიძე რამდენიმე ხნის შემდეგ ღალატით იქნა მოკლული ახალციხეში. ცხადია, ამ საქმეში რუსეთის მმართველობის ხელი ერია. მაგრამ სიკვდილი არ აკმარეს ივანე აბაშიძეს. აკაკი სწერს: „აჯანყებულები რომ დაიმორჩილეს და დაამშვიდეს, აბაშიძის ოჯახი აიკლეს და იმის ცოლშვილიც სხვებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გურიელი, ღვიძლი ძმა იყო აბაშიძის ცოლის: გამოესარჩლა დასა და დისწულებს, იშუამდგომლა მთავრობასთან და ტყვეები, გარდა დარეჯან ბატონიშვილის ერთი უფროსი ვაჟისა, უკანვე დააბრუნეს გზიდან. მაშინ დედაჩემი იყო 12 წლისა და ყველაფერი გულის ფიცარზე დაებეჭდა. აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მაგრამ ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა, ოჯახი აკლებული და განადგურებული“. უმწეოდ დარჩენილი ქვრივობლები მამია გურიელს შეუვრდომებია თავის ოზურგეთის სასახლეში. „საზრდო რომ აღარ ჰქონდათ და პატრონიც აღარავინ ჰყავდათ, გურიის მთავარმა გადიყვანა და ცდილობდა, რომ მათი მწუხარება, მომავლის იმედებით, როგორმე გაექარვებინა“.

მამია გურიელს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია პატარა ეკატერინეს აღზრდისათვის. თუ წინათ მას დაერჯან ბატონიშვილი „შვილსავით ზრდიდა და ანებივრებდა, როგორც შესანიშნავ ბავშს“, ეხლაც, ბიძის ოჯახშიც არ მოკლებია მზრუნველობა. მამია გურიელის სასახლეში იმ დროს თურმე „თითქმის შინაკაცებად ითვლებოდენ ფრანგის პატრები“. ამ განათებულ ევროპელებს, აკაკის სიტყვით, დიდი გავლენა მოუხდენიათ დედამისზე: მათი მეოხებით ეკატერინეს შეუსწავლია, სხვათაშორის, ექიმობა და მეურნეობა. „რაც კი იმ დროში ქართველი ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელესაქნარე და მას-

---

[1]) „აქტები“, ტ. VII, გვ. 387.

[2]) იქვე, ტ. VI, ნაწ. II, გვ. 746 — გენ. ერმოლოვის მიმართვიდან გრაფ ნესელროდესადმი, 1821 წლის 8 აგვისტოს თარიღით.

თანაც კარგი აღმზრდელი. ცნობისმოყვარეობასთან შრომისმოყვარულობაც შეთვისებული ჰქონდა".

ივანე აბაშიძის ცოლშვილს აღარც მამია გურიელის ოჯახში დასცალდა დიდხანს მყუდრო და უზრუნველყოფილი ცხოვრება. 1826 წ. მამია გურიელი გარდაიცვალა. მისი მეუღლე, მცირე წლოვანი შვილით, გაიქცა თურქეთში 1829 წ.; გურიელის ოჯახი და სასახლე განადგურებული იქნა მთავრობის მიერ. ამის შემდეგ, როგორც აკაკის უფროსი ძმა დავითი სწერს თავის მოგონებაში დედის შესახებ, — „ბედკრული ქალიშვილი ცხოვრობდა თუ ნათესავებში სხვის ლუკმაზედ, თუ ქუთაისში დედა და ძმასთან ერთად მცირე-ღარიბ ქოხში". დავითისვე სიტყვით დედამისი „ოცი წლისა გათხოვებულ იქნა ძალდატანებით" და ამის შემდეგ „დაამყარა გული ქმარ-შვილის ერთგულებასა და ოჯახის წარმატებას".

ეკატერინე ძალიან გამოჯელი და შრომის მოყვარული ქალი ყოფილა. მთელი ოჯახი მის კისერზე იყო, რადგან მისი მეუღლე, თავადი როსტომი ნაკლებად იწუხებდა თავს და თითქმის სრულიად არ ერეოდა მეურნეობის მართვა-გამგეობაში. აკაკის გადმოცემით ეკატერინე „დილას მამლის ყივილზე რომ წამოდგებოდა, დაღამებამდე ფეხზე იდგა და უსაქმურად კაცი ვერ ნახავდა. „სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველგვარ ბოროტებისაო,— იტყოდა ხოლმე, — და კეთილი საქმე კი იგივე ლოცვა, ვედრებაო". მკაცრობისა და მრისხანების სახელი ჰქონდა დავარდნილი, რადგან თავი მძიმედ ეჭირა... სასახლეში მისი ყველას ეშინოდა და დიდი ხათრიცა ჰქონდათ". ამ გარეგნულ მრისხანებასა და მოჩვენებით ცივგულობასთან ერთად ეკატერინე მეტად ჩვილი და მოსიყვარულე ბუნების ადამიანი ყოფილა. „უნდა გენახათ მაშინ, — სწერს აკაკი, — როდესაც სასახლეში ავად ვინმე გახდებოდა, — გინდ უკანასკნელთაგანიცა. დღე და ღამე მოსვენება აღარა ჰქონდა და თავის ხელით უვლიდა, როგორც შვილს. გაჭირვებულის დახმარება რჯულად ჰქონდა დადგენილი, სულ სხვებზე ფიქრობდა, და სხვებისთვის, — თითქოს თავის პირადობაზე ხელაღებული ყოფილიყოს, — მუდამ მწუხარებაში იყო".

აკაკისა და საერთოდ ყველა თავის შვილების გონივრულ აღზრდა-განვითარების საქმეში უდიდესი როლი მიუძღვის ამ ჭკუითა და სხვა ბუნებრივ სიკეთით დაჯილდოვებულ ქალს. ძველთაგანვე მიღებული ადათის მიუხედავად, ეკატერინე ბავშების აღზრდას გამდლებს არ ანდობდა და უფრო თვითონ ზრდიდა შვილებს: თავის თავგადასავალში აკაკის მოჰყავს მრავალი მაგალითი იმ გონივრული აღზრდისა, რომელიც მიიღო მან დედისაგან. ამის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი, როდესაც შევეხებით აკაკის ბავშობის ხანას. ეხლა კი ეკატერინეს ხასიათის საილუსტრაციოდ, მოვიყვანთ ერთ ეპიზოდს აკაკის ნაამბობიდან. „საკვირველი ზნე სჭირდა დედასო, — სწერს პოეტი,— თუ არ გამოთხოვების დროს, როცა სადმე დიდი ხნით მივდიოდი, — და ხანრგძლივ უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკოცებდა ბავშებს, და მაშინაც ისე, თითქო გული ნებას არ აძლევსო. ეს მეც მიკვირდა და ვერ ამეხსნა. ეს ხასიათი მთელ მის სიცოცხლეში შერჩა. შვილიშვილებსაც ასე ეპყრობოდა. ერთხელ დაცოლშვილებული ვიყავი, შევესწარი, რომ ჩემ პატარა შვილს, მძინარს მიდგომოდა და სიფრთხილით, არ გამოიღვიძოსო, ჰკოცნიდა და ეალერსებოდა. მაშინ მიეხვდი, რომ ალბად ჩვენც ასე გვეალერსებოდა-მთქი. ცხადად

ვინ უშლიდაო, — იფიქრებს კაცი, და ის თურმე იმ აზრის იყო, რომ ხშირი მოფერება აფუჭებს ყმაწვილს და წარამარა კოცნასაც ფასი აღარ აქვს მის თვალშიო. არ ვიცი, საზოგადოდ ეს მართალია თუ არაო, — დაბეჭდავს აკაკი, — მაგრამ ჩემს თავზე, როგორც გამოვცადე, მისი კოცნა რაღაც სასუფევლურ ნეტარებად მიმაჩნდაო".

დედის უღრმესი პატივისცემა და სიყვარული აკაკის დავაჟკაცებაშიდაც გაჰყვა. ამისათვის საკმარისია გავეცნოთ მის სტუდენტობის დროინდელ წერილებს, გამოგზავნილს პეტერბურგიდან დედის სახელზე. საგულისხმოა ისიც, რომ აკაკი წერილებს სწერდა მუდამ დედას და არა მამას, და ეს არც საკვირველია. ოჯახის ფაქტიური უფროსი და გამგებელი ხომ დედამისი იყო. უფრო საგულისხმოა და დამახასიათებელი ეკატერინეს გონებრივი განვითარებისათვის ის გარემოება, რომ პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილებში ახალგაზრდა პოეტი შვილი ხშირად თავის ლიტერატურულ საქმეებზედაც კი ესაუბრება მას. ამ წერილებში ხშირად შეხვდებით „ცისკრის" და ივანე კერესელიძის ხსენებას, აკაკის პირველი ცნობილი ლექსების სათაურებს...

ეკატერინე თავის სტუდენტ შვილს დროგამოშვებით თავისთვის წიგნების შეძენასა და გამოგზავნასაც ავალებდა პეტერბურგიდან. ერთ წერილში, მაგალითად, აკაკი სწერს დედას: „...ქართული ისტორია, გეოგრაფია და სხვადასხვა წიგნები ვიყიდე მანდ გამოსაგზავნად სამ თუმნადო".. მეორე წერილში უთვლის:"... მხედრულ დავითს, სათვალეს, ქართულ ისტორიას თეიმურაზისას და ჩაის მალე მოგართმევთო... სამზარეულო წიგნსაც გამოგიგზავნიო".

მოხუცებულობაში ეკატერინემ განიცადა სიმწვავე ვაჟკაცი შვილის იასონისა და გათხოვილი ქალის მავრას დაკარგვისა, შეესწრო იგი ქმრის სიკვდილსაც... მაგრამ ამ მწუხარებისათვის ბედმა ორმაგის საწყაულით მიუზღა მას დიდი ზნეობრივი დაკმაყოფილება და სიხარული — იგი მოწმე შეიქნა თავისი საყვარელი შვილის დიდი პოეტური სახელის და საქვეყნო აღიარებისა.

ეკატერინე გარდაიცვალა სხვიტორში, 1885 წელს.

ღა - ძმანი

თავად როსტომ წერეთელს ხუთი ქალ-ვაჟი ჰყავდა: ანნა, დავითი, იასონი, აკაკი და მავრა.

მათ შორის ყველაზე უფროსი იყო ა ნ ნ ა. იგი დაიბადა 1830 წელს. ანნა არაოდეს არ გათხოვილა და სიყრმიდან მოკიდებული მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ოჯახს არ მოშორებია. სოსიკო მერკვილაძე მართალია, როდესაც ამბობს, რომ ანნამ მთელი ჭირი და ლხინი აკაკისა, ბავშობიდან უკანასკნელ დრომდე ცხოვლად და ზედმიწევნით იცოდაო. ანნას მეხსიერებას უნდა ვუმადლოდეთ, სხვათა შორის, იმ გარემოებით, რომ ჩვენამდე შენახული იქნა და არ დაიკარგა აკაკის ბავშობის დროინდელი შაირები — საუცხოო ნიმუშები პოეტის პირველი, ყველაზე ადრინდელი შემოქმედებისა. ეს შაირები ანნას სხვა მოგონებებთან ერთად, რომელიც აკაკის ბავშობის ხანას შეეხება, ს. მერკვილაძემ გამოაქვეყნა 1904 წლის „ივერიაში".

აკაკი ბავშობიდანვე დიდი პატივისმცემელი იყო თავისი უფროსი დისა. სხვათაშორის, პირველი ანბანი და წერა-კითხვა მისგან ისწავლა აკაკიმ. სტუ-

დენტობის დროს პეტერბურგიდან გამოგზავნილი აკაკის კორესპონდენციების ნაწილი ანნას სახელზეა მიმართული. ეს განსაკუთრებული პატივისცემა დისა აკაკის სიცოცხლის უკანასკნელ მომენტამდე გაჰყვა უცვლელად.

ანნამ ღრმა სიბერემდე მიაღწია და გარდაიცვალა სხვიტორში 1920 წელს.

—:—:—

აკაკის უფროსი ძმა დავითი ანნას მომდევნო იყო. იგი დაიბადა 1832 წელს.[1]

მის ოჯახში შენახული ბიოგრაფიული ცნობების თანახმად, დავითი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. როსტომს იგი უკანასკნელი კლასიდან გამოუყვანია, რადგან ვორონცოვის წინადადების თანახმად იძულებული გამხდარა ეს უფროსი ვაჟი სამხედრო სამსახურში გაემწესებინა. დავითი ჩაურიცხავთ ქართულ გრენადერთა პოლკში, რომელიც აღბულაღში იყო დაბანაკებული. იგი მსახურობდა 1853—1869 წლების განმავლობაში, შემდეგ კი გასულა სამსახურიდან. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1877-78 წლებში, დავითი კვლავ გაუწვევიათ სამხედრო სამსახურში. ბათომის აღების შემდეგ იგი დაუნიშნავთ აჭარაში, მაჭახელის უბნის უფროსად. აჭარელებს შორის მას გულწრფელი სიყვარული დაუმსახურებია თავისი გონიერი მმართველობით. აჭარისა და აჭარლების შესახებ დავითი მოკლე წერილებსაც ათავსებდა გაზეთ „დროებაში". დავითს აჭარაში უმსახურნია 1878—1881 წლების განმავლობაში. ამის შემდეგ იგი დაბრუნებია ოჯახს და დანარჩენი თავისი ცხოვრების ნაწილი გაუტარებია სხვიტორში. დავითი გარდაიცვალა 1902 წელს.

აკაკის მეორე ძმა იასონი, რომელსაც ოჯახში ილიკოს უწოდებდნენ, სამი წლით იყო უფროსი პოეტზე. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. 1856 წელს იგი გამწესებული იქნა პეტერბურგში, იმპერატორის მხლებელ ჯარის ნაწილში, რომელსაც „კანვოი" ეწოდებოდა.

—:—

აკაკის თავის თავგადასავალში საუცხოოდ აქვს აწერილი ის უქმი და ფუქსავატი ცხოვრება, რომელსაც ეწეოდნენ კონვოელები. „კონვოების და განსაკუთრებით ქართველების მდგომარეობაო, — სწერს აკაკი, — უსაქმური კაცისათვის სანატრელი იყო. კარგად სვამდენ, კარგად სჭამდენ, კარგად ეცვათ, დღეში რამდენიმე საათს ცხენებს აჭენებდენ, ათამაშებდენ და დანარჩენ დროს აქეთ-იქით საქეიფოდ ინახავდენო".

„კონვოიში" იასონმა იმსახურა სამ წელიწადს, შემდეგ მისივე თხოვნით გადაყვანილ იქნა სევერსკის დრაგუნთა პოლკში.

გარდაიცვალა იასონი 1873 წელს, ქუთაისში. იგი დასაფლავებულია წერეთლების საგვარეულო სასაფლაოზე, სხვიტორის მახლობელ სოფელ კვერეთში.

—:—

[1]) ცნობები, როგორც დავითის, ისე აკაკის სხვა და-ძმებისა და ნათესავების შესახებ შენახულია დავითის შვილის, ინჟენერ ვასილ წერეთლის საოჯახო არქივში. ვსარგებლობთ, რა შემთხვევით, მადლობა გვინდა გადავუხადოთ ვასილ წერეთელსა და მისი ოჯახის წევრებს — დედას მარიამს და მეუღლეს, პედაგოგ ს. წერეთლისას ყველა საჭირო ცნობების თავაზიანი მოწოდებისათვის. ავტ.

აკაკის მეორე და, მ ა ვ რ ა, ყველაზე უმცროსი იყო როსტომის ხუთ შვილში. ივი დაიბადა 1843 წელს. მავრა, ანუ როგორც მას შინაურობაში ეძახდნენ, — მატა, 1872 წელს გათხოვილ იქნა ალექსანდრე დადიანზე, რომელიც მოკლეს 1878 წელს, აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროების აღების დროს. მატამ მხოლოდ ოთხი წელი იცოცხლა გათხოვების შემდეგ. მას დარჩა ერთად-ერთი ქალიშვილი ა ნ ე ტ ა (1873 — 1922), თუთხმეტი წლის ჰასაკში გათხოვილი ჯანსოხ დადეშქელიანზე (1873 — 1923). ეს დადეშქელიანი ერთ დროს ერევნის პოლკში მსახურობდა და ომშიდაც იქნა დაჭრილი. ამის შემდეგ პოლკისთვის თავი დაუნებებია და ადმინისტრატიულ სამსახურში გამწესებულა. მსახურობდა იგი მაზრის უფროსად რაჭაში, შემდეგ ქუთაისში. 1906 წელს დაუნიშნავთ დაღესტანის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ.

თავისი ცხოვრების უკანასკნელი ხანები აკაკის დისწულს ანეტას ქმართან ერთად გაუტარებია სამეგრელოში, ს. ჯვარში, და აქვე გარდაცვლილა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ ბარნოვი „ბიოგრბი სააკაძე“.

ისტორიული რომანი სამ ნაწილად.

ჩვენი მახლობელი წარსულის უდიდესი პიროვნების გიორგი სააკაძის შესახებ ქართულ-რუსულ ენებზე რამოდენიმე პოემა-რომანია დაწერილი და მათ შორის სარეცენზიო ნაწარმოებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ბარნოვი ისტორიული ჟანრის რომანების დიდი ოსტატია, მაგრამ ეს რომანი მის შემოქმედებაში უჩვეულო და განსაკუთრებული მიდგომით დაწერილი ნაწარმოებია. მე-16 საუკუნეში მთლიანი საქართველოსათვის ბრძოლას საბედისწერო და გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს თვითარსებობის დაცვისათვის. იმ დროს, როდესაც მაშინდელი გაბატონებული კლასები წარჩინებული თავადების სახით მხოლოდ თავიანთ ვიწრო კლასობრივი ინტერესებით იყვნენ ამოქმედებულნი, ხალხის წრიდან გამოსული ღარიბი აზნაური გიორგი სააკაძე ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით თავადებულად იბრძვის მთლიანი საქართველოს იდეისათვის.

ქართლის მოურავის გიორგი სააკაძის დიდი ნიჭი, გამჭრიახობა, გმირობა და თავდადება თავის ქვეყნისადმი და განსაკუთრებით მისი დიდი გამარჯვებები ბრძოლებში და მეფის ოჯახთან ნათესაური კავშირი მოსვენებას უკარგავს მეფის კართან დაახლოებულ დიდებულებს და ისინი შადიმან ბარათაშვილის მეთაურობით სააკაძის წინააღმდეგ ჯერ შენილბულ და შემდეგ აშკარა ბრძოლას აწარმოებენ. ეს ბრძოლა როდია შემთხვევითი ხასიათის. ამ ბრძოლაში ნათლად სჩანს გაბატონებული კლასების ბრძოლა თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად. საქართველოს ინტერესების უგულველყოფა, ვიწრო წოდებრივი ინტერესების მაღლა დაყენება საქართველოს არსებობისათვის მეტისმეტად კრიტიკულ მომენტში კარგად და დიდი სიმართლით აქვს ავტორს ნაჩვენები. ამაშია სარეცენზიო ნაწარმოების დიდი ღირსება.

წარჩინებულები ვერ ურიგდებიან გიორგი სააკაძის დაწინაურებას, თხზავენ და ავრცელებენ მის წინააღმდეგ ბინძურ ცილისწამებას, ამცირებენ სააკაძის გვარს და ბოიკოტს უცხადებენ ამ გვარიდან გამოსულ დედოფალს (ლუარსაბ მეფემ გიორგი სააკაძის და შეირინო ცოლად), ყოველდღიურად აგონებენ მეფეს ვითომ და სააკაძის ღალატს, უარს აცხადებენ სააკაძის მეთაურობის ქვეშ ბრძოლაში მონაწილეობაზე, ურჩევენ მეფეს, რომ დედოფალს გასცილდეს. ნებისყოფას მოკლებული და ყოვლად უნიათო ლუარსაბ მეფე ერთხანს უარსაა, მაგრამ შემდეგ მტრის თავდასხმით დაშინებული თანხმდება, და როგორც ის, ისე იმ დროინდელი და შემდეგი მეფეები თეიმურაზი, სვიმონი და სხვები წარჩინებულთა წოდების ვიწრო ეგოისტური ინტერესების ბრმა იარაღად ხდებიან.

მეორე მხრივ საქართველოს აწვება რუსეთის იმპერიალიზმი.

გიორგი სააკაძე მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგება რუსული იმპერიალიზმის ორიენტაციას, რომელსაც მრავალი მომხრე ყავდა მეფის სასახლის წრეებსა და წარჩინებულთა წოდებაში. ეს გარემოება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას მეტისმეტად ამწვავებს და აღმოსავლეთის სახელმწიფოებს ირანსა და თურქეთს აბრაზებს და ახელებს საქართველოს წინააღმდეგ. იქმნება საქართველოს თვითარსებობისათვის უაღრესად კრიტიკული მომენტი. გიორგი სააკაძე შინაურ ძალებზე იმედგაცრუებული, უცხო სახელმწიფოთა ძალებს ემყარება და ჯერ ირანის და შემდეგ თურქეთის ძალებით ცდილობს და ფიქრობს საქართველოს განთავისუფლებას, მაგრამ მწარედ ტყვილდება, იმედები უცრუვდება და თითონვე მუხანათურად იღუპება ამ ბრძოლაში.

ვიმეორებთ, სარეცენზიო ნაწარმოებს ბევრი ღირსება და დადებითი მხარე აქვს და მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში. ნაწარმოების განსაკუთრებულება იმაში მდგომარეობს, რომ ის დაწერილია კრიტიკული რეალიზმის მეთოდით, და ეს მეთოდი უეჭველად კარგად არის გამოყენებული მე-17 საუკუნის მეფეებისა და ქართველ ხალხიანი ცხოვრების საჩვენებლად. ავტორი ღრმად იხედება ამ საუკუნის ცხოვრებაში, კარგად ერკვევა მაშინდელი ცხოვრების მამოძრავებელ ძალებში და დამაჯერებლობით გადმოგვცემს მთელ რიგ საინტერესო ამბებს და მოვლენებს. მეფეები და დიდებულები თავიანთი კლასობრივი სახით არიან გაკეთებულნი. მათ მიმართ არავითარ გალამაზებას და გაკეთილშობილებას ადგილი არა აქვს. მათი სიტყვა და საქმე დიდი სიმართლითა და რეალისტური მიდგომით არის ნაჩვენები. საქართველოზე ოქროპირობა ნიღაბია მათი ვიწრო კლასობრივი და ეგოისტური ინტერესების დასამალავად.

ნაწარმოების მთელ მანძილზე, თავიდან ბოლომდე, პირველ რიგში დაყენებულია ხალხი და მისი ინტერესები და ეს ინტერესები შეხამებული და შეთავსებულია საქართველოს კეთილდღეობასთან: ნაწარმოების გმირი გიორგი სააკაძე ავტორის გმირიც არის, მაგრამ როდესაც სააკაძე უცხო სახელმწიფოთა ძალებზე იღებს ორიენტაციას, აქ გიორგი უკვე აღარ არის ავტორის გმირი და მის შესახებ რომანში შემდეგ საღ, კრიტიკულ სტრიქონებს ვკითხულობთ:

„სპარსთ სისხლის მძებნელს სააკაძეს ვეღარ ეგნო ხალხის გულისთქმა: მის გონებას არ ესმოდა ერის ძახილი; მის ჩახშულ გულს ვეღარ ეგრძნო ერის განცდანი, ვერ ხედავდა, არ ჰყვებოდნენ ქართველთ ტალღანი, სურვილთ ყვაილებს არ უფენდნენ მას ბრძოლის გზაზედ. მიილტვოდა სააკაძე სავნებელისკენ და სწრაფვა მისი იყო ქროლვა სტიქიონთ ძალის“.

ასევე კრიტიკულად არის ნაწარმოებში ამეტყველებული ხალხი თავისი ბელადის წინააღმდეგ, როდესაც ეს ბელადი სწორ გზას აცდება და თავდადმართით დაექანება: აი რას ლაპარაკობს ხალხი გიორგის შესახებ:

„გიორგი რომ სპარსთ შეებრძოლა, მხარი მივეცით: არ დავზოგეთ არც სიცოცხლე თავისუფლად არსებობისთვის. ეხლა მხოლოდ იმისთვის ვიბრძვით რომ სპარსთ მაგივრად ვაუფლოდ ჩვენზე ახლა ხონთქარი? რასა გავს ეს“.

ისტორიული რომანები ჩვეულებრივად იწერებოდა ქართველი გმირის გაზვიადებით და მოწინააღმდეგის დამცირებით. ეს ტრადიცია სარეცენზიო ნაწარმოებში რამდენიმედ დარღვეულია.

რომანი მთლიანად რეალისტურათ დაწერილი ნაწარმოებია და ყოველგვარ სიზმრების და ფატალისტური ძალების გაწბილებით.

რომანი დაწერილია ვასილ ბარნოვისათვის ჩვეული ძველი ქართული ენით. დინჯი, ეპიური თხრობის ნაცვლად აქ ჩვენ ვხვდებით პოეტურ ამღერებას. მახვილების გასაძლიერებლად წინადადება უმეტეს შემთხვევაში ზმნით იწყება. ზოგჯერ წინადადებები რითმით არის დასრულებული. ხმები და შეძახილები ამეტყველებულია მომქმედ პირების მაგივრად. ავტორი ამას ნამეტურ მაშინ მიმართავს, როდესაც რომელიმე მოვლენის გარშემო საზოგადოებრივი აზრი უნდა გამოამჟღავნოს. ყოველივე ეს ისე მოხერხებულად არის გამოყენებული, რომ ნაწარმოების მხატვრულ ეფექტიანობას არ ამცირებს, მიუხედავად ზოგიერთი პუბლიცისტური ადგილებისა.

წიგნს დართული აქვს ვრცელი ლექსიკონი თედო სახოკიას მიერ შედგენილი, რაც მიუცილებელი საჭირო იყო. წიგნი მიუხედავად მძიმე და ძველი ქართული ენისა, მაინც დიდი ხალისით და ინტერესით იკითხება.

გ. მეგუკე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება

ჟურნალ „მნათობის“ № 12-ში ირაკლი აბაშიძის პოემაში „წულუკიძის სიკვდილი“, მე-90 გვერდზე პირველი ტაეპი უნდა იკითხებოდეს ასე:

„წუთს გაუმარჯოს, როცა ბრძოლით ბორკილ-აყრილი
თვალებს შეიშრობს გატანჯული კაცი მტირალი;
სოფლის ბოლოში ამოწვდილი, როგორც მახვილი,
როკზე შეიჭრა ჯულაშვილი ნაციმბირალი“.

გადაეცა წარმოებას 19/I — 40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/I — 40 წ. მთავლიტის რწმუნებული № 1519. შეკვეთა № 161. ტირაჟი 5000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორგსის ქ. № 5.